

თანამედროვე ქართული ენის  
სოციალურ-კულტურული ასპექტები

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**R a m a z   K u r d a d z e**

**Social and Cultural Aspects of the Modern  
Georgian Language**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რ ა მ ა გ ქ უ რ დ ა ბ ე

თანამედროვე ქართული ენის  
სოციალურ-კულტურული ასამართები

წიგნი წერილების კრებულია, რომელშიც განხილულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის, ქართული ლექსიკოლოგის, ქართული უარგონის, ქართული ენის გენდერული თავისებურებებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების საკითხები.

The book represents a collection of articles dealing with the issues of modern Georgian literary language, Georgian lexicology, Georgian jargon, gender peculiarities of Georgian and teaching Georgian as a second language.

**რედაქტორი** მზექალა შანიძე

**რეცენზენტები:** ვახტანგ იმნაიშვილი,  
რუსუდან ზექალაშვილი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა .....	7
<b>I. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა და ლექსიკოლოგიის საკითხები .....</b>	<b>9</b>
ჩენა და ჩინება.....	9
მართლწერის საკითხები ზოგი ხმოვანფუძიანი სახელის პრუნებასთან დაკავშირებით .....	11
ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკიდან .....	16
მოძრაობის (გადაადგილების) აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკისათვის ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში.....	27
ქართული კინემალოგოსი და მისი ადგილი ფრაზეოლოგიაში .....	32
<b>II. თანამედროვე ქართული ენის უარგონული ასპექტები .....</b>	<b>38</b>
ქართული უარგონის ლექსიკონი.....	38
ნიშანთა სისტემის პრაგმატიკული ასპექტი ზოგი უარგონული სიტყვის სესხებისას ქართულში .....	44
ქართული ლექსიკა რუსულ უარგონში .....	51
<b>III. თანამედროვე ქართული ენის გენდერული ასპექტები .....</b>	<b>60</b>
ენისა და გენდერის პრობლემა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში.....	60
პიროვნულ სახელთა გენდერული ასპექტებისათვის ქართულსა და ინგლისურში.....	68
ერთ საქორწინო რიტუალთან დაკავშირებული გენდერული ტერმინები ქართულში.....	72
გენდერული ასიმეტრია ქართულ უარგონში .....	77
<b>IV. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების საკითხები .....</b>	<b>81</b>
მეორე / უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის შესახებ .....	81

ერთი პრაქტიკული საკითხის შესახებ ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების დროს.....	85
ელიფსის ერთი შემთხვევა ქართულსა და ინგლისურში და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლებისათვის .....	88
ზმნურ ფორმათა წარმოების ზოგი საერთო ტენდენციისათვის ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებში .....	94
ერთი სახის დერივატთა წარმოების საერთო წესის შესახებ ქართულსა და ინგლისურში .....	99
დროისა და მოქმედების სიხშირის აღმნიშვნელი ზმნიზედები წარსული დროის ზმნებთან ქართულსა და ინგლისურ ენებში.....	105
მოჩვენებითობის სემანტიკის გამომხატველი საშუალებების ანალიზი ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისას .....	108
ორთოგრაფის ზოგიერთი საკითხი ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების დროს.....	112
პრაქტიკული „ქართული, როგორც უცხო ენა“ (მეთოდოლოგის საკითხები) .....	118
„რა არის თქვენი სახელი?“ უცხოეთში გამოცემული „სასაუბრო ქართულის“ შესახებ – Colloquial Georgian, A PHRASE BOOK .....	135
ქართული ენის ახალი თვითმასწავლებელი დასანანი ხარვეზებით .....	138
აი, როგორ ქართულს გვასწავლის ჯორჯ ჰიუიტი.....	143

## ნინასიტყვაობა

ნიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული საენათმეცნიერო წერილები. ეს წერილები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების, ლექსიკოლოგის, უარგონის, ენისა და გენდერის და ქართულის, როგორც მეორე (ან უცხო) ენის, სწავლების საკითხებს ეხება. ნიგნ „თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები“ ეწოდა. სწორედ ამ ასპექტების ერთობლიობაში განაპირობა ამ საკითხთა გაერთიანება და ერთ წიგნად გამოცემა, თუმცა, რასაკვირველია, ამ ასპექტების კვლევის სისრულის პრეტენზია ნაშრომს არა აქვს. ბუნებრივია, ამ მიმართულებით კვლევა მომავალშიც გაგრძელდება. ნაშრომში წარმოდგენილი სტატიების ერთად თავმოყრა და ერთ წიგნად გამოცემა ამ სტატიების სასწავლო დანიშნულებამაც განაპირობა. კერძოდ, წარმოდგენილი სტატიები გამიზნულია როგორც დამატებითი ლიტერატურა თუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართველური ენათმეცნიერების“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ისეთი სავალდებულო და არჩევითი კურსებისათვის, როგორებიცაა: „ქართული დიალექტოლოგია“, „ქართული ენის ლექსიკოლოგია“, „მწერლის ენა“, „თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ანალიზი“, „ენა და კულტურა – ქართული ენის კულტურულ-ანთროპოლოგიური ასპექტები“, „ქართული ენის სწავლება მეორე ენის ფლობის თანამედროვე თეორიების მიხედვით“ და სხვ.

ნიგნში წერილები არსებითად იმავე სახითაა წარმოდგენილი, როგორც პირველად დაიბეჭდა. მხოლოდ მცირედ შეცვლილია ლიტერატურის მითითების წესი, რადგან სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჟურნალსა თუ კრებულში ლიტერატურის მითითებაც სხვადასხვაგვარი იყო, ამჯერად ყველა სტატიას

ერთი სტილით აქვს მითითებული ლიტერატურა. ლიტერატურა არ ახლავს საგაზეთო წერილებს და ზოგ სტატიას, თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში წყაროები ტექსტის შიგნითვე არის მითითებული.

ვფიქრობთ, წიგნი თემატური მრავალფეროვნების მხრივ საინტერესო იქნება არა მხოლოდ სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის, არამედ, საერთოდ, ქართული ენის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

## I. თაცამადროვე ქართული სალიტერატურო ცნობის ნორმატივული და ლექსიკოლოგიკის საკითხები

### ჩენა და ჩინება\*

ჩენა და ჩინება, დენა და დინება, დგენა და დგინება ხმოვანმონაცვლე ზმნათა საწყისებია. ეს საწყისები, ისევე როგორც ამავე ზმნათა მიმღეობანი, პირველი სერიის ფუძეს ემყარება. ხმოვანმონაცვლე ზმნა პირველ სერიაში თუ თემის ნიშნის გარეშეა, ფუძეში ე ხმოვანს გვიჩვენებს, ხოლო თუ თემისნიშნიანია, მაშინ ფუძეში ი ხმოვანი გვაქვს.: მაგ.: ადგენს//ადგინებს, ადენს//ადინებს, ავლენს//ავლინებს, ამხელს//ამხილებს, აჩენს//აჩინებს და სხვ.

საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ამ ზმნების ისტორია ასეთია: ძველად იყო „ავლინებს, ვლინება“ ტიპი. შემდეგ დაიწყო გამარტივების პროცესი. მომდევნო პერიოდიდან (XI საუკუნიდან) ჩნდება პარალელური ფორმები: აღადგინებს – აღადგენს, წარგავლინებ – წარგავლენ და სხვა. ზოგ შემთხვევაში ახლებურად ნაწარმოები აწმყო დაედო საფუძვლად პირველ თურმებითს: აღუდგენიეს, განგიჩენიეს და სხვ. ასევე ახალი ზმნური ფორმებისგან იწარმოება სახელზმნებიც: წარვლენაა, შეძენაა, მოვლენილი და სხვა. XI საუკუნიდან ცოცხალ მეტყველებაში ამ ტიპის ფორმები აღბათ უკვე გაბატონებული იყო (ზ. სარჯველაძე).

ცოცხალი მეტყველების და დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით, ამ ზმნების, მათი საწყისების და მიმღეობების ნიმუში დღეისათვის ასეთია:

**ზმნა – ავლენს//ავლინებს;**

**საწყისი – ვლენა //ვლინება;**

**მიმღეობა – მივლენილი//მივლინებული**

მსგავსად სხვა ხმოვანმონაცვლე ზმნებისა (დრეკა, დრეკა, გადრეკილი...), ზემოთ აღნიშნული ფორმებისათვისაც ნორმად ე ხმოვნიანი ფუძე უნდა მივიჩნიოთ: **ავლენს, ვლენა, მივლენილი** და სხვ. ამიტომ **დგინება, დინება, ჩინება** და მსგავსი ფორმები უარსაყოფია, მაგრამ საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ -ებ თემისნიშნიანი, ი ხმოვნიანი ფუძე ზოგჯერ გამოყენებულია სემანტიკური განსხვავების გადმოსაცემად. მაგალითად:

**დგენა და დგინება: აღდგენა** ეს არის ხელახლა აშენება, წინანდელი სახის მიცემა, განახლება. იგივეა **აღდგინებაც**, მაგრამ ამ უკანასკნელს მოეპოვება განსხვავებული მნიშვნელობაც, კერძოდ, ეს არის რაიმე სურვილის შემცველი ოფიციალური განცხადება: „[ნორვეგიის] მთავრობა განიხილავს საკითხს, რათა **წარდგინება** გაუკეთოს ვაშინგტონს, თუ შეერთებული შტატები ბოიკოტს გამოუცხადებენ ნორვეგიის გემებს“.

**წარდგენა** ნიშნავს რაიმე წერილობითი საბუთის მიტანას; გაცნობას; შუამდგომლობას. იგივეა **წარდგინებაც**, მაგრამ ამ უკანასკნელს მოეპოვება განსხვავებული მნიშვნელობაც, კერძოდ, ეს არის რაიმე სურვილის შემცველი ოფიციალური განცხადება: „[ნორვეგიის] მთავრობა განიხილავს საკითხს, რათა **წარდგინება** გაუკეთოს ვაშინგტონს, თუ შეერთებული შტატები ბოიკოტს გამოუცხადებენ ნორვეგიის გემებს“.

\* გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“ 3(8), 1996.

**დენა და დინება:** დენა ნიშნავს განუწყვეტელ ნაკადად მოძრაობას, მდინარებას, სითხის დინებას. იგივეა დინებაც. მაგრამ „დინება“ ფართოდ გამოიყენება, როგორც გეოგრაფიული ტერმინი. კერძოდ, ზღვის დინებები, ოკეანის დინებები – ესაა წყლის მასების მოძრაობა ზღვებსა და ოკეანებში. ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება ქარისმიერი დინება, ჩამონადენისმიერი დინება, კომპენსაციური დინება. განლაგების მიხედვით შეიძლება იყოს: **ზედაპირული**, სილრმითი, ფსკერული და **სხვა დინებები**. დინება შეიძლება შეგვხდეს **მუდმივი**, დროებითი და **პერიოდული** (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია).

გვხვდება „**ახირებული დინებაც**“. კერძოდ, საბავშვო ენციკლოპედიის ქართულ თარგმანში „მალსტრემს“ „**ახირებული დინება**“ უწოდეს (რუსულად – «дурное течение»). თვით მალსტრემი დანიური სიტყვაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს წყლის ნაკადს, რომელიც მორევს ქმნის.

მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთს ემთხვევა აგრეთვე: **ავლენს//ავლინებს, მიავლენს//მიავლინებს, მივლენა//მივლინება**. მაგრამ, როდესაც ლაპარაკია სამსახურებრივი დავალებით ვისიმე დროებით სხვაგან გაგზავნაზე, **მივლინება** იხმარება და არა **მივლენა**.

**მხელა და მხილება:** ამხელს და ამხილებს განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სემანტიკურად (მცირედ, მაგრამ მაინც). კერძოდ, ორივე ნიშნავს გამოაშკარავებას, მაგრამ **ამხილებს** ზმნა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რაიმე უნდა გამოაშკარავდეს გაკიცხვის, დაგმობის მიზნით. „**მხილება**“ ფუძით გვხვდება შემდეგი მიმღეობანი: **მამხილებელი** – ვინც ან რაც ამხილებს; **მხილებული** – ვინც ან რაც ამხილეს, სააშკარაოზე გამოყვანილი და დაგმობილი; **სამხილებელი** – რაც უნდა ამხილონ, გამოამჟღავნონ. გვაქვს ზმნიზედაც **სამხილებლად** – მხილებისათვის, გამოსამჟღავნებლად.

**ჩენა და ჩინება:** ჩენა ნიშნავს რაიმეს შექმნას, გაჩენას, ჩინება კი გამოჩენას, გამოვლინებას. სემანტიკურად სახეცვლილია ამ ფორმათა მიმღეობანი: **ჩენილი** იხმარება რთული ფუძის მეორე შემადგენელ ნაწილად – **თავჩენილი, ჩინებული** კი ნიშნავს დიდებულს, საუცხოოს, შესანიშნავს. აქედან წარმოქმნილია ზმნიზედაც – **ჩინებულად**.

სემანტიკურ სხვაობას გვიჩვენებს ამ ზმნათა ზმნისწინიანი ფორმებიც: **გამოჩენა, გამოჩინება, „გამოჩინება“ „გამოჩინისაგან“** განსხვავებით, ზეიმს, დღესასწაულსაც ნიშნავს: „საქართველოში კი ზეიმია და **გამოჩინება**“ (შ. დადიანი). „[ხათუთა] უბრალო კაცის შვილი ხომ არ არის, **გამოჩინების** დროს მივჩქმალოთ?“ (ვ. ბარნოვი).

აღსანიშნავია, რომ ზოგი სახელზმნა მხოლოდ „**ჩინება**“ ფუძით გვხვდება და პარალელური ვარიანტი ე ხმოვნიანი ფუძით არ გააჩნია. ასეთია, მაგალითად, **ნარჩინება, ნარჩინებული**.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ხმოვანმონაცვლე ზმნათაგან სალიტერატურო ენის თვალსაზრისით საერთოდ მიღებულია ე ხმოვნიანი უთემისნიშნოფორმები (ავლენს, ვლენა, მივლენილი), ზოგ შემთხვევაში მათ გვერდით სავსებით გამართლებულია ამავე ზმნათა თუ სახელზმნათა ი ხმოვნიანი თემისნიშნიანი ფორმების ხმარებაც, რომელთაც მნიშვნელობის განსხვავებული ნიუანსები აქვთ.

## მართლწერის საკითხები ზოგი ხმოვანფუძიანი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებით\*

ქართული მართლწერა ყოველთვის იყო ყურადღებისა და ზრუნვის საგანი. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩატარებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და საქართველოს სხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრებში. მიუხედავად ამისა, ქართული მართლწერის საკითხების ანალიზი და მათი შემდგომი დახვეწა დღესაც აქტუალურია.

ქართული მართლწერა თეორიული ასპექტითაც საინტერესოა, პრაქტიკული თვალსაზრისით კი მისი წესების სრულყოფა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო დღის ეროვნული გამოცდებისა და სხვა სახის ტესტირების პირობებში.

ქართული ენის მასალაზე აგებული სხვადასხვა სახის ტესტები, სავარჯიშო-ები და სახელმძღვანელოები, რომლებითაც ქართული სალიტერატურო ენის ცოდნა და წერის კულტურა მოწმდება, ძირითადად მართებულად და საინტერესოდ არის შედგენილი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ტესტები ყოველთვის მაღალ დონეზეა და ხარვეზები უმნიშვნელოა, მით უმეტეს, რომ ხშირად ერთი შეხედვით მცირე გრამატიკულ დეტალსაც მეტად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ტესტის შეფასებისას ყველასთვის, ვისთვისაც ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ცოდნა და შესაბამისი ტესტირების გავლა აუცილებელი გამხდარა. ამის მიზეზი შეიძლება ამა თუ იმ ნორმით დადგენილი ფორმების პარალელური ვარიანტების არსებობა იყოს, ზოგჯერ კი, უპრალოდ, არ ხერხდება უკვე არსებული წესის გავრცელება სხვადასხვა კონკრეტულ მაგალითზე.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ საკითხზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება ამჯერად. კერძოდ, საქმე ეხება -ა ბოლოხმოვნიან სახელთა კვეცა-უკვეცელობას.

როგორც ცნობილია, -ა და -ე ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელები ნათესა-ობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ფუძეს იკვეცენ (მთა – მთის, მთით; კლდე – კლდის, კლდით და ა. შ). ფუძე ეკვეცებათ აგრეთვე ამავე ხმოვნებზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებს: ახმეტა – ახმეტის, ახმეტით; საირმე – საირმის, საირმით და სხვ.

იკვეცება აგრეთვე -ე-ზე დაბოლოებული ადამიანთა გვარები: შანიძე – შანიძის, შანიძით; თუმცა არ იკვეცება: -ა-ზე დაბოლოებული გვარები: თოლორაია – თოლორაიას(ი), თოლორაიათ(ი); მირცხულავა – მირცხულავას(ი), მირცხულავათ(ი), მაგრამ მრავლობითში -ებ სუფიქსის დართვის შედეგად ფუძე იკვეცება და გვაქვს: თოლორაიები, მირცხულავები. ასეთებია -ა, -ია კნინობითობის სუფიქსებით გაფორმებული სახელები: დედოფალა – დედოფალას(ი), დედოფალათ(ი), ფისუნია – ფისუნიას(ი), ფისუნიათ(ი); -ა სუფიქსიანი სახელები, როცა -ა გამოყენებისას მომდევნო სახელების მინახულების გადასაცემას გამოიყენება.

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული I, ეძღვნება პროფე-სორ კორნელი დანელიას დაბადებიდან 75-ე წლისთავს, თბ., 2010.

ბულია ქონების ან მსგავსების გამოსახატავად: გულწითელა – გულწითელას(ი), გულწითელათ(ი); ლურჯა – ლურჯას(ი), ლურჯათ(ი); როცა -ია სუფიქსი ვისიმე ან რისიმე ხელობას ან თვისებას გამოხატავს: ბაქია – ბაქია(ს)ი, ბაქიათ(ი) და სხვ.

ასეთ სახელებში კვეცა იწვევს აზრის დაბნელებას, რადგან სიტყვაში უჩინარდება - ა და -ია სუფიქსებთან დაკავშირებული მნიშვნელობა. მაგ.: ვანომ ბზრიალის თამაში დაიწყო – ვანომ ბზრიალას თამაში დაიწყო; გაზაფხულზე ეკლის შეჭამანდს აკეთებენ – გაზაფხულზე ეკალას შეჭამანდს აკეთებენ და სხვ. ამის შესაბამისად ჩამოყალიბებულია წესი: **თუ სიტყვის ბოლოს ა-ს სიტყვანარმოებითი მნიშვნელობა აქვს, ნათესაობითსა და მოქმედებითში იგი არ უნდა მოიკვეცოს** (გ. შალამბერიძე, 1961, 15-16, რ. ზექალაშვილი, 2004, 21-22, ჭ. ქირია, 2009, 19).

წესი სავსებით ცხადი და გასაგებია. თუ ამ წესს განვავრცობთ, იგი ასეთ სახეს მიიღებს: თუ სიტყვანარმოებითი -ა სუფიქსით წარმოქმნილი სიტყვის პარალელურად, რომელსაც უკვე ახალი მნიშვნელობა აქვს შეძენილი (ჩვენს შემთხვევაში: ბზრიალა, ეკალა), არსებობს უამსუფიქსო სიტყვა ძველი ძირეული მნიშვნელობით (ბზრიალი, ეკალი), მაშინ ეს სუფიქსი არ უნდა მოიკვეცოს. ასევე არ უნდა მოიკვეცოს -ია სუფიქსის ა ხმოვანი, რადგანაც მის გარეშე სრულიად გაუგებარ სიტყვებს ვიღებთ, შდრ.: ფისუნია – ფისუნიას(ი), მაგრამ \*ფისუნიის, ბაქია – ბაქიას(ი), მაგრამ \*ბაქიის.

მაგრამ, რამდენად ზუსტად შეიძლება გატარდეს ეს წესი იმ შემთხვევაში, როცა აღარ არსებობს (აღარ იხმარება) ძირეული სიტყვა, საიდანაც წარმოქმნილი ფორმა მივიღეთ? ასეთებია, მაგალითად:

**ალანოდა, ახტაჯანა, ბურჩხა, გაიძვერა, გლეხუჭა, გორდა, დუდრუქანა, ვარიკა, ვერანა, თოჯინა და სხვა.**

ასეთივე სურათია მაშინაც, როცა უცხო ენებიდან შემოსულია ა ხმოვანზე დაბოლოებული სიტყვები, რომელთაც საერთოდ არ ჰქონიათ ჩვენს ენაში პარალელური ვარიანტები ა ხმოვნის გარეშე.

მაგალითად:

**ალილუია, ალურა, ანაკონდა, გორილა და სხვა.**

წარმოდგენილ სახელთა ორივე ჯგუფი ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით უკვეცელია. იქ პირდაპირ მითითებულია, კერძოდ,

პირველი ჯგუფისათვის: **ალანოდა (ნათ. ალანოდას), ახტაჯანა (ნათ. ახტაჯანას), ბურჩხა (ნათ. ბურჩხას), გაიძვერა (ნათ. გაიძვერას), გლეხუჭა (ნათ. გლეხუჭას), გორდა (ნათ. გორდას), დუდრუქანა (ნათ. დუდრუქანას), ვარიკა (ნათ. ვარიკას), ვერანა (ნათ. ვერანას), თოჯინა (ნათ. თოჯინას)** და სხვ.

მეორე ჯგუფისათვის: **ალილუია (ნათ. ალილუიას), ალურა (ნათ. ალურას), ანაკონდა (ნათ. ანაკონდას), გორილა (ნათ. გორილას)** და სხვ.

სხვა მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი -ა სუფიქსით ნაწარმოები სახელი, რომელსაც აღარ მოეპოვება ძირეული უამსუფიქსო პარალელური ვარიანტი, ანდა ასეთი ვარიანტი არც არასოდეს ჰქონია, ორთოგრაფიულ ლექსიკონში კვეცადად არის წარმოდგენილი. მაგალითად:

**ურიკა (ნათ. ურიკისა), აგრეთვე ელექტროურიკა (ნათ. ელექტროურიკისა) და სხვ.**

ორთოგრაფიულ ლექსიკონში ზოგჯერ ამა თუ იმ სახელის ორივე ფორმაა წარმოდგენილი. კერძოდ, -ა სუფიქსით და ამ სუფიქსის გარეშე. მაგალითად, **გრუზა // გრუზი; თავშიძველ-ფეხშიძველი // თავშიძველ-ფეხშიძველა; მათხოვარი // მათხოვარა**. ესენი ლექსიკონში, რა თქმა უნდა, უკვეცელ ფორმებადაა წარმოდგენილი: **გრუზა (ნათ. გრუზას); თავშიძველ-ფეხშიძველა (ნათ. თავშიძველ-ფეხშიძველას); მათხოვარა (ნათ. მათხოვარას)**.

თუმცა, ერთი ასეთი შემთხვევისათვის, როცა ორივე ფორმაა წარმოდგენილი (-ა სუფიქსით და ამ სუფიქსის გარეშე), ნათესაობითში მოყვანილია ორივე სახის (კვეცადი და უკვეცელი) ფორმები: **მათრობელა (ნათ. მათრობელას) // მათრობელი (მათრობლისა)** (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998).

თუ ზემოთ წარმოდგენილ წესს დავეყრდნობით, იმ მაგალითებისათვის, რომლებიც ჩვენ პირობითად ორ ჯგუფად წარმოვადგინეთ, მისაღები სწორედ კვეცადი ფორმები უნდა იყოს. რადგანაც კვეცადი ვარიანტები არც ძირეულ სახელებს ემთხვევა მნიშვნელობით, რაკი მათი უმეტესობისათვის ასეთები უბრალოდ არ არსებობს. მაგალითად: I ჯგუფისათვის, რომელშიც ქართული სიტყვებია, არ გვხვდება: \*ალაწოდი, \*ახტაჯანი, \*გაიძვერი და სხვ., მით უფრო II ჯგუფისათვის, რომელშიც უცხო სიტყვებია, არ არსებობს: \*ალილუ, \*ალიური, \*ანაკონდი და სხვ., რაც მთავარია, ამ შემთხვევაში კვეცას არც აზრის გაბუნდოვანება მოსდევს.

საერთოდ, ასეთი საკითხების განხილვისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, განსაკუთრებით მაშინ, თუ ასეთი და მსგავსი წესების მიხედვით საგამოცდო ტესტებს ვადგენთ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენ არა ვართ მომხრე ახლა მეორე მხარის მიმართ რადიკალურად შევცვალოთ განწყობილება და ზემომოყვანილი და მსგავსი მაგალითებისათვის უკვეცელი ფორმები უმართებულიდ გამოვაცხადოთ. ასეთ ფორმებს თავისი ტრადიცია აქვთ და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ერთი წესის გატარება უკლებლივ ყველა ფორმის მიმართ ფაქტობრივად შეუძლებელია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეცდომად არ უნდა ჩაითვალოს ზემომოყვანილ სახელთა კვეცადი ფორმები და ისინიც უკვეცელ ფორმებთან ერთად მართებულ, დასაშვებ ვარიანტებად უნდა განვიხილოთ, რის გამოც ზემომოყვანილი მაგალითები ასეთ სახეს მიიღებს:

I ჯგუფი:

სახელობითი ბრუნვა	ნათესაობითი უკვეცელი	ნათესაობითი კვეცადი
ალაწოდა	ალაწოდას(ი)	ალაწოდის(ა)
ახტაჯანა	ახტაჯანას(ი)	ახტაჯანის(ა)
ბურჩხა	ბურჩხას(ი)	ბურჩხის(ა)
გაიძვერა	გაიძვერას(ი)	გაიძვერის(ა)

გლეხუჭა	გლეხუჭას(ი)	გლეხუჭის(ა)
გორდა	გორდას(ი)	გორდის(ა)
დუდრუქანა	დუდრუქანას(ი)	დუდრუქანის(ა)
ვარიკა	ვარიკას(ი)	ვარიკის(ა)
ვერანა	ვერანას(ი)	ვერანის(ა)
თოჯინა	თოჯინას(ი)	თოჯინის(ა)

## II ჯგუფი:

სახელობითი ბრუნვა	ნათესაობითი უკვეცელი	ნათესაობითი კვეცადი
ალილუია	ალილუიას(ი)	ალილუიის(ა)
ალურა	ალურას(ი)	ალურის(ა)
ანაკონდა	ანაკონდას(ი)	ანაკონდის(ა)
გორილა	გორილას(ი)	გორილის(ა)

ვფიქრობთ, იგივე წესი უნდა გავრცელდეს გეოგრაფიულ სახელებშიც. კერძოდ, ის ა ბოლოხმოვნიანი ტოპონიმი თუ ჰიდრონიმი, რომლის ფუძის კვეცაც აზრის გაბუნდოვანებას იწვევს, ზემომოყვანილი წესის შესაბამისად, უკვეცელი უნდა დარჩეს. ამიტომ უმჯობესია ქვემოთ მოყვანილი სახელებისათვის უკვეცელი ფორმები მივიჩნიოთ მართებულად. კერძოდ:

**ბრონეულა** (სოფელია სამტრედის რაიონში) – ნათ. **ბრონეულასი**, მოქ.  
**ბრონეულათი** და არა **ბრონეულის**, **ბრონეულით**;

**გუთანდამპალა** (ადგილის სახელი საგარეჯოს რაიონში, გ. ბედოშვილი, 2002) – ნათ. **გუთანდამპალასი**, მოქ. **გუთანდამპალათი** და არა **გუთანდამპლის**, **გუთანდამპლით**;

**ვერძა** (ცნობილი ადგილია ქსნის ხეობაში, ახალგორის რაიონში.გ. ბედოშვილი, 2002) – ნათ. **ვერძასი**, მოქ. **ვერძათი** და არა **ვერძის**, **ვერძით**;

**ტანა** (მდინარეა ცენტრალურ ქართლში, გორის რაიონში. გ. ბედოშვილი, 2002) – ნათ. **ტანასი**, მოქმ. **ტანათი** და არა **ტანის**, **ტანით**;

**ყვირილა** (ცნობილი მდინარე დასავლეთ საქართველოში) – ნათ. **ყვირილასი**, მოქ. **ყვირილათი** და არა **ყვირილის**, **ყვირილით**;

**ჩამძვრალა** (სოფელია ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონში. გ. ბედოშვილი, 2002) – ნათ. **ჩამძვრალასი**, მოქ. **ჩამძვრალათი** და არა **ჩამძვრალის**, **ჩამძვრალით**.

## **ლიტერატურა:**

1. გ. შალამბერიძე, 1961 – გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1961;
2. რ. ზექალაშვილი, 2004 – რ. ზექალაშვილი, ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004;
3. ჭ. ქირია, 2009 – ჭ. ქირია, ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის საკითხები და ორთოგრაფიულ სირთულეთა ლექსიკონი, თბ., 2009;
4. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინე-იშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
5. გ. ბედოშვილი, 2002 – გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტი-მოლოგიური ლექსიკონი, I, თბ., 2002.

## ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკოდან\*

ალ. ყაზბეგის ლექსიკა მრავალმხრივ იწვევს ინტერესს და დიდი ხანია შესწავლის საგნად იქცა. თავის მიერ ნახმარი ლექსიკური ერთეულებისაგან ბევრ სიტყვას მწერალი თავად განმარტავს. ზოგიერთის განმარტება მოცემულია სხვადასხვა გამოცემის შენიშვნებში.

არსებობს ალ. ყაზბეგის ლექსიკონი, შედგენილი შ. ძიძიგურის მიერ, რომელიც დართული აქვს ალ. ყაზბეგის სრული კრებულის ხუთტომეულს (1948-1950 წ.წ.). თავდაპირველად ივარაუდებოდა, რომ გამოიცემოდა მწერლის თხზულებათა ოთხტომეული, მაგრამ მოგვიანებით V ტომიც დაემატა (ამ უკანასკნელს ლექსიკონი არ დართვია).

I და II ტომებში მოთხრობები და რომანებია წარმოდგენილი, III, IV, V ტომებში კი ვხვდებით ლექსებს, პიესებს (ორიგინალურსა თუ გადმოკეთებულს), დაუმთავრებელ მოთხრობებს, წერილებს სხვადასხვა საკითხზე, ავტობიოგრაფიულ ცნობებს.

შემდგომ ამ ხუთტომეულის საფუძველზე რამდენჯერმე (1955, 1962, 1968 წლებში) გამოიცა ალ. ყაზბეგის თხზულებათა ორტომეული (მოთხრობები და რომანები), რომელთაც აგრეთვე ერთვის შ. ძიძიგურის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რამდენადმე შესწორებული და შევსებული სახით.

1976 წელს „საყმანვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოიცა ალ. ყაზბეგის მოთხრობების კრებული, რომელსაც წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთოს ლ. მინაშვილმა. მისივე რედაქციით, შენიშვნებითა და ლექსიკონით ორჯერ (1984 წ., 1991 წ.) გამოიცა აგრეთვე ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“ და „ხევისბერი გოჩა“ ერთ წიგნად.

როგორც ლ. მინაშვილი აღნიშნავს, ლექსიკონის შედგენისას მას ძირითადად უხელმძღვანელია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონითა და შ. ძიძიგურის მიერ შედგენილი ლექსიკონით. ლ. მინაშვილის ლექსიკონი ხელნაწერში წაუკითხავს და შემდგენლისათვის შენიშვნები მიუწოდებია ალ. ჭინჭარაულს.

ალ. ყაზბეგის ლექსიკის თავისებურებანი ძირითადად წარმოდგენილია შ. ძიძიგურის მიერ შედგენილ ლექსიკონში. მკვლევარმა ყაზბეგის ლექსიკა შეუდარა მწერლის მშობლიური კილოს – მოხეურის – ლექსიკას, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ ალ. ყაზბეგი შესანიშნავად იყენებს თავისი კუთხის მეტყველებას.

ცხადია, ამ ლექსიკონს დიდი მნიშვნელობა აქვს ალ. ყაზბეგის ლექსიკის შესწავლისათვის, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ლექსიკონი ხუთი ათეული წლის წინ არის შედგენილი. მას შემდეგ დასრულდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა, შედგა და გამოიცა მთელი რიგი დიალექტური ლექსიკონები, მათ შორის ო. ქაჯაიას „მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის“ და ივ. ქავთარაძის „მოხეური ლექსიკონი“ (ო. ქაჯაია, 1967; ივ. ქავთარაძე, 1985), რის შემდე-

\* „ქართული ენის კულტურის საკითხები“, ტ. XI, თბ., 1998.

გაც ალ. ყაზბეგის ლექსიკის მიმართება სალიტერატურო ენასა და დიალექტებთან უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა.

შ. ძიძიგურის მიერ შედგენილ ალ. ყაზბეგის ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად გამოტანილი ზოგი სიტყვა არ არის განმარტებული. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ სიტყვათა მნიშვნელობებს.

#### დაჩუფრა:

„...როგორა ხარ იმთვენ ლამაზი ქალების დაჩუფრისა და კაცების დამორჩილების შემდეგ?“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 445).

ამ სიტყვის მნიშვნელობა მოცემულია ქეგლ-ში: დაჩუფ[ვ]რა (დაჩუფ[ვ]რისა) კუთხ. (მოხევ.) – დაჩაგვრა.

#### დახიჩავება:

„ეგრე როგორ შეიძლება, თქვენი ჭირიმეთ?... შვილს დამიხიჩავებთ, სხვა რომ არა იყოს რა...“ (ალ. ყაზბეგი, III, 1949, 521).

ამ სიტყვას შეიძლება დაუკავშირდეს ქართლურსა და კახურში დადასტურებული დახიჩავებული, რაც დასახიჩრებულს, დაშავებულს ნიშნავს (არ. მარტ., გრ. იმზ., 1956, 178; თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981).

„დამიხიჩავებთ“ ყაზბეგის ტექსტში, როგორც ჩანს, კორექტურული შეცდომაა. უნდა იყოს „დამიხიჩავებთ“, თვით სიტყვა სა-ხიჩ-არ-იც, ჩანს, იმავე ძირს შეიცავს.

#### ემნენია:

„...წავიდეთ, არავინ შეგაშინოს!.. (თითებით უჩვენებს) ბავშვის ემნენია გულს განა ბევრი შეუძლია, გენაცვალეთ!“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 323).

ეს სიტყვა სხვა ვარიანტებთან ერთად გვხვდება ქართლურში:

„ემონენა, ემნენა, ემნენია – ასე პატარა, ასე პანანია. ემნენია ამოვიდა კარაქი, ისიც არ ვარგოდა“ (თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981).

ყაზბეგის თხზულებათა IV ტომის ლექსიკონში გამოტანილია „კუნკულებიანი სახლი“ (გვ. 501), რაც აგრეთვე არ არის განმარტებული. ტექსტში კი ასეა: „ზალა იყო ვარაყიანი, ბრჭყვიალად მორთული და საკმაოდ გაჩაღებული. ადგილ-ადგილ იყო აყვანილი სვეტები და სათაურში თაღად შეკრული. ამის მიზეზით ეს დარბაზი მიემსგავსებოდა რამდენადმე კუნკულიანს სახლად, რომელიც შემდგარიყო რამდენსამე შეერთებულის ოთახისაგან“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 197-198).

ამ შემთხვევისათვის სალექსიკონო ერთეულად „კუნკულიანი სახლი“ უნდა გვქონდეს (არა „კუნკულებიანი“). ქეგლ-ის მიხედვით, კუნკული // კუნკულა-ს ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ბერების თავსაბურავი – მაღალი ქუდი უკან ჩამოშვებული საბურავით...“ ყაზბეგთან ეს სიტყვა გადატანით მნიშვნელობით არის ნახმარი და ერთგვარ წოპიან, კუნკულიან სახლს აღნიშნავს, რასაც ზემოთ მოყვანილი კონტექსტიც კარგად გამოხატავს.

#### მონარმოვე:

„– მართალია, ეგ არ ვარგა მონარმოვე ხასიათისათვის, – უთხრა იმან, – მე მხოლოდ მინდოდა მეთქო, რომ კაცს რამდენიც მომეტებული გაჭირება უხდება ცხოვრების გზაზედ, იმდენად კაცი უფრო მაგრდება თავის ხასიათებში“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 117).

**მონარმოვე** შესაძლებელია ნახმარი იყოს იმავე მნიშვნელობით, რაც მოხე-ურში გვაქვს: **მონარმოვე** – ოჯახის უფროსი, მმართველი, წარმმართველი (შდრ.: მანალმართებელი). „ოჯახის **მონარმოვე** და უფროსი მამაკაცი იყო“ (ივ. ქავთა-რაძე, 1985, 285). აქვე განმარტებულია **მანალმართებელიც** – ძველი დიდი ოჯახის უფროსი, კეთილი გზით წარმმართველი.

### **პუპლუს:**

„წავლენ, წამოვლენ, **პუპლუს** იმ ტვინგამოთხელებულ შენს ბატონთან, კუნტიან, გენაცვალეთ, ვეღარ მოვიშორეთ კი თავითგან და...“ (ალ. ყაზბეგი, III, 1949, 275)

ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტებია: **პუპლუზ**, **პუპლუც**. სახელდობრ, ქართლური დიალექტის ლექსიკონში იკითხება:

„პუპლუც! – ერთიც ვნახოთ! შევხედოთ და! ბაღის ბოლოს ჩავედ და, პუპ-ლუც, იქ არ დამხვდა?“ (თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981).

როგორც ვხედავთ, ასეთივე მნიშვნელობით დასტურდება **პუპლუს** ალ. ყაზბეგთან.

### **შარამათი:**

„ბერიავისთვის – ამოსუნთქვაც შარი – **შარამათიაო**“ (ალ. ყაზბეგი, III, 1949, 197);

„თამასუქები?... შარითა და **შარამათით** დატყუვნილი?!“ (ალ. ყაზბეგი, III, 1949, 426).

სიტყვა **შარამათი** ივ. ქავთარაძის მიერ მოხეურში განიმარტება, როგორც შარიანი კაცი (ივ. ქავთარაძე, 1985, 356). ქართლურში **შარამათი** ჩხუბს, დავიდა-რაბას, აყალმაყალს აღნიშნავს (ქეგლ; ალ. ღლონტი, 1984), ამავე მნიშვნელობით უნდა იყოს ალ. ყაზბეგის თხზულებებშიც.

ზოგიერთი სიტყვის განმარტება დაზუსტებას მოითხოვს როგორც შ. ძიძი-გურის მიერ შედგენილ ლექსიკონში, ასევე ცალკეულ გამოცემათა შენიშვნებში. ასეთია, მაგალითად, სიტყვა **დალალი**, რომელიც ალ. ყაზბეგის IV ტომის ლექსი-კონში შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: „**დალალი** (83, 35) – გრძელი ნაწნავი. მრავლ. **დალალები** (16, 34). აქედან **დალალებიანი** – გრძელნაწნავებიანი“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 498).

ამ განმარტებაში დამონმებული ადგილები ალ. ყაზბეგის ტექსტში ასე იკითხება:

„– აღარ გაათავა სიმონმა, რომელმაც სრულიად გამოიცვალა აპოლონთან საქციელი და პირველის სიტყვიდგანვე აგრძნობინა, რომ ის **დალალი** იყო, **სადა-ლალოში** ფულს იღებდა და, მაშასადამე, რიგიან სამსახურს სთხოვდნენ“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 83);

„ამ წუთშიც ქალმა თითქმის ვეღარ მოითმინა, ორივე ხელით ხშირი **დალა-ლები** უკუ იყარა...“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 16).

**დალალის** ზემოაღნიშნული განმარტება მეორე ნიმუშისათვისაა მართებუ-ლი, ხოლო პირველი მნიშვნელობა სხვაა – შუამავალი, მაჭანკალი, რომელიც ცალ-კე უნდა გამოიყოს.

### **მახაცი:**

„გათოშვილი არ იღვიძებდა, თითქოს სრულს განცხრომაში არისო და, როგორც ეტყობა, მახაცის შალით ხეხას სრულიად ვერა ჰგრძნობდა“ (ალ. ყაზბეგი, II, 1948, 357).

ეს სიტყვა განმარტების გარეშეა შეტანილი 1948 წლის გამოცემის ლექსიკონში, ხოლო 1955 წლის გამოცემაში განიმარტება ასე: მახაცის შალი – ერთნაირი შალია (ალ. ყაზბეგი, II, 1955, 567).

ამ სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტება შესაძლებელია მოხეური კილოს მიხედვით. **მახაცი** მოხეურში უხეშ, ძნელად დასამუშავებელ, მაგარ მატყლს ნიშნავს (ო. ქაჯაია, 1967, 413; ივ. ქავთარაძე, 1985, 275).

ალ. ყაზბეგის თხზულებებში გვხვდება **მახაცი ტანისამოსი**, რაც, ცხადია, უხეში მატყლისაგან დამზადებულ ტანისამოსს ნიშნავს.

„ბიჭები მოვიდგნე მასთან ზლაზვნითა და ჩვეულებისამებრ ხორცის მიხრეშ-მოხრეშით, **მახაცს ტანისამოსზედ**“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 259).

### **„მოდისტკა“:**

ეს სიტყვა ალ. ყაზბეგთან რამდენჯერმე გვხვდება, იგი წარმოდგენილია III და IV ტომზე დართულ ლექსიკონებში და განიმარტება, როგორც „ქალის ტანისაც-მლის მკერავი ქალი“ (ალ. ყაზბეგი, III, 1949, 654; ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 503). ტექსტებში კი ასეა:

„წარმოიდგინეთ მხოლოთ: გუვერნანკას მაგიერათ რაღაც **მოდისტკა** გა-მოუგზავნიათ, რომელიც მარტო თავის თმების ვარცხნას მოუნდება...“ (ალ. ყაზბეგი, III, 1949, 503).

ამავე პერსონაჟზე სხვა ადგილას ნათქვამია:

„სულ ის გუვერნანკა გახლამსთ რიგის დამწყობი. **მოდნის ქალი** გახ-ლამსთ და მაშა?...“ (ალ. ყაზბეგი, III, 1949, 553).

სხვა მაგალითები:

„წარმოიდგინე მხოლოთ, უთხრა იმას: – პეტერბურლიდან რაღაცა **მოდის-ტკა** გამოუგზავნეს, რომელიც თავის თმების პომადას და ვარცხნას მოუნდება, მე ვთხოვე, რომ ხანში შესული პატივცემული ქალი ეშოვნათ ჩემი ანდრიუშასათვის“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 109);

„სხვადასხვა **მოდისტკები** სხვადასხვაგვარად დაჭრელებულ ტანისამოსე-ბით დაძვრებოდნენ სტოლებს შუა და დროის გასატარებლად მეგობრებს ეძებ-დნენ“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 42);

„ამ შენობის საერთო სახე, უზარმაზარი შუშის ფანჯრები, გაზით გაჩაღებული ოთახები და შიგ კეკლუცად მორთულ-მოკაზმული **„მოდისტკები“** ყველას თვალს მიიზიდავდა“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 216).

ცხადია, ამ მაგალითების მიხედვით „**მოდისტკა**“ ყაზბეგის თხზულებებში უნდა განიმარტოს, როგორც მოდური ტანისაცმლის ჩამცმელი, მოდის მიმდევარი – „**მოდნიცა**“ და არა მოდური ტანისაცმლის მკერავი ქალი.

### **სავანე:**

ამ სიტყვასთან ალ. ყაზბეგის II ტომის ლექსიკონში დამოწმებულია ორი კონტექსტი:

„მერე ცხოვრებას რითი აპირებ? – მკითხა იმან და დამაცქერდა: – ეს ხომ იცი, რომ შენი სამშობლო არავითარს **სავანეს** არ მოგცემს?“ (ალ. ყაზბეგი, II, 1948, 225).

ამ ადგილის დამოწმებით ალ. ყაზბეგის ლექსიკონში სავანე განმარტებულია, როგორც ბინა (ალ. ყაზბეგი, II, 1948, 551).

სხვა მაგალითი:

„...ყოველ **სავანეს** გაწყვეტილი ქვრივი, მარიამ, მხოლოდ თავისი ძმის, გრი- გოლ დიაკვნის შემწეობითლა სცხოვრობდა“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 248).

ამ ადგილის დამოწმებით ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც მონასტერი (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 505).

იგივე სიტყვა გვხვდება აგრეთვე ალ. ყაზბეგის თხზულებათა V ტომში, რო- მელსაც ლექსიკონი არ ახლავს:

„მოძღვარმა ...ყოვლად დავრდომილი და **სავანეს** მოსპობილი ქალი სახლში შეიყვანა“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 150).

არც ერთ მაგალითში, ჩვენი აზრით, „სავანე“ ძირითადი მნიშვნელობით არ არის ნახმარი. ვფიქრობთ, „სავანეს“ ალ. ყაზბეგი ხმარობს იმავე მნიშვნელობით, რაც მას აქვს ქართლურ დიალექტში:

„**სავანი**, **სავანა** – ქონება, ცხოვრების სახსარი, სიმდიდრე: შეძლება. მაგ.: სუ- გაწყვეტილი ხო არა აჯ ადამიანსა სავანი; მეტი სავანა არა გვქონდა და, რა გვექ- ნა, პატარა სახლი ავაშენეთ“ (თ. სალარიძე, 1970, 315; თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981).

ქართლურშივე გვხვდება აგრეთვე **სავანგაწყვეტილი**: „სავანგაწყვეტი- ლი აი, რო არა აქთ რა ოჯახში. დარიბები რო არიან; სავანგაწყვეტილი ხო არა ვარ, ცოტა მაინცა მაქ“ (თ. სალარიძე, 1970, 315).

ალ. ყაზბეგთან გვხვდება „**უსავანოც**“.

„...ის ხედავდა ყოვლად **უსავანოს**, უნუგეშო ქმნილებას, რომელსაც სულის მოსაბრუნებელი არ ჰქონდა და ლუკმას აწვდიდა“ (ალ. ყაზბეგი, II, 1948, 348);

„...მოძღვარმა უკანასკნელად შეავედრა მეუფეს ღარიბნი, ღატაკნი და დავ- რდომილნი ხორცითა და სულით, ქვრივნი, ობოლნი და **უსავანონი**“ (ალ. ყაზბე- გი, II, 1948, 429).

ალ. ყაზბეგის ლექსიკონში „**უსავანო**“ განმარტებულია, როგორც „უბინაო, მიუსაფარი“, მრავლობითში: **უსავანონი** – 429, 12 (ალ. ყაზბეგი, II, 1948, 555). ასე- თივე განმარტება გვხვდება 1939 წლის სასკოლო გამოცემაშიც (ალ. ყაზბეგი, 1939, 9).

ამ შემთხვევაშიც კონტექსტს უფრო უდგება „**უსავანოს**“ ქართლურში და- დასტურებული მნიშვნელობა: „**უსავანო** – ღარიბი, უქონელი. იმას როგორ მისცა ქალი, უსავანოსა“ (თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981).

„**ჩაბარვალებული**“:

„გაიღო ციხე და გამოვიდა თორმეტამდის შევარდენის მსგავსი, **ჩაბარვა- ლებული** და თავიდან ფეხებამდის შეიარაღებული ვაჟკაცი“ (ალ. ყაზბეგი, II, 1948, 339).

ლექსიკონში განმარტების გარეშე შეტანილია **ჩაშალვარებული** (ალ. ყაზბეგი, II, 1948, 558) და დამოწმებულია სწორედ ზემოთ მოყვანილი კონტექსტი. ამრიგად, შ. ძიძიგურის აზრით, აქ უნდა იყოს **ჩაშალვარებული** და არა „**ჩაბარვალებული**“.

სიტყვა „**ჩაბარვალებული**“ გაუგებარია. მიუხედავად ამისა, ამ სახით იგი მრავალ გამოცემაში გვხვდება, ხოლო **ჩაშალვარებულს** ალ. ყაზბეგი სხვა თხზულებაშიც ხმარობს:

„თითონ სვიმონიც, **ჩაშალვარებული**, მთლად შეიარაღებული რაღაც მღელვარებაში იყო“. ამ მაგალითიდან დამოწმებული სიტყვა **ჩაშალვარებული** შეტანილია 1955 წლის ორტომეულის გამოცემაში, ოღონდ განმარტების გარეშე (ალ. ყაზბეგი, I, 1955, 551).

ამ სიტყვის განმარტებას ვხვდებით ლ. მინაშვილის ლექსიკონში ზემოთ მოყვანილი მაგალითის დამოწმებით: „**ჩაშალვარებული** – შარვალში ჩატანებული (ახალუხი), ვისაც ახალუხი შარვალში აქვს ჩატანებული“ (ალ. ყაზბეგი, 1991, 350).

ლ. მინაშვილის განმარტება, რომელიც ქეგლ-ს ემყარება, სიტყვის ნარმომავლობის თვალსაზრისით სწორია, მაგრამ ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს: **ჩაშალვარებული** ალ. ყაზბეგის თხზულებაში საბრძოლოდ გამზადებულ კაცს აღნიშნავს.

ჩვენი აზრით, სასურველია და საჭიროა ალ. ყაზბეგის ლექსიკონში შეტანილი იყოს მნერლის თხზულებაში ნახმარი ზოგიერთი სხვა სიტყვა თუ ხატოვანი გამოთქმაც, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენთ: „**ათას თოკს გამოსხლეტილი**“, „**ათასი თოკიდან გამომძვრალი**“.

„...ათას თოკს გამოსხლეტილი ქალებიც ვალად არა რჩებოდნენ, ისინიც ეპასუხებოდნენ და ლანძღვისათვის ლანძღვითვე უხდიდნენ“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 198);

„ამ ბიჭს ფასიას ეძახდნენ და **ათასის თოკიდან გამოძვრენილს** მთელი ქალაქი იცნობდა“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 252).

თ. სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანში“ შეტანილია **ათასი თოკიდან გამომძვრალი**, რაც მეტად გამოცდილს, ბევრი გაჭირვების მნახველს და გადარჩენილს ნიშნავს (თ. სახოკია, 1950). ყაზბეგთან ეს გამოთქმა ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი.

„**გაკვებილი ბილიკი**“ – ნიშნავს გაკვეთილ, გაკვალულ ბილიკს (შდრ. დაეკვება - მას ის):

„ივანე იყო მიმავალი თაობის კაცი, რომელიც ადგა ჩვეულებრივ **გაკვებილს ბილიკს**, უსწავლელი, სამხედრო სამსახურის კაცი გახლდათ, ჩინი და პატივი მოზდიოდა გულადობისათვის და გასაოცარის ბრძოლისათვის შამილის ომში“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 177).

**მონლუკული** – პატარა:

„...მაგრამ წარმოიდგინეთ საღაც ცაში ერთი **მონლუკული** დაბალი ოთახი, სადაც ძლივს ვიმართებოდით“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 183).

ამავე ძირისაგან არის ნაწარმოები სიტყვა **განლუკვა**, ხმის **განლუკვა**, რაც ხმის დაწვრილებას ნიშნავს. ყაზბეგის ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტების გარეშეა შეტანილი:

„ყმაწვილს სრულიადაც არ უხდება ფარისევლად ხმის **განლუკვა**, უმიზე-ზოდ დასუსტება და წამდაუწუმ გულის შემოყრა“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 253).

### **ერქვივნება – ერქმევა:**

„დიდი საჭიროა, სწორათ მოგახსენოთ – პეტრე ერქვივნება თუ პავლე?“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 348).

მწერალი ამავე კონტექსტში ერქმევა-საც ხმარობს:

„თქვენ შვილებს პეტრე ერქმევა თუ პავლე, ეგ დიდი საჭირო არ არის“ (იქვე).

(ერქვივნება→) **ექვივნება** – ერქმევა გვხვდება მთიულურშიც (ლ. კაიშაური, 1967, 205).

### **იბუშკება:**

„ცას პირი მოეხეთქა, მზეს ცქერა ვეღარ გაეძლო საცოდაობისათვის, ჰაერი გრგვინავდა, ქვეყანა **იბუშკებოდა** და მთანი მაღალნი, ბარის საცოდაობით დამწვარნი, იდრიკებოდნენ“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 258).

ეს სიტყვა გვხვდება მოხეური კილოს ლექსიკონში: **იბუშკება** – იღუშება, **მაიბუშკება** – მოიღუშება, დაღვრემილ სახეს მიიღებს, **დაბუშკილი** – კუშტად მყოფი, წარბშეკრული, გაბლვერილი, სიტყვაძუნნი (ივ. ქავთარაძე, 1985, 213; 267).

### **ინკლიტებოდა:** წკლეტას მოხეურში შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

1. წყალი რომ ცოტა-ცოტას მოდის, ხან შეწყდება და ხან ისევ წამოვა, ე. ი. იწრიტება; 2. გაიქცევა. მოხეურშივე გვაქვს აგრეთვე **შანკლეტა**, რაც შეწყვეტას ნიშნავს (ო. ქაჯაია, 1967, 438; 444). ალ. ყაზბეგთან **ინკლიტებოდა** შემდეგ კონტექსტშია:

„ნიავიც კი გაჯიბრებოდა და ალარ მოძრაობდა, გული **ინკლიტებოდა** და იწურებოდა, სული მიიბრძოდა, მაგრამ საით, ვისკენ?“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 195).

ამ შემთხვევაში „გული ინკლიტებოდა“ შეიძლება ნიშნავდეს: გული იწრიტებოდა, იწურებოდა (სისხლისაგან).

### **კაპი:**

„მოსკოვს ჩამოუდის ერთი მდინარე, რომლის **კაპიც** არხით არის გატანილი.<sup>1</sup> ის არხი იმდენად ღრმა არის, რომ იმაზედ ზაფხულში პატარა ნავები დადიან სასეირნოდ“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 281).

ეს სიტყვაც მოხეურის მიხედვით აიხსნება. **კაპი** – ხის ტოტი, შტო, გადატანით – მდინარის ტოტი, რიყეზე ძლივს რომ მოჩანს (ივ. ქავთარაძე, 1985, 252).

### **კუნტია:**

„...იმ ტვინგამოთხელებულ შენს ბატონთან **კუნტიან**, გენაცვალეთ, ვეღარ მოვიშორეთ კი თავითგან და...“ (ალ. ყაზბეგი, III, 1949, 275).

ეს სიტყვა (კუნტია//ყუნტია) გვხვდება მოხეურში, ქართლურში, ფშაურში.

<sup>1</sup> ნაბეჭდშია: გატენილი, რაც კორექტურული შეცდომაა, უნდა იყოს – **გატანილი**.

**ჰყუნტია** – აგდია, არის, ბოგინობს (ივ. ქავთარაძე, 1985, 352). **ყუნტია** (იყენ. ეყუნტა) გვხვდება ქართლურშიც. ნიშნავს: ერთ ადგილას დგას, გაჩერებულია, არის (იხ. ქეგლ); **ყუნტვა** ყოფნას, დგომას ნიშნავს ფშაურში (ალ. ღლონტი, 1984).

### **მასკვენა:**

„მასკვენა მწერს“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 182).

ეს სიტყვა სხვა ქართულ დიალექტებშიც დასტურდება სხვადასხვა ვარიაციით: ინგილოურში: **მასკან**, **მასკანი**, **მასკნი(თ)** – მას უკან, მას შემდეგ (ნ. როსტიაშვილი, 1978; რ. ლამბაშიძე, 1988). ქიზიყურში: **მასკვან** (ს. მენთეშაშვილი, 1943), ჯავახურში: **მასკვან // მასკუან** (გ. ბერიძე, 1981). ამ სიტყვათა გვერდით საინტერესოა ყაზბეგისეული „**მასკვენა**“ ფორმაც.

### **მორფეის ალერსი:**

„დავეყარენით ჩაის უკან და მივეცით თავი **მორფეის ალერსს**“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 183).

„თავი მივეცით მორფეის ალერსს“ ნიშნავს: თავი მივეცით თვლემას. იგი უკავშირდება ძველი ბერძნული მითოლოგიის ძილის ღმერთს – მორფევსს.

სიტყვანარმოებითი თვალსაზრისით საინტერესო ლექსიკური ერთეულია **სთლური:**

„ხევსურეთში კაცი ვერ მოიყვანს **სთლურს**, სიმინდს, საზამთროს, ნესვს, ყურძენს და სხვ.“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 54).

ძველი ქართული **სთლელი** დაცულია მოხეურ კილოში: ს თ უ ე ლ ი – შემოდგომა, რთველი. ს თ უ ე ლ ი ს ჯერობა (← რთვლის ჯერობა) – შემოდგომაზე მიცვალებულის ხსენება და წირვა-ლოცვა პურმარილის გამართვით (ივ. ქავთარაძე, 1985, 323).

**სთველ-ისაგანაა** ნაწარმოები სთვლობა, აქედანაა **სთლური** (← სთველურ-ი), ე. ი. „შემოდგომური“, „რთველეური“ – წლის მოსავლის მნიშვნელობით.

ამ წინადადებაში „**სთლური**“ განმაზოგადებელი სიტყვაა. მას ხსნიან და აზუსტებენ ერთგვარი წევრები: სიმინდი, საზამთრო, ნესვი, ყურძენი.

### **სული შესტაცა:**

„ქალს **სული შესტაცა**, თვალთ დაუბნელდა და ჰაერის ამოსუნთქვის ნება აღარ მისცა“ (ალ. ყაზბეგი, II, 1949, 354);

„ონისეს **სულმა შესტაცა**, გულმა ძგერა მოუხშირა და თითის წვერებზედ შემდგარი გაძაბული წინ წყნარად მოიპარებოდა“ (ალ. ყაზბეგი, II, 1949, 377).

ეს ხატოვანი გამოთქმა ნარმოდგენილია რუსულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში: „**სულს შესტაცებს** – სუნთქვა გაუჭირდება, გაჭირვებით ისუნთქებს, აღელვებისაგან, სიცივისაგან ან ჩქარი მოძრაობისაგან“ (რუს.-ქართ. ფრაზ. ლექსიკ., 1966).

### **ფეხის მოსავალი:**

„იქ, მთაში, არ მოდის ღვინო, ხილი, **ფეხის მოსავალი**“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 76).

ეს ხატოვანი გამოთქმა დასტურდება ქართლურსა და კახურში და ნიშნავს ნაბარში მოყვანილ ჭირნახულს, ბოსტნეულს (არ. მარტ., გრ. იმნ., 1956, 183; თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981).

#### **ლალამდა – ლლიდა:**

„ასლან-გირეი... ლამ-ლამობით თავდაცემით ყოველგვარად აწუხებდა, ლალამდა ისეც მძიმე გზებისა და უსურსათობის გამო მისუსტებულს მეომრებს“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 247).

„ლალამს“ დასტურდება მთიულურშიც (ლ. კაიშაური, 1967, 205).

#### **ნუკიობა:**

„...ეგ ხალხი ნუკიობას არის დაჩვეული და იმიტომ არ იღებს ფულებს, რომ ჩვენც მაგ ცხოვრებას უნდა შეგვაჩვიოს“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 469).

**ნუკიობა** მომდინარეობს **ნუკი** სიტყვისაგან. ნუკი კუთხური სიტყვაა. გვხვდება ქართლურში, ბინძურის, უხეიროს ალსანიშნავად (თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981). გვხვდება აგრეთვე კახურსა და ფშაურშიც ცუდის, უხეიროს მნიშვნელობით (იხ. ქეგლ). გვხვდება „**ნუკია**“ სიტყვაც, რაც კახურში, ქიზიყურში უჯიშო, უმსგავსო ადამიანს, ნუნკალს ნიშნავს (ქეგლ).

#### **ხვირი:**

„ამათ, რასაკვირველია, მოამზადეს თივა, მაგრამ საუკეთესოდ დაინახეს, ეს ხალხისათვის სახელმწიფო ფულებზედ მომზადებული თივა გაეყიდნათ მიმავალ-მომავალ ფურგუნებზედ და ხალხისათვის კი თუმცა ბარათები ერთვათ სრულის თივის<sup>2</sup> მიღებაში, მაგრამ საქმით **ხვირიც** არ ეძლიათ“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 21).

ხვირი მოხეური სიტყვაა და გამხმარ ჩალის ან თივის ლეროს ნიშნავს (ქეგლ).

#### **ხლოვანი:**

„კიდევ ხმარობენ ხაჭაპურს, **ხლოვანს**, ხაპიზგინებს“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 35).

**ხლოვანი**, იგივე **მხლოვანი** დადასტურებულია მოხეურში და ნიშნავს ჭინჭრის ხაჭაპურს, მხლისგულიან ნამცხვარს, გვხვდება ქართლურშიც შემდეგი ფორმებით: **ხლოვანი**, **ხლოვანა**, **ხლოვანდი** – ნამცხვარი ჭარხლის ფოთლისა და სხვადასხვა მხლის გულით (ივ. ქავთარაძე, 1985, 288; თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981).

#### **ჯიგარი:**

„...დიახ, მხოლოდ მე არც ჯიგარი და არც მწვანე ბაშმაკები არა მაქვს“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 408).

სიტყვა **ჯიგარს** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით რამ-დენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის – „თალხი ფერის ქსოვილი“, „სამგლოვიარო შავი სამოსი“. სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ჩანს ეს სიტყვა ნახმარი ალ. ყაზბეგის მიერ.

ალ. ყაზბეგის ლექსიკონში ვხვდებით უცხო სიტყვებსაც, რომელთა აღნუს-ხვა და თავმოყრა სასურველია მწერლის ლექსიკონის სისრულისათვის. მაგ.:

**კნიქსენი** – გერმ. იგივეა, რაც რევერანსი:

<sup>2</sup> ნაბეჭდშია: თავისი, რაც კორექტურული შეცდომაა.

„ქალი მოვიდეს, გამიკეთოს კნიქსენი...“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 417).

**ტარანტასი** – რუს. ოთხთვლიანი სამგზავრო ეტლი.

„საგზაო ტარანტასი გაჩერდა ღუდუშაურის კარებთან“ (ალ. ყაზბეგი, II, 1948, 42).

**ტიურნირი** – ფრანგ. (იგივე ტურნური) პატარა ბალიში, რომელსაც იდებ-დნენ ქალები კაბის ქვეშ წელს ქვემოთ.

„ეს გახლდათ სამკერვალო ქალების ტანსაცმლისა, ის სამკერვალო, სადაც გამოჰყავდათ თვალის მოსატყუებელი მკერდები და **ტიურნირები** პეტერბურგის გამხდარ-გაჭნაკულის მანდილოსნებისათვის“ (ალ. ყაზბეგი, IV, 1950, 216-217).

**ტული** – ეს სიტყვა მოხეური კილოს ლექსიკონში გვხვდება: ქსოვილია ერთგვარი, რომლისგანაც მზადდება მანდილი, ჩიქილა და სხვა (ივ. ქავთარაძე, 1985, 330). ამავე მნიშვნელობით იხმარება ყაზბეგთანაც:

„თავზე შავი ხელსახოცი წაკრული და ზეიდგან ტულის ლეჩაქი“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 34);

„ზოგი ტულის მაგივრად მერდინსა ხმარობს“ (იქვე).

ალსანიშნავია, რომ **ტული** არ არის მოხეური ლექსიკის კუთვნილება. იგი ფრანგული სიტყვაა და სწორედ ბადისებრ გამჭვირვალე ქსოვილს ნიშნავს.<sup>3</sup>

**ფოდრიადები** – (რუს. подряд). ეს არის რაიმე სამუშაოს შესრულების ვალდებულება, გარკვეული ანაზღაურების საფასურად (Словарь совр. Рус. Лит. Яз., 1960). აქედანაა **ფოდრიაჩიკი**:

„სტეფანწმინდის ურიადნიკს დუქანი აქვს, შედის ფოდრიადებში და სხვა“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 19);

„იყო ვინმე ფოდრიაჩიკი ბ. ფ.“ (ალ. ყაზბეგი, V, 1950, 23).

განხილული მაგალითების სიმცირის მიუხედავად, აშკარაა, რომ ალ. ყაზბეგის ლექსიკა ნასაზრდოებია არა მარტო მოხეური კილოს მასალით, არამედ სხვა ქართული კილოებითაც: ქართლურით, კახურით, მთიულურით. ეს სიტყვები აღნიშნულ დიალექტებში ამჟამადაც იხმარება.

მწერლის თხზულებებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხატოვანი გამოთქმები თუ უცხო წარმომავლობის სიტყვები.

ამრიგად, ალ. ყაზბეგის ლექსიკა უფრო ფართო ასახვას მოითხოვს სპეციალურ ლიტერატურასა და ლექსიკონებში. ყაზბეგის ლექსიკის ამ კუთხით შესწავლა ბევრად სრულყოფს ლექსიკონს, რომლის შევსება თუ დახვეწა შესაძლოა საჭირო გახდეს მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის.

<sup>3</sup> კნიქსენი, ტარანტასი, ტურნური, ტული სიტყვების მნიშვნელობები მოყვანილია უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან (მ. ჭაბაშვილი, 1989).

## **ლიტერატურა:**

1. ალ. ყაზბეგი, 1948, I – ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტომი პირველი, თბ., 1948.
2. ალ. ყაზბეგი, 1948, II – ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტომი მეორე, თბ., 1948.
3. ალ. ყაზბეგი, 1949, III – ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტომი მესამე, თბ., 1949.
4. ალ. ყაზბეგი, 1950, IV – ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტომი მეოთხე, თბ., 1950 .
5. ალ. ყაზბეგი, 1950, V – ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტომი მეხუთე, თბ., 1950.
6. ო. ქაჯაია, 1967 – ო. ქაჯაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის: სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, ცხინვალი, 1967.
7. ივ. ქავთარაძე, 1985 – ივ. ქავთარაძე, „ქართული ენის მოხეური დიალექტი“, თბ., 1985.
8. არ. მარტ., გრ. იმნ. 1956 – არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ. 1956.
9. თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981 – თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტის ლექსიკონი; მ. ჭაბაშვილის რედაქციით, თბ., 1981.
10. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I–VIII, თბ., 1950-1964.
11. ალ. ლლონტი, 1984 – ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
12. თ. სალარიძე, 1970 – თ. სალარიძე, ქართლური ლექსიკიდან: იკე, XVII, თბ., 1970.
13. ალ. ყაზბეგი, 1939 – ალ. ყაზბეგი, „მოძღვარი“, თბ., 1939.
14. ალ. ყაზბეგი, I, 1955 – ალ. ყაზბეგი, თხზულებათა ორტომეული, ტ. I, თბ., 1955.
15. ალ. ყაზბეგი, II, 1955 – ალ. ყაზბეგი, თხზულებათა ორტომეული, ტ. II, თბ., 1955.
16. ალ. ყაზბეგი, 1991 – ალ. ყაზბეგი, „ელგუჯა“, „ხევისბერი გოჩა“, თსუ გამომცემლობა, თბ., 1991.
17. თ. სახოკია, 1950 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, თბ., 1950.
18. ლ. კაიშაური, 1967 – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ, 1967.
19. ნ. როსტიაშვილი, 1978 – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.
20. რ. ლამბაშიძე, 1988 – რ. ლამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988.
21. ს. მენთეშაშვილი, 1943 – ს. მენთეშაშვილი, ქიზიური ლექსიკონი, ტფ., 1943.
22. გრ. ბერიძე, 1981 – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.
23. რუს.-ქართ. ფრაზ. ლექსიკ., 1966 – რუსულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1966.
24. მ. ჭაბაშვილი, 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
25. Словарь совр. Рус. Лит. Яз., 1960 – Словарь современного русского литературного языка, т. 10, М. -Л. 1960.

## მოძრაობის (გადაადგილების) აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკისათვის ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში\*

მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენის ლექ-სიკურ-გრამატიკულ სტრუქტურაში. ისინი საინტერესოა როგორც ფორმაციალების მხრივ, ასევე სემანტიკურადაც.

მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები სემანტიკურად ყურადღებას იქცევენ იმის მიხედვით, თუ როგორ გამოხატავენ ისინი მოძრაობას. კერძოდ, რა სახის მოძრაობა სრულდება, როგორ სრულდება და როგორია მთქმელის დამოკიდებულება მოძრავი საგნის მიმართ.

ბუნებრივია, მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები სემანტიკურად თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ მხრივ ცნობილია, რომ ინგლისური ენის ზმნას სემანტიკურად შეუძლია აჩვენოს მოძრაობის მანერა, ესპანურს კი – გეზი (ინგლისურად იგი აღინიშნება ტერმინით path, რაც ბილიკს, გზას ნიშნავს. მის შესატყვისად ვარჩიეთ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი გეზი, რაც ფაქტობრივად იმასვე აღნიშნავს, რასაც ესპანური ენისათვის ტერმინი path), ხოლო ათსუგევი ენას, რომელზეც ჩრდილოეთ კალიფორნიაში მცხოვრები ამერიკელი ინდიელები ლაპარაკობენ, შეუძლია აჩვენოს მოძრავი საგანი.

ინგლისური და ესპანური ფრაზების მოყვანა არ ჩავთვალეთ საჭიროდ, რადგან მათი მსგავსი მაგალითები ჩვენს ენაშიცაა და ქვემოთ მათ ფართოდ წარმოვადგენთ, ათსუგევი ენისათვის კი შეიძლება დავასახელოთ ასეთი ნიმუშები:

lur – მბრნყინავი ბურთისებრი ობიექტის (მაგ.: სეტყვის მარცვლის) მოძრაობა;

t – უმცირესი ბრტყელი ობიექტების მოძრაობა, რომლებიც მიბმულია ერთმანეთზე (მაგ.: რაიმე პლომბები, ქსოვილის ნაჭრები, კენჭები);

qput – გამხმარი ტალახის, ჭუჭყის მოძრაობა;

staq – ბლანტი უსიამოვნო საგნის ან მასალის მოძრაობა (ნაწლავი, დამპალი პომიდორი, ასევე – სალეჭი რეზინი) (ო'გრედი, 2001, გვ. 257-258).

ამრიგად, ინგლისური, ესპანური და ამერიკელ ინდიელთა ათსუგევი ენის მონაცემების მიხედვით, მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები სემანტიკურად შემდეგი მახასიათებლებით წარმოგვიდგება: მოძრაობის მანერა, გეზი და მოძრავი საგნის ფორმა. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს ქართულ ენასა და დიალექტებში არსებული მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკა.

\* „შოთა ძიძიგური 90“, აკად. შ. ძიძიგურის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო წერილების კრებული, თბ. 2002.

ზემომოყვანილ მახასიათებელთაგან ქართული მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნისათვის დამახასიათებელია გეზი (მიმართული და მიუმართავი) და ორიენტაცია (საიქეთო და სააქეთო). ეს კატეგორიები საფუძვლიანადაა შესწავლილი პროფ. ა. შანიძის მიერ (ა. შანიძე, 1980, გვ. 238-239). ქართულში გეზი და ორიენტაცია ზმნისნინების საშუალებით აღინიშნება და ისე კარგად ცნობილი ფაქტია, რომ მხოლოდ ერთი ზმნის ნიმუშების დასახელებით შეიძლება შემოვიფარგლოთ: მიდის, მოდის; ადის, ამოდის; ჩადის, ჩამოდის; გადის, გამოდის; შედის, შემოდის: გადადის, გადმოდის.

აღნიშნულის გარდა, ქართულ ზმნას შეუძლია აჩვენოს მოძრაობის მანერაც. ჩვეულებრივ, მანერა განიმარტება, როგორც მოქმედების, ქცევის თავისებურება და, შესაბამისად, როგორც სრულდება მოძრაობა, მისი აღმნიშვნელი ზმნის სემანტიკაც იმის მიხედვით განისაზღვრება; მაგ.: მიზლაზნება, მითამაშებს, მიკლაკნება, მიფრინავს, მიცოცავს, მიცურავს და სხვ. ამ მხრივ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები ქართულში მრავალფეროვანია. შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე.

ჩვეულებრივ, მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნის მანერა ნაბიჯს უკავშირდება; მაგ.: **მიაბიჯებს** – ნაბიჯით მიდის,<sup>4</sup> ხოლო თუ ეს ნაბიჯი დიდია, მაშინ სემანტიკურად ასეთი ზმნები ადამიანის ქვედა კიდურებს უკავშირდება: **მიალაჯებს** – დიდი ნაბიჯით მიდის. იგივე ზმნა ნაბიჯის გადადგმას ნიშნავს იმერხეულში: **წალაჯა** – ნაბიჯი გადადგა, ფეხი წადგა: „ასე წალაჯო, გონჯი იქნება“ (შ. ფუტკარაძე, 1993, 653). დიდი ნაბიჯებით სიარულის აღმნიშვნელ ზმნას სემანტიკური კავშირი აქვს ადამიანის ქვედა კიდურებთან დიალექტებშიც, კერძოდ, ქართლურში: **გამოიბაყვება** – დიდი ნაბიჯებით გამოვა, გამოაბოტებს; **მოიბაყვება** – დიდი ნაბიჯით, მძიმედ მოდის, მოაბოტებს (თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981).

დიდი ნაბიჯით სიარულს აღნიშნავენ აგრეთვე სხვა სიტყვებითაც როგორც სალიტერატურო ქართულში, ასე დიალექტებში. სალიტერატურო ენაში: **მიაბოტებს** – განიერი ნაბიჯით მიდის; ქართლურში: **დაიტორტლება** – დალაჯუნობს, დააბოტებს. „რას დაიტორტლები ფინთათა!“ (თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981); რაჭულში: **დაძლაყუნობს** – დიდი ნაბიჯით, უშნოდ დადის; **მიჯლაყუნობს** – ჯლაყუნით მიდის, მიაბოტებს (ალ. კობახიძე, 1987).

ქართულ ენასა და დიალექტებში ძალზე ხშირია მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები, რომლებიც უსაქმო, უთავბოლო, ზანტ მოძრაობას, ბორიალს აღნიშნავენ. ასეთი ზმნები სალიტერატურო ენაშიც გვაქვს მაგ.: დაბორიალობს, დაყიალობს, დახეტიალობს. ამგვარი ზმნების სიხშირით განსაკუთრებით დიალექტები გამოიჩევა. კერძოდ, ქართლურში ვხვდებით შემდეგ ფორმებს: **დაფშაკუნობს** – უთავბოლოდ, უსაქმოდ დადის; **დაყერყეტებს** – დაჩერჩეტებს; **დაყუნცულობს** – დადის დალაზღანდარობს; **მილალუნებს** – ზანტად მიდის, მიხეტიალობს; **მიყერყეტობს** –

---

<sup>4</sup> მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების განმარტებას ვიძლევით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით.

მიყიალებს, დაეხეტება; **ლორდალებს** – გაუგებრად დადის, დაეხეტება (თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981).

ასეთი სემანტიკის ზმნები გვხვდება იმერულშიც. კერძოდ, ზემომერულში გვაქვს: **აზურავდება** – უსაქმოდ ახეტიალდება; **დაზურაობს** – უსაქმოდ დახეტიალობს; **ბურკალოფს** – ბორიალობს, უთავბოლოდ ტრიალებს; **დაბროსიალოფს** – დაბორიალობს; **დადორგიზოფს** – უაზროდ, უთავბოლოდ დადის; **დაღონიალოფს** – დაღოლიალობს, დაეხეტება; **წაკუნკრუხთება** – წაჩერჩეტდება (ქ. ძონენიძე, 1974); **დარიკინობს** – უთავბოლოდ, უგზო-უკვლოდ, უსაქმოდ დადის, დაეხეტება (პ. გაჩეჩილაძე, 1976).

მსგავსი სემანტიკის ზმნებია იმერხეულშიც: **ეყუდება** – უსაქმოდ დადის, დროს ფუჭად აცდენს; **ეტარუნება** – უსაქმოდ დადის, დაეხეტება; **ეტორლიალება** – უსაქმოდ დადის (შ. ფუტკარაძე, 1993).

მოძრაობა ხშირად გარკვეულ ხმიანობასთან არის დაკავშირებული; მიბზუ-ის, მიგრიალებს, მილაპარაკობს, მიღრიალებს, მიჩერიალებს, მირახრახებს და სხვ.

მოძრაობის აღმნიშვნელმა ზმნებმა შესაძლებელია გვიჩვენოს ადამიანის (ან ზოგადად მოძრავის საგნის) მოძრაობის ინტენსივობა მისი ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე: მიბარბაცებს, მილასლასებს, მილახლახებს.

შესაძლებელია იმის ჩვენებაც, რომ ვინმე ბარგით მოძრაობს: მიბარგება. შდრ. აჭარული: **მიიხიბაკვის** – ხიბაკით, ბარგი-ბარხანით მიდის... (შ. ნიუარაძე, 1971).

შესაძლებელია მოძრავის რაიმე თვისების ჩვენებაც: **მიიფხორება** – აფხო-რილი მიდის.

მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკის აღწერა მანერის მიხედვით დიდალ მასალას მოიცავს. მათი ანალიზისას სხვა ცალკეული სემანტიკური ნიუ-ანსების წარმოჩენაცაა მოსალოდნელი. ბუნებრივია, ერთ სტატიაში ამ საკითხს ვერ ამოვწურავთ. ჩვენ ამ ზმნათა მხოლოდ მცირე წანილი წარმოვადგინეთ, რათა მათი მეშვეობით მოძრაობის მანერის გამოხატვის უნარი დაგვეფიქსირებინა.

ქართულში დასტურდება მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მოძრავი საგნი-სადმი (პიროვნებისადმი) გარკვეული დამოკიდებულების ჩვენებითურთ. მაგ.:

**მიდის** (წეიტრალური დამოკიდებულება),

**მიბრძანდება** (პატივისცემის დამოკიდებულება),

**მიეთრევა** (უარყოფითი, უპატივცემულო დამოკიდებულება).

უარყოფითი, უპატივცემულო დამოკიდებულება ჩანს აგრეთვე შემდეგ ზმნებშიც: **მიშავდება, მიეხეტება**.

მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები ქართულში ზოგჯერ იმ ობიექტის ზედა-პირზეც მიუთითებენ, რაზედაც ესა თუ ის საგანი ან პიროვნება მოძრაობს. მაგ.: **აივაკებს** – აღმართს მოათავებს და ვაკეზე გავა; **გაივაკებს** – ვაკე გზას დაადგება, ვაკეზე გავა; **გაიმინდვრებს** – მინდვრად გავა; „ზურგი ჩემსკენ უქნია... თერგს..., გაუმინდვრებია..., გაუვაკნია“ (ილია). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართლური დიალექტის შემდეგი ზმნაც: **დაითავქვევებს** – თავქვე დაეშვება. „წყალი დაითავ-ქვევებს და მოდის“ (თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981).

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, თუ რა დიდი სემანტიკური დიაპაზონი აქვს ქართულ ენასა და დიალექტებში მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებს. მაგრამ შეუძლია თუ არა ქართულ ზმნას გამოხატოს მოძრავი საგანი? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი სემანტიკით ხასიათდება ამერიკის ინდიელთა ათსუგევი ენა.

ვფიქრობთ, მოძრავი საგნების გარჩევა მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნის მიერ ბევრი ენისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, მაგრამ შემდგომ ენის განვითარებასთან ერთად ამ ზმნებმაც, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ ერთი საგნის მოძრაობას აღნიშნავდნენ, გაიფართოვეს მნიშვნელობა და სხვა საგანთა მოძრაობის აღმნიშვნელადაც მოგვევლინენ. ალბათ ასეთი უნდა ყოფილიყო ქართულში **ბაჯბაჯებს**, რომელიც თავიდან მსუქანი ცხოველის (დათვის, ბატის) მოძრაობას აღნიშნავდა ანდა **გადასკუპდება**, რომელიც თავიდან ხტუნვა-ხტუნვით მიმავალი ცხოველის (კურდლის) მოძრაობას აღნიშნავდა, ე. ი. თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ერთი რომელიმე არსების მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნა და შემდეგ ზოგადად ამ სახის მოძრაობის გამომხატველ ზმნად უნდა ქცეულიყო.

ამ პროცესის თვალის მისადევნებლად საინტერესოა დიალექტური მონაცემები. საბას განმარტებით **ბლუნვა** ოთხზე დგომას ნიშნავს (ს.-ს. ორბელიანი, 1928); **ბლუნავს** გვხვდება მთიულურში და ცოცვას ნიშნავს (ლ. კაიშაური, 1967). იგივე ზმნა დასტურდება ინგილოურშიც უფრო კონკრეტული მნიშვნელობით:

**ბლუნვაა** – ბობლვა, ბავშვის მიერ ახლად სიარულის დაწყება; გადატანით – წვალება: „აბლუნა იმათავ“ (ნ. როსტიაშვილი, 1978).

**ბლუნვაა, ბლუნაა, ბლუნშაა, ბლუნუვაა** – ახლად ფეხადგმული ბავშვის ფოფხვა, ფორთხვა, ბობლვა. „ყმაწულ ჰალა ვერ დადის, ბლუნავს (//ბლუნვს); ი კაც იმაგრ ტრაპეს (სცემეს), ვექათი მშინამდე ბლუნით ნაშრდა“; ზ მ 6 ზ. ბლუნი-ბლუნი – ფოფხვა-ფოფხვით (რ. ღამბაშიძე, 1988). საყურადღებოა, რომ ეს ზმნა ერთგვარად განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება ძველ ქართულშიც: **ბლუნვა** მოხრა: „ბ ღ უ ნ ვ ი თ იყო სლვაა მისი“. ძველ ქართულშიც დასტურდება მიმღებაც: **ბლუნარე** მოხრილი: „ნუ იქადინ ზურგითა ბ ღ უ ნ ა რ ე, ვითარცა ზურგმართალი“ (ი. აბულაძე, 1973).

ინგილოურის მაგალითი იმით არის საინტერესო, რომ ზმნა (ბლუნვა) მოძრაობის მანერის ჩვენებასთან ერთად ინარჩუნებს ამოსავალ მნიშვნელობასაც – „ახალფეხადგმული ბავშვის სიარული“.

ასეთივე აზრი გვიჩნდება ინგილოურშივე დადასტურებული ზმნის „**ზგლუნვაა**“-ს შესახებ, რომელიც სრიალა ცხოველის: თევზის, გველის მოძრაობას აღნიშნავს და, ამავე დროს, ზოგადად სრიალის, გასხლტომის, გაცურების შესახებ ითქმის (ნ. როსტიაშვილი, 1978; რ. ღამბაშიძე, 1988).

ამრიგად, ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში დასტურდება მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები, რომლებიც სემანტიკურად შესაძლებელია შემდეგი მახასიათებლებით წარმოვადგინოთ:

1. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მიმართულების ჩვენებით;
2. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მოძრაობის მანერის ჩვენებით;

3. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მოძრავი საგნისადმი გარკვეული დამოკიდებულების გამოვლენით;

4. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები სავალი (სამოძრაო) ადგილის ზედაპირის გათვალისწინებით.

მოძრაობის მიმართულება ზმნისწინებით გადმოიცემა, დანარჩენი მახასიათებლები კი, ჩვეულებრივ, პირველ მახასიათებელთან (მიმართულების ჩვენებასთან) ერთად არის წარმოდგენილი. ზმნისწინს მოძრაობის სემანტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, ზმნათა უმრავლესობა, რომლებიც ჩვეულებრივ რაიმე მოქმედებას, გარკვეულ მოძრაობას გამოხატავს (მაგ.: აბიჯებს, ბზუის, ბრძანდება, ივაკებს, იკლაკნება, ლაპარაკობს, რბის, ფრინავს, ხტის) და არა მოძრაობა-გადაადგილებას, მხოლოდ ზმნისწინების (ამ შემთხვევაში მი-, მო-, გა- ზმნისწინების) დართვით ღებულობს გადაადგილების სემანტიკას.

### **ლიტერატურა:**

1. თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ., 1981 – ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე; მ. ჭაბაშვილის რედაქციით, თბ., 1981.
2. პ. გაჩეჩილაძე, 1976 – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონი მასალა, თბ., 1976.
3. ლ. კაიშაური, 1967 – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.
4. ალ. კობახიძე, 1987 – ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენელი ალ. კობახიძე, თბ., 1987.
5. შ. ნიუარაძე, 1971 – შ. ნიუარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), თბ., 1971.
6. ო'გრედი, 2001 – William O'Grady, John Archibald, Mark Aronoff, Janie Rees-Miller, Contemporary Linguistics, An introduction, Boston ♦ New York, 2001.
7. ს.-ს. ორბელიანი, 1928 – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928.
8. როსტიაშვილი, 1978 – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.
9. შ. ფუტკარაძე, 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
10. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I – VIII, თბ., 1950-1964.
11. რ. ღამბაშიძე, 1988 – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988.
12. ა. შანიძე, 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები: თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბ., 1980.
13. ქ. ძოწენიძე, 1974 – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
14. ი. აბულაძე, 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

## ქართული კინემალოგოსი და მისი ადგილი ფრაზეოლოგიაში\*

(მასალები და პერსპექტივები)

პოპულარული კინოფილმებიდან ყოველდღიურ მეტყველებაში გადმოსულ ფრთიან სიტყვებსა და გამოთქმებს კინემალოგოსი ეწოდება.

ქართული კინემალოგოსი უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანია. საჭიროა მისი აღწერა, დაჯგუფება და შესაბამის ლექსიკონებში წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ ზოგი მათგანი უკვე გვხვდება ამა თუ იმ ლექსიკონში. ასეთია, მაგალითად, ქართული უარგონის ლექსიკონში დაფიქსირებული „**მიმიშვი ღუმელთან**“ (**მარტენთან**) – მიმიშვი საქმესთან, საქმის კეთების საშუალება მომეცი. გამოთქმა 6. სანიშვილის ფილმიდან „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ (1955 წ.), რომელშიც მომავალი მეტალურგი (ჯერ კიდევ შეგირდი) ვეფხია ოსტატს ეხვენება: „ვასილ ივანიჩ, მიმიშვით ღუმელთან!“ ... (ბრეგაძე, 2005).

ქართული კინემალოგოსის ზოგი ნიმუში იმდენად მნიშვნელოვანი და პოპულარულია, რომ თარგმანის სახით სხვა ენებშიც დამკვიდრდა. ასეთია, «**Дорога к храму**» – усеченная цитата из фильма Тенгиза Абуладзе «Покаяние»: «Зачем тогда дорога, если она не ведет к храму?» ამ გამოთქმის საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითები მოჰყავთ:

«Но и другой романтизм здесь имеется – вот он, голубчик,

Вот он сидит, и очки простирает, и все рассуждает,

Все не решит, бедолага, какая-такая **дорога**

**К храму** ведет, балалайкой бесструнною все тарахтит он. . . »;

აქვეა ასეთი მაგალითიც:

«... Где я забыл **дорогу к храму**,

К родным могилам в лебеде, . . .» (გ. გუსეინოვი, 2003).

ბუნებრივია, ქართულ ზეპირმეტყველებაში კინემალოგოსის უფრო დიდ ნაკადს ვადასტურებთ. ამის მაგალითად რამდენიმეს დავასახელებთ, რომლებიც გადმოღებულია ქართული ფილმებიდან და გადატანითი მნიშვნელობით იხმარება სხვადასხვა სიტუაციაში. ფრჩხილებში მივუთითებთ ფილმებს, საიდანაც ისინი მომდინარეობენ:

- რად უნდა ეს ორი სათაური, მაინც ვერ გავიგე? („ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“),
- თუ კარგ საქმეზე მიდიხართ, მეც წამიყვანეთ! („შერეკილები“),
- უჯიკე, შენ თვითონ საჯიკებელო! („იმერული ესკიზები“),
- დაანგრიო, რა, შენი აშენებულია?! („რაც გინახავს, ველარ ნახავ!“),

\* ნაკითხულია მოხსენებად პროფესორ ლეო კვაჭაძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სესიაზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 3 ივნისი, თბ., 2009.

- ბავშვობიდან აქა ვზივარ („ქვევრი“),
- ქეთომა – შინ არა ვარო („ქეთო და კოტე“),
- ნუ იქნება ოლონდ ბუნტი, ნუ იქნება ოლონდ ბუნტი, სხვა რაც გინდა იყოს! („ვერის უბნის მელოდიები“).

ასეთი გამონათქვამები არა მარტო ფილმებიდან შეიძლება იქნეს გადმოღებული, არამედ სპექტაკლებიდანაც, მაგ.:

**ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ლაზათიანად ვაკეთებთ** („კავკასიური ცარცის წრე“) და სხვ. მაგრამ ზოგადად შესაძლებელია ასეთი მაგალითებიც აქვე განვიხილოთ.

ქართული კინემალოგოსი შესაძლებელია გარკვეული ჯგუფების სახით წარმოვადგინოთ. კერძოდ:

1. პირდაპირ ფილმებიდან გადმოღებული – **მაგისთანა ჩვენს ქალაქში დიმიტრია, გელოვანი** („არაჩვეულებრივი გამოფენა“),
2. მხატვრული ნაწარმოებიდან ფილმში გადასული და შემდეგ ფილმის გზით გავრცელებული – **მე ის თამრო ალარა ვარ!** („გლახის ნაამბობი“),
3. ხალხში გავრცელებული გამოთქმები, რომლებიც ფილმების სცენარებში აისახა, რამაც მათ ფართოდ გავრცელებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი:
  - **გავიდა გაღმა მარილზე, ჩაბარდა პატრონს** („შერეკილები“),
  - **ეგენი წითელ პარასკევამდე არ აიშლებიან** („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“)

ასეთი გამოთქმების გავრცელებისათვის კინოს უფრო დიდი ძალა აღმოაჩნდა, ვიდრე მწერლობას. ამის დასადასტურებლად შეიძლება დავასახელოთ ასეთი გამოთქმა: **კეფაზე წითელი ხალი ხომ არა გაქვს?** („ბაში-აჩუკი“). ამ გამოთქმას ხმარობენ მაშინ, როდესაც ვინე ახალი ნაცნობი ახლობელი აღმოჩნდება. ამის საფუძვლია მელანოს კითხვა აბდუშაპილისადმი, როდესაც მათი დაძმობის ამბავი ირკვევა. მაგრამ მელანო აბდუშაპილს ასე ფილმში მიმართავს, ნაწარმოებში კი სხვა რამეს ეკითხება: **მარცხენა ფეხზე ექვსი თითო ხომ არა გაქვსო?**

ამრიგად, კინემალოგოსი ენის ფრაზეოლოგიის გამდიდრების ერთ-ერთი გზაა, თანაც მეტად სპეციფიკური. საჭიროა მისი შესწავლა სწორედ იმ სიტუაციებისა და კონტექსტების მიხედვით, რომლებშიც ისინი იხმარებიან. საჭიროა განმარტებათა დაზუსტება და სპეციალურ ლექსიკონში შეტანა. ნათელია, რომ საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს. ამჯერად ჩვენი წერილი არ ისახავს მიზნად ქართული კინემალოგოსის სრულ ანალიზს. მასში ნარმოდებენილია მხოლოდ მცირე მასალა, რომელიც ინფორმანტებთან (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან) დავადასტურეთ სპეციალური გამოკითხვის შედეგად. ამ მასალას წარმოვადგენთ ქვემოთ, თუმცა ვიმეორებთ, ეს არის ქართული კინემალოგოსის სრული სია:

**ფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“:**

- ამპრედუზო, მედუზო!
- აგია, კაცო, პიკასოს ბიჭი, ამას ხატავს პიკასო//ამით ერთობა პიკასო?
- შუბლი ჰეგავს? – ჰეგავს; ცხვირი ჰეგავს? – ჰეგავს.

– მაგი მაინც არაა ჩემი სიდედრი!

ფილმიდან „ბაში-აჩუკი“:

– ვეძებდი როგორც მტერს და შევხვდი, როგორც მოყვარეს.

ფილმიდან „დათა თუთაშია“:

– არავის საქმეში არ ვერევი მე და ნურც ნურავინ ჩაერევა ჩემს საქმეში!

– სადაური წესია და აქაური წესია.

– სად ორი ყური და თვალი მოისმენს და გაიგონებს და სად ერთი?

– ატმი კურკი ტოლაი და გარგლი კურკი ტოლაი?

ფილმიდან „თეთრი ბაირალები“:

– მოგიკვდეთ, შვილებო, იდიოტი მამა!

– მაინც შევირთავ!

– რა მინდოდა წვენებში?!

ფილმიდან „თოჯინები იცინიან“:

– რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გაუნათლებელი?

ფილმიდან „იმერული ესკიზები“:

– აბა, ბავშვებო, რა სარგებლობა მოაქვს მამალს?

– ავტობუსი რომ კარგად გაჩერდება, მაშინ ჩამოდი!

– გამეიარე, შვილო, შენ არ გამეიარე!

ფილმიდან „მამლუქი“:

– არც ერთი იყო ვენეციელი და არც მეორე ეგვიპტელი, ორივე ბედურული საქართველოს შვილები იყვნენ.

ფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“:

– მე ხომ ვიყავი შენხელა, შენც ხომ იქნები ჩემხელა, ჰოდა რა განსხვავებაა ჩვენ შორის?!

– რუსულის სწავლას რა უნდა, ნენა, მთელი რუსეთი რუსულად ლაპარაკობს.

– თუ წვიმდა, თოვდა და ქვეყანა იქცეოდა, შენ რაღა გიხაროდა, შენ რა სიხა-რულის კურცხალი გდიოდა?!

ფილმიდან „მე ვხედავ მზეს“:

– სოსოიას რუსო!

ფილმიდან „მონანიება“:

– მაინც ამოვთხრო!

– ყველაფერს ვხედავ, ყველაფერს ვამჩნევ!

ფილმიდან „მხიარული რომანი“

– აკოცა, აკოცა, კინაღამ აკოცა!

– აღფრთოვანებული ვარ თქვენი ვონკალით!

– მე თქვენ გამღერებთ ნოტებზე!

– ვისროლე და კაცმა არ იცის, სად გადავარდა!

ფილმიდან „ნატვრის ხე“:

– ბიჭო, შენ შემოლანუნება ხომ არ გინდა? – გამოთქმა მომდინარეობს ფილმიდან „ნატვრის ხე“, თუმცა ეს გამოთქმა ფილმში სხვანაირადაა, კერძოდ ასე: „მე-მოულანუნე, შემოულანუნე, შენი ხელების ჭირიმე!“

- არ შემოულანუნო, ხელის შემობრუნება იცის!
- გაპარულან ე ვირები!
- მოდის, რევოლუცია მოდის!
- იორამ, რომელ ჯიბეში გიდევს ყუმბარა?
- ფილმიდან „ოთხი შარვალი და ერთი კაბა“:
  - ფირუზი, ამოდი, კაკაო დალიე!
- ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“:
  - დაუკარით, უპატარძლო ქორწილია!
  - გეკუთვნის, გეკუთვნის, მაგრამა არ გეკუთვნის!
  - ისე დაგარტყა, რო შუა ბაზარი კოჯორი გეგონოს!
  - ხაჭაპური ხოჩიშ? ნე ხოშიჩ?
  - ვას ის დას, დას ის კრას, არ იყოს აქ უსტაბაში, მე შენ გასწავლი ჭკუას!
  - ყავა გნებავთ? – ყავა – არა!
- ფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა“:
  - მე კაცი ვარ, თუ პროპკა?!?
  - ბურნუთ, რადიოზე დაიყენე თმები?
  - კაცი ნაწუწნ კამფეტს დაამგვანე!
  - სახლში წაიყვა, უარ არაფერზე გეტყვის!
  - რომელ უჭირან ტრუპკაი?
  - სიჩუმეზე გიცანი...
  - არა, ძმაო, ეგ ქალი ოჯახში არ გამოგადგება!
  - კვირტივით ბიჭია, ოჯახის მუჭუჭი!
  - კარგი, ნუ მოსწყდები ხოლმე ჩაფაანთ ყორესავითა!
  - აქ ვერ დაგნებდები, ხირხალ!
  - ქეთოი წმინდაი კერაი გაუმარჯოი!
  - პირადი გრძნობების გარეშე ერთი დღე ნუ მაცოცხლოს ღმერთმა!
  - ეგრე არ დარჩეთ, ხალხო!
- ფილმიდან „უდიპლომო სასიძო“:
  - მექანიკურია, ბიძია ვარდენ!
  - მთვრალი არა ვარ, დალეული ვარ!
  - როგორ დამძიმებულა ვარდენის ქალიშვილი?!?
  - ახლა იწყება ჩემი ფსიქიატრიული პრაქტიკა!
  - გავგიჟდები, გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები!
  - უკვე გიჟი ხარ, შე საცოდავო!
  - თქვე გოუცრელი ჭადით გამოზრდილებო!
  - გამოუშვი, გამოუშვი!
  - ლა თოფია, ბიჭო, ლა თოფი!
- ფილმიდან „ქეთო და კოტე“:
  - იყიდე, გაყიდე... ქარვასლაა?!
  - მილიონს რომ კაპიკი აკლდეს, მილიონი არ იქნება?
  - ეს იყო პეტერბურგში!

- ქეთო გამაიყვანეთ!
- ფილმიდან „ქვევრი“:
- ბარაქა, გოგი! . . . – წადი, შენი!
- მააწე, მარო!
- ყოჩალ, დედაკაცო, შენ გოგიაზე მეტი ძალა გქონია!
- ამტვრევ, არა, ამტვრევ, შე შობელდალლო?!
- ლაუაზიეს კანონია, უფროსო!
- გაიხადე და ფეხებით წამოდი!
- ორშაბათს განყოფილებაში მოხვალთ შენცა და ეგეცა, თუმცა ეგ როგორ მოვა?
- რა ვქნა, კაცო, ქვევრის გატეხვა თქვენ არ გინდათ, მე ქრისტე ღმერთი კი არა ვარ, სამჭკუაშვილი ვარ!
- შენც კაი ტიპი ხარ, ახესალომ! რომ მიძვრებოდი, სად მიძვრებოდი?
- ფილმიდან „ყვარყვარე“:
- არა ვარ, ბატონო, მე ის კაცი.
- ამას მიმალავდით?!
- ფილმიდან „შერეკილები“:
- აქედან ვერ ამოშლი!
- ამ ქალაქში ყველაფერი დასწრებაზეა!
- ის შავი კაცი ვინ იყო?
- შენც დაგიჭერენ, მეც დამიჭერენ, ტრიფონსაც დაიჭერენ.
- ეხ, თამუნია, თამუნია!
- აბი, გლუკოზა!
- რა უყავი, ბიჭო, ულვაში?
- აბა, ახლა გააღე პირი და თქვი, ააა. . . !
- ქალებმა და დროს ტარებამ დაგლუპა შენ.
- ხომ გითხარი, გაფრინდებიან-მეთქი!
- სიყვარული ვერტიკალურია და თანაც მბრუნავი.
- შე გალსტუკიანო პეპელა!
- პრასი არ გინდა, გვაქ-თქო!
- რა სჯობია ბრეგაძეებში ქეიფს!
- ფილმიდან „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“:
- გაიტანეთ, გაიტანეთ, გრენლადია, გაიტანეთ!
- მე ტანკისტი ვიყავი ომამდე!
- გივი, გივი, ჩვენ ვართ, გივი!
- ყუფარაძეს რომ არ დაერეკა?!
- მურვანიძე ხელს არ აწერს!
- მე ხომ ვამბობდი, ერთი-ორი კარგი მარკშეიდერი უნდა გვყავდეს-მეთქი?!
- დეფიციტში გარღვევა გაქვთო?!
- გაანებეთ ჩემს ცოლს თავი!
- ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“:

– Шენ აქ რამ მოგიყვანა, შე მადლიანო, შენა!

ამავე ფილმიდანაა ზოგიერთი ცნობილი გამოთქმა რუსულ ენაზეც:

– Мой отец воевал, его отец воевал, его, его, его отец воевал. . .

– Разве это война, впериод коли́, раз-два, назад „кондах“, раз-два. . . да сხვ.

ასეთია ქართული კინემალოგოსის მაგალითები. ბუნებრივია, ბევრი მათგანი წიგნებიდან, მხატვრული ლიტერატურიდან მოდის და, რასაკვირველია, წიგნიდანაც ბევრი რამ შეიძლება დამკვიდრდეს ყოველდღიურ მეტყველებაში, მაგრამ კინოს, როგორც მასობრივი ურთიერთობის სამუალების, ძალა გაცილებით დიდია. კინო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში კიდეც ცვლის წიგნში არსებულ გამოთქმებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილი ნიმუშები შეკრებილია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სტუდენტთა გამოკითხვით, ეს გამოთქმები საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა მეტყველებაშიც დასტურდება.

ამრიგად, როგორც წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკის აღნუსხვისა და დამუშავების დროს ამ მნიშვნელოვანი წაწილის გათვალისწინებაც აუცილებელია.

### **ლიტერატურა:**

1. ბრეგაძე, 2005 – ლ. ბრეგაძე, ქართული უარგონის ლექსიკონი, თბ., 2005.
2. გ. გუსეინვი, 2003 – Г. Гусейнов, Д. С. П. Материалы к Русскому Словарю общественно-политического языка XX века, Москва, 2003.

## II. თანამედროვე ქართული ენის ჟარგონული ასპექტები

### ქართული უარგონის ლექსიკონი\*

გასული წლის ბოლოს ერთი ფრიად საინტერესო ნაშრომი შეემატა ქართულ ლექსიკოგრაფიას. მხედველობაში გვაქვს ლევან ბრეგაძის მიერ შედგენილი „ქართული უარგონის ლექსიკონი“ (რედაქტორი ნიკო ნერგაძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

წიგნის პრეზენტაცია მოეწყო გასული წლის დეკემბერში. დაიბეჭდა რეცენზიები. მოკლედ, ამ ნაშრომმა საზოგადოების საკმაო ინტერესი გამოიწვია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ლევან ბრეგაძის ნაშრომი თანამედროვე ქართული ლექსიკის იმ ნაწილს ეხება, რომელიც სრულიად შეუსწავლელია.

უარგონი ვიწრო სოციალური ჯგუფის მეტყველებაა. უარგონის მიზანია შეიქმნას მეტყველების ისეთი ნაირსახეობა, რომელიც გასაგები იქნება ადამიანთა მხოლოდ ვიწრო ჯგუფისათვის და გაუგებარი – საზოგადოების სხვა წევრებისათვის.

უარგონს ხშირად ისევე განმარტავენ, როგორც არგოს: ცალკეული სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის. მათ შორის სხვაობად იმას მიიჩნევენ, რომ არგოსაგან განსხვავებით, უარგონი დამცირების, ათვალისწინების (პეიორატულ) მომენტსაც შეიცავს (ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 49).

ჩვეულებრივ, უარგონს სოციოლინგვისტიკის სფეროს აკუთვნებენ. მდიდარი ქართული ლექსიკური მარაგი ცალკე აღებული უარგონის თუ მთლიანად სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით ჯერჯერობით არ არის შესწავლილი.

ამ ფონზე ლ. ბრეგაძის „ქართული უარგონის ლექსიკონი“, რომლის მასალის შეგროვებასაც ავტორმა 25 წელი მოანდომა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ნაშრომი ამ სახის ლექსიკონის ქართულ ენაზე შედგენის პირველი წარმატებული ცდაა. ავტორმა შეძლო შეეგროვებინა, ფაქტობრივად დაედასტურებინა ორიგინალურ ქართულ თუ ნათარგმნ მწერლობაში ახალგაზრდული უარგონის გავრცელებული ნიმუშები (600-ზე მეტი სიტყვა), რომლებიც სპეციალურ ლექსიკონებში ჯერჯერობით არ ყოფილა დადასტურებული. მათ შორისაა: აეთესა, ავარდა, გომი, დაასტუკა, დაიბრიდა, დააიადა, ისქესა, იტასავა, მანდრაჟი, მარიაჟობა, მოკეტა, მოტყდა, ნაშამორი, პონტი, ჩამსევდა და სხვ.

მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ის არის, რომ ლევან ბრეგაძის „ქართული უარგონის ლექსიკონის“ მასალა ძალზე საყურადღებო აღმოჩნდა თეორიული ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით.

ზემოთ, უარგონის განმარტებისას, აღვნიშნეთ, რომ უარგონი საერთო ენისა-გან განსხვავებულია მხოლოდ ლექსიკით. ასეა ეს ჩვეულებრივ საენათმეცნიერო

\* „ბურჯი ეროვნებისა“, 3, თბ., 2000.

ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში მიღებული, მაგრამ ლევან ბრეგაძის ნაშრომი გვაძლევს შესაძლებლობას, ერთგვარად უფრო გავაღრმავოთ ეს დებულება. კერძოდ, აშკარა ხდება ის გარემოება, რომ მხოლოდ ლექსიკა (უფრო სწორად – ლექსიკური განსხვავება) სრულად ვერ წარმოაჩენს სიტყვათა (თუ უკვე ფორმათა) უარგონულ ბუნებას. საჭიროა გრამატიკაც, ფორმის გრამატიკული ანალიზიც, ე. ი. გარკვეული გრამატიკული ფორმა იძენს უარგონულ მნიშვნელობას. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ავტორის შენიშვნა სალექსიკონი ერთეულის შესახებ. კერძოდ, იგი წინათქმაში წერს: „ზმნისწინიანი ფორმების წარმოსაჩენად, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისაგან“ განსხვავებით, მომავალი დროის ფორმებს ნამყო სრულის (წყვეტილის) ფორმები ვამჯობინეთ, რადგან ამ გრამატიკულ დროში ზმნები უფრო ბუნებრივად უღერს – საერთოდ, ნამყო სრული (წყვეტილი) ყველაზე პოპულარული გრამატიკული დროა უარგონში. ზმნათა დიდი ნაწილი აწმყო დროში არც კი იხმარება. მაგალითად „მონხა“ (წავიდა) – არ იხმარება „იხევა“, „მოუსვა“ (გაიქცა) – არ იხმარება „უსვამს“, „წამსერდა“ (წავიდა) – არ იხმარება „მსერდება“, „თანხა გაიკრა“ (ფული იმოვა) – არ იხმარება „თანხას იკრავს“ და სხვა მრავალი“ (გვ. 7-8).

მაშასადამე, თუ ლ. ბრეგაძის ამ შენიშვნას გავითვალისწინებთ, ზმნის გარკვეული მწკრივის – წყვეტილის – ფორმა ყოფილა საჭირო ზემომოყვანილი სიტყვებისათვის.

უარგონის გრამატიკულ თავისებურებებზე მსჯელობისათვის ასევე ფრიად მნიშვნელოვანია საანალიზო ლექსიკონში წარმოდგენილი ის სიტყვები, რომლებიც მიცემითში -ში თანდებულის დართვისას იძენენ უარგონულ მნიშვნელობას:

„-ში – მიცემითი ბრუნვის თანდებული, ძალიან პოპულარულია ახალგაზრდულ უარგონში. ხშირად ცვლის „ქონა“ ზმნას: „ეტყობოდა, გაკეთებულში როდიყო“ (ირინე ბაქანიძე), ნიშნავს: გაკეთებული რომ ჰქონდა (ნარკოტიკული ნივთიერება); „– შენ დღესაც გადაყლაპულში ხარ, ხო იცი?“ (ირინე ბაქანიძე), ნიშნავს: გადაყლაპული გაქვს (ნასვამი ხარ); „ნავებულშია, – ისე თქვა ერთმა, არც შეუხედავს ენვერასათვის (ჯემალ თოფურიძე), ნიშნავს: წაგებული აქვს; „რამდენშია?“ (იქვე), ნიშნავს: რამდენი აქვს წაგებული?“

ზოგჯერ ანარმოებს ზმნიზედებს ზედსართავებისაგან: „ნაღდში ან სიგნალი ექნებოდა იქ, ან გატენილი დურა უჯრაში“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.). „ნაღდში“ აქ ნიშნავს: „ნაღდად“; „– ნაღდი საქმეა!.. – ნატურში?! – ნატურში“ (ოთარ ჩხეიძე). „ნატურში“ აქ ნიშნავს – „ნამდვილად“ (გვ. 147-148).

ზემოთ მოყვანილ ციტატში საილუსტრაციო მასალის ჩვენების დროს ძალზე საყურადღებოდ გვეჩენება ავტორის შენიშვნა: „ზოგჯერ ანარმოებს ზმნიზედებს ზედსართავებისაგან და იქვე მითითებულია მაგალითი: „ნაღდში“.

ვფიქრობთ, გრამატიკული თვალსაზრისით ეს ძალზე საინტერესო შემთხვევაა. აქ, ფაქტობრივად, მეტყველების ერთი ნაწილი – ზედსართავი სახელი – იცვლება მეორით – ზმნიზედით. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ უარგონული სიტყვა-ფორმების წარმოებისას ენის გრამატიკული დონეც გასათვალისწინებელია.

ვფიქრობთ, ასევე საინტერესოა ის შემთხვევებიც, როდესაც სალიტერატურო ენის ერთი სახის ზმნიზედა უარგონში მეორე სახის ზმნიზედის მნიშვნელობას იძენს. ამის მაგალითიც გვხვდება წარმოდგენილ ლექსიკონში:

„ეგრევე – სალიტერატურო ქართულში ეს არის ვითარების ზმნიზედა და ნიშნავს „მაგგვარადვე“, „მაგნაირადვე“ (მაგ.: „ეგრევე დატოვე, როგორც არის“, „იგივეა, რაც „მაგნაირადვე დატოვე, როგორც არის“). უარგონში კი დროის ზმნიზედის მნიშვნელობას ღებულობს და ნიშნავს: „მაშინვე“, „ახლავე“. „ეს რომ დავინახე, ეგრევე ვიყიდე, მერე რაც მოხდებოდა“; „ყველა ეგრევე შეატყობს, ამ ფილმით რაღაცას რომ ასწავლიან“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.) ორივე ამ მაგალითში „ეგრევე“ ნიშნავს „მაშინვე“-ს. „რათ მინდა, ომში ვარ ნამყოფი, მრეკეთ ეგრევეო“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.). აქ „ეგრევე“ ნიშნავს „ახლავე“-ს (გვ. 61).

-ში თანდებულიანი სიტყვების და „ეგრევე“ ზმნიზედის განხილვა გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ შემთხვევებში საქმე ეხება არა მარტო მორფოლოგის დონეს, არამედ გასათვალისწინებელია სინტაქსური დონეც.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ლევან ბრეგაძის მიერ წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ შეიძლება უარგონი საერთო ენისაგან მხოლოდ ლექსიკის მხრივ იყოს განსხვავებული, უარგონში ვხვდებით საერთო ენისაგან განსხვავებულად გამოყენებულ გრამატიკულ ფორმებსაც. ბუნებრივია, ეს განსხვავებულობა გრამატიკულ ფორმათა შინაარსობრივ მხარეს ეხება, რაც ამ ფორმათა გარკვეულ მორფოლოგიურ და სინტაქსურ გადააზრიანებას ემსახურება.

ამ მხრივ საჭიროა მომავალში გაცხოველდეს კვლევა-ძიება, რაც ალბათ უფრო ცხადყოფს უარგონის ბუნებას.

უარგონის მეცნიერული შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს, აღნიშნული ჯგუფის ლექსიკა ზუსტად გამოვაცალებულოთ სხვა ჯგუფის ლექსიკური ერთეულებისაგან და მათ თავისი ადგილი მივუჩინოთ. ეს არცთუ ისე იოლი საქმეა. ეს სიძნელე საანალიზო ლექსიკონის მასალის გაცნობისასაც იჩენს თავს. საქმის ვითარებას ართულებს ის, რომ აღნიშნულ ნაშრომში, სამწუხაროდ, უარგონის განმარტება არ არის მოცემული, ანუ არაა წარმოდგენილი ის პრინციპი, თუ რის მიხედვით ხდება მასალის დაჯგუფება. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი უარგონის დეფინიცია ემყარება ძირითადად ქართულ და უცხოენოვან საენათმეცნიერო ლიტერატურას, რომლის მიხედვითაც უარგონი ვიწრო სოციალური ჯგუფის მეტყველებაა. სარეცენზიონ ლექსიკონში კი ვხვდებით ისეთ იდიომატურ გამოთქმებსაც, რომლებიც რომელიმე ვიწრო სოციალური ჯგუფის კუთვნილებად ვერ ჩაითვლება. მაშასადამე, ისინი არც უარგონიზმებია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი უპატივცემულო ხასიათისაა. მაგ.: „ქვაზე დახატულ ეშმაკს ჰგავს“, „უტარო კოვზივით ეჩრება სხვის საქმეში“, „უყარე კაკალი“, „შენოდენს ცალ ყურში ჩავისხამ“, „შენ რო მიდიოდი, მე მოვდიოდი“ და სხვ. (გვ. 125, 126, 133, 144-145).

ასეთი მაგალითებისათვის განმარტებათა წარმოდგენა აღნიშნული ლექსიკონიდან არ მიგვაჩნია საჭიროდ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები ყველასათვის გასაგებია, რადგან ვიწრო სოციალური ჯგუფის თუ ცალკეულ პირთა მეტყველების სფეროს სცილდებიან.

ასევე ძნელია ზოგიერთი გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა უარ-გონიზმად მივიჩნიოთ იმავე მიზეზის გამო, რომ ისინი ეკუთვნიან არა ცალკეული სოციალური ჯგუფის ლექსიკას, არამედ საერთო ქართულს. მათი იდიომატური მნიშვნელობა ყველა ქართველისათვის გასაგებია. ამის ნათელსაყოფად სარეცენზიო ლექსიკონიდან ორიოდე მაგალითიც საკმარისია:

**გადააგორა** – ძნელი საქმე მოამთავრა (თითქო მძიმე საგანი გორვით გადაიტანა ერთი ადგილიდან მეორეზე); ირონიულად ძალიან ადვილ საქმეზეც იტყვიან. „ესეც ვახშამი, ღვთის მადლით, **გადავაგორეთ**, ეხლა ხვალინდელი დღისათვის ვიფიქროთ“ (ილია ჭავჭავაძე); „დღეს როცა **გადააგორებ** და დასაძინებლად როცა დაწვები“... (ტარიელ ჭანტურია) (გვ. 34).

ანდა:

**აყვანილი** – დაპატიმრებული. „ფილიპი ჯერ არ ჰყავდათ **აყვანილი**“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.) (გვ. 20).

„აყვანილი“ ამ მნიშვნელობით (დაპატიმრებული) არაა უარგონი. ამ შემთხვევაში ის გადატანითი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულია, რომელიც ყველა ქართველისათვის გასაგებია. **აყვანილი** უარგონული მნიშვნელობით სხვა იქნება, კერძოდ, ფსიქოლოგიურად წახდენილი, დაბნეული, აგდებული, უსუსურ მდგომარეობაში ჩავარდნილი, ანდა გაშაყირებული. სხვათა შორის, „აყვანა“ საწყისის შემთხვევაში ამ მნიშვნელობას კიდეც ადასტურებს ლ. ბრეგაძე. იხ. „**აყვანა** ან დუხზე/დუხით აყვანა“ (გვ. 20).

ზოგიერთი სიტყვის უარგონულობის, დიალექტურობის თუ ზუსტი ბუნების გარკვევისათვის უფრო გამოწვლილვითი კვლევაა საჭირო. მაგალითისათვის ლ. ბრეგაძის ლექსიკონიდან შეიძლება დავასახელოთ: **გაბრექილი** და **იბრიქება**. კერძოდ:

გაბრექილი – ამაყად გაჭიმული, მკერდი რომ ამპარტავნულად აქვს წინ წამოწეული. „მოდგება რიხით და **გაბრექილი** ეროხობება“ (ჯემალ აჯიაშვილი. თარგ.) (გვ. 34).

**იბრიქება** – იჯგიმება, ამპარტავნულად, ქედმაღლურად იქცევა. „ადე, თუ ძმა ხარ, ნუ **იბრიქები**“ (ნოდარ დუმბაძე); „**იბრიქებიან**, მაგრამ რას **იბრიქებიან** ეს ვაჯრები...“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგ.) (გვ. 71-72).

ეს ზმნა ფართოდაა გავრცელებული ქართულ დიალექტებში. ზუსტად ამ ფორმებს ქართლურში, ქიზიყურში, გურულსა და აჭარულში ვხვდებით. კერძოდ, გაბრექილი დადასტურებულია ქიზიყურში, გურულსა და აჭარულში, ხოლო **იბრიქება** – აჭარულსა და ქართლურში:

გაბრექილი – უშნოდ გამარტული, გაჭიმული, გაბლენძილი (სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ტფ., 1943, გვ. 23; გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938. გვ. 12; შ. ნიუარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათ., 1971, გვ. 118).

**იბრიქება** – იჭიმება, იბლინდება, იბერება, ბაქიბუქობს (შ. ნიუარაძე, იქვე, გვ. 214; თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981, გვ. 227).

საერთოდ კი ეს ზმნა ამავე მნიშვნელობით დასტურდება მთელ რიგ ქართულ დიალექტებში. მას ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებშიც. კერძოდ, **ბრექა** ფორმით გვაქვს ს.-ს. ორბელიანის, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებსა და შემდეგ დიალექტებში: გურულში, ჯავახურსა და იმერხეულში; გაბრექა ფორმით შეგვხვდა აჭარულში, **გაბრექვა** ფორმით კი – ქიზიყურსა და ინგილოურში.

**ბრექა** – გაბზექვა, გაჭიმვა, წელში გამართული სიარული, ყოყოჩობა, ჯიუტობა, თავმომწონეობა, თვითდაჯერება (ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928, გვ. 44; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 117; ს. ჟღენტი, გურული კილო, ტფილისი, 1936, გვ. 214; გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბ., 1981, გვ. 21; შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ., 1993, გვ. 403).

**გაბრექა** – 1. გაჭიმვა, წელში გაჭიმვა; 2. გადატ. გაბლენძა, გაბერვა, გაფხორვა; ყოყოჩობა (შ. ნიუარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 118).

**გაბრექვა(ც)** – გაჭიმვა, გაბზექა (სტ. მენთემაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23; 6. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978, გვ. 42-43).

აღნიშნული ზმნური ფუძე ხმოვანმონაცვლეა: ბრექ-ბრიქ.

ქართულ დიალექტებში გვხვდება ამ ფორმებიდან მომდინარე დერატივებიც. კერძოდ, ინგილოურში ე ხმოვნიანი ფუძით: **ბრექია** – ბრექია, ბლენძია (რ. ლამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 66), ხოლო ზემოიმერულში კი – ი ხმოვნიანი ფუძით: **ბრიქი** – გაჭიმული. „დღე ბრიქი და ღამე ჩლური“ (გამოცანა – წინდა) (ქ. ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 57).

**ბრექა** ზმნის გავრცელების ფართო დიაპაზონი ქართულ დიალექტებში (ქართლური, ზემოიმერული, ქიზიყური, ინგილოური, გურული, აჭარული, იმერხეული, ჯავახური), მისი არსებობა სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში საეჭვოს ხდის ამ სიტყვის დიალექტურობას. ის აღბათ უფრო საერთო ქართული ენის კუთვნილება უნდა იყოს, მაგრამ მისი უარგონად გამოცხადება არ მიგვაჩინა მართებულად.

საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული უარგონის ლექსიკონში ანბანურ რიგზე დალაგებული სალექსიკონო ერთეულები ზედმინევნით და მოხდენილადაა განმარტებული, მაგრამ სალექსიკონო ერთეულად გამოტანისას, ვფიქრობთ, ზოგჯერ არ იყო აუცილებელი ერთი და იმავე ფორმის 1 და 2 მინიშნებით ცალ-ცალკე გამოტანა, მით უმეტეს, მათი მნიშვნელობები ძალზე ახლო დგანან ერთმანეთთან. მაგ.:

„**ხია**<sup>1</sup> – გაარტყა. „გაახურა, შეუბერა, **ხია** მოლალატესა“ (ვახტანგ ჯავახაძე); „მიუჭრა ახვარსა და გაუქნია და **ხია** შივ შუა ყბაში“ (გურამ დოჩანაშვილი).

**ხია<sup>2</sup>** – ერთბაშად, მოულოდნელად ჩაიდინა, მოიმოქმედა, შექმნა რაღაც მნიშვნელოვანი. „ძაან „გაახურა“ ნაირამაცა, მსხვილ-მსხვილი რომანები რო „ხია“! (ალექსი ჭინჭარაული)“. (გვ. 170).

რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ჟარგონის ჩინებული ნიმუშია, მაგრამ, ვფიქ-რობთ, აჯობებდა ეს (და ზოგიერთი ასევე ცალ-ცალკე 1 და 2 მინიშნების მქონე) სიტყვები წარმოდგენილი ყოფილიყო ერთი სალექსიკონო ფორმით, რომელთანაც 1 და 2 ნომრებით მითითებული იქნებოდა ორივე მნიშვნელობა, როგორც ეს, ჩვეულებრივ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და სხვა ლექსიკონებში გვაქვს.

ლ. ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“ ქართული ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. მომავალში ეს ლექსიკონი უფრო შეივსება, დაიხვეწება და გამდიდრდება. ჩვენი რეცენზიით და აქ გამოთქმული სურვილებით გვინდა ავ-ტორს თანადგომა გამოვუცხადოთ.

## ნიშანთა სისტემის პრაგმატიკული ასპექტი ზოგი უარგონული სიტყვის სესხებისას ქართულში\*

ცნობილია, რომ სემიოტიკა ნიშანთა სისტემის შესწავლის სამ ასპექტს განარჩევს. ეს ასპექტები განისაზღვრება ნიშნის ბუნებით: **სინტაქტიკა** – ურთიერთმიმართება სისტემის ნიშნებს შორის; **სემანტიკა** – მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის, **პრაგმატიკა** – ნიშნის მომხმარებლის დამოკიდებულება ნიშანთან.

პრაგმატიკული ასპექტი ფაქტობრივად სინტაქტიკურ და სემანტიკურ ასპექტებს მოიცავს და მისი გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია ენის ლექსიკის შესწავლის დროს (თ. გამყრელიძე, ზ. კივნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაა, 2003, 29-30). პრაგმატიკული ასპექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უარგონული ლექსიკის განხილვისას. სწორედ ნიშნის მომხმარებლის დამოკიდებულებით ნიშანთან აიხსნება ბევრი უარგონული სიტყვის როგორც გაჩენა, ისე ამა თუ იმ ენიდან მისი სესხება.

ცნობილია, რომ ქართული უარგონული ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს ნასესხები სიტყვები წარმოადგენს. ნასესხებ სიტყვათა უმრავლესობა რუსული ენიდან, უფრო ზუსტად – რუსული უარგონიდან არის შემოსული. ზოგი მათგანი ძალიან გამჭვირვალეა და იოლია რუსულთან მათი დაკავშირება, ხოლო ზოგის წარმომავლობის დასადგენად სპეციალური კვლევასა საჭირო.

რუსული ლექსიკური ნასესხობანი ქართულ უარგონში ადრევე იყო შენიშნული. კერძოდ, ქართული უარგონის ლექსიკონში რუსულიდან მომდინარე სიტყვათა მნიშვნელოვან ნაწილს მითითებული აქვს შესაბამისი რუსული ვარიანტები (იხ. ლ. ბრეგაძე, ქართული უარგონის ლექსიკონი, თბ., 2005). ამავე საკითხს ეხება ჩვენი რამდენიმე წერილიც, რომლებშიც გამოვლენილია ისეთი უარგონული სიტყვების რუსული წარმომავლობა, როგორებიცაა: **გრევი** – საჩუქრი; **ამბალი** – ახმახი; **მანდრაჟი** – მღელვარება; **რამსები** (გამოთქმაში: „რამსები არ აგერიოს“) არაფერი შეგემალოს; **სტოსი** (გამოთქმაში „სტოსი მიჰყავს“) – ლიდერობს, ავანგარდშია; **ჩმორი** – უხეირო, ჯაბანი, ბედოვლათი; **ხანიგა** – გალოთებული, ფსკერზე დაშვებული; **მუზონი** – მუსიკა; **ფანატი** – უცნაური ადამიანი, ადამიანი, რომელმაც რაიმე საკითხი ძირისძირობამდე იცის, ფანი და სხვ. (რ. ქურდაძე, 2009).

როგორც ირკვევა, რუსულენოვანი სოციუმიდან უარგონულ ლექსიკურ ერთეულთა კიდევ უფრო დიდი ნაწილი მომდინარეობს. ბუნებრივია, მათი აღნუსხვა და ანალიზი მომავალშიც გაგრძელდება.

ამჯერად წარმოვადგენთ ქართულ უარგონში დადასტურებულ ლექსიკურ ერთეულთა ნაწილს, რომელიც ასევე რუსული უარგონიდან მომდინარეობს.

ასეთებია, მაგალითად, **ტასაობა** და **ტუსაობა**:

ეს ორი განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვა დადასტურებულია ქართული უარგონის ლექსიკონში, მაგრამ არაფერია ნათქვამი მათ წარმომავლობაზე. აღსა-

\* „სემიოტიკა“, VIII, თბ., 2010.

ნიშნავია, რომ ორივე ეს სიტყვა რუსული უარგონიდან მომდინარეობს და რუსული უარგონი მათ შორის არსებულ კავშირსაც ცხადყოფს. ამის საილუსტრაციოდ ჯერ ქართულის მაგალითებს მოვიყვანთ, შემდეგ – რუსულისას. კერძოდ: „ტასაობა – სეირნობა, ხეტიალი (იხ. „იტასავა“). „მაგას ფეხით „ტასაობა“ უყვარს“ (გვანცა აბ-დალაძე); **იტასავა** – ისეირნა, იხეტიალა. „დღეს ნავიდეთ, ქალაქში „ვიტასავოთ“ (თინა ჟორულიანი)“ (ლ. ბრეგაძე, 2005).

განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება ტუსაობა: **ტუსაობენ** – უსაქმურად დგანან და ლაზლანდარობენ: „და **ვტუსაობოთ** მე და ჩემი ორი ძმაკაცი სადარბაზოსთან“ (ბასა ჯანიკაშვილი)“ (ლ. ბრეგაძე, 2005).

როგორც აღვნიშნეთ, ორივე ეს სიტყვა რუსულიდან მომდინარეობს და ლექ-სიკონის შემდგენელის აზრით, მათ შორის გარკვეული კავშირიც დასტურდება:

„**ТУСОВАТЬСЯ**, -суюсь, -суешься; **ТАСОВАТЬСЯ**, -суюсь, -суешься; *несов.*, (сов. **ТУСНУТЬСЯ**, -нусь, -нёшься), где, с кем и без доп. Находиться в каком-л. месте, где миого народу; быть в среде «своих» (о группах, объединениях и т.п.); гулять, слоняться без дела; участвовать в различных шоу, презентациях и т. п.

Возм. от карт. «тасовать» – мешать, разбивать, рассовывать по всей колоде карты; *ср.*, напр., *устар.* торговое «тасовать» – мешать сыпучий товар разного достоинства; возм. через уг. «тусовать» – бить, «тусоваться» – курить, собираться, «тусовка» – сборище, драка, «тусовки нарезать» – гулять без цели, шляться; скорее всего первоначально в муз. и хип. жарг.” (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

რუსული წარმომავლობისაა ლექსიკური ერთეული **დაიციკლა**, რომელსაც ლ. ბრეგაძე ასე განმარტავს: „რაღაცა აიკვიატა; ერთსა და იმავეს იმეორებს, ერთსა და იმავე წრეზე (ციკლზე) ბრუნავს. „ის კიდევაფუჭუბული პატეფონივით იმეორებდა ერთსა და იმავეს: „ბელო, ბელო... ვინაა ეგ ბელო? საიდან მახსოვს?“ **დაიციკლა** ეტყობა, სხვა ვერაფერზე სიტყვა ვერ დააცდენინებს“ (გია ჭუმბურიძე, თარგმ.) (ლ. ბრეგაძე, 2005).

ეს უარგონული ლექსიკური ერთეული პირველი თურმეობითის ფორმითაც გვხვდება: „არა, ეს ჩემი სტილი არაა. ასე არასოდეს **დაციკლულვარ!**“ (თ. ფხავაძე, 2007, 16). რუსულშიც ამავე მნიშვნელობით იხმარება: «**ЗАЦИКЛИВАТЬСЯ**, -аюсь, -аешься; *несов.* (сов. **ЗАЦИКЛИТЬСЯ**, -люсь, -лишься), на ком-чём и без доп. Излишне сосредотачивать внимание на чём-л., быть одержимым чем-л.» (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

ასეთივე წარმომავლობისაა ქართულ უარგონში არსებული **ვიშიბალა** – „იქ როლანდაა ერთი, **ვიშიბალა**, იმას ჩაგაბარე და მოვიყვანე ტაქსი“ (ა. მორჩილაძე, 2006, 31); „რა იყო, რა ამბავია. . . – დაზეთილად ამბობს ერთი და ნელა, ლუდის მოყუდებით მოდის ჩემკენ, რაღაც ისე, მაგარი თავდაჯერებული და **ვიშიბალა** სიფათით. . .“ (თ. ფხავაძე, 2007, 111). ეს სიტყვაც რუსული უარგონიდან მომდინარეობს და ნიშნავს რესტორნის ან სასტუმროს მუშაკს, რომელიც მთვრალ და აყალმაყალის ამტეს კლიენტებს გარეთ ერეკება: “**ВЫШИБАЛА** – служащий ресторана, гостиницы и других заведений, выгоняющий пьяных посетителей, буйнов. – Это был

некто Митька Гундосый. . . прежде вор, потом вышибала в публичном доме (Купр., Гамбринус)” (Б. З. კოლესნიკოვი, ე.ა. კორნილოვი, 1996). რუსული უარგონის ლექსიკონის ავტორები უარგონული ვიშიბალას მსგავსი მნიშვნელობის ზოგ სხვა სიტყვასაც ასახელებენ, მათგან ნაწილი სალიტერატურო რუსულშიც დასტურდება, ესენია: **вышибание, вышибательный, вышибать, вышибиться.**

ასევე რუსული უარგონიდანა სიტყვა **მოსაჩიკავეც**, რაც უსაქმურს, ზარმაცს, ნიშნავს; ანდა ადამიანს, რომელიც სამუშაოს აცდებს, თავს არიდებს საქმეს: **მოსაჩიკავე** – „. . . მერე ვუკავშირდები ტაქსს, რაღაცით ვეძებ **მოსაჩიკავეს** და ვეუბნები, რო მიდი, შე სირო, აქ და აქ და ასე შემდეგ“ (ბ. ჯანიკაშვილი, 2004, 104). ამ სიტყვას რუსულ უარგონში ორი მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან პირველი ქართულშიც დავადასტურეთ, ხოლო მეორე ჯერჯერობით მხოლოდ რუსულში გვხვდება: “**САЧОК**, -чка, м. 1. Бездельник, лентяй, халтурщик; *Ну ты ~. Эй, ~-чики, работать!* 2. Место, где собираются, люди, у которых нет дел; часто о местах, где собираются, курят студенты в перерывах между занятиями, после занятий (напр. В 1-м гуманитарном корпусе МТУ есть «малый сачок» и «большой сачок»). ♦ **~чка давить** – бездельничать.

Возм. через уг. «сачок» – мелкий воришко, беспризорник, несовершеннолетний, хулиган. Первоначально из языка моряков. С эпохи парусного флота и позднее «сачком» или «саком» иронически называли на корабле подвесную койку (the hammock). «Сачка давить» значило «лежать, валяться в этой койке, увиливать от работы, когда остальная команда работает». В общем зн. – «бездельничать». Со временем назв. Койки перешло и на самого человека, отлынивающего от работы” (З. ს. ელისტრატოვი, 2008).

საინტერესო უარგონული ლექსიკური ერთეულია რუსულიდან მომდინარე ზმიზედა **სპეცომ**, რაც ნიშნავს: „სპეციალურად“: „გზები გაიყვანეს **სპეცომ** ავტობუსებისთვის...“; „...ჩვენო, **სპეცომ** გაგიჩალიჩეთო, რო თქვენი მოგზაურობა კაიროს უდატაკესი უბნიდან დავიწყეთო...“ (ბ. ჯანიკაშვილი, 2004, 122, 124). ეს სიტყვაც რუსული უარგონიდან მომდინარეობს: “**СПЕЦОМ**, нареч. Специально, нарочно. Ведь спецом толкнула и даже не извинилась (Запись 1995 г.). Почему ты с ним не поговорила? Ты спецом не поговорила. Митрофанов, Никитина, 197. Спецом ведь на второй год осталась, чтобы с Кристинкой в одном классе быть? (Запись 1998 г.)”. (ტ. გ. ნიკიტინა, 2003; იხ. აგრეთვე ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

რუსული უარგონიდანვე მომდინარეობს ქართულში დადასტურებული სიტყვა **სპონტამ**. ქართული უარგონის ლექსიკონში გვხვდება უარგონიზმი **პონტი**, რაც შემდეგნაირად განიმარტება: „რუსულ ქურდულ ენაზე პინტ ნიშნავს ადამიანთა ჯგუფს, თავყრილობას. ზოგჯერ იხმარება ტყუილის, ბლეფის, თვალებში ნაცრის შეყრის მნიშვნელობითაც (სერგეი სნეგოვის აზრით, ეს მნიშვნელობა „ფრაერულია“, არაქურდული). ამ მეორე მნიშვნელობით (ტყუილი, ბლეფი) დამკვიდრდა ეს სიტყვა ქართულ უარგონში: „რომ გითხრათ, სული მიმდიოდა, მერე რა მოხდება-

**მეთქი, პონტი იქნება**“; „მაგრამ, რომ ამბობენ, ედი ფლემინგის თითოს გამო გაიქცაო, ეგ კი ნაღდად პონტი იქნება“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.)

ამ ბოლო დროს „პონტმა“ ქართულ უარგონში ახალი მნიშვნელობაც შეიძინა (კიდევ უფრო „ფრაერული“!) და იხმარება „ამბავი/ამბავში“-ს (იხ.) გაგებით: „მართლაც წარმოუდგენელია რუსთაველის მემუარები – „მითხრა-ვუთხრასა“ და „მოვიდა-წავიდას“ პონტში“; „წერს არქაულ პონტში „იყოს“ ნაცვლად „ხიყოს“! (ტარი-ელ ჭანტურია)“ (ლ. ბრეგაძე, 2005).

ამრიგად, როგორც ჩანს, სიტყვა პონტი ქართულ უარგონში ფართო გავრცელებისაა და, როგორც ეს მითითებულია ქართულ უარგონის ლექსიკონში, ის რუსული უარგონული ლექსიკიდან მომდინარეობს. მაგრამ პონტთან დაკავშირებით საყურადღებოა სხვა უარგონული გამოთქმებიც, რომლებიც ასევე რუსულიდან მომდინარეობენ, ესენია სპონტამ და ბეზპონტა. ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეულს:

სპონტამ რუსულში მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა და ც წინდებულით იხმარება – “**с понтом**”, მას შემდეგი მნიშვნელობები აქვს: **С понтом** (или **с понтом под зонтом**). 1. Как же, так я тебе и поверил (обычно выражает недоверие к сказанному собеседнику). 2. нареч. Вызывающе, самоуверенно, нагло и независимо” (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008). აღსანიშნავია, რომ რუსულში ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მიერ ქართულ უარგონში დადასტურებული სპონტამ პირველ მნიშვნელობას უახლოვდება, უფრო სწორედ თითქოს, ვითომ ნაწილაკების მნიშვნელობით იხმარება: „მეთქი, რას აუტანთ, ცივი წვენი, ან დური. . . მეთქი, რამე, რაც გაუსწორდება, ამან კიდე ისე მიგვიღო, გეგონებოდა, ჩვენი მოსახდელი სიცხეც მაგან აიღო თავის თავზეო, სპონტამ! პოდა მაშინაც მოვწიეთ და რა მოვწიეთ?! ვკაიფობდით...“ (ბ. ჯანიკაშვილი, 2004, 16). არ არის გამორიცხული სიტყვა სპონტამ ქართულ უარგონში ზემოაღნიშნული მეორე მნიშვნელობითაც დადასტურდეს.

საყურადღებოა სიტყვა **ბეზპონტა-ც**, რასაც რუსულში შემდეგი მნიშვნელობები აქვს: “**Без панта что, что делать** 1. О чём-л. безнадёжном, обречённом заранее на неудачу. 2. Без трепотни, без обмана, действительно, по-настоящему” (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008). ქართულ უარგონში **ბეზპონტა** ნიშნავს უბრალოდ უსაქმოდ, უმიზნოდ რაიმეს კეთებას: „ეგრე ბეზპონტა ჯდომას და გარეკვას – მივუმატებ რამეს მსოფლიო ხელოვნებას“; „ჩავალ ეხლა, ამ სასაფლაოსგან ნაჩუქარი ჯიპით დავივლი ქალაქს. ისე, ბეზპონტა. ჯიგრულად დავკრუგავ“ (თ. ფხავაძე, 2007, 140; 180).

საყურადღებოა, რომ **ბეზპონტას** ყალიბის მსგავსი რუსული სიტყვები სხვაც გვხვდება ქართულ უარგონში, კერძოდ, **ბეზპრაბლემ**, **ბეზფაქტა**: „... ბეზპრაბლემ მატარებენ...“; „აეგრე, ბეზფაქტა დაახვიეს როჟებმა“ (თ. ფხავაძე, 2007, 94; 99).

საინტერესო ვითარებაა **მაფოკუსებს** სიტყვასთან დაკავშირებითაც: **მაფოკუსებს** – „თემურა მიყურებს, მაფოკუსებს“ (თ. ფხავაძე, 2007, 34). შესაძლებელია, პირდაპირ არა, მაგრამ გარკვეული ასპექტით, ეს გამოთქმა უკავშირდებოდეს რუსულ უარგონში დადასტურებულ ფოკუსის გასწორებას, რაც ყურადღებით შეხედ-

ვას, ყურადღებით დანახვას ნიშნავს: “\*\*\***Фокус поправить.** Посмотреть внимательнее. Кто это? – Фокус поправь, это же Майк (Фильм «Йа-ха»)” (ტ. გ. ნიკიტინა, 2003).

რუსული ჟარგონული ლექსიკიდანაა შემოსული ქართულ ჟარგონში **პუტანკაც** – მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. „პუტანკამ მიგიყვანა სახლში, ტო...“; „აქამდე არ მინდოდა გამემხილა, მაგრამ აქ შემხვდა ერთი თბილისელი **პუტანკა**, რომელსაც ძალიან დიდი ხნის წინ ვიცნობდი“ (ა. მორჩილაძე, 2006, 59). რუსულ ჟარგონში ამ სიტყვას ასე განმარტავებ:

“**ПУТАНА, -ы, ПУТАНКА, -и, ж.** Проститутка (обычно валютная) – из «Космоса». Путаны в чернобурках. См. Также центровой. От итал. *putana* в том же зн.” (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

რუსული ჟარგონიდანვე მომდინარეობს ზოგი რუსული სიტყვა, რომელთა წარმომავლობის დადგენა ფაქტობრივად არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს და რომელიც ქართული ჟარგონის კუთვნილებაცაა. ასეთებია **ბრატ და ბლიად:**

**ბრატ** – მიმართვის ფორმა: „ძმაო, ძმა“: „– მიგესვლება **ბრატ**, და მიდი.“; „– ეს შენ, **ბრატ!** მაგარი ვეშჩია, – მეუბნება თემურა, რაღაც მედალიონს მაჩეჩებს.“ ზოგჯერ ამ სიტყვასთან ერთად ქართულ ძმასაც ხმარობენ: „აბა როგორ გინდა, **ბრატ?**! არც გეტკინოს?! არც გეტკინოს, **ძმაო?!**“ (თ. ფხაკაძე, 2007, 27, 33, 199). **ბრატ** ჟარგონია რუსულშიც:

“**БРАТ** см. Два брата акробата; насрать у брата.

**БРАТАН, -а (или -а), БРАТЕЛЬНИК, -а, БРАТЕЛЬНИЧЕК, -чка, БРАТУШНИК, -а, БРАТУХА, -и, м.** 1. Брат. 2. Обращение к любому лицу мужского пола. Воз. от устар. диал. «братан» – двоюродный брат” (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

**ბლიად** – მომდინარეობს რუსულიდან და, ჩვეულებრივ, მსუბუქი ყოფაქცევის ქალს, ბოზს ნიშნავს, იხმარება ერთგვარ შორისდებულად, რაც უკიდურეს გაჯავრებას გამოხატავს. ეს ლექსიკური ერთეული იმდენად გავრცელებულია, რომ ამერიკაში გამოცემულ რუსულ ჟარგონის ლექსიკონშიც გვხვდება: “**БЛЯДЬ, -и, f., rude.** 1. A loose woman. ♦ Эта блудь спит со всеми подряд. “That slut sleeps with everybody”. 2. Exclamation of extreme annoyance. ♦ Замолчи, ты мне надоел, блудь! “Shut up, damn it, I’m sick of you!” (ვ. ბლიახოვი და ე. ადლერი, 1999; ბ. პ. კოლესნიკოვი და ე. ა. კორნილოვი, 1996).

ეს სიტყვა ქართულ ჟარგონში ერთგვარად სიტყვის მასალად იხმარება და უსიამოვნო ემოციებს გამოხატავს: „აააუ, მერე ისევ ბრაზმა ამიტანა, რო თემურა კუბოში წევს იქ და მე აქ ვიღაც ნაშის ლოგინს ვეზომები და ვკაიფობ, **ბლიად!**“ (თ. ფხაკაძე, 2007, 156).

ზოგი რუსული სიტყვა ვერ დავადასტურეთ რუსულში ჟარგონული მნიშვნელობით, მაგრამ ქართულში მათ ჟარგონული მნიშვნელობა აქვთ, ასეთია რუსული სიტყვა **Тиски** – გირაგი, რაც **Тискаться** ზმნიდან მომდინარეობს, რომლის მნიშვნელობაცაა: „... ჭყლეტა (იჭყლიტება). კვრა (იკვრევინება): не тискайтесь – ნუ იკვრევინებით“ (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1959). ქართულ ჟარგონში სიტყვა

**ტისკა** დაძაბულობის, მძაფრი განცდების მნიშვნელობით ხმარობენ: „ვეუბნები კი-კალას, ჯიბეში ფაქტი უდევს, მოტეხე ეგ ჩემისა-მეთქი. გადააგდე რა, სადმე კიბეს-თან დააგდე, ვინ წაიღებს, რად გინდა ქუჩაში **ტისკებით** დგომა და სიარული“ (ბ. ჯანიკაშვილი, 2004, 15). ამ შემთხვევაში ტისკი გირაგს ან ჭყლეტას უნდა უკავ-შირდებოდეს. თუმცა ქართულ უარგონში ამავე სიტყვით ნაწარმოები სიტყვა რუ-სული **Тискателься** ზმნის მეორე მნიშვნელობას უნდა უკავშირდებოდეს, ამ მაგა-ლითს ზეპირი მეტყველებიდან მოვიყვანთ: **გატისკა – სცემა:** „მაგრა გატისკეს“.

ასეთივეა, მაგალითად, **გაუპრავა და დაუპადიეზდა:**

**გაუპრავა** – გაამართლა, დააკანონა: „რისთვის არის მათთან საუბარი საჭი-რო? იმისთვის, რომ „**გაუპრავოთ**“ წარსულში ჩადენილი დანაშაული“ („ალია“, 2008, 5); **გასაპრავებელი** – დასაკანონებელი: „ბურჯანაძეს, ნოღაიდელს და კინმა-რიშვილს მილიონები აქვთ გასათეთრებელი და „**გასაპრავებელი**“. სწორედ ამი-ტომ ცდილობენ პოლიტიკაში დაპრუნებას და ქართველი ხალხისაგან ინდულგენ-ციების ყიდვას“ („ასავალ-დასავალი“, 2008, გვ., 2).

**დაუპადიეზდა** – სადარბაზოში დახვდა და საქმე გაურჩია და სხვ.

ამრიგად, ქართულ უარგონში საკმაოდ ვხვდებით უშუალოდ რუსულს ან რუ-სულის გზით შემოსულ უარგონულ ლექსიკას. ამ სიტყვებს განსაკუთრებული ად-გილი უჭირავთ ქართულ უარგონში, რაც სწორედ ენობრივი ნიშნის პრაგმატიკული დანიშნულებით ანუ მთქმელის სათქმელთან დამოკიდებულებით აიხსნება.

### ლიტერატურა:

1. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, 2003 – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
2. რ. ქურდაძე, 2009 – რ. ქურდაძე, ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის ქარ-თულ უარგონში: „ნახნაგი“, ფილოლოგიურ კვლევათა კრებული, თბ., 2009.
3. ლ. ბრეგაძე, 2005 – ლ. ბრეგაძე, ქართული უარგონის ლექსიკონი, თბ., 2005.
4. ვ. ს. ელისტრატოვი, 2008 – В. С. Елистратов, ТОЛКОВЫЙ СЛОВАРЬ РУССКОГО СЛЕНГА, Москва, 2008.
5. 6. პ. კოლესნიკოვი, ე. ა. კორნილოვი, 1996 – Н. П. Колесников, Е. А. Корнилов, ПОЛЕ РУССКОЙ БРАНИ, Ростов-на-Дону, 1966.
6. ტ. გ. ნიკიტინა, 2003 – НИКИТИНА Т. Г. СЛОВАРЬ МОЛОДЕЖНОГО СЛЕНГА, Санкт-Петербург, 2003.
7. ვ. შლიახოვი და ე. ადლერი, 1999 – Vladimir Shlyakhov, Eve Adler, Dictionary of Russian Slang & Colloquial Expressions, 1999.
8. რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1959 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1959.

**მასალები:**

1. თ. ფხაკაძე, 2007 – თ. ფხაკაძე, „ჩვენ სამნი და ანგელოზი“, თბ., 2007.
2. ა. მორჩილაძე, 2006 – ა. მორჩილაძე, „ქალალდის ტყვია“, თბ., 2006.
3. ბ. ჯანიკაშვილი, 2004 – ბ. ჯანიკაშვილი, „ოცნებებით კაიროში“, 2004.
4. „ალია“, 2008 – გაზ., „ალია“, 121, 2008.
5. „ასავალ-დასავალი“, 2008 – გაზ., „ასავალ-დასავალი“, 40, 2008.

## ქართული ლექსიკა რუსულ უარგონში\*

რუსული უარგონი და სკაბრეზული გამოთქმები მეტად მრავალფეროვანი და თავისებურია. მას კარგა ხანია სწავლობენ როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. სრულიად გასაგებია რუსული საენათმეცნიერო-ლექსიკოლოგიური წრეების ინტერესი რუსული უარგონისადმი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ საკითხისადმი სხვა ქვეყნების ინტერესიც, რადგანაც უარგონი უფრო თავისუფლად, შეუნილბავად, დაუფარავად წარმოადგენს ამა თუ იმ ხალხის ბუნებასა და ხასიათს. უარგონშივე ჩანს ამა თუ იმ ხალხის დამოკიდებულება სხვა ხალხების მიმართ.

ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, ჩვენთვის არ არის ინტერესს მოკლებული, თუ როგორ არის წარმოდგენილი ქართველი ხალხი და ქართული ლექსიკა რუსულ უარგონსა და სკაბრეზულ გამოთქმებში. რა თქმა უნდა, ერთ წერილში შეუძლებელია ამ კუთხით განვიხილოთ მთელი რუსული უარგონული ლექსიკა, რომლის შესახებაც საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს როგორც ნაბეჭდი, ასევე საინტერნეტო ელექტრონული ვერსიების სახით. წინამდებარე წერილი მხოლოდ ხუთი ლექსიკონის მასალას ემყარება; ამათგან პირველი ოთხი უშუალოდ რუსული უარგონის ლექსიკონია, მეხუთე კი XX საუკუნის რუსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონის მასალებს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, უარგონი ვიწრო სოციალური ჯგუფის მეტყველებაა, სოციალური დიალექტის სახეა, რომელიც მეტყველების ისეთ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელიც გასაგებია ადამიანთა ვიწრო წრისათვის და გაუგებარია საზოგადოების სხვა წევრებისათვის. სხვა მახასიათებლებთან ერთად უარგონი შეიცავს დამცირების, ათვალწინების (პეიორატიულ) მომენტებსაც (თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია 2003, 383-384; ქართული ენა, ენციკლოპედია 2008, 383).

დაცინვას, პეიორატიულობას უფრო მძაფრი ხასიათი ეძლევა მაშინ, როდესაც მას ერთი ერის წარმომადგენლები იყენებენ მეორე ერის მიმართ და თანაც დაცინვისა და გაკილვის მიზნით მათი მშობლიური ენის ლექსიკას მიმართავენ.

სწორედ ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რა ადგილი უჭირავს ქართულ ლექსიკას რუსულ უარგონში და როგორ იყენებს მას რუსული სლენგის მომხმარებელი.

რუსულ უარგონში, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა, თუ როგორ იხსენიებენ ქართველს ან როგორ მიმართავენ მას. ასეთ მიმართვას ირონიული ელფერი აქვს, რასაც ნათლად გამოხატავს ქართული ლექსიკის გამოყენება: ასეთია ქარ-

\* ნაშრომი ემყარება სტატიებს: „ქართული ლექსიკა რუსულ უარგონში“ (ენათმეცნიერების საკითხები, I-II, 2009, თბ., 2010) და „უარგონიზმები ქართულ-რუსულ ენობრივ ურთიერთობათა კონტექსტში“ (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული უურნბალი „სპეკალი“, №2, 2010, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/magazinHeadlines/2> ).

თული სიტყვა **კაცი** წოდებითი ბრუნვის ფორმით: **კაცო**. ეს მაგალითი ამერიკაში გამოცემული რუსული უარგონის ლექსიკონიდან მოგვყავს. ამ შემთხვევაში სალექსიკონი ფორმას აქაც და ქვემოთაც სრულად წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალასთან ერთად. კონკრეტულად **კაცოსთან** დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ამ ლექსიკონში „კაცო“ არასწორად ქართულ სიტყვა მეგობრად არის განმარტებული:

**КАЦО**, *m., indecl.* A Georgian (from the Georgian word for friend). ♦ Где этот *кацо* живёт? „Where does that Georgian guy live?“ (ვ. შლიახოვი და ე. ადლერი, 1999).

ქართველს მოიხსენიებენ ქართული ანთროპონიმებითაც. ამისათვის იყენებენ სხვადასხვა ქართული სახელის მოფერებით ფორმებს, მაგ.:

**ГÓГИЯ**, им., шутл.-ирон. *Грузин*. Елистратов, 94 (ტ. გ. ნიკიტინა, 2003). ამ სალექსიკონო ფორმას განმარტებისას მიწერილი აქვს: шутл.-ирон. – ხუმრობით, ირონიულად. ასევე ხუმრობით და ირონიულად გვხვდება: **გოგი**, **გივი**, **ვანო**, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ასევე სახუმარო, ირონიული, დამცინავი ელფერი დაჟკრავს რუსეთში მცხოვრები ზოგი ქართველი ხელოვნების მუშაკის, ან ცნობილი მოღვაწის უარგონულ სახელს. ამ შემთხვევაში ზოგჯერ იყენებენ ქართულ სიტყვას, რომელიც ერითმება ამ ადამიანის გვარს:

**РКАЦИТЕЛИ**, неизм., м., шутл.-ирон. *Скульптор Зураб Церетели*. (Запись 1999г.) (ტ. გ. ნიკიტინა, 2003).

მოქანდაკე ზურაბ წერეთელთან დაკავშირებით საყურადღებოა სხვა გამოთქმებიც. კერძოდ: **ПЁТР ЦЕРЕТЕЛЕВИЧ** – ასე უნიდებენ პეტრე პირველის ძეგლს მოსკოვში, რომლის ავტორი ზ. წერეთელია; **ЦЕРЕТЕЛИЗАЦИЯ** – ამ სიტყვით აღნიშნავენ ზურაბ წერეთლის ძეგლების სიმრავლეს მოსკოვში. მეტად საინტერესოა ამ უარგონიზმის საილუსტრაციო განმარტება, რომელიც „სრული და უსიტყვო კაპიტულაციის“ შესახებ განცხადების სტილითაა შესრულებული: **ЦЕРЕТЕЛИЗАЦИЯ** – Полная и безоговорочная церетелизация всей Москвы (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

ამავე ლექსიკურ ერთეულებთან დაკავშირებით საინტერესოა რუსულ უარგონში ხმარებული სიტყვა **ЗАРЖАВЕЛИ**. იგი ქართველს აღნიშნავს. ლექსიკონის შემდგენლის აზრით, ეს სიტყვა ქართული წერეთლის ტიპის გვართა დაბოლოების და რუსული ზმნური ფორმის შერწყმით არის მიღებული. ლექსიკონის შემდგენლი რუსულ ზმნას არ ასახელებს, თუმცა მოჰყავს გამოცანა, რომელიც აღბათ ასევე უარგონულ მეტყველებაში უნდა გვხვდებოდეს და რომლის შინაარსის მიხედვით აქ ზმნა – **ЗАРЖАВЕТЬ** „დაუანგვა“ უნდა ვიგულისხმოთ: **ЗАРЖАВЕЛИ** – Грузин. Обыгрывается созвучие окончания типичных груз. собств. имен (типа «Церетели» и т. п.) и рус. гл. формы; часто употр. В контексте загадки: «какая получится грузинская фамилия, если гвозди положить в воду?» (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

რუსულ უარგონულ სიტყვებში ხმირად ვხვდებით ქართულ გვართა დაბოლოებებს ნეგატიური მნიშვნელობით. კერძოდ, რუსულ უარგონში გვხვდება **-ძვილი** და **-ძე** დაბოლოებების მქონე შემდეგი უარგონული სიტყვები:

**МУДАШВИЛИ** – аღნიშნავს სულელს, იდიოტს. ამ უარგონული სიტყვის გავრცელებას მოწმობს მისი მოხვედრა სხვადასხვა რუსულ უარგონულ ლექსიკონში.

**МУДАШВИЛИ**, *m., indecl., joc.* A fool, an idiot (from **мудак** and typical Georgian surname formative **-швили**). ♦ *Что хочет этот мудашвили?* "What does that idiot want?" (ვ. შლიახოვი და ე. ადლერი, 1999);

მეორე ლექსიკონის მიხედვითაც ეს სიტყვა ნიშნავს სულელს და თანაც – კავკასიელს:

**МУДАШВИЛИ** – просто дурак – в кавказском исполнении. Тоже самое – МУДАК, МУДИК, МУДИЛО, МУДОФЕР, МУДОТЯП, МУДОЕБ (ტ. მაკლოვსკი, მ. კლიაინი, ა. შჩუ-პლოვი, 1999).

ამ სიტყვის პირველ ნაწილს ბევრი ვარიანტი აქვს და ამავე ლექსიკონების მიხედვით, უკავშირდება უარგონულ სიტყვებს: **МУДА**, **МУДЕ**, რომლებსაც მამაკაცის წელს ქვემოთა ნაწილად, გენიტალიებად განმარტავენ; გადატანით კი უმნიშვნელო ამბავს, ნერილმანსაც ნიშნავს (ვ. შლიახოვი და ე. ადლერი, 1999).

საყურადღებოა რუსული უარგონიზმები, რომლებშიც ქართულ გვართა -ძე დაბოლოებას ვადასტურებთ. კერძოდ, ამ დაბოლოების გამოყენებით და სიტყვათა თამაშითაა მიღებული **МАРМЕЛАДЗЕ**, ნეიზ., მ. \*\***Валерий Мармеладзе**, шутл., *Певец Валерий Меладзе. Я – молодой*, 1997, № 38 (ტ. გ. ნიკიტინა, 2003).

ქართული გვარების **-ძე** დაბოლოებით და რუსული სიტყვებით ნაწარმოებია სხვა რუსული უარგონიზმებიც, მაგალითად, მაიმუნის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი სიტყვა შიმპანზე -ძე დაბოლოებით აღნიშნავს ქართველს: **ШИМПАНИДЗЕ – Грузин**» (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

ასევე -ძე დაბოლოებით გვხვდება კომპოზიტი **ЦЕЛКОЛОМ**, რაც პირდაპირი მნიშვნელობით მთელის მტვრეველს, მსხვრეველს აღნიშნავს, უარგონში კი ამ ლექსიკური ერთეულით აღნიშნავენ ზოგადად მექალთანეს, ხოლო მის ეროვნებას ხაზს უსვამს გვარის დაბოლოება **-ძე**: **ЦЕЛКОЛОМИДЗЕ** - 1. Грузин. 2. Бабник (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

ანალოგიურად არის ნაწარმოები რუსული უარგონიზმები: «**ТУПИДЗЕ**». ამ უარგონულ ერთეულს ასახელებენ შემდეგი უარგონიზმების გვერდით: «**ТУПАК**», «**ТУПАРЬ**», «**ТУПОК** – Тупой, глупый человек» (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008). **-ძე** დაბოლოებით ვხვდებით არომატიზებული ღვინის სახელს **ვერმუტს**: «**ВЕРМУТИДЗЕ – Вермут**» (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

-ძე დაბოლოებით გვხვდება შემდეგი უარგონიზმიც რუსულში: **ВЛОМИНАДЗЕ** – лень, нехотение (ტ. მაკლოვსკი, მ. კლიაინი, ა. შჩუპლოვი, 1999). მართალია, ამ მაგალითის განმარტებაში არაა ნახსენები არც ქართველი და არც კავკასიელი, მაგრამ დაბოლოების მიხედვით აშკარაა, რომ ის ქართულ გვართა მაწარმოებელ ფორმანტ **-ძე**-ს უკავშირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მაგალითთან წარმოდგენილია ანეკდოტები, რომლებიც ქართველებზეა. მათი „გმირები“ არიან ჰომოსექსუალისტები, ზოგადად ვინმე ქართველი, გივი, გოგი და ვანო. აქ ხუთი

ფოლკლორული ნიმუშია. ჩვენ ბოლო ორს მოვიყვანთ, რადგან მათში, პირველი სა-მისაგან განსხვავებით, არ გვხვდება უხამსი სიტყვები, თუმცა გასაგებია, თუ რო-გორაა წარმოდგენილი ქართველის სახე ამ ლექსიკონში:

\*\*\*

- Дети, разберите предложение: "Гоги и Гиви пошли мыться в баню".
- Здесь Гоги – надлежащее, Гиви – подлежащее, баня – местоимение, а помыться – предлог.

\*\*\*

Встречаются два грузина. Один говорит:

- Вано, мне приснился страшный сон! ...
- Мужчина с мужчиной?
- Нэт, хужэ...
- Женщина с женщиной?
- Нэт, хужэ... Я и я! (ტ. მაკლოვსკი, მ. კლიაინი, ა. შჩუპლოვი, 1999).

ქართველს აღნიშნავენ არაქართული სიტყვებითაც. დღეისათვის რუსულ უარგონზე დიდი გავლენა აქვს ინგლისურ ენას და ეს ქართველთან დაკავშირებულ უარგონულ ტერმინებშიც გამოვლინდა, კერძოდ, ქართველს ეძახიან **ДЖОРДЖ-ს**, რაც ინგლისური **Georgian** („ქართველი“) სიტყვიდან მომდინარეობს:

**ДЖОРДЖ**, а, м., мн. **ДЖОРДЖИ**. *Грузин.* Джордж – от англ. Georgian – грузин. Приходили джорджи с *найфами*. Рожанский, 21 – 22. + Борисова-Лукашанец, 112 (ტ. გ. ნიკიტინა, 2003).

რა თქმა უნდა, ქართველიც იგულისხმება ყველა იმ უარგონულ ტერმინში, რითაც საერთოდ კავკასიელებს იხსენიებენ. ასეთია, მაგალითად, **აბრაგიდან** მომ-დინარე **АБРЕК**, რაც კავკასიელს, უპატიოსნოს, ქურდს, მატყუარას ნიშნავს:

**АБРЕК, -а, т., neg.** A Caucasian; a dishonest person, cheater (lit., an armed horseman of Caucasian). ♦ *На базаре здесь абрақ на абраке, все норовят обмануть.* "In this market it's just one thief after another, all trying to rip you off" (ვ. შლიახოვი და ე. ადლერი, 1999).

საერთოდ, კავკასიელის და მათ შორის ქართველის აღსანიშნავად რუსულ უარგონში არსებობს სომხური ანთროპონიმიც, რაც სომეხსაც აღნიშნავს და ზოგადად კავკასიელსაც:

**ХАЧ**, а, м., пренебр. *Кавказец.* Хачи как поднялись и вломили ему по полной программе. (Запись 1999 г.).

**ХАЧИК**, а, м., пренебр. 1. *Армянин.* На рынке в ларьках – одни хачики. Там весь район вокруг армянский. (Запись 1989 г.). + Югановы, 237.

2. *Представитель одной из кавказских народностей.* И уже законодателями мод становятся "хачики" (пусть на меня не обидятся представители великих грузинского, армянского и других народов). Я называю этим словом, которое в ходу на толкучках, исключительно рыночных завсегдатаев. Столица, 1992, № 38, 35 (ტ. გ. ნიკიტინა, 2003).

აღსანიშნავია, რომ გვხვდება ერთი უარგონიზმიც, რომელიც ქართული სიტყვა **ხაჭაპურიდან** მომდინარეობს, რუსული-იკ სუფიქსითაა გაფორმებული **ХАЧАПУРИК** და ნიშნავს კავკასიელს. აქვე ლექსიკონის შემდგენელს სხვა უარგონული სიტყვებიც მოჰყავს, კერძოდ, **ХАЧА**, **ХАЧЕК**, **ХАЧИК**. აქვე დასახელებულია ასეთი უარგონული სიტყვაც: **ХАЧЬЁ**, -я, ср., в зн. собир. южане, кавказцы (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008). როგორც ვხედავთ, ეს ბოლო მაგალითი კრებითი სახელის მნიშვნელობით იხმარება და სამხრეთელს, კავკასიელს, აღნიშნავს. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ორი სიტყვა გამოიყენება სამხრეთელის, კავკასიელის, აღსანიშნავად: ერთი – ქართული ხაჭაპური – **ХАЧАПУРИК** და მეორე – სომხური ანთროპონიმი **ХАЧЕК**, **ХАЧИК** და შესაძლებელია ამასვე უკავშირდებოდეს კრებითი სახელი **ХАЧЬЁ-ც**. თუმცა, ვფიქრობთ, რომ იმავე მნიშვნელობით ნახმარი **ХАЧА** უნდა უკავშირდებოდეს ქართულ სიტყვას, ხაჭაპურს. ის **ХАЧАПУРИК**-ის შემოკლებით უნდა იყოს მიღებული.

ყველა კავკასიელს მიმართავენ შემდეგი სომხური სახელითაც:

**АРМЯШКА** – Пренебрежительное название кавказца (СТЛБЖ) (ნ. პ. კოლესნიკოვი, ე. ა. კორნილოვი, 1996).

მაშასადამე, სომხურიდან მომდინარე სიტყვებით: **ХАЧ**, **ХАЧИК**, **АРМЯШКА** აღნიშნავენ ყველა კავკასიელს.

ქართველებისა და კავკასიელების მიმართ ირონიული დამოკიდებულება მუდავნდება რუსული და სხვა უცხო ენათა სიტყვებით შექმნილ უარგონულ გამოთქმებშიც, მაგ.: «**ДЖОРДЖИЯ-БЕНЦ**, **ДЖОРДЖИИ-БЕНЦ**» – კავკასიური, მეტნილად ქართული ფირმა მოსკოვში (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008); ხოლო საქართველოს ირონიულად იხსენიებენ აბრევიატურით «**ФРГ** (Федеративная Республика Грузия)» (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008), მსგავსად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა.

ასევე ირონიული მნიშვნელობითაა ნახმარი რუსულ უარგონში ზოგი რუსული სიტყვა, რომელიც საქართველოს ან მის რომელიმე რეგიონს აღნიშნავს: ასეთია ქართული ჩაის აღმნიშვნელი სიტყვა «**ГРУЗИНКА** – Грузинский чай» და შესიტყვება „აფხაზეთის ბუკეტი“, რომელიც რუსულ უარგონში აღნიშნავს რამდენიმე ვენერული დაავადების ერთად ქონას: «**БУКЕТ АБХАЗИИ** – Сразу несколько венерических болезней у одного человека» (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008). ლექსიკონის ავტორის განმარტებით, ეს უარგონიზმი მომდინარეობს სამარკო ღვინის «Букет Абхазии»-ის სახელწოდებისგან.

საინტერესო მნიშვნელობები აქვთ რუსულ უარგონში სიტყვებს **Грузин** და **Грузия**:

**ГРУЗИН**, а, м., шутл. *Лгун, обманщик; человек, который говорит вздор, ерунду.* Грузин – кто "грузит", болтает ерунду всячую (Запись 1996 г.). Он грузин тот еще, только уши подставляй под лапшу (Запись 1996 г.);

**ГРУЗИЯ**, и, ж., шутл. *Ерунда, лишняя, ненужная информация*. А учителя ей говорят типа того, что лекция ваша – такая грузия, мы и сами знаем про всё это (Запись 1996 г.) (Ф. г. Бибиофиба, 2003).

არც ამ სიტყვების განმარტებისას და არც აქ მოხმობილ საილუსტრაციო მაგალითებში ქართველი არაა ნახსენები, ეს სიტყვები უკავშირდება რუსულ ზმნას გрузить, რასაც უარგონში შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

**ГРУЗИТЬ**, жүт, несов., неодобр. 1. *Вести пустые, бессмысленные разговоры...*

2. *Лгать, обманывать кого-л.... 3. спорт. Сильно бить по мячу, отдавать навесную передачу (в футболе)... 4. кого, бизн., крим. Бить кого-л. с целью получения долга... амасзе უკავშირდება სიტყვები: ГРУЗИТЬСЯ, ГРУЗЧИК* (Ф. г. Бибиофиба, 2003).

საყურადღებოა, რომ ამათგან მომდინარე სიტყვა ქართულ უარგონშიც იხმარება: „**გრუზავს** – ბევრი ლაპარაკით ტვინს ულაყებს, „ტვირთავს“ (შდრ. რუს. грузить – ტვირთვა). „– სანდრიკო, იცი, ამ ბოლო დროს უხეში გახდი. – წადი, რა, ან გაჩუმდი, ნუ **მცრუზავ**“ (დავით ქართველიშვილი) (ბრეგაძე 2005). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ქართველისა და საქართველოს სახელები რუსული უარგონის მომხმარებლებს საგანგებოდ არ შეურჩევიათ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სიტყვების თუნდაც შემთხვევითმა დამთხვევამ კიდევ ერთხელ გახაზა ქართველებისა და საქართველოს მიმართ ირონიული, დამცინავი დამოკიდებულება.

ირონიული დამოკიდებულებით სხვა ქართული სიტყვებიც გვხვდება რუსულ უარგონში. ვფიქრობთ, ასეა, როცა პოპულარული ამერიკული მუსიკალური ჯგუფის სახელს „ბონ ჯოვი“ მასთან ხმოვანებით ერთგვარად ახლო მდგომი ქართული სიტყვით **ბორჯომით** ცვლიან:

**БОРЖОМИ**, неизм. шутл. *Американская группа "Бон Джови", пользующаяся огромной популярностью у девочек всего Союза (СНГ)*. МК, 07.08.92+Я – молодой, 1995, №6; Я – молодой, 1997, №45 (Ф. г. Бибиофиба, 2003). ასევეა მაშინაც, როდესაც რომელიმე ქართულ სიტყვას ირონიით განსხვავებული მნიშვნელობით ხმარობენ, კერძოდ, თამადას (тамада) დაცინვით სუფრაზე თვითნებურად მოთავე ქალიშვილს ან ქალს უძახიან:

**ТАМАДА** – ДЕВКА, верховодящая за столом. Тоже самое – МАССОВИК-ЗАТЕЙНИК (Ф. მაკლოვსკი, მ. კლიაინი, ა. შჩუპლოვი, 1999).

რუსული უარგონული ლექსიკონების შემდგენლებს ზოგჯერ ისეთი ქართული სიტყვა შეაქვთ ლექსიკონში, რომელიც არც ქართულშია უარგონიზმი და არც რუსულში. კერძოდ, ასეთია ქართული სახელი **კობა**:

**КОБА** – партийная кликуха И. Сталина (Ф. მაკლოვსკი, მ. კლიაინი, ა. შჩუპლოვი, 1999). სხვათა შორის, ამ სიტყვას უარგონული სიტყვითვე განმარტავენ **"кликуха"**-ც უარგონულია, ის მეტსახელს ნიშნავს (ვ. შლიახოვი და ე. ადლერი, 1999). ამ შემთხვევაში **კობა** მხოლოდ იმიტომ მიაჩნიათ ლექსიკონის შემდგენლებს უარგონიზმად, რომ ის სტალინის რევოლუციური მეტსახელია. ავტორები არ აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამგვარი მეტსახელები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში შემდგომ ფსევდონიმებადაც გაფორმდა, ბევრ რევოლუციონერსა და პოლი-

ტიკურ ლიდერს აქვს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითონ ლენინიც და სტალინიც ფსევდონიმებია. მაგრამ კობას კი უარგონიზმად თვლიან. საქართველოში ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ კობა იაკობის მოფერებითი ფორმაა და სტალინის რევოლუციური პერიოდის მეტსახელია. რუსული უარგონული ლექსიკონის ავტორებმა კი კობა უარგონიზმად მიიჩნიეს და ამ ლექსიკურ ერთეულთან თითქმის გვერდნახევრიანი მინაწერი წარმოადგინეს, რომლის მიხედვითაც სტალინი სომხური წარმოშობისაა და საკმაოდ გარყვნილი პიროვნებაა, რომელსაც სისხლის აღრევაც კი ბრალდება. რასაკვირველია, ყოველივე ეს ქართველისა და ქართულის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენაა. მაგრამ ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში არ არის პიროვნების დაცვა, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ყველა რუსული ლექსიკონი არ არის ასეთი ტენდენციური, ზოგიერთ მათგანში იმავე სტალინთან დაკავშირებით საინტერესო მასალებსაც ვხვდებით. კერძოდ, ერთ-ერთ ლექსიკონში, რომელშიც სალექსიკონო ფორმად დასახელებულია: "отец народов, отец родной И. В. Сталин" წარმოდგენილია ასეთი მინაწერი:

"В разговоре с поэтом Чиковани переводчик А. Г. Сендик обмолвился однажды  
– Ваш Сталин..."

– Наш Сталин! – задумчиво повторил Чиковани и иронически хмыкнул. – Почему – наш? В Грузии он был всего только сыном пьяничужки-дьячка (которого за давностью лет стали выдавать сначала за сапожника, а потом за рабочего обувной фабрики). Это у вас он стал "отцом родным"! Смотри-ка, какой ты остроумный – наш, видите-ли, Сталин! Ваш, Анатолий Геннадиевич! Ваш!" (გ. გუსეინოვი, 2003).

აქ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ ქართული სიტყვების გამოვლენა რუსულ უარგონულ ლექსიკაში მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ქართული სიტყვა საოცრად განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება რუსულ უარგონში. ასეთია, მაგალითად:

**ЧОНГУРИ**, რაც ბგერობრივი შედგენილობით ზუსტად ემთხვევა ქართული ხალხური მუსიკალური საკრავის სახელს – **ჩონგურს**, თუმცა მნიშვნელობით წარმოუდგენლად განსხვავებულია, ის შორეული აღმოსავლეთიდან დედაქალაქში ჩამოსულ ჰომილექსუალისტს აღნიშნავს:

**ЧОНГУРИ** – гей, приехавший в столицу с Дальнего Востока. Что не шаг – улется в какашку (ტ. მაკლოვსკი, მ. კლიაინი, ა. შჩუპლოვი, 1999).

ამ შემთხვევაში, ბგერობრივი შედგენილობის მსგავსების გარდა, არავითარი საფუძველი არა გვაქვს, ეს ორი სიტყვა ერთმანეთს დავუკავშიროთ, აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ **ЧОНГУРИ-ს** რაიმე სხვა მნიშვნელობა რუსულში ჩვენთვის უცნობია. ასეთი მაგალითები სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ რუსულ უარგონში გვხვდება რამდენიმე ქართული სიტყვაც, რომლებშიც არაა გამოვლენილი ირონიული დამოკიდებულება ქართველების მიმართ, კერძოდ: **ბატონი**, რაც აღნიშნავს მამას, უფროსს, საპატიო ადამიანს, წინამძღვანს. იქვე მიუთითებენ, რომ შესაძლებელია მომდინარეობდეს ქართული „ბატონოდან“, თუმცა ამ სიტყვას არასწორად განმარტავენ, კერძოდ, რუსულად

мამად, «отец»-ад таრгомбнааб: «БАТОН – Отец; старший по званию, начальник, уважаемый человек, предводитель. Возм. от грузинского «батоно» – отец» (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008). «БАТОН»-ს რუსულ უარგონში სხვა მნიშვნელობებიც აქვს, კერძოდ: სიმპათიური ქალიშვილი; უცნაური, უმეგობრო ადამიანი; დიდი ჩანთა და სხვ. ამ მნიშვნელობებს არც ლექსიკონის შემდგენელი უკავშირებს ქართულს და ჩვენთვისაც ძნელია ამ შემთხვევაში ეს ერთეული ქართულ „ბატონს“ დაუკავშიროთ.

საინტერესო ვითარებაა რუსულ უარგონში დადასტურებულ სიტყვა ხანუ-მასთან დაკავშირებით, რაც მორჩენას, მოთავებას, ჩავარდნას, საკმარისს ნიშნავს: კერძოდ, «ХАНУМА (или ТЁТЯ ХАНУМ) – хана, конец, капут, провал» (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008). ამ სიტყვებს არავითარი კავშირი არა აქვს არც პიესა „ხანუმასთან“ და არც საქართველოსთან. ლექსიკონის შემდგენლის მითითებით, ამ შემთხვევაში ხანუმასა და რუსულ უარგონში არსებულ სხვა სიტყვა «ХАНА»-ს დამთხვევით მივიღეთ ეს უარგონული გამოთქმები. სიტყვა «ХАНА»-ც მორჩენას, მოთავებას, ჩავარდნას ნიშნავს, ხოლო სახელი «ХАНУМА» პიესა „ხანუმას“ გ. ტოვ-სტონოგოვისეული რუსული ვარიანტით იყო ცნობილი რუსეთში.

საყურადღებოა, რომ რუსულ უარგონში ვხვდებით ქართული წარმოშობის შორისდებულებს, როგორებიცაა: «ВА», «ВАЙ», «ВАЙМЕ», «ВАХ» – ესენი ნაირფეროვან ემოციებს გამოხატავენ. ლექსიკონის შემდგენელი შენიშნავს, რომ ესენი კავკასიელ ხალხთა ექსპრესიული შეძახილებიდან მომდინარეობს. «ВА»-ს ლექსიკონის შემდგენელი სავსებით სამართლიანად «ВАЙ»-ის შემოკლებულ ვარიანტად მიიჩნევს: «ВАЙ – Обычно выражает неодобрение, несогласие, гореч и т. п.» (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ შესაძლებელია ასეთი ექსპრესიული შეძახილები, ქართველების გარდა, სხვა კავკასიელი ხალხების გამოთქმებშიც გვხვდებოდა, მაგრამ ზემოხსენებული უარგონული შორისდებულის წარმომავლობას ხაზს უსვამს «ВАЙМЕ» – ვაიმე შორისდებულის შედგენილობა. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ვაი და მე, სადაც მე წარმოშობით პირველი პირის ნაცვალსახელია ქართულში.

საყურადღებოა, რომ რუსულ უარგონში ამავე შორისდებულების მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე ჩვეულებრივი ანთროპონიმი «ВАХТАНГ», რაც, ლექსიკონის შემდგენლის აზრით, კონტამინირებული ფორმაა: «ВАХТАНГ – То же, что ВАХ. Контаминация ВАХ и собств. груз. «ВАХТАНГ» (ვ. ს. ელისტრატოვი, 2008).

წარმოდგენილი მასალის მიხედვით აშკარაა ის ირონიული და დამცინავი დამოკიდებულება, რაც დამახასიათებელია უარგონული მეტყველებისათვის საერთოდ და კერძოდ რუსული უარგონისათვის. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ მოყვანილი მაგალითები ასახავს მთელი რუსეთის დამოკიდებულებას ქართველების მიმართ, მაგრამ საზოგადოების ერთ ნაწილში, რომელიც ამ უარგონული ლექსიკის მომხმარებელია, ქართველების მიმართ ასეთი დამოკიდებულება ნამდვილად არსებობს. ამასთანავე რუსულ უარგონში გვხვდება ქართულ ენასთან დაკავშირებული ისეთი ლექსიკური ერთეულებიც, რომლებშიც არ არის გამოვლენილი ირონიული დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოს მიმართ.

## **ლიტერატურა:**

1. ლ. ბრეგაძე, 2005 – ლ. ბრეგაძე, ქართული უარგონის ლექსიკონი, თბ., 2005.
2. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, 2003 – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
3. ქართული ენა, ენციკლოპედია 2008 – ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.
4. გ. გუსეინვი, 2003 – Г. Гусейнов, Д. С. П, Материалы к Русскому Словарю общественно-политического языка XX века, Москва 2003.
5. ნ. პ. კოლესნიკოვი, ე. ა. კორნილოვი, 1996 – Н. П. Колесников, Е. А. Корнилов, ПОЛЕ РУССКОЙ БРАНИ, Ростов-на-Дону, 1996.
6. ტ. მაკლოვსკი, ბ. კლიაინი, ა. შჩუბლოვი, 1999 – Т. Макловски, М. Кляйн, А. Щуплов, Жаргон-энциклопедия сексуальной туссовки для детей от 8 месяцев до 18 лет, научное издание, (жест-1), Москва; Т. Макловски, М. Кляйн, А. Щуплов, Жаргон-энциклопедия сексуальной туссовки для детей от 18 до 80 лет и дальше, научное издание, (жест-2), Москва, 1999.
7. ტ. გ. ნიკიტინა, 2003 – НИКИТИНА Т. Г. СЛОВАРЬ МОЛОДЕЖНОГО СЛЕНГА, Санкт-Петербург, 2003.
8. ვ. შლიახოვი და ე. ადლერი, 1999 – Vladimir Shlyakhov, Eve Adler, Dictionary of Russian Slang & Colloquial Expressions, 1999.
9. ვ. ს. ელისტრათოვი, 2008 – В. С. Елистратов, ТОЛКОВЫЙ СЛОВАРЬ РУССКОГО СЛЕНГА, Москва, 2008.

### III. თანამედროვე ქართული ენის გენდერული ასპექტები

#### ენისა და გენდერის პრობლემა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში\*

დღეისათვის კარგად ცნობილია, რომ ყველა ენა საინტერესოა გენდერული თვალსაზრისით. ყველა ენას შეუძლია თავისი მონაცემებით გაამდიდროს ენისა და გენდერის ურთიერთობის კვლევა და თავისი წვლილი შეიტანოს გენდერის საკითხების შესწავლაში, თავის მხრივ კი, გენდერული და სოციალური საფუძვლების გათვალისწინებით შესაძლებელია აიხსნას ენაში ისეთი მოვლენები, რომლებიც ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებით არ აიხსნება.

ჩვენი მოხსენების მიზანია ვაჩვენოთ, თუ როგორ უნდა იქნეს განხილული სამხრეთ კავკასიური ენის, ქართულის, და მისი 16 დიალექტის მონაცემები ზემოაღნიშნულის მიხედვით.

ქართულში დღემდე არ არის სათანადოდ გამოკვლეული, თუ რა დატვირთვას იღებენ მდედრობითისა და მამრობითის აღმნიშვნელი სიტყვები საზოგადოებრივ ყოფასთან მიმართებით, როგორ ვლინდება ქალის სახე ანდა კაცის სახე სხვადასხვა სოციალურ დონეზე და მათგან რომელს ენიჭება პრიორიტეტი სოციალური ურთიერთობის დროს.

მოხსენებაში წარმოვადგენთ რამდენიმე საკითხს, რომლებიც, ვფიქრობთ, საინტერესოა გენდერული თვალსაზრისით.

ქართულში და ასევე მის მონათესავე მეგრულ, ლაზურ და სვანურ ენებში არ გვხვდება სქესის გრამატიკული კატეგორია. ამ ენებში მხოლოდ მდედრობითის და მამრობითის აღმნიშვნელი სიტყვები გვაქვს: ქალი, კაცი; დედა, მამა; დედალი, მამალი; ძროხა, ხარი და სხვა. მაგრამ საყურადღებოა, რომ ე. წ. საშუალ ქართულში (XII-XVIII საუკუნეები) იყო ცდა - ა სუფიქსის გამოყენებისა მდედრობითი სქესის პიროვნებათა აღსანიშნავად: მეფ-ა, უფალ-ა, იგი-ა... შდრ.: მეფე, უფალი, იგი.

გრამატიკული სქესის უქონლობის გამო ეს სუფიქსი არ შეესაბამებოდა ქართული ენის ბუნებას, მაგრამ მაინც ცდილობდნენ მის დამკვიდრებას უცხო ენების გავლენით. არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული სუფიქსის გამოყენება საშუალ ქართულში მთარგმნელობით საქმიანობას უკავშირდება. პრაქტიკულად აღნიშნული ფუნქციით - ა სუფიქსის დატვირთვა საშუალ ქართულში განაპირობა ჯერ-ძნულის, შემდგომ რუსულის დედანთან მიახლოების მცდელობამ, ე. ი. საქმე გვაქვს იმ ენების გავლენასთან, რომელთაც სქესის კატეგორია გრამატიკულად გარჩეული აქვთ (კ. დონდუა, 1975, 60-61; 65).

\* წაკითხულია მოხსენებად ენისა და გენდერის მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე ინგლისში, ლანკასტერის უნივერსიტეტში 2002 წლის 14 აპრილს, დაიბეჭდა კრებულში „საენათმეცნიერო ძიებანი“, ტ. XIII, თბ., 2002.

ვიმეორებთ, სქესის გრამატიკული კატეგორია უცხოა ქართულისათვის, -ა სუფიქსის გამოყენება მდედრობითი სქესის პიროვნებათა აღსანიშნავად საშუალო ქართულში ხელოვნური და არაბუნებრივი იყო.

თუმცა ქართულშიც შესაძლებელია გარკვეული სოციალური მოთხოვნილება განაპირობებდეს მდედრობითი სქესის პიროვნებათა მარკირებას. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ თანამედროვე ქართული ენის რიგ დიალექტებში ვადასტურებთ სპეციალურ სუფიქსებს, რომლებიც გათხოვილი ქალის ქალიშვილობის გვარს დაერთვის და ქმრის სოფელში, ქმრის სახლში ქალი ამგვარი ფორმით მოიხსენიება. მაგ.: აღმოსავლეთ საქართველოს კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში -ურ-ი (ასიმილაციით -ულ-ი) სუფიქსებით. მაგ.: მახარობლიშვილიდან – მახარობლიშვილიდან – მექრიაული და სხვ. (ს. მენთეშაშვილი, 1943).

-ურ სუფიქსი ამავე ფუნქციით გვხვდება დასავლეთ საქართველოს მთის დიალექტში, რაჭულში: ჩალაძის გვარიდან გამოთხოვილი ქალი იქნება – ჩალაური, გოგსაძისაგან – გოგსაური და სხვ. (ალ. კობახიძე, 1987).

ამავე ფუნქციით დასავლურ დიალექტებში, მაგ., იმერულში, გვხვდება -ოურ სუფიქსი. კერძოდ, კვინიკაძის გვარიდან გამოთხოვილი ქალი იქნება – კვინიკოური, ხუსკივაძისაგან – ხუსკიოური და სხვ. (პ. გაჩეჩილაძე, 1976).

გურულ დიალექტში ასეთ სუფიქსად -ფხე გვხვდება: ცინცაძის გვარიდან გამოთხოვილი ქალი იქნება – ცინცაიფხე, ღლონტისაგან – ღლონტიფხე და სხვ. (ს. ულენტი, 1936, 64). გურულ დიალექტშივე გვხვდება იმავე სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტი, -ხე. -ხე სუფიქსი დასტურდება ქვემოიმერულ კილოკავშიც, კერძოდ, ფარცხალაძის გვარისაგან გამოთხოვილი ქალი იქნება – ფარცხალაიხე, ბუიძისაგან – ბუიხე და სხვ. (შ. ძიძიგური, 1970, 156; კ. კუბლაშვილი, 1985, 122; ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, 1988).

ამ მხრივ საყურადღებოა სხვა დიალექტების მონაცემებიც, კერძოდ, ჯავახურისა და აჭარულის ნიმუშები. ჯავახურში გათხოვილი ქალის წარმომავლობა აღინიშნება -ულ-ა სუფიქსით, რომელიც დაერთვის იმ გეოგრაფიულ სახელებს, საიდანაც გამოთხოვილია ქალი. მაგ.: სოფელ ჩუნჩხათიდან გამოთხოვილ ქალს ეძახიან ჩუნჩხულას, სოფელ ქუნციდან გამოთხოვილ ქალს – ქუნცულას. ასევეა აჭარულშიც -ურ-ა სუფიქსი: ზენდიდურავ – სოფელ ზენდიდიდან გამოთხოვილი ქალი; ბათუმურავ – ქალაქ ბათუმიდან გამოთხოვილი ქალი და სხვ. (ბ. ჯორბენაძე, მ. ბერიძე, მ. კობაძე, 1988; ნ. სურმავა, 1983, 7).

მესხური დიალექტის მასალა სხვა მხრივაც საყურადღებოა. ამ დიალექტის ჯავახურ კილოკავში -ურ/-ულ სუფიქსი, როგორც აღვნიშნეთ, გათხოვილი ქალის წარმომავლობას გვიჩვენებს ადგილის სახელის მიხედვით, მაგრამ მთლიანად მესხური დიალექტისათვის (რომელშიც ჯავახური კილოკავიც შედის) დამახასიათებელია ასეთი ფაქტი: წარმომავლობის -ურ და -ელ სუფიქსებმა შეიძლება განასხვავონ მამაკაცი და ქალი; ერკოტული (← ერკოტური) არის ქალი, ერკოტელი კი კაცი (ბ. ჯორბენაძე, მ. ბერიძე, მ. კობაძე, 1988), მაშინ, როდესაც ეს სუფიქსები სალიტერატურო ქართულ ენაში განარჩევენ არა კაცისა და ქალის წარმომავლობას,

არამედ -ელ გვიჩვენებს ზოგადად ადამიანს (ქალსაც და კაცსაც), -ულ კი – საგანს, ნივთს. მაგ.: ბრიტანელი (პირი), მაგრამ ბრიტანული ნაწარმი, პროდუქტი.

ქართული ენის დიალექტებში განსაკუთრებით საინტერესოა ლექსიკურად გამოვლენილი გენდერული განსხვავებულობანი. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ტერმინები ვაჟიშვილი და ქალიშვილი. კერძოდ, ზოგ დიალექტში გოგო შვილად არ მოიხსენიება. კაცი, რომელსაც ჰყავს სამი შვილი – ერთი ბიჭი და ორი გოგო – კითხვაზე, თუ რამდენი შვილი ჰყავს მას, უპასუხებს: ერთი შვილი და ორი გოგო. შვილში, ჩვეულებრივ, ბიჭი იგულისხმება.

ასეთი ვითარებაა ხევსურულ, თუმურ, მთიულურ, მოხეურ და აჭარულ დიალექტებში, აგრეთვე ინგილოურში, რომელიც ამჟამად საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, აზერბაიჯანის რესპუბლიკაშია (ლ. კაიშაური, 1967, 240; შ. ნიუარაძე, 1971, 388; ნ. როსტიაშვილი, 1978; ივ. ქავთარაძე, 1985, 359 და სხვ.).

ქალიშვილის აღსანიშნავად, ჩვეულებრივ, ხმარობენ გოგოს ან ქალს. მაგალითად: აჭარულში (ზემოაჭარულში), სადაც ვაჟი შვილად იხსენიება, ქალიშვილის აღსანიშნავად დასტურდება: გოგოშვილი, გომბიო, გოგო, ციცა.

ქართული ენის ინგილოურ დიალექტში შვილი აღნიშნავს ვაჟიშვილს წარმოქმნილ ნათესაურ ტერმინებშიც, რომლებშიც მამიდამშეულ – მამიდაშვილ ვაჟს ნიშნავს, ხოლო გოგონასათვის იმავე დიალექტში მამიდაძეალ გვხვდება (რ. ლამბაშიძე, 1988).

მოხეურ დიალექტში ბალდი აღნიშნავს მხოლოდ ვაჟიშვილს, თუმცა ამავე სიტყვით სხვა მთის დიალექტებში – მთიულურ-გუდამაყრულში, ფშაურსა და თუშურში – ორივე სქესის შვილი აღინიშნება (ა. შანიძე, 1984, 286; ივ. ქავთარაძე, 1985, 177).

შვილის ანუ ვაჟიშვილის დომინანტობა მთის დიალექტებში მიმართვის ფორმებშიც ვლინდება. მაგალითისათვის მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის ნიმუშებს დავასახელებთ, სადაც „ოჯახის უფროსს ჩვეულებრივ უფროსი ვაჟიშვილის სახელით მიმართავენ. მაგ., „შალიკოს მამაო“ – მიმართავდა ერთი მთიული ქალი თავის მეზობელს, რომლის უფროს ვაჟიშვილს შალიკო ერქვა“; „შიოს მამავ! – პატივისცემით მიმართვა მამაკაცისადმი მისი შვილის (ვაჟიშვილის – რ. ქ.) სახელის მიხედვით. ამგვარად მიმართავენ, როცა სახელის დაძახებისა ერიდებათ. შესაბამისად, დედაკაცსაც ასე მიმართავენ: შიოს დედავ!“ (ლ. კაიშაური, 1967, 132; ქართ. დიალ., 1961, 573).

ჩვეულებრივ, ვაჟიშვილი ოჯახის მემკვიდრედ, საოჯახო ქონების მოწილედ, წილის მქონედ ითვლება როგორც საქართველოს მთის, ასევე ბარის რეგიონებში. ქალიშვილს საოჯახო მემკვიდრეობაში (იმ შემთხვევაში, თუ იგი მარტო არაა და ოჯახში ვაჟიც ჰყავთ) წილი არა აქვს, მისი წილი ოჯახიდან მზითვით განისაზღვრება. ამდენად, იგი არაა მოწილე. ამ სოციალური სურათის ერთგვარი გამოვლინებაა მთის დიალექტებში – მთიულურ-გუდამაყრულში, მოხეურში, ფშაურსა და ხევსურულში – დადასტურებული ვითარება, სადაც უმვილოს (ე. ი. უძეოს, უვაჟიშ-

ვილოს) აღმნიშვნელად უწილო გვხვდება (ა. შანიძე, 1984, 410, 452; ლ. კაიშაური, 1967, 243; ო. ქაჯაია, 1967, 429).

ჩვენი აზრით, საოჯახო ქონებაში მოწილეობა შესაძლებელია ისტორიულად განაპირობებდეს ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების – ძმისშვილისა და დის-შვილის – ჩამოყალიბებას. მათში განირჩევა მშობლების სქესი, ვისი შვილია, ვაჟიშ-ვილის თუ ქალიშვილის, და არა ბავშვის სქესი. განსხვავებით ინდოევროპული ენე-ბისაგან, სადაც ბავშვების სქესია გარჩეული და არა – მშობლისა. შდრ.: რუსული: **племянник, племянница; германец**: Neffe, Nichte; ინგლისური: nephew, niece.

ქართული დიალექტების მონაცემებზე დაყრდნობით ვვარაუდობთ, რომ სა-ერთო-საოჯახო ქონების გაყოფის შემთხვევაში, დიდი პატრიარქალური ოჯახის პირობებში, როდესაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა, მნიშვნელოვანი იყო არა დედმამიშვილთა შვილების სქესი, არამედ ის, თუ დედმამიშვილთაგან ვისი შვილი, ვისი ვაჟი იყო: ვაჟიშვილისა თუ ქალიშვილისა.

„დისშვილის“ და „ძმისშვილის“ ამ მიმართებით განხილვა სოციალურ-ყოფით რეალობას უფრო ადეკვატურად უნდა წარმოგვიდგენდეს, რადგანაც ძმის ძეც მემკვიდრეობის მოწილედ შეიძლება ჩათვლილიყო, განსხვავებით დის ვაჟისაგან, რომელსაც თავისი მემკვიდრეობა, ნილი მამის მხრიდან ერგებოდა.

გენდერული განსხვავებულობა ჩანს შთამომავლობის, მოდგმის აღმნიშვნელ ტერმინებიც ქართული ენის მოხეურ დიალექტში. კერძოდ, ჯილაგი აღნიშნავს მოდგმას დედის მხრიდან, ჯიში კი – მამის მხრიდან (ო. ქაჯაია, 1967, 450, 451; ივ. ქავთარაძე, 1985, 395, 396).

სალიტერატურო ქართულში ჯიში და ჯილაგი სინონიმებია, მათ შორის გენ-დერული განსხვავება არა გვაქვს.

მოხეურ დიალექტში საინტერესოა ტერმინები: ხონჯრისანი, ხონჯრისები, რაც კაცის მხრიდან შთამომავლობას, შვილებს, შვილიშვილებს აღნიშნავს (ი. ქავთარაძე, 1985, 387). „ხონჯარ“ მიღებულია ხვანჯარისაგან ვა→ო გადასვლით და შარვლის ერთგვარ ქამარს ნიშნავს. ამრიგად, ამ შემთხვევაში კაცის შვილების, შვილიშვილების აღმნიშვნელი ტერმინი შარვლის ქამარს უკავშირდება – ხონჯრისანი, ხონჯრისები ე. ი. ქამრისები.

მსგავსი სახელწოდება ქალის ტანსაცმელთან დაკავშირებით ვერც მოხეურ-ში და ვერც სხვა რომელიმე დიალექტში ვერ დავადასტურეთ, მაგრამ შეგვხვდა ასეთი იდიომი: „ბარკლის მოკეთე“, რაც ცოლეურებს, მოყვრებს, არასისხლით ნათესავებს ნიშნავს (ო. ქაჯაია, 1976, 391).

შესაძლებელია ქალის სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვა გენდერული განსხვავებულობის საფუძველი აღმოჩნდეს. ეს არ ეხება ნათესაურ ურთიერთობათა ლექსიკას, მაგრამ საინტერესოა საკვლევ საკითხთან მიმართებით. კერძოდ, მოხეურ დიალექტში სიტყვა **კაჩა** აღნიშნავს ბარძაყს (ო. ქაჯაია, 1967, 405). ქალთან დაკავშირებით ამ სიტყვისაგან ნაწარმოებ ზმებს იყენებენ მოხეურ დიალექტსა და მთიულურ კილოკავში, კერძოდ, მოხეურში: „**ამაკაჩა** – კაბის კალთების

ისე მაღლა აწევა, რომ ბარძაყები ჩანდეს“ (ო. ქაჯაია, 1967, 378); მთიულურში: „**და-იკაჩავს** – მეტად მოკლე კაბას ჩაიცმევს, კაჩებს გამოაჩენს“ (ლ. კაიშაური, 1967, 198). მაგრამ ზოგადად როგორც კაცის, აგრეთვე ქალის მიერ ტანსაცმლის კალთების ან სამოსის სახელობის მაღლა აკეცვისას იმავე მოხეურ დიალექტსა და ქართული ენის მთის სხვა დიალექტებში ხმარობენ სხვა სიტყვას – **ამოკოლთვას** (ო. ქაჯაია, 1967, გვ. 378; ა. შანიძე, 1984, 340), რომელიც არ გულისხმობს იმ ნიუ-ანსს, რომელიც სიტყვა კაჩას შემთხვევაში ქალის ფეხს მიანიშნებდა.

ყურადღებას იქცევს ქალის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან ე. წ. „**დედა-თა წესთან**“ (მენსტრუაციასთან) დაკავშირებული ტერმინები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ეს ტერმინები ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობის ჩვენებასთან ერთად წარმოგვიდგენდა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო განცალკევებული, იზოლირებული ამ მდგომარეობაში მყოფი ქალი სოციუმისაგან. კერძოდ, ამ პერიოდში ქალს არ შეეძლო სახლში ცხოვრება. იგი უნდა ყოფილიყო განცალკევებულ ადგილას. არ უნდა მიკარებოდა ვინმეს, სანამ მენსტრუაციის პერიოდი არ დამთავრდებოდა. ეს ეხება საქართველოს მთას, ქართული ენის მთის დიალექტებს. ცხოვრების ასეთმა წესმა ბოლო დრომდე (XX საუკუნის მეორე ნახევარი) მოაღწია, რა-საც ქართული ენის მთის დიალექტებში დადასტურებული ტერმინები გვიჩვენებენ.

ა) ადგილები, სადაც უნდა იმყოფებოდეს ქალი „**დედათა წესის**“ დროს, ხევსურულ დიალექტში ასეთებია: **ბოსელი, სანაქო, შენაქო, სამრევლო, სამრელო** – სოფლის ბოლოს, მოშორებით ქოხი თვიურიანი ქალების სამყოფად. სამრევლო გვხვდება თუშურ დიალექტშიც (ა. შანიძე, 1984, 292; 391-392; ქართ. დიალ., 1961, 556).

ხევსურეთში დადასტურებულია „**საჩეხიც**“, რაც მშობიარე დედაკაცისათვის გაკეთებულ ქოხს ნიშნავს, თუმცა „**დედათა წესის**“ მიდამოდაცაა განმარტებული (ა. შანიძე, 1984, 397).

ბ) „**დედათა წესის**“ აღმნიშვნელი ტერმინები: ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში გვხვდება ტერმინი **ბოსლობა** (ა. შანიძე, 1984, 392), რაც **ბოსელ** სიტყვაზე აბსტრაქტული სახელების **-ობა** სუფიქსის დართვითაა მიღებული. კარს ყოფა – იმასვე ნიშნავს და დადასტურებულია გუდამაყრულ, ფშაურ, ხევსურულსა და თუშურ დიალექტები (ა. შანიძე, გვ. 1984, 337).

გ) ქალი „**დედათა წესის**“ დროს.

**მებოსლე** (ა. შანიძე, 1984, 357). მიღებულია **ბოსელ** სიტყვაზე დანიშნულების აღმნიშვნელ **მე-** – **ე** კონფიქსის დართვით. **კარს მყოფი** (ა. შანიძე, 1984, 337). **მყოფი** აწმყო დროის მიმღეობაა. ამავე მნიშვნელობით წარსული დროის მიმღეობაც გვხვდება – **კარს ნამყოფი**.

აღსანიშნავია ტერმინი **ნარევი**, რომელიც მთიულურ კილოკავში მენსტრუაციის მქონე ქალს აღნიშნავს, ხევსურულ დიალექტში კი – ადამიანს, რომელმაც მკვდარი უნდა მოამზადოს დასამარხად (ა. შანიძე 1984, 362; 372). საინტერესოა ხევსურული ტერმინი **მირეული**, რომელიც ასევე მენსტრუაციის მქონე ქალს აღნიშნავს, მეორე მნიშვნელობით კი ესაა „**კაცი, ვინც მკვდარს გაასვენებს** და და-

მარხავს (ხევსურები მას არ ეკარებიან) ან ვინც „მებოსლე“ დედაკაცთან მივა“ (ა. შანიძე, 1984, 362).

მთიულურ-გუდამაყრულ და თუშურ დიალექტებში გვხვდება ტერმინი ქალის ალსანიშნავად, რომელსაც ჯერ მენსტრუაცია არ მოსდის, ესაა – **უმრეცხლო** (ა. შანიძე, 1984, 409), რაც „რეცხვა“ ზმინდან მომდინარეობს და ნაწარმოებია უარ-ყოფითობის მაჩვენებელი უ- – -ო კონფიქსით და ნიშნავს პირს, ვისაც გარეცხვა (განმენდა) არ სჭირდება. ალსანიშნავია, რომ ამ ტერმინით ხევსურულ დიალექტში ორსულ ქალს აღნიშნავენ. ეს გასაგებიცაა, რადგან ფეხმძიმობის დროს მენსტრუაცია წყდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დედათა წესის“ დროს ქალი განცალკევებული უნდა ყოფილიყო სახლიდან. მაგრამ ირკვევა, რომ ზოგ შემთხვევაში ქალებს „დე-დათა წესის“ დროს მაინც უხდებოდათ სახლში ყოფნა და ერთგვარად წმინდად ვერ ინახავდნენ სახლს. ასეთი შემთხვევისათვის ფშაურ, მთიულურ-გუდამაყრულ დიალექტებში დადასტურებულია ტერმინები: **რევა, მორევა** (ა. შანიძე, 1984, 382).

ხევსურულსა და ფშაურ დიალექტებში დადასტურებულია წარსული დროის მიმღეობა **ნალაჟი** ადგილი, სადაც თვიურიანი დედაკაცი გაივლის, მისი წადგომი, ნავალი ან ხელმონაკიდი (ა. შანიძე, 1984, 371; ქართ. დიალ., 1961, 593).

გენდერული ლექსიკის სპეციფიკის გასაცნობად საინტერესოა სხვა შემთხვევებიც. ზოგჯერ ასეთ განსხვავებას სამეურნეო იარაღების წაირსახეობებიც გვიჩვენებენ. კერძოდ, ხევსურულ დიალექტში თიბვასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ცელისა და წენცელის მომხმარებელთა აღმნიშვნელი სიტყვები: **წენცელი** – ესაა ხელის ცელი, ნამგალი. ცელით კაცები თიბავენ, მათ მთიბელნი, მთიბელები ჰქვიათ, ხოლო წენცელით ქალები თიბავენ, მათ მეწენცლენი ჰქვიათ (ა. შანიძე, 1984, 360; ქართ. დიალ., 1961, 5; ივ. ქავთარაძე, 1985, 391).

წარმოდგენილი მასალის გაანალიზების შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ქართული ენის დიალექტებში მამრობითი გენდერი დომინირებს, რასაც სოციალური საფუძველი უნდა განაპირობებდეს. კერძოდ, შეინიშნება, რომ მდედრობითი გენდერი მარკირებულია, მაშინ, როდესაც მამრობითი გენდერი არ არის მარკირებული.

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში წათესაურ ტერმინოლოგიაში მდედრობით ტერმინთა დანაწევრებულობაც ქალის გენდერის ერთგვარი მარკირებულობის მაჩვენებელია. ამ შემთხვევაში ცალკე ტერმინებია დეიდა (დედის და) და მამიდა (მამის და), მაშინ, როდესაც დედის ძმაც და მამის ძმაც აღინიშნება ერთი ტერმინით – **ბიძა**.

საერთოდ, ქართული სალიტერატურო ენის და უფრო მეტად ქართული დიალექტების ლექსიკა ქალის სახეს უფრო დანაწევრებულად წარმოადგენს, ვიდრე მამაკაცისას, რასაც ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებს.

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში ქალის და მამაკაცის სახე გენდერული თვალსაზრისით გათანაბრებულად წარმოგვიდგება.

სახელდობრ, სალიტერატურო ქართულში ლათინური სიტყვა *human* აღინიშნება ორი სიტყვით: ადამიანი და კაცი.

„კაცს“, ჩვეულებრივ, მამაკაცის მნიშვნელობითაც ვხვდებით. ე. ი. ცალკე კაცი აღნიშნავს *human*-ს და მამაკაცს. ქალის აღსანიშნავად მამაკაცის საპირისპიროდ გვაქვს **დედაკაცი** (ქალი არ აღნიშნავს ზოგადად *human*-ს). ასეა როგორც ქართულ სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტთა უმეტესობაში, მაგრამ მთის ზოგიერთ დიალექტში განსხვავებულად გამოიყენება *human*-ის აღმნიშვნელი მეორე სიტყვა – **ადამიანი**.

ამ სიტყვის ძირი ბიბლიურ ადამს უკავშირდება და სალიტერატურო ქართულსა და დიალექტთა უმეტესობაში ზოგადად ადამის მოდგმას, ჩამომავლობას ანუ *human*-ს აღნიშნავს.

მაგრამ საყურადღებოა, რომ მთის ზოგ დიალექტში – ფშაურში, მთიულურ-გუდამაყრულსა და მოხეურში – ადამიანი აღნიშნავს ქალს, დედაკაცს; ადამიანობა – ქალები, დედაკაცები (ა. შანიძე, 1984, 277; ქართ. დიალ., 1961, 566).

მაშასადამე, ერთი მხრივ, კაცი აღნიშნავს ზოგადად *human*-ს და მამაკაცს; მეორე მხრივ, ადამიანი აღნიშნავს ზოგადად *human*-ს და დედაკაცს (მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი მამაკაცის სახელს – ადამს უკავშირდება).

ქალისა და მამაკაცის გენდერული სახის ერთგვარი გათანაბრების სურათი გვაქვს საქორწინო ტერმინოლოგიაშიც თუშურსა და თიანურში. კერძოდ, როდესაც კაცი საქორწილოდ ემზადება, სალიტერატურო ქართულსა და უმეტეს ქართულ დიალექტებში ამბობენ: კაცი ცოლს ირთავს, ქალი კი თხოვდება. მაგრამ თუშური და თიანური მეტყველება გასათხოვარი ქალისათვის „შერთვას“ იყენებს: კერძოდ, თუშურში – (ქალი) ქმარს ირთავს; ასევე თიანურში (ქალის მიერ) ქმრის შერთვა (ქართ. დიალ., 1961, 585; 600).

სტატიაში წარმოდგენილი მასალა ძირითადად ემყარება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს და ქართულ დიალექტურ ლექსიკონებს. ეს ლექსიკონები **XX** საუკუნის მეორე ნახევარშია შექმნილი და, შესაბამისად, იმდროინდელ სიტუაციას წარმოგვიდგენენ. მხოლოდ ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის – აკაკი შანიძის ლექსიკონია ყველაზე ძველი, ის 1913 წელს არის შედგენილი.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ თანამედროვე ცხოვრების წესი მეტ-ნაკლებად უკვე საქართველოს მთის კუთხეებშიც შეიჭრა და ზოგიერთი ტრადიცია უკვე მოიშალა ან იშლება და, შესაბამისად, იცვლება ენობრივი მონაცემებიც, ენობრივ მონაცემთა უმეტესი ნაწილი კი დღესაც დაცულია, რაც მრავალგზის დადასტურებულ იქნა პირადად ჩვენ მიერ საველე მუშაობის დროს.

ამრიგად, დღეისათვის არსებული ქართული ენობრივი მასალის განხილვის შედეგად აშკარაა გენდერული განსხვავებულობანი, რომელთაც სოციალურ-კულტურული საფუძველი აქვთ და რომლებიც ფაქტობრივად „ორი კულტურის“ მოდელის (Maltz and Borker 1982, Tannen 1990) ერთგვარ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს.

## **ლიტერატურა:**

1. კ. დონდუა, 1975 – К. Д. Дондуа, Феминизирующий гласный в грузинском: Статьи по общему и кавказскому языкознанию, Ленинград, 1975.
2. ს. მენთეშაშვილი, 1943 – ს. მენთეშაშვილი, ქიზიური ლექსიკონი, ტფ., 1943.
3. ალ. კობახიძე, 1987 – რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენელი ალ. კობახიძე, თბ., 1987.
4. პ. გაჩეჩილაძე, 1976 – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.
5. ს. ულენტი, 1936 – ს. ულენტი, გურული კილო, თბ., 1936.
6. შ. ძიძიგური, 1970 – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970.
7. კ. კუბლაშვილი, 1985 – კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.
8. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.
9. ნ. სურმავა, 1983 – ნ. სურმავა, სიტყვაწარმოების შესახებ აჭარულში: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ბათუმი, 1983.
10. ლ. კაიშაური, 1967 – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.
11. შ. ნიუარაძე, 1971 – შ. ნიუარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.
12. ნ. როსტიაშვილი, 1978 – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.
13. ივ. ქავთარაძე, 1985 – ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.
14. რ. ღამბაშიძე, 1988 – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988.
15. ა. შანიძე, 1984 – ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში: თხზ., ტ. I, თბ., 1984.
16. ქართ. დიალ., 1961 – ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ვ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.
17. ო. ქაჯაია, 1967 – ო. ქაჯაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის: სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, ცხინვალი, 1967.
18. Maltz and Borker, 1982 – Maltz D. and Borker R. A cultural approach to male-female miscommunication. In Gumperz, J. (ed), Language and Social Identity, pp. 196-216. Cambridge University Press, 1982.
19. Tennen, 1990 – Deborah Tannen, “You Just Don’t Understand” New York, 1990.

## **პიროვნულ სახელთა გენდერული ასპექტებისათვის ქართულსა და ინგლისურში\***

ვაჟისა და ქალის პიროვნული სახელები მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაშია გამიჯნული. ეს გამიჯვნა ზოგ ენაში მხოლოდ სემანტიკის მხრივ ხდება, ზოგში კი – ფორმობრივ, გარკვეული მორფოლოგიური მანარმოებლის მიხედვით, ზოგშიც კი ორივე საშუალებაა გამოყენებული ვაჟისა და ქალის სახელების გასარჩევად.

პიროვნულ სახელთა ამ კუთხით შესწავლას ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამგვარი შესწავლის შედეგად ვლინდება როგორც მასკულინური და ფემინური ხასიათები, ასევე გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც ამა თუ იმ ყოფისა და კულტურისათვისაა დამახასიათებელი. ამ მხრივ ძალზე აქტუალური და საინტერესოა სხვადასხვა, არამონათესავე ენობრივი მონაცემების შეჯერება. ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ განვიხილავთ ქართულ და ინგლისურ პიროვნულ სახელებს.

ქართულში ქალისა და ვაჟის სახელები ფორმით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ინგლისურში კი ზოგი ქალის სახელი ნანარმოებია ვაჟის სახელისაგან სპეციალური სუფიქსების (-ine (-ina), -etta და -a) საშუალებით. მაგ.: ერნესტინა (ერნესტისაგან), ვილჰელმინა (ვილჰელმისაგან), ჯორჯინა (ჯორჯისაგან), გოდვინა (გოდვინისაგან), ჰენრიეტა (ჰენრისაგან) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში გვხვდება სახელები, რომლებიც ერთი და იმავე ფორმით გამოყენებულია ორივე სქესის ადამიანებისათვის. ასეთ ქართულ სახელებს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით წარმოვადგენთ ა. სილაგაძისა და ა. თოიძის წიგნიდან „გვარ-სახელები საქართველოში“, კერძოდ, გიული (ქალი – 3584, მამაკაცი – 918), გულიკო (ქალი – 3630, მამაკაცი – 319), გუგული (ქალი – 4306, მამაკაცი – 606), დოდო (ქალი – 6530, მამაკაცი – 163), ია (ქალი – 13215, მამაკაცი – 148), იმედა (ქალი – 281, მამაკაცი – 3356), ნუკრი (ქალი – 207, მამაკაცი – 3862), სულიკო (ქალი – 3803, მამაკაცი – 4680), ჩიტო (ქალი – 742, მამაკაცი – 199) და სხვ. (ა. სილაგაძე, ა. თოიძაძე, 1997, 7). მიუხედავად იმისა, რომ ქართულში ეს სახელები საერთოა ქალებისა და ვაჟებისათვის, მაინც სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ ზოგიერთი მათგანი უფრო მეტად ქალის სახელად გვხვდება (გიული, გულიკო, გუგული, დოდო, ია, ჩიტო), ზოგი მათგანი კი უფრო მეტად კაცის სახელად დასტურდება (იმედა, ნუკრი, სულიკო). საყურადღებოა, რომ ქალისა და კაცის ზოგიერთ საერთო სახელს შესაძლებელია სრულიად სხვადასხვა წარმომავლობა ჰქონდეს. მაგ. კაცის სახელი ია უნდა მომდინარეობდეს კაცისავე სახელების – იაკობისა და იასონის შემოკლებით.

\* „ენის სახლი“, 4(12), თბ., 2004. თანაავტორი პროფ. მანანა რუსიეშვილი.

ინგლისურშიც ვხვდებით ერთი და იმავე ფორმის პიროვნულ სახელებს ორივე სქესის ადამიანების აღსანიშნავად. ასეთია, მაგ.: **აივი** („სურო“), **რობინი** („გულწითელა“) და სხვ. საერთოდ ინგლისურში ბოლო დროს დამკვიდრებული ტენდენციის მიხედვით მამაკაცის ზოგი სახელი ქალის სახელადაც გვხვდება ყოველგვარი მორფოლოგიური მანარმოებლის გარეშე, მაგ.: **ალექს-ი.**

უმეტეს შემთხვევაში როგორც ქართულში, ასევე ინგლისურში შეინიშნება ზოგი სემანტიკური გენდერული მახასიათებელი, რითაც ვაჟისა და ქალის სახელები ერთმანეთს ემიჯნება (ქართულ პიროვნულ სახელებს და მათ განმარტებებს ნარმოვადგენთ ზ. ჭუმბურიძის წიგნიდან „რა გქვია შენ“, თბ., 2003; ინგლისურს კი – შემდეგი ლექსიკონების მიხედვით: Chambers's TWENTIETH CENTURY DICTIONARY; C.V. Withycombe, OXFORD DICTIONARY OF ENGLISH CHRISTIAN NAMES).

სახელდობრ, ქართულში საკმაოდ ხშირია ეთნონიმებისა და ტოპონიმებისაგან ნანარმოები მამაკაცის სახელები მაშინ, როდესაც ამგვარი სემანტიკის ქალის სახელები ქართულისათვის უცხოა. კერძოდ:

ა. ეთნონიმებისაგან ნანარმოები მამაკაცის სახელებია: **ივერი** – ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონიმი (ძველი იბერი); **იმერი** – ქართველთა ერთ-ერთი სატომო სახელიდან, ეთნონიმიდან ნანარმოები სახელია, ასევეა მიღებული: **კახა, კახი, მუში, ქართლისი, ჯავახი.** ასეთივე ჩანს **ჯამბაკურ** სახელის პირველი ნაწილიც, კერძოდ, ჭან-ბაკურ→ჯან-ბაკურ→ჯამბაკურ.

ასევეა ნანარმოები პიროვნული სახელები ზოგი არაქართული ეთნონიმებისაგან: (მაგ.: **ლეკო**).

ბ. ტოპონიმებისაგან ნანარმოები სახელებია: **ბირთველი** – („ბირთვისელი“ – ბირთვისი ქართლშია, ძველად განთქმული ციხე ყოფილა; **ორბელი** გეოგრაფიული სახელისგან ორბეთი). ასეთივე წარმოებისაა: **თორელი, ოდიშელი, ტბელი.** საერთოდ ქართულში ტოპონიმთაგან ნანარმოები სახელები ფართოდ იყო გავრცელებული ძველად. დღეისათვის ისინი იშვიათადა გვხვდებიან და ერთგვარად ისტორიულ ანთროპონიმებად გვევლინებიან.

ამგვარი წარმოება, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ინგლისურშიც. კერძოდ, ეთნონიმისაგანაა წარმომდგარი მამაკაცის სახელი **ჯონისი** (აქედან გვხვდება ქალის სახელიც **ჯონსლინი**), რაც ერთ-ერთი გერმანიკული ტომის დასახელებას უკავშირდება. ასევე იშვიათად ინგლისურში ტოპონიმიც ანარმოებს ვაჟის სახელს, მაგ.: **დესმონდი**, რაც ირლანდიური წარმოშობისაა და რეგიონის სახელიდან მომდინარეობს; **ტროი** – ეს უკანასკნელი ქალაქ ტროას სახელს უკავშირდება და ბოლო დროს გავრცელებული ტენდენციის გამო ყოველგვარი მანარმოებლის გარეშე ქალის სახელადაც გვხვდება. თუმცა აშკარაა, რომ ეთნონიმებისა და ტოპონიმებისაგან ორივე ენაში, ჩვეულებრივ, მამაკაცის პიროვნული სახელები იწარმოება.

ქართულში ცხოველებისა და ფრინველების სახელები გამოყენებულია ფუძედ როგორც ვაჟის, ისე ქალის პიროვნული სახელებისათვის, მაგრამ ვაჟის სახელები ნანარმოებია აგრესიული, მტაცებელი ცხოველებისა და ფრინველების აღმნიშვნელი ფუძეებისგან: **გელა** (←მგელა), **გერა** (იგივეა, რაც გელა, გერი//ნერი

მგელ-ი სიტყვის კოლხური ფორმაა). **დათვია, ვეფხვია, ლომა, ლევან** (ქართული ფორმაა ლეონ-ისა, რაც „ლომს“ ნიშნავს), **ფოცხვერა** (ცალკე სახელად დღეს იშვიათია, გვხვდება გვარებში: ფოცხვერაშვილი, ფოცხვერაძე და სხვ.), **შევარდენა, ძალლიკა**. ქალის სახელები კი ქართულში მეტწილად მშვიდი, წყნარი ცხოველების და ფრინველების სახელებისგანაა ნაწარმოები: **გვრიტია, კრავაი, ფისო, ჩიტო, ჩიტუნა, ჩიტოლია** და სხვ.

ქართულში დასტურდება აგრესიული, მტაცებელი ცხოველების სახელებთან დაკავშირებული უცხო წარმომავლობის მამაკაცის სახელები. მაგ., ლომს უკავშირდება არაბული **ასათ** და **ჰაიდარ**; თურქული **ასლან**; სპარსული: **ედიშერ, შედან, შერლომ, ჯუანშერ, ჯიმშერ**; ლათინური **ლეო**; ბერძნული: **ლეონიდე, ლეონტი**. მგელს უკავშირდება ირანული **გურგენ** და **ზებედე**. ტახს უკავშირდება ირანული **ვარაზ**, აფთარს უკავშირდება სპარსული სახელი **ქავთარ**, ვეფხვს თურქული – **ყაფლან**, დათვს – სპარსული **ხურსი**, ქურციკს – **ჯეირან**, ორბს, არწივს – ბერძნული **არეთა**.

საყურადღებოა, რომ ასეთივე ვითარებაა ინგლისურ ენაში, სადაც მამაკაცის სახელთა ერთი ნაწილი აგრესიული მტაცებელი ცხოველების ფუძეებისგანაა ნაწარმოები. მაგ.: **ლეონარდი** – „ლომივით ძლიერი“, **ბერნარდი** – „დათვივით ძლიერი“, **ერარდი** – „ტახივით ძლიერი“, ბევრია „მგელ“ ფუძისაგან ნაწარმოები სახელები: **ადოლფი** – „კეთილშობილი მგელი“, **ბარდოლფი** – „ჭკვიანი, ბრწყინვალე მგელი“, **რენდოლფი, რანდალი** – „მგელი – ფარი, დამცველი“, **რუდოლფი** – „სახელგან-თქმული მგელი“, **ულრიკი** – „მბრძანებელი მგელი“.

ქართულის მსგავსად ინგლისურშიც დასტურდება მშვიდ, წყნარ ფრინველთა სახელთაგან ნაწარმოები ქალის სახელები: **ენიდი** – „ტოროლა“, **მავისი** – „შოშია“. აღსანიშნავია, რომ ინგლისურში ქალის სახელები ნაწარმოებია გველის აღმნიშვნელი ფუძისაგან: **ეთელინდა, ლინდა** და სხვ. ძნელია იმის ახსნა, რა მოტივაციითაა აქ გველის ფუძე გამოყენებული, თუმცა ეს სახელები დღეისათვის სილამაზესთანაა ასოცირებული.

ქართულში საკმაოდ ხშირია ცისა და მნათობთა სახელებისგან ნაწარმოები ქალის სახელები: **ცისანა, ციური, მზია, მზევინარი, მთვარისა, ვარსკვლავა** და სხვ. ამგვარი სემანტიკის სახელები ქართულში მამაკაცის სახელად არ გვხვდება. ხოლო ინგლისურში ასეთი წარმოება საერთოდ უცხოა როგორც კაცის, ისე ქალის სახელებისათვის. ჩვეულებრივ, ორივე ენაში მხოლოდ ქალის სახელები იწარმოება ყვავილთა სახელებისგან. მაგ.: ქართულში: **ენძელა, ვარდო, ია, კესანე** და სხვ. ინგლისურში: **ვიოლეტ(ა) – ია, როუზი – ვარდი** და სხვ.

თეთრი, ნათელი ფერისა და ძვირფასი თვლების აღმნიშვნელი სახელები ორივე ენაში მხოლოდ ქალის სახელთა საწარმოებლად გვხვდება: ქართულში: **თეთრუა, ლალი, მარგალიტა, ინგლისურში: ბლანში** – თეთრი, **რუბი** – ლალი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურში ხშირია საბრძოლო იარაღების სახელების მიხედვით ნაწარმოები მამაკაცის სახელები: მაგ.: **ეგბერტი** – „ბრწყინვალე ხმალი“, **ოსკარი** – „ღმერთის შუბი“ და სხვ. იშვიათად ასეთი ქალის სახელიც დასტურდება: **გერტრუდა** – „შუბის ძლიერება“ (შუბივით ძლიერი).

მიუხედავად ქართველი ხალხის დიდი საბრძოლო ისტორიისა და მებრძოლი სულისა, ასეთი წარმოება ქართულში საზოგადოდ არ გვხვდება, გვაქვს მხოლოდ ერთი, ბერძნული წარმომავლობის სახელი – **ლონგინოზი**, რაც „შუბოსანს“ ნიშნავს, თუმცა ამ სახელის ლათინურ მნიშვნელობასაც ასახელებენ – „გრძელი“, „ხანდაზმული“. საყურადღებოა, რომ საბრძოლო იარაღების სახელები დასტურდება ზოგიერთ ქართულ გვარში: თოფაძე, ხმალაძე, მშვილდაძე, შუბითიძე, რაც სემანტიკურად გენდერულ მახასიათებლებად ვერ გამოდგება, რადგან გვარი, ჩვეულებრივ, ორივე სქესის ადამიანებისათვის გამოიყენება.

ინგლისურში ქალის სახელთა ერთი ნაწილი დაკავშირებულია ზღვასთან. მაგ.: **ჯენიფერი** – „თეთრი ტალღა“, **მურიელი** – „ზღვის ბრწყინვალება“ და სხვ.

ამ მხრივ საინტერესოა, რომ ქართულში ზღვასთან ან საერთოდ რაიმე ჰიდრონიმთან დაკავშირებული საკუთრივ ქართული სახელები არ გვხვდება, თუმცა გვაქვს სხვა ენეპიდან შემოსული ანთროპონიმები, რომლებიც ზღვას ან მდინარეს უკავშირდება. ინგლისურის მსგავსად ესენიც უმთავრესად ქალთა სახელებია: კერძოდ, ლათინური წარმომავლობისაა **მარინა**, **მარინე**, რაც „ზღვისას“ ნიშნავს. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ბერძნული წარმოშობის **პელაგიას**.

თურქული წარმოშობის კაცის სახელის **დენის-ის** მნიშვნელობაც ზღვაა. ამავე სახელისგან ნაწარმოებად მიაჩინათ ქალის სახელი **დენიზა**, რომელიც, ბუნებრივია, ასევე ზღვას უკავშირდება.

მდინარის წყალს, მდინარის ბრწყინვალებას აღნიშნავს სპარსული წარმომავლობის ქალის სახელი **როდამ-ი** (ეს უკანასკნელი კაცის სახელადაც გვხვდებოდა).

შესაძლებელია წყალს დავუკავშიროთ ქალის სახელი **ინა**, რომელიც ბერძნულ-ლათინური წარმოშობისაა და თარგმნიან როგორც „ნიაღვარს“.

წყალთან დაკავშირებული საკუთრივ ქართული სახელია **ნამი**, თუმცა თვით სიტყვა **ნამი** სპარსული წარმომავლობისაა.

ამრიგად, როგორც ქართულში, ასევე ინგლისურში გარკვეული გენდერული მახასიათებლები გამოავლენენ ვაჟისა და ქალის სახელთა სემანტიკურად განსხვავებულ ჯგუფებს. წარმოდგენილი მასალა ნათლად გვიჩვენებს მსგავსებას ქართულ და ინგლისურ პიროვნულ სახელთა სემანტიკურ ჯგუფებს შორის, თუმცა შეინიშნება ზოგიერთი განსხვავებაც.

### **ლიტერატურა:**

1. ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997 – ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები სა-ქართველოში, თბ., 1997.
2. ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ“, თბ., 2003.
3. Chambers's TWENTIETH CENTURY DICTIONARY.
4. C.V. Withycombe, OXFORD DICTIONARY OF ENGLISH CHRISTIAN NAMES.

## ერთ საქორნინო რიტუალთან დაკავშირებული გენდერული ტერმინები ქართულში\*

საქორნინო ტრადიციები მკვეთრად განასხვავებენ ქალისა და მამაკაცის სო-  
ციალურ უფლება-მოვალეობებს, რაც ნათლად აისახება ამა თუ იმ ენის გენდე-  
რულ ტერმინოლოგიაში.

ერთ-ერთი მათგანია სასაქორნლო ან ფულადი გადასახადი, ე. წ. ურვადი, რა-  
საც სიძე (სასიძოს ოჯახი) უხდის საცოლის ოჯახს.

ასეთი ქორნინება სყიდვითი ქორნინების სახელითაა ცნობილი, რაც პატრიარ-  
ქალური საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე აღმოცენდა და ბევრ ქვეყანა-  
ში (ძვ. შუამდინარეთი, ინდოეთი, გერმანია, რუსეთი, სომხეთი, ოსეთი) არსებობდა,  
განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ისლამის მიმდევარ ხალხთა ყოფაში.

ვარაუდობენ, რომ V საუკუნეში ქართლში ურვადის არსებობა ჩანს „შუმანი-  
კის ნამების“ მიხედვით. სამეგრელოში ეს ჩვეულება აღნერეს არქანჯელო ლამ-  
ბერტიმ (XVII ს.) და თ. სახოკიამ (XIX ს.). ეთნოგრაფიული მონაცემებით, საქორნი-  
ნო საურავის გადახდის წესი ნათლად გამოიკვეთა სვანეთსა და ხევში (ი. ჯავახიშ-  
ვილი, 1982, 147-149; ქსე, 1986).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **ურვადი//ურვათი** მიჩ-  
ნეულია ძველ ეთნოგრაფიულ ტერმინად, რაც მოხეური და მთიულური დიალექტე-  
ბისათვისაა დამახასიათებელი. მისი განმარტება ასეთია: საცოლის გამოსასყიდი გა-  
დასახადი, რომელსაც სასიძო უხდიდა ქალის მშობლებს ფულით ან ნატურით. ამ  
სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი გვხვდება ხევსურულშიც: ურბეთი (ქეგლ).

ცნობილი ოსი მეცნიერის, ვ. აბაევის განმარტებით, ურვადი//ურვათი მომდი-  
ნარეობს ოსური სიტყვიდან ired / aerwaed (ძვ. ოს. \*urwata < ავ. urwata დადგენილება,  
წესი (რელიგიური), ჩვეულება, vrati მოლაპარაკება. შდრ. ძვ. ინდ. vrata), რაც ასევე  
ურვადს ნიშნავს. ოსურიდანვე შესულა ეს სიტყვა ჩეჩინურშიც: urdu ურვადი. ოსურ-  
ალანურიდან სხვა კავკასიურ ენებში ამ სიტყვის ნასესხობის დამატებიცებლად ვ.  
აბაევი იმ გარემოებასაც თვლის, რომ ცოლის ასეთი გამოსასყიდი გავრცელებული  
იყო თითქმის ყველა ინდოევროპელ ხალხში: ბერძნებში, გერმანელებში, სლავებში,  
ირანელებში (ვ. აბაევი, 1958; მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 100).

ბუნებრივია, ქართულში სიტყვა ურვადის არსებობა ოსებთან მეზობლობამ  
განაპირობა. როგორც ვ. აბაევი ურვადის შესახებ წერს: «По доступным материалам,  
слово распространено только в тех грузинских диалектах, которые соседят с осетинским,  
например, в мохевском» (ვ. აბაევი, 1958, გვ. 547).

ამ მხრივ საყურადღებოა სიტყვა **იულადიც**, იგივე ურვადი, რაც ჩვენ  
დადასტურებული გვაქვს ქართლურ დიალექტში, ლიახვის ხეობაში, სადაც

\* ნაკითხულია მოხსენებად მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე „გენდერი: ენა,  
კულტურა, კომუნიკაცია“, მოსკოვის სახელმწიფო ლიბგვისტურ უნივერსიტეტში  
2003 წლის 27 ნოემბერს. დაბეჭდა კრებულში „ენის სახლი“, 4(8), თბ., 2003.

ქართველებთან ერთად სახლობენ ოსებიც. **იულადი** მიღებული უნდა იყოს ოსური ired-ისა aerwaed-ის კონტამინაციით, ოლონდ ძნელია თქმა იმისა, ამ პროცესს ოსურშივე ჰქონდა ადგილი თუ ქართლურში (რ. ქურდაძე, 1987, 107).

ქართული ენის მოხეურ დიალექტში **ურვადი//ურვათის** გარდა სხვა ტერმინებიც გვხვდება, რომელიც ასევე ქორწინების ტერმინოლოგიაში ერთიანდებიან და სასიძომ მამაკაცის მოვალეობებს გამოხატავენ საცოლის ოჯახის სხვადასხვა წევრისადმი. მაგ.: **სადიდისძმო** – ურვადის დანამატი საპატარძლოს დედის ძმისათვის, **საგორმეტო** – ურვადის დანამატი საპატარძლოს გვარის წარჩინებულთათვის, **საბიძო**, **სასიდედრო** **საჩუქარი**, **სასიმამრო** **პატივი** – ყველა ეს სპეციალური საჩუქრებია საპატარძლოს ოჯახის წევრებისათვის, რასაც სიძე იხდის (ივ. ქავთარაძე, 1985, 305; 309; 304; 314).

ქართული ენის მოხეურსავე დიალექტში გვხვდება **საგამზდელო**, რაც ასევე განიმარტება: სასიძოს ოჯახის მიერ საპატარძლოს ოჯახში ქორწილამდე მიტანილი გადასახადი, ქალის აღზრდის საზღაური. იქვე საილუსტრაციო მაგალითში მითითებულია, რომ „საგამზდელოს“ მაშინ აძლევენ, თუ ქალს დედა მოუკვდა და სხვა ზრდიდა (ივ. ქავთარაძე, 1985, 200).

სასიდედროს საჩუქრის სპეციალური ტერმინი – **სადედო** გვხვდება მოხეურის მეზობლად მთიულურ დიალექტში (ლ. კაიშაური, 1967, 227).

ქორწინების ასეთივე წესები და შესაბამისი ტერმინები დასტურდება ქართული ენის ინგილოურ დიალექტშიც. კერძოდ, **სადედო, სადედო თეთრი** – ესაა ქორწინების წინ ვაჟის მამისაგან ქალის ოჯახში გამოგზავნილი ფულის ის ნაწილი, რომელიც ქალის დედას ეკუთვნის (თეთრი აქ ფულს ნიშნავს). ამავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე **დედო, დედოვი თეთრ** (რ. ლამბაშიძე, 1988).

ქართული ენის ინგილოური დიალექტი, რომელშიც ზემოაღნიშნული ტერმინები გვხვდება, აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა და აზერბაიჯანული ენის გავლენის არეშია მოქცეული. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენი მაგალითიც, რადგან ჩვენ მიერ მოყვანილ ქართულ სიტყვებთან ერთად დასტურდება მათი აზერბაიჯანული სინონიმიც – **ანალული**. რ. ლამბაშიძეს მოჰყავს ეს ტერმინი, მიუთითებს, რომ ის აზერბაიჯანული **ანალაგიდან** მომდინარეობს და იმასვე აღნიშნავს, რასაც სადედო (რ. ლამბაშიძე, 1988).

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანული მიეკუთვნება თურქულ ენათა ოლუზურ ჯგუფს, ამავე ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე თურქული ენაც, სადაც **ურვადის** აღსანიშნავად იხმარება ტერმინი *başlik*(გ). ქართული ენის დიალექტებში, კერძოდ, აჭარულში გვხვდება ეს სიტყვაც (ბაშლული). მას აჭარულში ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ყაბალახი, ჩაბალახი და 2. ძვ. ეთნ. საცოლის დანიშვნის დროს გაღებული საჩუქარი – ქრთამი, საპატარძლოს მშობლებისათვის, – ურვათი (შ. ნიუარაძე, 1971, 103-104).

აჭარული დიალექტი გავრცელებულია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში, თურქეთის მეზობლად (სამი საუკუნის განმავლობაში ეს რეგიონი თურქების მიერ იყო მიტაცებული, მხოლოდ **XIX** საუკუნის რუსეთ-თურქეთის

ომებში რუსეთის გამარჯვების შემდეგ დაუბრუნდა აჭარა საქართველოს), სწორედ ამით აიხსნება თურქული ენის გავლენა აჭარულ დიალექტზე. ამ მხრივ საინტერესოა, რომ **ბაშლული** გვხვდება იმერხეულ დიალექტშიც, რომელიც თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. შ. ფუტკარაძე ამ სიტყვას იქაც ორივე მნიშვნელობით ადასტურებს: **ბაშლული**-ი (başlık).

1. თავსახურავი, – „თავზე თეთრი ბაშლული ებურა დედასა“;
2. გამოსასყიდი, **ყალიმი** – „ბაშლული მუჟთხოვია გოგოს ბაბოსა“ (შ. ფუტკარაძე, 1993, 395).

საყურადღებოა ისიც, რომ ურვადის აღმნიშვნელი სხვა სიტყვაც გვხვდება ქართულში, კერძოდ, **ყალიმი** – ესეც სასყიდელია, რასაც საქმრო აძლევს საცოლის მშობლებს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მითითებულია, რომ ყალიმი გავრცელებულია აღმოსავლეთის ზოგ ხალხში. ეს სიტყვა თურქულ ენათა ყივჩაღურ ჯგუფში დასტურდება და შესულია ბევრ სხვა ენაშიც. მაგ.: რუსულში: Калым – выкуп за невесту (ა. პრეობრაჟენსკი, 1959; მ. ფასმერი, 1967).

ურვადის აღმნიშვნელ ტერმინებთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, რომელიც ირანის სამხრეთ ნაწილშია (როგორც ცნობილია, ესაა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში შაპ-აბასის ბრძანებით გადასახლეს ირანში).

შეიძლება ითქვას, რომ ირანში არსებული ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ყველა სხვა ქართული კილოსაგან გამორჩეულია, რადგან აქ, ბუნებრივია, ირანული გარემოს გავლენით ჯერ კიდევ ცოცხლადა შემორჩენილი სყიდვითი ქორნინების წესები და, შესაბამისად, ამ წესების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია, რომლის უმეტესი ნაწილი სპარსული ენიდანაა შემოსული.

ამ თვალსაზრისით ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სიტყვა **ქებინი**, რომელიც სპარსული ქაბინ-ისგან მომდინარეობს და ნიშნავს თანხას, რომელსაც სიძე ცოლოურს უხდის (მ. თოდუა, 1975, 122).

საყურადღებოა, რომ მაპმადიანურ ქვეყნებში, კერძოდ – ირანში, ერთგვარი გარიგება ხდება ქორნინებისათვის, რასაც წერილობით აფორმებენ. ამ პროცესს ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში „ქებინის გაჭრას“ უწოდებენ. ამის საილუსტრაციოდ ორ პატარა ნაწყვეტს მოვიტანთ პროფ. მ. თოდუას ჩაწერილი ტექსტებიდან: „ჰა, ესენიც მაგონდების, იმაშინა, რო მიველით, უნდოდა, რო ქებინი გაჭრან, ვანი, იქდა, რო უნდა ჩაპწერონდა ამის სახელი, ჩემ დედაკაცის სახელი და ჩემ დედას სახელი და ჩემი სახელი, იმ დაჭთარჩი“; „ეხლა კი, ამ ყორის ემეფსა ეთქოთ-ყე ამ მოლასათი, – რო ჩონ რეზას მამას უთხარით, რო ერთ დანგი სახლი, თავის სახლები და სამი ათას თუმანი თავის ქებინჩი ჩაგდოს“ (მ. თოდუა, 1975, 82; 83).

ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში მეტად საინტერესოა სხვა იდიომიც, რომელიც ასევე ურვადს უკავშირდება: „ყორის გაკეთა“. ყორის ოჯახში ბიჭის წარმომადგენლების მოლაპარაკება ყორის წარმომადგენლებთან საქორნინო გადასახადის თაობაზე. ბიჭს „ათას მანეთ ფულს გამაართმენ, ხუთ დიდ ცხორს გამა-

ართმენ, ხუთ ლიტრა შირინს გამაართმენ, ათი, თხუთმეტი, ოც ლიტრა ნუდლს გა-  
მაართმენ, სხოდასხო შირინს და სხოდასხო რამეებსა და ესეთ რამეებსა: ინას და  
ეგეთ რამეებსა გამაართმენ (კ. ონიკაშვილი)“ (თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი,  
ჯ. გიუნაშვილი, 1979, 86, 105).

ამ იდიომში „ყორი“ სპარსულია, გოგოს ნიშნავს, მეორე სიტყვა კი ქართული  
„გაკეთება“ ზმნაა.

ფერეიდნულშივე ურვადთან დაკავშირებით საინტერესოა სიტყვა ხარჯის  
ერთ-ერთი მნიშვნელობა: ცხვარი, ფული... რაც „ყორის გაკეთის“ დროს ბიჭს ევა-  
ლება. ფერეიდნულშივე დასტურდება ერთი საინტერესო ტერმინი შირბაჟა – რძის  
გადასახადი, ე. ი. ქალიშვილის გაზრდაზე დედის ზრუნვის ასანაზღაურებელი ხარ-  
ჯი (შდრ. სპარ. შir „რძე“: და bāha „საფასური“) (თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი,  
ჯ. გიუნაშვილი, 1979, 87; 105).

ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის შირბაჟა ფაქტობრივად იგივეა,  
რაც სასიდედრო საჩუქარი, საგამზდელო, სადედო, სადედო თეთრ, რომლებიც  
ქართული ენის მოხეურ, მთიულურ და ინგილოურ დიალექტებში გვხვდება და რო-  
მელთაგან ტერიტორიულად ძლიერ დაშორებულია ფერეიდნული დიალექტი.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ: ურვადის აღ-  
მნიშვნელი ტერმინები ქართული ენის იმ დიალექტებში გვხვდება, რომლებიც სხვა  
ხალხებთან მეზობლობენ: ოსებთან, აზერბაიჯანელებთან, თურქებთან და ირანე-  
ლებთან. ამ დიალექტებიდან ზოგი ტერმინი (ურვადი, ყალიმი, ქებინი) სალიტერა-  
ტურო ქართულ ენაშიც დასტურდება. მაგრამ აშკარაა, რომ ურვადის აღმნიშვნე-  
ლი ყველა სიტყვა არაქართულია. ქორწინების ასეთი ტრადიცია სწორედ ამ დია-  
ლექტთა რეგიონების შერეულ მოსახლეობაშია. ამიტომ საინტერესოა, რამდენა-  
დაა ქორწინების ასეთი წესი ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი.

ზემოაღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ურვადი  
და, შესაბამისად, სყიდვითი ქორწინების წესი ქართული ყოფისათვის დამახასია-  
თებლად ვერ ჩაითვლება. შესაძლებელია, საზოგადოების განვითარების ადრეულ  
პატრიარქალურ ეტაპზე ქართველ ტომებსაც ჰქონდათ ასეთი წესი, მაგრამ იგი  
ადრევე მოიშალა. გვიანდელ ხანაში ურვადი გვხვდება მხოლოდ საქართველოს პე-  
რიფერიული კუთხეების მცხოვრებთა ყოფაში, რაც მეზობელი (ძირითადად ისლა-  
მური) ქვეყნების გავლენით აიხსნება.

### ლიტერატურა:

1. ი. ჯავახიშვილი, 1982 – ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI,  
თბილისი, 1982.
2. ქსე, 1986 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბილისი, 1986.
3. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, პროფ. არნ.  
ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

4. ვ. აბაევი, 1958 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. 1, Москва-Ленинград, 1958.
5. მ. ანდრონიკაშვილი, 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966.
6. რ. ქურდაძე, 1987 – რ. ქურდაძე, ლიახვისა და ფრონის ხეობათა ქართლური (ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი), დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1987 წ.
7. ივ. ქავთარაძე, 1985 – ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.
8. ლ. კაიშაური, 1967 – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი, 1967.
9. რ. ღამბაშიძე, 1988 – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი, 1988.
10. შ. ნიუარაძე, 1971 – შ. ნიუარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.
11. შ. ფუტკარაძე, 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, I, ბათუმი, 1993.
12. ა. პრეობრაჟენსკი, 1959 – А. Г. Преображенский, Этимологический словарь русского языка, т. 1, Москва, 1959.
13. მ. ფასმერი, 1967 – Макс Фасмер, Этимологический словарь русского языка, т. 2, Москва, 1967.
14. მ. თოდუა, 1975 – მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, თბილისი, 1975.
15. თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, 1979 – თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XX, თბილისი, 1979.

## გენდერული ასიმეტრია ქართულ უარგონში\*

ენის ფემინისტური კრიტიკის მიხედვით სხვადასხვა სქესის ადამიანების არათანაბრად, უთანასწოროდ წარმოდგენა ენაში გენდერულ ასიმეტრიად განიხილება. ფემინიზმის იდეოლოგიას ხშირად პოსტმოდერნისტული ფილოსოფიის ნაწილად თვლიან, რის გამოც გასაგებია პოსტმოდერნისტული ფილოსოფიის დიდი ინტერესი ენისადმი.

მიჩნეულია, რომ სამყაროს სურათი ენაში მამაკაცის თვალსაზრისის მიხედვითა დაფიქსირებული, ამიტომ ენა არა მარტო ანთროპოცენტრული, ე. ი. ადამიანზე ორიენტირებულია, არამედ ანდროცენტრული, ე. ი. მამაკაცზე ორიენტირებულიც. კერძოდ, ენა ქმნის მამაკაცის თვალსაზრისზე დამყარებულ სამყაროს სურათს, სადაც მამაკაცი სუბიექტია, რომლის პერსპექტივა აშკარაა; ხოლო ქალი ობიექტია, ის „სხვის“, „უცხოს“ როლში გამოდის, ან საერთოდ იგნორირებულია (გენდერულ ტერმინთა ლექსიკონი, 2002, 29-30; 232-234).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი ინგლისური და გერმანული ენები.

ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი გენდერული ასიმეტრიისა და, საერთოდ, გენდერული კუთხით კვლევისათვის მეტად სპეციფიკურ მიღებისა და მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს.

ამჯერად ჩვენი მიზანია ენაში გენდერული ასიმეტრიის ერთგვარი უნივერსალურობის დადასტურება, რაც ქართულში განსაკუთრებით მძაფრად უარგონსა და უპატივცემულო გამოთქმებში ვლინდება.

საერთოდ უნდა უთქვას, რომ, მსგავსად სხვა ენებისა, ქართული უარგონიც ანდროცენტრულია. მასში მამაკაცი დომინანტია და მრავალი ტერმინი მხოლოდ მამაკაცსა აღნიშნავს. კერძოდ, **განაპი** – ქურდი. ლ. ბრეგაძის აზრით, ეს სიტყვა ებრაულიდან მიმდინარეობს. „ძველი ნაციხარია; ახლაც **განაპია**. არ იცნობ?“ (გურამ რჩეულიშვილი); „შარის საძებრად გამოსულ **განაპს...**“ (დავით წერედიანი, თარგმ.);<sup>5</sup> **მასჭი** – მსგავსი. რუსულში Mastъ, ლ. ბრეგაძის განმარტებით, ცხენის ფერსა და სათამაშო კარტზე გამოსახულ ფიგურას (ჯვარი ყვავი, გული, აგური) ნიშნავს. კარტები ერთი მასტისაა, თუ მათზე ერთნაირი ფიგურებია გამოსახული (მაგ., გულის ტუზი და გულის ათიანი ერთი მასტის კარტებია). „ის კი – ძმა ჩემი, ჩემი **მასჭის** და ჩემი ჭკუის...“ (ტარიელ ჭანტურია. თარგმ.), მაგრამ საყურადღებოა, რომ „მასტმა“ ქართულ უარგონში მიიღო აგრეთვე ადამიანის, კაცის მნიშვნელობა.

\* წაკითხულია მოხსენებად აკადემიკოს აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მოძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, თსუ, 16 მარტი, 2006.

<sup>5</sup> ნიმუშები (ერთი-ორის გამოკლებით) მოგვყავს ლ. ბრეგაძის „ქართული უარგონის ლექსიკონიდან“, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ., 2005 წ. და, ბუნებრივია, უარგონული ერთეულების განმარტებაც ლევან ბრეგაძისეულია, ხოლო უარგონული ერთეულების საილუსტრაციო მასალა კი ლექსიკონის შემდგენელს თანამედროვე ქართველი მწერლების თხზულებებიდან და თარგმანებიდან მოჰყავს.

ლობა: „ეგ **მასტი** ცნობილი დამრტყმელია“ (ლადო კოკაია), ამ მხრივ მასტის სინონიმია „ტიპი“, „სვოი ბიჭი“ – თავისიანი, ის, ვინც ძველბიჭურ წრეს განეკუთვნება (რუს. სვის „თავისიანსაც“ ნიშნავს): „პარახოდმა ბათუმისკენ გახნია, **სვოი ბიჭმა** ჩამოდანი ასწია“ (წოდარ დუმბაძე); **ძველი ბიჭი** – ქურდული გამოცდილების მქონე ტიპი: „რა გინდა, ამ **ძველ ბიჭებს** რომ ეტორლიალები... ხომ ხედავ არ ვიხდება **ძველბიჭობიას** თამაში“ (რევაზ მიშველაძე): „ისინი – უბრის **ძველბიჭები** – უილეტებში გამოწევილიყვნენ“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.). ამ უკანასკნელს უკავშირდება ისეთი ჟარგონული სიტყვა-გამოთქმები, როგორიცაა „**ძველბიჭური**“ – ძველი ბიჭისათვის (იხ.) დამახასიათებელი „...უჩვენეს ქვეყანას ცისფერი სისხლისა და **ძველბიჭური** მარიფათის ფასი“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); **ძველბიჭური** უჭირავს – ძველი ბიჭივით (იხ.) იქცევა: „**ძველბიჭური** უჭირავს: მეკუთვნის, ძმაო... ვომობდი და ნილიაო, დიდ გულზეა“ (ზაურ კალანდია).

შევნიშნავთ, რომ აქედან უნდა მომდინარეობდეს და ასევე ანდროცენტრული ხასიათისა უნდა იყოს შემდეგი მიმართვა: „**ძველო!**“, „**შე ძველო!**“, რაც გამოცდილს, ცხოვრებანანას ნიშნავს. ლ. ბრეგაძის მიხედვით, ეს ერთგვარი მეგობრული მიმართვაა და რუსულ სტარინა-ს და გერმანულ alter Junge-ს უკავშირდება: „თავი მაღლა გეჭიროს, **შე ძველო!** (გიორგი და კარლო ჯორჯანელები. თარგმ.); „ადე, **შე ძველო!**... – ბეჭებ მსუბუქად დაჟურა გუჯამ ხელი“ (ზაურ კალანდია)... და სხვ.

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, თუ რა წამყვანი ადგილი უჭირავს მამაკაცს ქართული ჟარგონის მიხედვით. უფრო მეტიც, ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ისეთი ჩვეულებრივი სიტყვაც კი, როგორიცაა **ბიძა**, უარგონში დამატებით დადებით მნიშვნელობას იძენს. კერძოდ, **ბიძა** მფარველი, პროტექტორია მაშინ, როდესაც ქალი უმთავრესად ნეგატიურ კონტექსტში, ზოგჯერ დაცინვითაც მოიხსენიება: **ევას პავაროტი** – უკანალი. ლ. ბრეგაძე ამასთან დაკავშირებით წერს, რომ წარმომავლობა უცნობია, თუმცა კი რუსულ პივორიტ-ს, მოსახვევს უკავშირებს. „აბა, მაშ, სად დაჩერჩეტ-დაპრონიალობს? ჯანდაბაში და დოზანაში და **ევას პავაროტში** (...) ეშმაკმა იცის მაგის თავი და ტანი“ (ზაზა ბურჭულაძე). „**მამაშა**“ – ქალი, რომელიც გარკვეული თანხის საფასურად კაცს აკავშირებს მექავთან, ან პატრონობს საროსკიპოს; „**ნაშა**“ – გოგო, შეყვარებული, სექსუალური ქალი. ლ. ბრეგაძის აზრით, მომდინარეობს ებრაულიდან. „ერთი ნაშის დილიხორი ვარ, – თქვა გიგილომ“ (წოდარ დუმბაძე); „ნადი რაღა, გაინავარდე რაღა, ნახე რა **ნაშებია**, აირჩიე, რომელიც გინდა“ (ოთარ ჩხეიძე)... და სხვ.

**ტიპშა** – მდედრობითი სქესის „ტიპი“. ლ. ბრეგაძე შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში „ტიპს“ დართული აქვს რუსულში მდედრობითი სქესის მანარმოებელი ერთ-ერთი სუფიქსი – „-შა“. შედრ. „დირექტორშა“ – დირექტორის (ცოლი): „ერთი **ტიპშა** მეპადხოდებოდა, არ მევასებოდა, ისე გამიხურა, ბოლოს ვხეთქე, მერე აზრზე მოვიდა“ (ირაკლი ლომოური): **ჩეჩიამს ბებიამისის მუთაქებს** – მიედ-მოედება, მაიმუნობს, საქმეს ურევს (ისე ურევს საქმეში ხელს, თითქოს ბებიამისის მუთაქა იყოს). „–რა **ძებიათქვენის მუთაქებს ჩეჩიამთ!** თუ კარქია, თქვენ უთხარით! (მიხო მოსულიშვილი): **ბებია გიჭყავის!** – ეგრე არ იქნება, შენ რომ გინდა! როგორც

ლ. ბრეგაძე წერს, გამოთქმის მნიშვნელობა ძალიან შორს დგას მისი შემადგენელი სიტყვების სემანტიკისაგან. „—რას ბოდავ? გაბრაზდა — ამაზე ლაპარაკი არ მინდა, თავი დამანებე! — ბებია გიჭყავის-მეთქი, — ვუთხარი ბოლომდე დაწეულ ხმაზე...“ (კოსტა ელია) და სხვ.

ასეთივე მნიშვნელობის უნდა იყოს შემდეგი გამოთქმაც: „**ბაბოი მტკლაც!**“ — ე. ი. ეგრე არაა, შენ რომ ამბობ, ან ნიშნის მოგებით კითხვა: კიდევ რა გინდა, კი-დევ რას იტყვი?! და სხვ.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზოგ ენაში (მაგალითად, რუსულში) ანდროცენტრიზმის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ მდედრობითი სქესის არსებითი სახელები, ჩვეულებრივ, მამრობითი სქესის არსებით სახელთაგანაა ნა-წარმოები და არა პირიქით და ხშირად მათ ნეგატიური მნიშვნელობა აქვთ („დი-რექტორი“, „დირექტორისა“). მამრობითი სქესისათვის დამახასიათებელი ნიშნების გამოყენება ქალი რეფერენტისათვის დასაშვებია და ერთგვარად ზრდის მის სტა-ტუსს, ხოლო, პირიქით, კაცის მოხსენიება მდედრობითი სქესისათვის დამახასია-თებელი ნიშნებით ნეგატიურ შეფერილობის იძენს (გენდერულ ტერმინთა ლექსი-კონი, 2002, 20). ამის ერთგვარი გამოვლინებაა ქართულ ურთიერთობას არჩევს, გოგოების მარაქაში ერევა: „...გოგოებს რო ეჩხუბები, სირცხვილია, ქალაჩუნას დაგიძახებენ. — მეძახიან, — ჩაჯბიჩა მაჭკატი, — „გოგოების მაჩალკას მეძახიან“ (ნაირა გელაშვილი); **დედიკოს ბიჭი** — დედის იმედად, დედის ზედამხედ-ველობის ქვეშ მყოფი ჭაბუკი: „მინდა ისიც გამიგო, რომ რომანტიკოსი ვარ და **დე-დიკოს ბიჭი** არა ვარ და ვერც უგეთებს ვიტან“ (მიხო მოსულიშვილი) [შდრ.: რუს. „მამინკინ სინოჩეკ“]; **ქეთინო** — ქალურად ნაზი მამაკაცი: „—იმათ ისეთი ქეთინო ძალლები ყავთ!“ (აკა მორჩილაძე); **ყიყლიყო** — ქალური ბუნების მამაკაცი. ლ. ბრე-გაძე ამას რუსულ ირონიულ გამოთქმას, პეტუხ-ს, უდარებს: „—არა, კაცო, გიურ არ იყო! ვაგონიმებდი, **ყიყლიყო** ტიპია, რას გადაგვიშლის ხოლმე გულს! — რა ვიცი, ქა-ლებში მაგრად იჩითებაო, ამბობენ (...) — ასიანი **ყიყლიყოა**; ნამო გავაბოლოთ“ (ზურაბ სამადაშვილი).

გენდერული ასიმეტრია განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს სექსუალური ურთი-ერთობის ამსახველ ლექსიკაში. კერძოდ, უხვად გვხვდება ზმნები წარსულ დროში, სადაც სუბიექტი მამაკაცია: „გაუიმა“, „გააფორმა“, „დაქერა“, „დაწერა“, რაც ერთ-სა და იმავეს ნიშნავს — სექსუალური ურთიერთობა იქონია. მაგალითად, „**ჯერ გა-უიმა** და ახლა პრეტენზიები აქვს...“ (ზურა მესხი); ყველა გოგოზე იძახდა, „**გავა-ფორმეო**“. თანაც ამ **გაფორმების** ამბავს რაღაც ბოროტად ყვებოდა, თითქოს კი არ ეცხოვრა, გაეწამებინა და მოეკლა ქალი“ (ჯემალ თოფურიძე); „შეხე, ბიჭო, ამ ჩემანალამ თვალებით არ დამქერა?“ (გურამ რჩეულიშვილი); „...ნელიწადში ორ წიგნს მაინც წერს და თავის სტუდენტებს ავალდებულებს, ის წიგნები თუმნად იყი-დონ (...) ჯერ ცოლი დაწეროს, როგორც საჭიროა. ვარიანტი არ არის, იმ ქალს საყ-ვარელი არ ჰყავდეს!“ (გელა ჩევანავა).

ამ შემთხვევაშიც ქალისათვის განკუთვნილი ლექსიკა ობიექტის, არადომინანტის მაჩვენებელია.

კერძოდ, სექსუალურად მიმზიდველი ქალი „კარგი ნაჭერია“. „ეგ გოგო კარგი ნაჭერია, ვივ“ (თამაზ ნატროშვილი. თარგმ.); ვისთანაც სექსუალური ურთიერთობა იქონიეს, „ათვისებულია“: „არჩილსა და მის წრეელებს რესპუბლიკის გარეთ თითქმის ყოველ გამოჩენილ ქალაქში თითო-ოროლა ათვისებული ქალი მაინც ჰყავდათ“ (გურამ დოჩანაშვილი). გვხვდება „აუთვისებელიც“, რაც „ათვისებულის“ ანტონიმია. „ერთმა „სამოთხის ის ჩიტი“ – ანცი, „ჩასაყლაპი“ გოგონა ახსენა, თუმცა ჯერ „აუთვისებელი“, მაგრამ საკმაოდ შეთვალებული ვიღაცისაგან“ (ზაურ კალანდია). თუ ქალი თავისუფალ სექსუალურ ცხოვრებას ეწევა, მასზე ამბობენ, რომ „ირტყამს“: „აბა, ირტყამს?“ (აკა, მორჩილაძე), ასეთი ქალი „ნაკლა“ ან „ნაკლაშკაა“: „ის ნაკლა ისა, მდივანი, ვაივლის – გააქნევს, ვამოივლის – ვამოაქნევს. ხან ასე დამიჯდება, ხან ისე. იმ პონტში კი არა, რო მეპრანჭება... იმ პონტში, რო ვინა ხარ, ვის დაკარგვისარო“ (თამრი ფხაკაძე); „– რა სიყვარული? შენ ეგ ნაკლაშკა გიყვარს?“ (აკა მორჩილაძე), ხოლო კაცისათვის თავისუფალი სექსუალური ცხოვრება ერთგვარ ვაჟკაცობად ითვლება და მას „ნაშამორს“ ეძახიან: „ბრილიანტის ბეჭედი რომ მოგცენ, არ აიღებ, ვენერა? – გამოცდილი ნაშამორის სახით ჰყითხა ამირანმა და გადააპურჯყა“ (ჯემალ თოფურიძე) და სხვ.

ამრიგად, განხილული ნიმუშების მიხედვით აშკარაა, რომ ქართულ ჟარგონსა და უპატივცემულო გამოთქმებში გენდერული ასიმეტრიის ისეთივე სურათია ნარმოდგენილი, როგორიც ზემოხსენებულ ევროპულ ენებში გვხვდება.

### ლიტერატურა:

1. გენდერულ ტერმინთა ლექსიკონი, 2002 – СЛОВАРЬ ГЕНДЕРНЫХ ТЕРИНОВ. Редактор кандидат филологических наук А. А. Денисова, Москва, «Информация – XXI век» 2002.
2. ლ. ბრეგაძე, 2005 – ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბ., 2005.

## IV. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების საკითხები

### მეორე / უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის შესახებ\*

დღეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა ქართულის, როგორც მეორე (უცხო) ენის, სწავლებას. ამ მიმართებით უკვე გარკვეული სამუშაოა ჩატარებული: მუშავდება სპეციალური ლიტერატურა, ტარდება სემინარები და ასე შემდეგ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ბოლო დროს საკმაოდ გაიზარდა ინტერესი ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, მიმართ როგორც საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის, ასევე ჩვენს ქვეყანაში მომრავლებული უცხოელების მხრიდან.

ბუნებრივია, ქართულის სწავლებას ადრეც ექცეოდა ყურადღება; არსებობს მრავალი მეთოდიკური ნაშრომი. მათ შორის ალსანიშნავია ვ. თოფურიას, მ. თალაკვაძის, ვ. რამიშვილის, ა. დავითიანისა და სხვათა შრომები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომებში ქართულს იხილავდნენ უმთავრესად ქართულენოვან სტუდენტთათვის გათვალისწინებული მეთოდოლოგით.

თანამედროვე მოთხოვნები ქართულის სწავლებას არაქართველი სტუდენტებისათვის ითვალისწინებს მეორე (უცხო) ენის სწავლების თეორიების აპრობირებული მეთოდებით. საჭიროა ქართული ენის კურსის საგანგებო დამუშავება აღნიშნული თეორიების მიხედვით, რაც დღის წესრიგში აყენებს შესაბამისი ტერმინოლოგიის შემუშავებასაც.

აღნიშნულ თეორიათაგან უცხოელ (ინგლისურენოვან) სტუდენტებთან ქართულის სწავლებისას ვიყენებთ კონტრასტული ანალიზისა და გადაცდომათა ანალიზის თეორიებს. ამ თეორიების არსი შემდეგში მდგომარეობს:

#### კონტრასტული ანალიზი:

კონტრასტული ანალიზი ენათა შედარების ერთგვარი ხერხია, რომლითაც განისაზღვრება პოტენციურად მოსალოდნელი გადაცდომები, რათა მეორე ენის შესწავლის დროს გამოიკვეთოს, რისი შესწავლაა აუცილებელი და რისი – არა.

1. კონტრასტული ანალიზი ემყარება ენის თეორიას, რომლის მიხედვითაც, ენა არის ჩვევა და რომ ენის შესწავლა გულისხმობს ახალი ჩვევების შეთვისებას.

2. მეორე ენის პროდუცირების ან მიღების დროს გადაცდომათა მთავარ წყაროს მშობლიური ენა წარმოადგენს.

3. პირველ და მეორე ენებს შორის არსებული განსხვავებებით განისაზღვრება გადაცდომები.

\* „მრავალეროვანი საქართველო“, საინფორმაციო ბიულეტენი, 26 სექტემბერი ენათა ევროპული დღე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქართული ენის სამსახური, 1, 2008.

4. მესამე პუნქტიდან გამომდინარე, რაც მეტია ენათა შორის განსხვავება, მით მეტია მოსალოდნელ გადაცდომათა რაოდენობა.
5. მეორე ენის შემსწავლელისათვის მთავარია განსხვავებათა შესწავლა.
6. სირთულე და სიადვილე ენათა შესწავლის დროს განისაზღვრება ორი ენის შეპირისპირებით გამოვლენილ მსგავსება-განსხვავებათა მიხედვით (Susan M. Gass, Larry Selinker, *Second Language Acquisition, An Introductory Course*, Second Edition, 2001, 72-73).

#### **გადაცდომათა ანალიზი:**

რა არის გადაცდომათა ანალიზი? როგორც ტერმინი გვეუბნება, ეს ლინგვისტური ანალიზის სახეა, რომელიც იხილავს ენის შემსწავლელთა მიერ დაშვებულ გადაცდომებს. კონტრასტული ანალიზისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, მეორე ენის ჩვევათა პროდუცირებისას დაშვებული გადაცდომების შედარება ხდება თვით მეორე ენასთან, კონტრასტული ანალიზის დროს კი – მშობლიურ ენასთან.

გადაცდომათა ანალიზის რამდენიმე საფეხურს განარჩევენ.

1. მასალის შეგროვება. მართალია, ამ შემთხვევაში წერილობითი მასალა გროვდება, ზეპირი მასალაც შეიძლება იქნეს გამოყენებული.

2. გადაცდომათა იდენტიფიკაცია. რა არის გადაცდომა (ზმნის დროთა ფორმების არათანმიმდევრულობა, ზმნის არასწორი ფორმა, მრავლობითის სუბი-ექტან მხოლობით რიცხვში მდგარი ზმნა).

3. გადაცდომათა კლასიფიკაცია. როდისაა დაშვებული გადაცდომა? დაშვებულია გადაცდომა შეთანხმებისას? დაშვებულია გადაცდომა არაწესიერი ზმნის ხმარებისას?

4. გადაცდომათა რაოდენობა. რამდენი გადაცდომაა დაშვებული შეთანხმებისას? რამდენი არაწესიერი ზმნაა შეცდომით ნახმარი?

5. გადაცდომათა წყაროს ანალიზი.

6. გასწორება. გადაცდომათა გასწორება ტიპობრივ გადაცდომათა სიხშირეს ემყარება, რაც გარკვეული პედაგოგიკურ-მეთოდიკური ხერხებით ხორციელდება (Susan M. Gass, Larry Selinker, *Second Language Acquisition, An Introductory Course*, Second Edition, 2001, 79).

ბუნებრივია, ამ თეორიათა ტერმინების განხილვას და მათ ქართულში გადმოტანას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულის, როგორც მეორე (უცხო) ენის, სწავლების კურსის დამუშავებისათვის. ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე ტერმინს, რომლებსაც ეს თეორიები იყენებენ. ტერმინები მოგვყავს დავიდ კრისტალის ლექსიკონიდან – “A Dictionary of Linguistics & Phonetics”, Fifth Edition, Blackwell Publishing, 2006:

#### **Error გადაცდომა:**

ინგლისურ ენაში შეცდომა აღინიშნება ორი სიტყვით: mistake და error. ამათგან მეორე ენის სწავლების მეთოდიკა იყენებს error-ს, მასში გარკვეულ შინაარსს

დებს და, ამდენად, ეს ტერმინი არა მარტო შინაარსით, არამედ ლექსიკურადაც განსხვავებულია mistake სიტყვისაგან. რადგან ქართულად mistake და error სიტყვებს შეცდომა შეესაბამება, error ტერმინის აღსანიშნად გადაცდომას ვიყენებთ.

### **Error; error analysis გადაცდომა; გადაცდომათა ანალიზი:**

ენის სწავლებისა და შესწავლის პროცესში გადაცდომათა ანალიზი არის უცხო ენის შემსწავლელის მიერ ნაწარმოებ მიუღებელ ფორმათა გამოცნობის, დაჯგუფებისა და სისტემური ახსნის ტექნიკა, რაც იყენებს ლინგვისტთაგან შემოთავაზებულ პრინციპებსა და წესებს. ამგვარი გადაცდომანი სისტემურად ასახავენ შემსწავლელის მიერ მიღწეული ცოდნის დონეს; ისინი განსხვავდებიან შეცდომებისაგან, რომელთა გამოსწორებას შეძლებდა თვითონ შემსწავლელიც.

### **Interlanguage ინტერნა:**

ინტერნა უცხო ენის შესწავლის პროცესში ინდივიდის მიერ შექმნილი ლინგვისტური სისტემაა, რომელიც განსხვავდება როგორც ინდივიდის პირველი ენისაგან, ასევე შესასწავლი ენისაგან. ინტერნა ასახავს წესების სისტემას, რომელიც უვითარდება შემსწავლელს და წარმოადგენს შედეგს სხვადახვა პროცესისას, რომლებიც მოიცავენ პირველი ენის გავლენას („ტრანსფერს“), საპირისპირო ჩარევას შესასწავლი ენის მხრიდან და ახლად მიღებული წესების განზოგადებას.

### **Transfer ტრანსფერი – პირველი ენის გავლენა:**

უცხო ენის სწავლების მეთოდიკაში ტრანსფერი აღნიშნავს პირველი ენის გავლენას შესასწავლ ენაზე. ტრანსფერის შედეგები შეადგენენ ინტერნის ნაწილს.

### **Production; speech production გამომუშავება ანუ პროდუცირება; მეტყველების გამომუშავება, მეტყველების პროდუცირება:**

ამ ტერმინის ზოგადი მნიშვნელობა გამოვლენილია ფონეტიკასა და ფსიქოლინგვისტიკაში, სადაც ის მიერთება მეტყველების აქტის დაგეგმვასა და განხორციელებას. მეტყველების პროდუცირების შესწავლა მოიცავს არა მარტო საუბართან დაკავშირებულ ნეირონატომიურ და ნეიროფიზიოლოგიურ მოქმედებებს, არამედ ნერვული საკონტროლო სისტემის მოდელების ჩამოყალიბებასა და შემოწმებას ტვინის მიერ მეტყველების ორგანიზებისას. საგანგებო სტრატეგიას წარმოადგენს მეტყველების რეალიზების გარკვეული მახასიათებლების (პაუზა, წამოცდენა, დინამიკური თავისებურებანი) ანალიზი, როგორც საშუალება ამ სისტემის თვისებების შესახებ დასკვნების გამოტანისა.

ზემოთ აღნიშნული მეთოდების გამოყენებით განვიხილავთ ორიოდე მაგალითს, რომლებშიც ქართული მეტყველების პროდუცირებისას უცხოენოვან სტუდენტთა ინტერნაში ვადასტურებთ გადაცდომებს, რაც ტრანსფერს ანუ მშობლიური ენის გავლენას მიეწერება, კერძოდ:

რუსულენოვანი შემსწავლელის ინტერენაში დასტურდება ასეთი კითხვითი წინადადება: „შენ სტუდენტი?“ ამ შემთხვევაში მოსწავლეს უნდა იკითხოს: „შენ სტუდენტი ხარ?“ ქართული ენის ნორმების მიხედვით, ეს წინადადება გაუმართავია, რადგან ქართულ წინადადებაში შემასმენელი უნდა იყოს. ამის ნაცვლად კი მოსაუბრის მეტყველებაში ტრანსფერის, მშობლიური რუსული ენის, გავლენა დასტურდება, რადგან რუსულში აღნიშნული წინადადება შემასმენლის გარეშე იხმარება: «Ты студент?»

ინგლისურენოვანი შემსწავლელის ინტერენაში ასეთ წინადადებას ვადასტურებთ: „დღეს მეშვიდე ოქტომბერია“, მოსწავლეს უნდა, რომ თქვას, „დღეს შვიდი ოქტომბერია“. ეს გადაცდომაც ტრანსფერის შედეგია, ამ შემთხვევაში ინგლისურის გავლენაა, რადგან ინგლისურში, ზოგი სხვა ენის მსგავსად, ზემოაღნიშნულ წინადადებაში რიცხვითი რიცხვითი სახელი იხმარება და არა რაოდენობითი: “It is the 7<sup>th</sup> of October today”.

ამგვარი გადაცდომების გამოსწორება შეადგენს ქართულის, როგორც მეორე (უცხო) ენის, დაუფლების ამოცანას ქართული ენის სისტემური სწავლების დონეზე. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ზემოაღნიშნული თეორიებითა და შესაბამისი ტერმინოლოგიით ხელმძღვანელობა.

ზემოთ მხოლოდ ოთხი ტერმინი წარმოვადგინეთ. მიუხედავად სიმცირისა, აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მსგავსი ტერმინების გაცნობას, ზოგ შემთხვევაში მათ გადმოქართულებას და, რაც მთავარია, შესაბამის კვლევა-ძიებასა და სწავლებაში გამოყენებას.

## ერთი პრაქტიკული საკითხის შესახებ ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების დროს\*

უცხოელების მიერ ქართული ენის შესწავლის დროს ერთ-ერთი თვალსაჩინო სიძნელე არაბული ციფრებით გადმოცემული მსაზღვრელების ხმარებისას იჩენს თავს. მაგალითად, განვიხილოთ ასეთი ნინადადება:

„მე დავიბადე 1961 წლის 25 აგვისტოს“.

ბუნებრივია, ნებისმიერი ქართველი სტუდენტისათვის გასაგებია, თუ რომელ ბრუნვაში უნდა იყოს და რომელი ბრუნვის ნიშნები უნდა დაერთოს ამ წინადადებაში მოცემულ მსაზღვრელებს, რომლებიც რიცხვითი სახელებითაა გადმოცემული. კერძოდ, 1961-ს დაერთვის -ი ხმოვანი (ათას ცხრაას სამოცდაერთი), რაც ნათესაობითი ბრუნვის -ის ფორმანტის ნაშთია, 25 კი გადმოიცემა ნულოვანი ალომორფით – Ø, ფუძის სახით (ოცდახუთØ).

ეს საკითხი ქართველი სტუდენტისათვის იმდენად უმნიშვნელოა, რომ მას, ჩვეულებრივ, არც აქცევენ ყურადღებას. მაგრამ უცხოელი სტუდენტები, კერძოდ, ინგლისურენოვანი მსმენელები, რომელთა მშობლიურ ენაში სახელის ფორმაცვალება ბრუნვათა მიხედვით ფაქტობრივად არ არსებობს, მხოლოდ რიცხვს ხედავენ, იბნევიან და არ იციან, თუ რომელი ბრუნვის ფორმით დააბოლოონ წარმოდგენილი რიცხვითი სახელები.

რა თქმა უნდა, თუ მათ კარგად ეცოდინებათ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება და ამ მხრივ პრაქტიკულადაც ბევრს ივარჯიშებენ, ზემოაღნიშნული რიცხვითი სახელებით გადმოცემული მსაზღვრელების ბრუნვათა გამოცნობა არ გაუჭირდებათ. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ საკითხის შესწავლისას აჯობებდა ჯერ ასოებით გადმოცემული მსაზღვრელი რიცხვითი სახელების ბრუნება გვესწავლებინა უცხოელი სტუდენტისათვის და შემდეგ გაგვეცნო ციფრებით გადმოცემული რიცხვითი სახელების ფორმები, მაგრამ, ჯერ ერთი, ცალკე მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვების შესწავლაც მათვის ასევე რთულია, და, მეორეც, როგორც ცნობილია, ტექსტში ერთდროულად შეიძლება შეგხვდეს როგორც ასოებით, ისე ციფრებით გადმოცემული რიცხვითი სახელები. ამიტომ, ჩვენი აზრით, უმჯობესია ერთდროულად ვასწავლოთ როგორც ასოებით დაწერილი, ისე ციფრებით გადმოცემული რიცხვითი სახელით წარმოდგენილი მსაზღვრელები და მათი ბრუნება. ამასთან დაკავშირებით ვიშველიებთ ერთგვარ ხერხს: უცხოელ სტუდენტებს ვთავაზობთ რამდენიმე სავარჯიშოს, სადაც მსაზღვრელად წარმოდგენილი ციფრებით გადმოცემული რიცხვითი სახელები ბრუნვის ნიშნებითაა გაფორმებული; კერძოდ, წერია ციფრი, რომელთანაც დეფისით დაკავშირებულია შესაბამისი ბრუნვის ნიშანი. მაგ., ზემოთ წარმოდგენილი წინადადება ამ წესით შეგვიძლია ასე მივაწოდოთ: „მე დავიბადე 1961-ი(b) წლის 25-Ø აგვისტოს“ (ნათესაობითსა და

\* „კავკასიოლოგიური კრებული“, მიძღვნილი ცნობილი კავკასიოლოგისა და ბასკოლოგის, იან ბრაუნის, დაბადებიდან 80 წლისთავისადმი.

მოქმედებითში მყოფი მსაზღვრელებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ფრჩხილებში ამ ბრუნვათა თანხმოვნითი ნაწილებიც მივუთითოთ, რადგან ცალკე დარჩენილი ი ხმოვანი უცხოელ სტუდენტებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი ჰგონიათ).

რაოდენობითი რიცხვითი სახელების ასეთი დაწერილობა მიუღებელია, თუმცა სხვა შემთხვევებში რიცხვით სახელთა გაფორმება რაიმე სუფიქსით (ბრუნვის ნიშანი, ნაწილაკი, თანდებული) სავსებით ჩვეულებრივი და მართებულია ქართულში. მაგალითად, როგორც არაბული, ისე რომაული ციფრებით გადმოცემულ რიგობით და წილობით რიცხვით სახელებს შეიძლება „.... ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დაერთოს. ამ შემთხვევაში გამოიყენება დეფისი: პეტრე I-ის, ვახტანგ VI-მ, მე-5-ზე... . გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა რიცხვს ბოლოსართი დაერთვის: 25-ში, 22-ესთან...“ (ა. არაბული, 2004, 116; იხ. აგრეთვე, უურნალისტიკის სტილისტური ცნობარი, 2002, 223).

ზოგჯერ არათუ რიგობითი და წილობითი, არამედ თვით რაოდენობითი რიცხვითი სახელიც წარმოდგენილია ბრუნვის ნიშნებით (ასევე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნაწილაკით და თანდებულითაც). მაგალითად: „1-მა, 5-სა და 3-ს, 5 ორით მეტია 3-ზე...“; ან „10-მა, 2-ვე, 8-ს, 15-ის, 7-თან, 10-ზე, 12-ც“ (იხ. ლ. კვაჭაძე, 1969, 195; რ. ზექალაშვილი, 2004, 57).

ასეთი მაგალითები თანამედროვე ქართული მართლწერის მიხედვით მართებულ ფორმებად ითვლება. უცხოელ სტუდენტებს, რომლებმაც ეს ბრუნვის ნიშნები, ნაწილაკები და თანდებულები იციან, მათი წაკითხვა არ უჭირთ, მაგრამ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყველა ეს მაგალითი ერთგვარად თავისებურია; თავისებურია იმით, რომ ესენი ადარ არიან მსაზღვრელები, ესენი სუბსტანტივების ადგილზე დგანან, რადგან ფაქტობრივად მათ მომდევნოდ მდგარი საზღვრულები დაკარგულია. თუ იმ საზღვრულებს აღვადგენთ, მაშინ ბრუნვის ნიშნით გაფორმებაც მათ დაეკისრებათ, ხოლო არაბული ციფრებით გადმოცემული როცხვითი სახელები ბრუნვის ნიშნის გარეშე დაგვრჩება. ამის საილუსტრაციოდ შევუდაროთ ერთმანეთს ჩვენ მიერ შედგენილი წინადადებები საზღვრული წევრით და მის გარეშე:

„5 მოსწავლეს ვკითხე გაკვეთილი“, „5-ს ვკითხე გაკვეთილი“;

„3 წიგნს გაჩუქებ“, „3-ს გაჩუქებ“;

„10 ამხანაგმა გამომიარა“, „10-მა გამომიარა“;

„20 წლის ვარ“, „20-ის ვარ“;

„7 პროფესორთან ერთად მეც ვიყავი ამერიკაში“, „7-თან ერთად მეც ვიყავი ამერიკაში“;

„10 ლარზე ნუდარ ლაპარაკობ“, „10-ზე ნუდარ ლაპარაკობ“ და სხვ.

მაშასადამე, არაბული ციფრებით გადმოცემული რაოდენობითი რიცხვითი სახელით წარმოდგენილი მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად ბრუნებისას ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს, რის გამოც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცხოელ სტუდენტებს ამ მსაზღვრელთა წაკითხვა ანუ მათი ბრუნვის ფორმათა გამოცნობა ძალიან უჭირთ, სწორედ ამ სირთულის დაძლევის მიზნით ჩვენ აღვადგენთ ბრუნვის ნიშნებს. რა თქმა უნდა, ქართული მართლწერის წესების მიხედვით ეს მიუღებელია, მაგრამ ამას ჩვენ მხოლოდ მეთოდურ ხერხსად ვიყენებთ ქართულის, როგორც

მეორე ენის, შესწავლის გარკვეულ ეტაპზე. როცა უცხოელი სტუდენტები ამგვარი მაგალითების კითხვაში გაიწაფებიან, ჩვენ შევთავაზებთ იმ ტექსტებს, რომლებ-შიც არაბული ციფრებით გადმოცემული რაოდენობითი რიცხვითი სახელით წარ-მოდგენილი მსაზღვრელები ისევე გვხვდება, როგორც ეს ქართული ორთოგრაფი-ის წესებითაა დადგენილი.

#### **ლიტერატურა:**

1. ა. არაბული, 2004 – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. ჟურნალისტის სტილისტური ცნობარი, 2002 – ჟურნალისტის სტილის-ტური ცნობარი, გამოსაცემად მომზადდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, თბ., 2002.
3. ლ. კვაჭაძე, 1969 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბ., 1969.
4. რ. ზექალაშვილი, 2004 – რ. ზექალაშვილი, ქართული მართლწერის საკითხე-ბი, თბ., 2004.

**ელიფსის ერთი შემთხვევა ქართულსა და ინგლისურში და მისი  
პრაქტიკული მნიშვნელობა ქართულის, როგორც უცხო ენის,  
სწავლებისათვის\***

ბოლო დროს ქართული ენა მრავალი უცხოელის შესწავლის ობიექტი გახდა. შემსწავლელთა შორის არიან არალინგვისტები, რომელთაც მხოლოდ პრაქტიკული ქართული აინტერესებთ; არიან აგრეთვე ლინგვისტები, რომელთაც პრაქტიკული მიზნების გარდა ქართულის ენათმეცნიერული თავისებურებებიც აინტერესებთ. ბუნებრივია, პირველ ეტაპს ორივე ტიპის სტუდენტები ქართულის შესწავლით ინტერეს და მათი მომზადების დონისა და მათი მიზნების შესაბამისად ქართულის სწავლება სხვადასხვა მეთოდით და სიღრმით მიმდინარეობს.

წინამდებარე წერილი ქართულის შემსწავლელ უცხოელ ლინგვისტთათვისაა გამიზნული, თუმცა, მას შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს არალინგვისტი სტუდენტებისათვისაც.

ნაშრომში ერთი ტიპის ელიფსის ფორმებს ვიხილავთ ქართულსა და ინგლისურში. კერძოდ, ქართულის შესასწავლ დიალოგებში ხშირად ხმარებულ საზღვრული წევრის ჩავარდნას. მაგ.:

„— რამდენი წლის ხარ?

— ორმოცი წლის ვარ“.

მაგრამ პასუხი ხშირად მოკლეა: „— ორმოცის (ვარ)“.

ამ შემთხვევაში უცხოელ სტუდენტებს ერთგვარად აბნევთ ის გარემოება, რომ პირველ, სრულ მაგალითში მსაზღვრელი არ დაირთავს **ს** ელემენტს: „ორმოცი წლის“, ხოლო მეორე მაგალითში, სადაც საზღვრული წევრი გამოტოვებულია, **ს** ნარმოდგენილია: „ორმოცის“.

ეს მოვლენა არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს ქართველი სტუდენტებისათვის, რადგან მათთვის ქართული მშობლიური ენაა და ასეთი სირთულეები მათთვის არ საკუთრებულია, თუმცა ამ მოვლენის მორფოლოგიური განხილვა ქართველი სტუდენტებისათვისაც აუცილებელია.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მსჯელობა აქვს წარმოდგენილი ნ. შენგელაიას. ავტორი ასეთ წინადადებას გვთავაზობს: „**იმდროინდელი სტუდენტობა სრულიად არ ჰგავდა დღევანდელისას**“ (აკაკი). ავტორი ამ წინადადებიდან იხილავს სიტყვას **დღევანდელისას**. მისი აზრით, ამ შემთხვევაში „... უბრალო გამოტოვება კი არ ხდება, როგორც ჩვეულებრივ ელიფსის დროს, არამედ ნაწილობრივი – საზღვრული წევრის გრამატიკული მახასიათებლების დამატებით მსაზღვრელისათვის. შესიტყვების გამოტოვებული წევრის დაბრუნება ვერ მოხერხდება, თუ არ მოვახდინეთ გარკვეული ცვლილება – ჩამოვაცილეთ აფიქსები მსაზღვრელს.

\* „საენათმეცნიერო ძიებანი“, ტ. XXVIII, თბ., 2008.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში მსაზღვრელს ორი აფიქსი აქვს – ნათესაობითი ბრუნვის – -ისა და მიცემითი ბრუნვის – -ს, რომლებიც ორი ამოღებული სიტყვის დღის სტუდენტობას დამატების შემთხვევაში მას უნდა მოსცილდეს და ამ სიტყვებს დაუბრუნდეს:

იძღვინდელი სტუდენტობა სრულიად არ ჰგავდა დღევანდელი დღის სტუდენტობას” (ნ. შენგელაია, 2000, 133).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემებზე დაყრდნობით ელიფსის დროს აფიქსების ამგვარი გადაადგილება საზღვრული წევრიდან მსაზღვრელზე ფაქტოპრივად სამ შემთხვევაში გვხვდება:

1. ატრიბუტული მსაზღვრელი:

ა. თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელის ოთხი ბრუნვა:

მიც.	კარგ ამხანაგ-ს	კარგ-ს (ამხანაგ-ს)
ნათ.	კარგ-ი ამხანაგ-ის	კარგ-ის (ამხანაგ-ის)
მოქმ.	კარგ-ი ამხანაგ-ით	კარგ-ით (ამხანაგ-ით)
ვით.	კარგ ამხანაგ-ად	კარგ-ად (ამხანაგ-ად)

ბ. ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელის ექვსი ბრუნვა:

მოთხრ.	პატარა ამხანაგ-მა	პატარა-მ (ამხანაგ-მა)
მიც.	პატარა ამხანაგ-ს	პატარა-ს (ამხანაგ-ს)
ნათ.	პატარა ამხანაგ-ის	პატარა-სი (ამხანაგ-ის)
მოქმ.	პატარა ამხანაგ-ით	პატარა-თი (ამხანაგ-ით)
ვით.	პატარა ამხანაგ-ად	პატარა-დ (ამხანაგ-ად)
ნოდ.	პატარა ამხანაგ-ო	პატარა-ვ (ამხანაგ-ო)

**შენიშვნა:** როგორც ცნობილია, მოთხოვთ მოთხოვთიში, ნათესაობითიში, მოქმედებითიში, ვითარებითისა და წოდებითში თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელებთან ბრუნვის ნიშნები სხვადასხვა სახით გვხვდება. ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში ბრუნვის ნიშანთა ფორმა დამოკიდებულია იმ სახელის ფუძეზე, რომელთანაც გადადის საზღვრულის ბრუნვის ნიშანი ელიფსის პირობებში. ასე რომ, შესაძლებელია, მოთხოვთი ბრუნვის ნიშანი -მა გადაადგილების შედეგად -მ ფორმით წარმოდგეს და ა. შ.

2. სუბსტანტიური მსაზღვრელის ექვსი ბრუნვა:

მოთხრ.	ამხანაგის შვილ-მა	ამხანაგისა-მ (შვილ-მა)
მიც.	ამხანაგის შვილ-ს	ამხანაგისა-ს (შვილ-ს)
ნათ.	ამხანაგის შვილ-ის	ამხანაგისა-სი (შვილი-ის)
მოქმ.	ამხანაგის შვილ-ით	ამხანაგისა-თი (შვილ-ით)
ვით.	ამხანაგის შვილ-ად	ამხანაგისა-დ (შვილ-ად)
ნოდ.	ამხანაგის შვილ-ო	ამხანაგისა-ვ (შვილ-ო)

**შენიშვნა:** სუბსტანტიური მსაზღვრელის შემთხვევაში ელიფსის დროს გადა-ადგილებული ბრუნვის ნიშანი სუბსტანტიური მსაზღვრელის გავრცობილ ფუძეს დაერთვის.

3. ასევეა მსაზღვრელად გამოყენებულ კუთვნილებით ნაცვალსახელებთან, თუმცა ამ ფორმათა ბრუნების თავისებურებიდან გამომდინარე, ვითარება ერთგვარად განსხვავებულია. კერძოდ, როგორც ცნობილია, „კუთვნილებითი ნაცვალსახელები: **ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი**, ჩვეულებისამებრ, შესაბამის არსებით სახელთან ერთად გამოიყენება და ისევე შეეწყობა მას, როგორც მსაზღვრელი; მაგრამ მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებში თავისებურებას იჩენს – აუცილებლად მიცემითის ფორმას მოითხოვს:

**ჩემ-ს მეგობარ-ს** (და არა – **ჩემ მეგობარს**)

**ჩვენ-ს მეგობარ-ს** (და არა – **ჩვენ მეგობარს**)

**შენ-ს ძმა-ს** (და არა – **შენ ძმა-ს**)

**თქვენ-ს ძმა-ს** (და არა **თქვენ ძმა-ს**)

**მათ-ს ეზო-ს** (და არა **მათ ეზოს**)

ასევე: **ჩემ-ს მეგობრ-ად** (და არა **ჩემ მეგობრად**)

**შენ-ს ძმა-დ** (და არა **შენ ძმად**)

**მათ-ს ეზო-დ** (და არა – **მათ ეზოდ**)” (ა. არაბული, 2004, 118).

ამრიგად, აღნიშნულ ფორმათა ბრუნების თავისებურებიდან გამომდინარე, აქ უკვე გვაქვს მსაზღვრელთან ბრუნვის ნიშანი – ს, ელიფსის შემთხვევაში აქაც ხდება საზღვრულის ბრუნვის ნიშანთა გადმოტანა, ოღონდ ვითარება განსხვავებულია ბრუნვათა მიხედვით. კერძოდ, მიცემითში გადმოტანილი ბრუნვის ნიშანი ამავე ბრუნვის გავრცობილ ფორმას ერთვის და ერთგვარად ორმაგი სუფიქსით გაფორმებულ ნიმუშებს ვიღებთ:

**ჩემ-ს მეგობარ-ს → ჩემ-სა-ს (მეგობარს)**

**ჩვენ-ს მეგობარ-ს → ჩვენ-სა-ს (მეგობარს)**

**შენ-ს ძმა-ს → შენ-სა-ს (ძმას)**

**თქვენ-ს ძმა-ს → თქვენ-სა-ს (ძმას)**

**მათ-ს ეზო-ს → მათ-სა-ს (ეზოს)**

ხოლო ვითარებითში მხოლოდ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -ად გადმოდის, -ს ნიშანი აღარ გვხვდება:

**ჩემ-ს მეგობრ-ად → ჩემ-ად (მეგობრად)**

**შენ-ს ძმა-დ → შენ-ად (ძმად)**

**მათ-ს ეზო-დ → მათ-ად (ეზოდ)**

აქაც ფაქტი ფაქტად რჩება: ელიფსის დროს საზღვრულის გრამატიკული მასასიათებლები – ბრუნვის ნიშნები – გადადის მსაზღვრელთან, ხოლო ელიფსის დროს გაუჩინარებული საზღვრულის აღდგენისას ეს ბრუნვის ნიშნები ჩამოსცილდება მსაზღვრელს.

ბუნებრივია, ყოველივე ეს საკმაოდ ართულებს ქართულის, როგორც მეორე (ან უცხო) ენის, სწავლებას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც (სტუდენტის) მშობლიურ ენას არ ახასიათებს აფიქსთა ისეთი სიმრავლე, როგორიც ქართულს.

ინგლისურენოვან სტუდენტებთან ამ საკითხის სწავლების გაადვილების ერთ-ერთ გზად შეიძლება ჩაითვალოს ტიპოლოგიური ანალოგის მოძებნა ინგლისურში. ამ შემთხვევაში თუნდაც რამდენადმე მიახლოებულ მსგავსებასაც კი შეუძლია ერთგვარად ხელი შეუწყოს ქართული მსაზღვრელის ბრუნების ამ თავისებურების სწავლებას.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენაში მხოლოდ რამდენიმე აფიქსი გვაქვს, ვფიქრობთ, მაინც დასტურდება ერთგვარი ანალოგი ზემოთ წარმოდგენილი მოვლენისა.

ამის საილუსტრაციოდ განვიხილავთ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმებს ინგლისურში, კერძოდ: my – ჩემი და mine – (ჩემი); your – შენი, თქვენი და yours (შენი, თქვენი); his – მისი (მამრ.) და his – მისი (მამრ.); her – მისი (მდედრ.) და hers – მისი (მდედრ.); its – მისი (საშ.) და its – მისი (საშ.); our – ჩვენი და ours (ჩვენი); their – (მათი) და theirs (მათი).

კუთვნილებითი ნაცვალსახელების ამ ფორმათაგან პირველს – „შეერთებულს“ („ბმულს“), ხოლო მეორეს „აბსოლუტურს“ („თავისუფალს“) უწოდებენ, სხვაგვარად კი – „დამოკიდებულს“ და „დამოუკიდებელს“.

კუთვნილებითი ნაცვალსახელის პირველი ფორმები: my – ჩემი, your – შენი, თქვენი, his – მისი (მამრ.), her – მისი (მდედრ.), it – (საშ.), our – ჩვენი, their – (მათი) იხმარება, როგორც არსებითი სახელის მსაზღვრელი:

*My family is very large* – ჩემი ოჯახი ძალიან დიდია.

*His apartment is very good* – მისი (მამრ.) ბინა კარგია.

*Her sister is young* – მისი (მდედრ.) და ახალგაზრდაა.

ისინი ცვლიან არსებით სახელებს კუთვნილებით ბრუნვაში:

*The girl's name is Nino* – გოგონას სახელია ნინო, გოგონას ნინო ჰქვია.

*Her name is Nino* – მისი სახელია ნინო.

კუთვნილებითი ნაცვალსახელის მეორე ფორმები: mine – ჩემი, yours – შენი, თქვენი, his – მისი (მამრ.), hers (მისი მდედრ.), its – მისი (საშ.), ours – ჩვენი, theirs – მათი – ცვლიან წინადადებაში ზემოხსენებულ არსებით სახელებს და ამიტომ დამოუკიდებლად იხმარებიან:

*This is his book and that is mine* – ეს წიგნი მისია და ის – ჩემი (წიგნი).

My pen is good, *hers* is better and *yours* is the best – ჩემი კალამი კარგია, მისი – უკეთესი და თქვენი საუკეთესოა (რ. პადელსტონი, ჯ. პალმი, 2003, 458, 470; ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, 1984, 61-63; ა. გახოკიძე, ბ. გახოკიძე, 2002, 65-67).

აღნიშნულ ნაცვალსახელთაგან ჩვენთვის საინტერესო ვითარებას უნდა გვიჩვენებდეს შემდეგ ფორმათა შედარება: your - yours – შენი, თქვენი, her - hers – მისი (მდედრ.), our - ours – ჩვენი, their - theirs – მათი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, -s სუფიქსიანი ფორმები: yours, hers, ours, theirs ანუ ე. ნ. მეორე ფორმის კუთვნილებითი ნაცვალსახელები ცვლიან წინადადებაში უკვე ნახსენებ არსებით სახელებს და ამიტომ დამოუკიდებლად იხმარებიან.

My pen is good, *hers* is better and *yours* is the best – ჩემი კალამი კარგია, მისი – უკეთესი და თქვენი საუკეთესოა.

მაშასადამე, აქაც ფაქტობრივად ელიფსი გვაქვს და სახელის (საზღვრული pen – კალამი) გაუჩინარების შემთხვევაში გარკვეული გრამატიკული მახასიათებელი – სუფიქსი -s დაერთვის მსაზღვრელს, კერძოდ, *hers* ( $\leftarrow her+s$ ), *yours* ( $\leftarrow your+s$ ). ასევეა მიღებული *ours* და *theirs* ფორმები. როგორც ცნობილია, სუფიქსი -s წარმოშობით გენეტივის ნიშანია და დაერთვის ზემოაღნიშნულ ნაცვალსახელთა ფორმებს, როდესაც ისინი საზღვრული არსებითი სახელების გარეშე გვხვდებიან (ვებსტერი, 1959; ე. პარტოვი, 1977).

ზემოთ წარმოდგენილ ინგლისურ წინადადებაში თეორიულად შესაძლებელია *hers* და *yours* ფორმებს ჩამოვაცილოთ -s სუფიქსი, რის შემდეგაც, ბუნებრივია, აღდგება გამოტოვებული საზღვრული pen – კალამი: My pen is good, *her pen* is better and *your pen* is the best – ჩემი კალამი კარგია, მისი კალამი – უკეთესი და თქვენი კალამი საუკეთესოა, თუმცა პრაქტიკულად ასეთი წინადადება არ გვხვდება.

აღნიშნულ ელიფსის მაგალითებს თუ შევუდარებთ ერთმანეთს ქართულსა და ინგლისურში, შეგვიძლია დავასკვნათ:

1. მსაზღვრელ-საზღვრულის ელიფსის დროს ქართულში საზღვრულის გრამატიკული მახასიათებლები – ბრუნვის ნიშნები გადადის მსაზღვრელთან, საზღვრული წევრის აღდგენის შემთხვევაში ეს მახასიათებლები ტოვებენ მსაზღვრელს და უბრუნდებიან საზღვრულს.

2. ინგლისურში კი საზღვრული წევრის გაუჩინარების შემდეგ გრამატიკული მახასიათებელი ჩნდება მსაზღვრელთან და ასეთი მსაზღვრელი ცვლის საზღვრულს.

ამ მხრივ ერთგვარი მსგავსება ჩანს ქართულ და ინგლისურ ფორმებს შორის, მაგრამ გვაქვს მნიშვნელოვანი განსხვავებაც, კერძოდ:

1. ქართულში ელიფსის დროს საზღვრულის გრამატიკული მახასიათებლები გადადის მსაზღვრელთან, ინგლისურში კი ელიფსის დროს გრამატიკული მახასიათებელი საზღვრული წევრიდან კი არ გადადის, არამედ ჩნდება მსაზღვრელთან და ეს ხდება მხოლოდ საზღვრულის არყოფნის დროს.

2. ქართულში საზღვრული წევრის აღდგენის შემთხვევაში გრამატიკული მახასიათებლები ჩამოსცილდება მსაზღვრელს და უბრუნდება საზღვრულს, ინგლისურში მსაზღვრელს ჩამოსცილდება გრამატიკული მახასიათებელი, მაგრამ საზღვრულთან არ გადადის. აღსანიშნავია ისიც, რომ საზღვრულის ასეთი აღდგენა მხოლოდ თეორიულადაა დასაშვები.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ანალიზი დაეხმარება ინგლისურენოვან ლინგვისტ სტუდენტებს ქართული მსაზღვრელის ბრუნების თავისებურებათა გარკვევაში.

## **ლიტერატურა:**

1. ა. არაბული, 2004 – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. ა. გახოვიძე, ბ. გახოვიძე, 2002 – ა. გახოვიძე, ბ. გახოვიძე, ინგლისური ენის გრამატიკა, თბ., 2002.
3. ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, 1984 – ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, თანამედროვე ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი, წიგნი I, თბ. 1984.
4. ნ. შენგელაია, 2000 – ნ. შენგელაია, არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა, თბ., 2000.
5. ე. პარტრიჯი, 1977 – Eric Partridge, ORIGINS, A SHORT ETYMOLOGICAL DICTIONARY OF MODERN ENGLISH, Routledge & Kegan Paul, LONDON AND HENLEY, 1977.
6. რ. ჰადელსტონი, ჯ. პალმი, 2003 – Rodney Huddleston, Geoffrey K. Pullum, The Cambridge Grammar of the English Language, Cambridge University press, 2003.
7. ვებსტერი, 1959 – WEBSTER'S NEW WORLD DICTIONARY of the American Language, COLLEGE EDITION, THE WORLD PUBLISHING COMPANY, Cleveland and New York, 1959.

## ზმნურ ფორმათა წარმოების ზოგი საერთო ტენდენციისათვის ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებში\*

ნებისმიერი კონკრეტული ენისათვის ზმნურ ფორმათა დაჯგუფებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ზმნათა კლასიფიკაცია განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტექსტის კომპიუტერული ანალიზისას, რისი შედეგებიც შესაძლებელია ფართოდ იქნეს გამოყენებული ენათა ტიპოლოგიური თვალსაზრისით განხილვისა და ლექსიკონების შედგენისას.

ამა თუ იმ ენის ზმნური ფორმების დაჯგუფებას გარკვეული საფუძველი – საკლასიფიკაციო ნიშანი (თუ ნიშნები) მოეპოვება. ზმნური ფორმების პარადიგმის მოდელირებისათვის საკლასიფიკაციო ნიშანთაგან გარკვეული ტიპის ზმნებისათვის შესაძლებელია რომელიმე მათგანი ეფექტურ საშუალებად იქცეს.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ასეთი შეიძლება იყოს **აბლაუტის საფეხური**.

ქართული ენისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი მოვლენები, რომლებითაც ის ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს ინდოევროპულ და სხვა ენებთან. ერთ-ერთი ასეთი მოვლენაა ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა ანუ აბლაუტი.

ცნობილია, რომ აბლაუტი, ანუ აპოფონია, განისაზღვრება როგორც ისეთი ხმოვანმონაცვლეობა ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში, რომელსაც მორფონოლოგიური ფუნქცია აქვს. ქართულში აბლაუტი, ინდოევროპულ ენათა მსგავსად, მორფონოლოგიური ფუნქციის მქონეა, იგი გამოყენებულია სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიის საწარმოებლად, ე. ი. ასეთი ხმოვანმონაცვლეობა ფუნქციურად აფიქსებს უტოლდება. ამდენად, აბლაუტის სხვადასხვა საფეხური შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეულ მორფოლოგიურ კატეგორიათა საწარმოებლად გამოყენებული დამატებითი მორფემები ძირითად მორფემებთან (აფიქსებთან) ერთად (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 175-179).

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ ზმნურ წარმოებაში არსებული ტენდენციები და აბლაუტის საფეხურის როლი ხმოვანმონაცვლე ზმნათა დაჯგუფებისას თანამედროვე ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებში.

ეს, ბუნებრივია, დიდი თემაა. რა თქმა უნდა, ყველა საკითხს ერთბაშად ვერ წარმოვადგენთ. ამჯერად გვინდა მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხოთ:

1. აღნიშნულ ენებში ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარსული დროის მიმღეობის წარმოება;

2. უნიფიკაციის ტენდენციის შედეგად ხმოვანმონაცვლე ზმნათა რეგულარულ (აფიქსურ) წარმოებაზე გადასვლის შემთხვევები ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებში.

ქართული ზმნის ულლება ფაქტობრივად ანმყო-წყვეტილის თემათა წარმოების ორ წესს ექვემდებარება: 1. აფიქსურს (კერძოდ, სუფიქსურს). ანმყოსა და მას-

\* თსუ ფილოლოგის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, წიგნი მესამე, თბ., 1999.

ზე დამყარებულ ფორმებს აწარმოებენ თემატური სუფიქსები: -ი, -ავ, -ამ, -ებ, -ობ და 2. ფუძის ხმოვნის ფუნქციურ მონაცვლეობას – აბლაუტს (აწმყოს ფუძეში – ე, აორისტში – ი, აწმყოს ფუძეში – Ø, აორისტში კი – ა ან ე).

პირველი სისტემა გაბატონებულია და ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობას მოიცავს, მეორე კი, ისტორიულად გავრცელებული, დღეს იშვიათია. თანამედროვე ქართულში აშკარაა ტენდენცია „ზმნის უღვლილების სისტემაში ოდესლაც ფართოდ გავრცელებული აბლაუტური ხმოვანმონაცვლეობის ნაშთების გადაშენებისა და თემათა განსხვავების ერთიან, აფიქსურ სისტემაზე გადასვლისა“ (დ. მელიქიშვილი, 1979, 84).

ზმნურ ფორმათა დაჯგუფებისას განარჩევენ მთავარ ფორმებს. ეს ის ფორმებია, რომელთა დასახელება საკმარისია იმისათვის, რომ ადვილად ვაწარმოოთ ყველა დანარჩენი. ქართულში ზმნის ოთხი მთავარი ფორმაა: აწმყო (ან მყოფადი), წყვეტილი, I თურმეობითი, საწყისი (ა. შანიძე, 490-491).

ამასთან ერთად ქართული ზმნის წარმოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ნამყოს მიმღეობას, ხოლო ინგლისურისა და გერმანულისათვის კი იგი ერთ-ერთი მთავარი ფორმაა.

თანამედროვე ინგლისური და გერმანული ენების ზმნები ძირითადად ორ ჯგუფად შეგვიძლია წარმოვადგინოთ. ერთი, რომელიც აფიქსაციით იწარმოება, და მეორე, რომელიც დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება წარმოებისას. პირველს ინგლისურში რეგულარულ (წესიერ) ზმნებს უწოდებენ, ხოლო გერმანულში – სუსტებს. მეორე ჯგუფს ინგლისურში ირეგულარულებს (არაწესიერებს) უწოდებენ, ხოლო გერმანულში – ძლიერებს. თვით ინგლისური და გერმანული ზმნური წარმოება რამდენადმე განსხვავებულია ერთმანეთისაგან. გერმანული ენის ზმნური ფორმები გაცილებით რთულ სურათს გვიჩვენებენ; ასე მაგ.: სუსტი და ძლიერი წარმოების გვერდით იქ ე. წ. არაწესიერი (შერეული უღლების) ზმნებიც გვხვდება. ასე რომ, გერმანული და ინგლისური არაწესიერი ზმნები სხვადასხვა ფორმას გულისხმობენ.

ამგვარად, ამ თვალსაზრისით, გერმანულს და ინგლისურს საერთო აქვთ ის, რომ ზმნებს აფიქსაციითაც აწარმოებენ და მისგან განსხვავებითაც, კერძოდ, სუპლეტური ფორმებით, აბლაუტით და სხვ.

ჩვენ ქვემოთ ორივე ენისათვის შემდეგ ტერმინებს გამოვიყენებთ: რეგულარული (ინგლისური რეგულარული და გერმანული სუსტი ზმნებისათვის, ე. ი. აფიქსური წარმოების მქონე ფორმებისათვის) და ირეგულარული (ინგლისური ირეგულარული და გერმანული ძლიერი ზმნებისათვის).

ხმოვანმონაცვლე ფორმები ამათგან ირეგულარულ ჯგუფში გვხვდება. ორივე ენაში ეს ჯგუფი ისტორიულად ძველია, მას ძველად გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, თანამედროვე ვითარებაში კი გაბატონებულია რეგულარული წარმოება.

მიმღეობის წარმოება ქართულში მრავალგვარია, ასევე ინგლისურ და გერმანულ ენებში.

აღსანიშნავია, რომ ქართულში ხმოვანმონაცვლე ზმნათა ვწეპითი გვარის ნამყო დროის მიმღეობა ემყარება იმ ფუძეს, რომელიც წარმოდგენილია აწმყოს ფორმებში (და არა ნამყოში), ასევეა საწყისშიც:

ა) დრეკადი ფუძეები (ე – ი):

დრეკა – დრიკა, დრეკა, გადრეკილი;

გლეჯა – გლიჯა, გლეჯა, დაგლეჯილი;

კრეფს – კრიფა, კრეფა, დაკრეფილი;

ბ) კუმშვადი ფუძეები (ა/ე – ღ):

ყრის – (გადა)ყარა, ყრა, გადაყრილი;

ვცრი – (ვა)ვცერი, ცრა, ვაცრილი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ეს წარმოება ერთგვარ ანალოგს პოულობს ინგლისურსა და გერმანულ ენებში.

ცნობილია, რომ ინგლისურში არანესიერ ზმნურ ფორმათა ნაწილი ხმოვანმონაცვლეობით აწარმოებს ინგლისური ზმნის სამ მთავარ ფორმას:

განუსაზღვრელ ფორმას – Infinitive-ს, ნამყო განუსაზღვრელ დროს – Past Indefinite-ს და ნამყო დროის მიმღეობას – Past Participle-ს.

ამ ზმნების ნამყო დროის მიმღეობაში გვხვდება ის ფუძე, რომელიც გამოყენებულია ამავე ფორმათა ინფინიტივში (ზმნის საწყის ფორმაში და არა – ნამყოში):

ა) ზმნები, რომელთა ნამყოს ფორმა ნაწარმოებია ხმოვანმონაცვლეობით და ნამყოს მიმღეობას აქვს იგივე ხმოვანი, რაც ინფინიტივშია, მაგრამ ემატება -en დაბოლოება:

to give – gave – given (მიცემა)

to eat – ate – eaten (ჭამა)

to see – saw – seen (დანახვა)

ბ) ზმნები, რომელთა ნამყოს ფორმა ნაწარმოებია ხმოვანმონაცვლეობით და ნამყოს მიმღეობას აქვს იგივე ხმოვანი, რაც ინფინიტივშია, მაგრამ დაკარგული აქვს -en დაბოლოება:

to become – became – become (გახდომა)

to come – came – come (მოსვლა)

to run – ran – run (სირბილი) და სხვ. (რ. ქურდაძე, 1997, 397-400).

გერმანულშიც ირეგულარულ ზმნათა ნაწილი ხმოვანმონაცვლეობით აწარმოებს გერმანული ზმნის სამ მთავარ ფორმას: განუსაზღვრელ ფორმას Infinitive-ს, ნამყო უსრულს – Imperfekt-ს და მეორე მიმღეობას Partizip II-ს (ნამყოს მიმღეობას).

ამათგან გამოიყოფა ფორმები, რომელთა ნამყოს მიმღეობაში ვადასტურებთ ინფინიტივის ფუძეს და არა ნამყო უსრულისას.

მაგ.:

blasen – blies – geblasen (ბერვა)

bleiben – blieb – geblieben (დარჩენა)

braten – briet – gebraten (შენვა)

essen – aß – gegessen (ჭამა)

fallen – fiel – gefallen (დაცემა)

fangen – fing – gefangen (დაჭერა)

ამრიგად, ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფორმათა ნამყო დროის მიმღეობა ქარ-  
თულში ემყარება არა ნამყო დროის ფუძეს, არამედ იმ ფუძეს, რომელიც საწყისსა  
და აწმყო-მყოფადის ფორმებშია წარმოდგენილი. ასევე აწარმოებს ნამყოს მიმღე-  
ობას ინგლისური და გერმანული ენების ხმოვანმონაცვლე ზმნათა ნაწილიც (თუმ-  
ცა ყველა არა), კერძოდ, ამ მიმღეობებში იმ ფუძეს ვხვდებით, რომელიც ინფინი-  
ტივსა და აწმყო-მყოფადის ფორმებში გვაქვს.

ხმოვანმონაცვლე ფორმებთან დაკავშირებით აღნიშნულ ენებში თავს იჩენს  
შემდეგი ტენდენციაც: უნიფიკაციის შედეგად ირეგულარული წარმოების ფორმე-  
ბი რეგულარული წარმოებისკენ ისწრაფვიან. ასეთია, მაგალითად, ქართულში ზო-  
გი -ავ თემისნიშნიანი ფორმა:

ბზინავს, ბზინვა შდრ.: ბზენა;

ბრდლვინავს, ბრდლვინვა შდრ.: ბრდლვენა;

ბრწყინავს, ბრწყინვა შდრ.: ბრწყენა და სხვ.

ეს ზმნები დღეს მხოლოდ **ი** საფეხურს გვიჩვენებენ, **ე** საფეხური მხოლოდ  
საწყისში აქვთ შენახული. მსგავსი ფორმები ხშირია ქართულ დიალექტებში (ასეა  
სხვა ქართველურ ენაშიც – მეგრულში: დირიკუნ-ს – დირიკუ. ამოსავალი **ა** საფე-  
ხური მიმღეობაშია შენახული: დირაკილი). ამ ვითარებას, ალბათ, წინ უძლოდა ისე-  
თი პარალელური წარმოება, როგორიც დღეს სხვა ხმოვანმონაცვლე ზმნებში  
გვაქვს: დრეკს//დრეკავს//დრიკავს; გლეჯს//გლეჯავს//გლიჯავს და სხვ.

საყურადღებოა, რომ ინგლისურში ზემოაღნიშნული ხმოვანმონაცვლე ტიპის  
ფორმები ზოგ შემთხვევაში პარალელურ წარმოებას გვიჩვენებენ – რეგულარულს  
და ირეგულარულს. რეგულარულს -ed სუფიქსით, ირეგულარულს – ხმოვანმონაც-  
ვლეობით: მაგ:

„ცდა“

Strive	{ strove strived	Striven strived
--------	---------------------	--------------------

„აღსარების თქმა“

Shrive	{ Shrove shrived	shriven shrived
--------	---------------------	--------------------

„აყვავება“, „გაფურჩქვნა“, „წარმატების მიღწევა“

Thrive	{ Throve Thrived	thriven thrived
--------	---------------------	--------------------

გერმანულში ასეთი პარალელიზმი სემანტიკური გადაწევით გვხვდება: რე-  
გულარული -te სუფიქსით იწარმოება, ირეგულარული კი – ხმოვანმონაცვლეობით:

მაგ.: „ჰკიდია“

hängen – hing – gehangen

„ჰკიდებს“

hängen – hängte – gehängt

„შექმნა“

schaffen – schuf – geschaffen

„მოსწრება“, „მოხერხება“

schaffen – schaffte – geschafft

სემანტიკური გადაწევა დასტურდება ქართულ -ებ თემისნიშნიან ხმოვანმონაცვლე ზმნათა საწყისებშიც, კერძოდ: დენა, დინება; ჩენა, ჩინება; ვლენა, ვლინება; მხელა, მხილება (რ. ქურდაძე, 1996, 159).

ამრიგად, აღნიშნული ენები მსგავსებას გვიჩვენებენ, მაგრამ ხმოვანთა მონაცვლეობა და მასში მონაწილე ხმოვნები, ბუნებრივია, სხვადასხვაა ქართული, ინგლისური და გერმანული ხმოვანმონაცვლე ფორმებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულში ხმოვანმონაცვლე ზმნათა მიმღეობა ძირითადად აღნიშნული წესით ინარმოება, მაშინ, როდესაც ინგლისურსა და გერმანულში აღნიშნული წესით ხმოვანმონაცვლე ზმნათა მიმღეობის ნაწილი ინარმოება, ნაწილი კი – არა.

### ლიტერატურა:

1. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
2. დ. მელიქიშვილი, 1979, – დ. მელიქიშვილი, მოქმედებითი გვარის ზმნის ულების სისტემა თანამედროვე ქართულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, თბ., 1979.
3. რ. ქურდაძე, 1997 – რ. ქურდაძე, ერთი ტიპის მიმღეობის ნარმოებისათვის ქართულსა და ინგლისურ ენებში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 156, 2, თბ., 1997.
4. რ. ქურდაძე, 1996 – რ. ქურდაძე, -ებ თემის ნიშანი ხმოვანმონაცვლე ზმნებში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. IV, თბ., 1996.
5. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები: თხზ. ტ. III, თბ., 1980.

## ერთი სახის დერივატთა წარმოების საერთო წესის შესახებ ქართულსა და ინგლისურში\*

ნაშრომში განხილულია ზმნური ფორმანარმოებისა და ერთი ტიპის სიტყვა-წარმოების ტიპოლოგიური მსგავსებანი ქართულსა და ინგლისურ ენებში, რისი გათვალისწინებაც ერთგვარად გააადვილებს ქართულის, როგორც მეორე (უცხო) ენის, სწავლებას ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის.

ქართულის, როგორც მეორე (უცხო) ენის, სწავლებას არც ისე მცირე ხნის ისტორია აქვს. არსებობს სპეციალური სახელმძღვანელოები და მეთოდური მითი-თებანი ამ მიმართულებით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა საკითხი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი და ქართული გრამატიკის სწავლების ბევრი უბანი ჯერ კიდევ მოითხოვს შემდგომ დამუშავებას ამ თვალსაზრისით. ეს მით უფრო ნათელი ხდება მაშინ, როდესაც ქართულის, როგორც მეორე (უცხო) ენის, სწავლების დროს არაქართველ სტუდენტთა მშობლიური ენის როლს ვითვალისწინებთ. ამ მხრივ მე-ტად საინტერესოა ტიპოლოგიურ მსგავსებათა გამოვლენა ქართულ ენასა და შემ-სწავლელთა მშობლიურ ენას შორის.

ჩვენს ნაშრომში დასმული საკითხები მეორე ენის სწავლების მეთოდებს ეხე-ბა. აქ ერთი კონკრეტული ტიპოლოგიური მაგალითის მიხედვით ნაჩვენებია, თუ რას უნდა ითვალისწინებდეს მასწავლებელი, როგორ უნდა ხსნიდეს თეორიულ მა-სალას, რაზეც შემდეგ უნდა აფუძნებდეს პრაქტიკულ სავარჯიშოებს ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების დროს.

ცნობილია, რომ ტიპოლოგიურ მსგავსებათა ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეორე ენის სწავლების დროს. მშობლიურ ენასა და შესას-წავლ (ანუ სამიზნე) ენას შორის გამოვლენილ ტიპოლოგიურ მსგავსებებს მნიშვნე-ლოვნად შეუძლიათ გააადვილონ ენის სწავლება.

ჩვენი ნაშრომი გამიზნულია ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის. კერძოდ, ჩვენ ერთი ტიპის დერივატთა წარმოების საერთო წესს განვიხილავთ ქართულსა და ინგლისურში, რაც, ვფიქრობთ, უფრო გასაგებს და ადვილად შესასწავლს გახ-დის ქართული სიტყვანარმოების ნიმუშებს. აქვე ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ინ-გლისურენოვან სტუდენტთა შორის, უშუალოდ ქართულის პრაქტიკულად შემ-სწავლელთა გარდა, არიან ლინგვისტი სტუდენტებიც, რომელთათვისაც ქართუ-ლი ენის ტიპოლოგიურ ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი საანალიზო სიტყვანარმოების ნიმუშები როგორც ქართულში, ასევე ინ-გლისურში ზმნური წარმოშობის დერივატებია. თვით ეს ფაქტიც უაღრესად საინტე-რესოა ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების თვალსაზრისით, რადგან, რო-გორც ამას ადრეც აღვნიშნავდით, ზმნურ ფორმათა წარმოების წესშიც მეტად საინ-

\* წაკითხულია მოხსენებად საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, სახელ-მწიფო ენის სწავლების საკითხები, პრობლემები და გამოწვევები, ბათუმი, 14-15 ივლისი, 2011.

ტერესო ტიპოლოგიური მსგავსება შეინიშნება ქართულსა და ინგლისურ ენებს შორის. ზემოთ აღნიშნული დერივატების განხილვა გვინდა დავიწყოთ სწორედ ქართული და ინგლისური ზმნური ფორმების ტიპოლოგიური მსგავსებით, რადგანაც ეს დერივატები ორსავე ენაში გარკვეული ტიპის ზმნურ ფორმებს ემყარება.

ნებისმიერ ენას ზმნურ ფორმათა დაჯგუფების თავისი პრინციპები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული და ინგლისური სხვადასხვა ოჯახის ენებია, ამ ენების ზმნურ ფორმათა დაჯგუფებისას ერთგვარი ტიპოლოგიური მსგავსება იჩენს თავს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ორსავე ენაში ფუძისეულ ხმოვანმონაცვლობას ზმნურ ფორმათა დაჯგუფებისას გაბატონებული მდგომარეობა უნდა ჰქონოდა ამ ენათა განვითარების ადრეულ საფეხურზე.

კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფუძისეული ხმოვნის აბლაუტური მონაცვლეობა.

აბლაუტი ქართულში, მსგავსად ინდოევროპული ენებისა, მორფონოლოგიური ფუნქციის მქონეა, იგი გამოყენებულია სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიის საწარმოებლად, ე. ი. ასეთი ხმოვანმონაცვლეობა ფუნქციურად აფიქსებს უტოლდება. ამდენად, აბლაუტის სხვადასხვა საფეხური შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეულ მორფოლოგიურ კატეგორიათა საწარმოებლად გამოყენებული დამატებითი მორფები ძირითად მორფებთან (აფიქსებთან) ერთად (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 175-179).

დღეისათვის ქართული ზმნის ულლება ფაქტობრივად აწმყო-წყვეტილის თემათა წარმოების ორ ნესს ექვემდებარება: 1. აფიქსურს (კერძოდ, სუფიქსურს). აწმყოსა და მასზე დამყარებულ ფორმებს აწარმოებენ თემატური სუფიქსები: -ი, -ავ, -ამ, -ებ, -ობ; 2. ფუძის ხმოვნის ფუნქციურ მონაცვლეობას – აბლაუტს (აწმყოს ფუძეში – ე, აორისტში – ი; ან აწმყოს ფუძეში – Ø, აორისტში – ა ან ე). პირველი სისტემა გაბატონებულია და ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობას მოიცავს, მეორე კი, ისტორიულად გავრცელებული, დღეს იშვიათია. თანამედროვე ქართულში აშკარაა ტენდენცია „ზმნის ულლების სისტემაში იდესლაც ფართოდ გავრცელებული აბლაუტური ხმოვანმონაცვლეობის ნაშთების გადაშენებისა და თემათა განსხვავების ერთიან, აფიქსურ სისტემაზე გადასვლისა“ (დ. მელიქიშვილი, 1979, 84).

თანამედროვე ქართულში აფიქსური წარმოების მაგალითისათვის შეგვიძლია ნებისმიერი თემატური ფუძე დავასახელოთ, მაგ.: ხატ-ავ-ს / დახატ-ა, ხოლო აბლაუტური წარმოებისათვის – ე. ნ. დრეკადი, ე - ი მონაცვლეობის: დრუკ-ს / დრიკ-ა და კუმშვადი Ø - ა / ე მონაცვლეობის: თლ-ი-ს / (გა)თალ-ა, ვ-ჭრ-ი / (გა)-ვ-ჭურ-ი ფუძეები.

მსგავსი ტენდენცია გვაქვს ინგლისურშიც. კერძოდ, თანამედროვე ინგლისური ზმნა ძირითადად ორი გრამატიკული ჯგუფით წარმოდგება. ერთი, რომელიც აფიქსაციით იწარმოება, და მეორე, რომელიც წარმოების დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება.

პირველს, რეგულარულ (წესიერ) ზმნებს, ისტორიულად სუსტ ზმნებს უწოდებენ. ეს ზმნები ნამყოს დრო-კილოსა და ნამყო დროის მიმღეობას -ed სუფიქსით აწარმოებენ: paint - ხატვა, paint-ed - (მან) დახატა, paint-ed - დახატული.

არარეგულარულ (არანესიერ) ზმნებს ისტორიულად ძლიერ ზმნებს უწოდებენ, ფორმაციალების დროს ესენი არ მისდევენ ზემოაღნიშნულ აფიქსურ წესს და წარმოების მრავალფეროვნებით ხასიათდებიან. ორ ასეულამდე არარეგულარულ ზმნას ასახელებენ, რომელთაც შემდეგნაირად აჯგუფებენ:

1. არარეგულარული ზმნები, რომელთაც სამი მთავარი ფორმიდან (საწყისი ფორმა – ინფინიტივი, ნამყო და ნამყოს მიმღეობა) სამივე სხვადასხვა აქვთ: speak – spoke – spoken – ლაპარაკი.

2. არარეგულარული ზმნები, რომელთაც ზემოაღნიშნული სამი მთავარი ფორმიდან ორი იდენტური აქვთ. ამ შემთხვევაში სამ ქვეჯგუფს გამოყოფენ: ა) ნამყო და ნამყოს მიმღეობა იდენტურია, ხოლო ინფინიტივი – განსხვავებული: bring – brought – brought – მოტანა, ბ) ინფინიტივი და ნამყოს მიმღეობა იდენტურია, ხოლო ნამყო – განსხვავებული: come – came – come – მოსვლა, გ) ინფინიტივისა და ნამყოს ფორმები იდენტურია, ნამყოს მიმღეობა კი – განსხვავებული: beat – beat – beaten – ცემა.

3. არარეგულარული ზმნები, რომელთაც ზემოაღნიშნული სამივე ფორმა იდენტური აქვთ: put – put – put – დადება.

ზმნათა დიდი უმრავლესობა ინგლისურში რეგულარული წარმოების აფიქსურ წესს მიჰყვება (ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, 1992, 89-91).

საყურადღებოა, რომ ინგლისურ არარეგულარულ ზმნათა დიდი ნაწილი ზემოაღნიშნულ მთავარ ფორმებს – ინფინიტივს, ნამყოს და ნამყოს მიმღეობას ხმოვანთა მონაცვლეობით განარჩევს, იხ. ზემოთ: speak – spoke – spoken და სხვ.

ამრიგად, აქ უკვე ვლინდება პირველი ტიპოლოგიური მსგავსება ქართულსა და ინგლისურ ზმნურ ფორმანარმოებას შორის. სახელდობრ, ორსავე შემთხვევაში ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ზმნურ ფორმათა გასარჩევად ზმნათა გარკვეული ნაწილისათვის გამოყენებულია ხმოვანმონაცვლეობა, რომელიც შემდეგ აფიქსურმა წარმოებამ შეცვალა. აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც აფიქსური, ასევე აბლაუტური წარმოების წესები ქართულსა და ინგლისურში სხვადასხვაა.

მაშასადამე, ზმნურ ფორმათა წარმოების აბლაუტური წესი დღეისათვის ორივე ენაში ნაშთის სახით არის შემორჩენილი. აღსანიშნავია, რომ მსგავსება თვით ქართული და ინგლისური ხოვანმონაცვლე ზმნების მთავარ ფორმათა წარმოებაშიც შეინიშნება. კერძოდ, ქართული ე - ი ტიპის დრეკადი და Ø - ა / ე ტიპის კუმშვადი ზმნების ნამყოს მიმღეობა ემყარება იმ ფუძეს, რომელიც წარმოდგენილია აწმყოს ფორმებსა და საწყისში (და არა ნამყოში):

ა) ე - ი ტიპის დრეკადი ფუძეები:

აწმყო	ნამყო	საწყისი	ნამყოს მიმღეობა
გლეჯ-ს	გლიჯ-ა	გლეჯ-ა	და-გლეჯ-ილ-ი
დრეკ-ს	დრიკ-ა	დრეკ-ა	გა-დრეკ-ილ-ი
კრეფ-ს	კრიფ-ა	კრეფ-ა	და-კრეფ-ილ-ი

ბ) Ø - ა / ე ტიპის კუმშვადი ფუძეები:

ანტიკ	ნამყო	საწყისი	ნამყოს მიმღეობა
შლ-ი-ს	გა-შალ-ა	შლ-ა	გა-შლ-ილ-ი
ვ-ცრ-ი	გა-ვ-ცერ-ი	ცრ-ა	გა-ცრ-ილ-ი

ეს წარმოება ერთგვარ ანალოგს პოულობს ინგლისურ ენაში. კერძოდ, ინგლისურ არარეგულარულ ზმნათა ნაწილი ნამყოს მიმღეობაში წარმოგვიდგენს იმ ფუძეს, რომელიც გამოყენებულია ამავე ფორმათა ინფინიტივში და არა – ნამყოში:

ა) ზმნები, რომელთა ნამყოს ფორმა ნაწარმოებია ხმოვანმონაცვლეობით და ნამყოს მიმღეობას აქვს იგივე ხმოვნიანი ფუძე, რაც ინფინიტივშია, ბოლოს კი ემატება -en დაბოლოება. ამ შემთხვევაში სამივე ფორმა სხვადასხვაა.

ინფინიტივი	ნამყო	ნამყოს მიმღეობა
to give მიცემა	gave	given
to eat ჭამა	ate	eaten
to see დანახვა	saw	seen

ბ) ზმნები, რომელთა ნამყოს ფორმა ნაწარმოებია ხმოვანმონაცვლეობით და ნამყოს მიმღეობას აქვს იგივე ხმოვნიანი ფუძე, რაც ინფინიტივშია, მაგრამ არ ემატება -en დაბოლოება. ამ შემთხვევევაში ორი ფორმა – ინფინიტივი და ნამყოს მიმღეობა – იდენტურია.

ინფინიტივი	ნამყო	ნამყოს მიმღეობა
to become გახდომა	became	become
to come მოსვლა	came	come
to run სირბილი	ran	run

საინტერესოა, რომ ინგლისურში ვხვდებით არარეგულარულ ზმნათა ნამყო დროის მიმღეობებს იმ ხმოვნიანი ფუძით, რაც ნამყოში გვაქვს და არა ინფინიტივში. ასეთი მიმღეობები გვხვდება როგორც -en სუფიქსით, ასევე მის გარეშეც: speak – spoke – spoken – ლაპარაკი; buy – bought – bought – ყიდვა.

ამისი ანალოგის დასახელებაც შეიძლება ქართული ხმოვანმონაცვლე ზმნების მაგალითზე, ეს იმ შემთხვევაში, თუ ხმოვანმონაცვლე ზმნებს აწმყოს ფორმებში პარალელური ვარიანტები მოეპოვება: კრეფ-ს, კრეფ-ავ-ს, კრიფ-ავ-ს; ნუვეტ-ს, ნუვეტ-ავ-ს, ნუვიტ-ავ-ს, რასაც შემდეგ ემყარება საწყისი და მიმღეობა: კერძოდ, ქართული დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით ხმოვანმონაცვლე ზმნების შემდეგი ი ხმოვნიანი ფუძის მქონე მიმღეობებიც დასტურდება: გა-კრიფ-ულ-ი, გა-ნუვიტ-ულ-ი, შდრ. ნამყო: (მო)კრიფა, (გა)ნუვიტა და სხვ. (რ. ქურდაძე, 2005, 114).

საყურადღებოა, რომ როგორც ქართულში, ასევე ინგლისურში ხმოვანმონაცვლე ზმნათა მთავარ ფორმებში გამოვლენილი აბლაუტის სხვადასხვასაფეხუ-

რიანი, ანუ სხვადასხვახმოვნიანი ფუძე გამოყენებულია სახელთა სიტყვანარმოებითი ფუნქციით.

სახელდობრ, ქართულში გვაქვს სახელები, რომლებიც ნაწარმოებია ხმოვან-მონაცვლე ზმნათა აწმყოსა და მასზე დამყარებულ ფორმათა ფუძეებისგან. კერძოდ, ე ხმოვნიანი ფუძეებისგან იწარმოება, მაგ:

დენი (ადენს - ადინა ზმნისგან),

ზნექი (ზნექს - ზნიქა ზმნისგან),

წნები (წნებს - წნიხა ზმნისგან) და სხვ.

ასეთივე ფუძით იწარმოება ზოგიერთი -ია სუფიქსიანი სახელი:

რქენია (ურქენს - ურქინა ზმნისგან),

ღრენია (უღრენს - უღრინა ზმნისგან) და სხვ.

ასევეა - ელა სუფიქსით ნაწარმოებ ზოგ სახელშიც:

შრეტელა (შრეტს - შრიტა ზმნისგან),

ჭყეტელა (ჭყეტს - ჭყიტა ზმნისგან) და სხვ.

სახელები, რომლებიც ხმოვანმონაცვლე ზმნათა ნამყოს ფუძისგან, ი ხმოვნიანი ფუძისგან იწარმოება. მაგ.:

ბზიკი (ბზექს - ბზიკა ზმნისგან),

ლხინი (ალხენს - ალხინა ზმნისგან),

ცქვიტი (ცქვეტს - ცქვიტა ზმნისგან) და სხვ.

ასეთივე სახელები -ა სუფიქსით: კრიჭა (კრეჭს - კრიჭა ზმნისგან).

ასეთივე სახელები -ე სუფიქსით: ხვრიტე (ტექ. დაფარული, გარედან უხილავი სიცარიელე ლითონის სხმულში. ხვრეტს - ხვრიტა ზმნისგან) და სხვ.

ამ სახელთა წარმოების თავისებურებანი და სრული სია ქართულში წარმოდგენილი გვაქვს ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფორმათა ინდექსში, რომელიც ერთვის ჩვენს ნაშრომს „ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში“ (რ. ქურდაძე, 2005).

ასეთივე ვითარება დასტურდება ინგლისურ ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფორმათა მიხედვითაც. კერძოდ, გვაქვს სახელები, რომლებიც ემყარება ხმოვანმონაცვლე ზმნათა ინფინიტივის ფუძეს, რომელიც ასევე აწმყო-მყოფადის ფორმების საწარმოებლად გამოიყენება. მაგ.:

Blow ტრაბახი, კოკაინი (ჟარგ.), (blow – blew ზმნისგან, რაც ბერვას ნიშნავს);

Drive გზა, (drive – drove ზმნისგან, რაც წაყვანას, მგზავრობას, გარეკვას, მანქანის ტარებას ნიშნავს);

Eat საჭმელი, (eat – ate - ჭამა ზმნისგან);

Fall - შემოდგომა (fall – fell - დაცემა, ჩამოვარდნა ზმნისგან) და სხვ.

ინფინიტივის ფუძის მქონე დერივატების არსებობა ინგლისურში არ არის გასაკვირი (ისევე, როგორც ქართულში საწყისისა და აწმყოს ფუძის მქონე დერივატების არსებობა), რადგან ინფინიტივი ზმნის უპირო ფორმაა და, ამდენად, უკვე სახელური თვისების მატარებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ზოგ ასეთ ფორმას დერივატები მოეპოვება ნამყოს ფუძითაც. მაგალითად:

Broke - უფულობა, უსახსრობა (break – broke – გატეხვა ზმნისგან);

**Chose** - კერძო საკუთრების ნაწილი, ნივთი (choose – chose – ამორჩევა ზმნისგან);

**Struck** - დახურული ან მუშათა გაფიცვას დამორჩილებული ფაბრიკა ან ასეთი ფაბრიკის თანამშრომელი (strike – struck – გაფიცვა) და სხვ.

ზემოაღნიშნულ ინგლისურ დერივატებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. ეს მაგალითები ჩვენ ინტერნეტში არსებული ლექსიკონიდან მოგვყავს. იხ.: <http://www.merriam-webster.com/dictionary/drive>

მსგავსი დერივატები სხვა არახმოვანმონაცვლე არარეგულარულ ინგლისურ ზმნებსაც მოეპოვება. საერთოდ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ გამოსავლენი და აღსანერია ასეთი დერივატების სრული სია ინგლისურში. ასეთი დერივატების სრული აღნუსხვა და შესაბამის ზმნურ ფორმებთან მიმართებათა გარკვევა აუცილებელ საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული ინგლისურისათვის. ამასთანავე, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისური ენის მრავალი დიალექტური ნაირსახეობა არსებობს დღეისათვის მსოფლიოში, სავარაუდოა, რომ ამგვარ დერივატთა რაოდენობა და სემანტიკური მრავალფეროვნება კიდევ უფრო გაიზრდება.

ბუნებრივია, აღნიშნულ ინგლისურ დერივატთა სრული აღნუსხვა და ანალიზი ერთ სტატიაში ვერ მოხერხდება და ეს არცა ყოფილა ჩვენი მიზანი.

ჩვენი ნაშრომი ინგლისურენოვან სტუდენტთათვის ქართულის სწავლებას ეხება და მასში ქართული და ინგლისური ზმნური ფორმანარმოების საერთო ტენდენციების საფუძველზე გამოვლენილია ერთი ტიპის ტიპოლოგიურად მსგავსი სიტყვაწარმოება ქართულსა და ინგლისურში. ვფიქრობთ, ქართული ენის მასწავლებელს შეუძლია ეს მსგავსება ეფექტურად გამოიყენოს ინგლისურენოვან სტუდენტებთან მუშაობისას.

### **ლიტერატურა:**

1. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1965.
2. დ. მელიქიშვილი, 1979 – დ. მელიქიშვილი, მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ქართველში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, თბ., 1979.
3. ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, 1992 – ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის კურსი, წიგნი I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1992.
4. რ. ქურდაძე, 2005 – რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბ., 2005.
5. ინტერნეტში არსებული ინგლისური ენის ლექსიკონი, “ვებსტერი”, <http://www.merriam-webster.com/dictionary/drive>

## **დროისა და მოქმედების სიხშირის ალმნიშვნელი ზმნიზედები წარსული დროის ზმნებთან ქართულსა და ინგლისურ ენებში\***

ქართული ენის შემსწავლელ ინგლისურენოვან სტუდენტთა ქართულად მეტყველებისას გვხვდება შეუსაბამობანი ზმნა-შემასმენელსა და ზმნიზედას (დროის გარემოებას) შორის: ყოველთვის დახატა, ყოველდღე დახატა, ხანდახან დახატა, ხშირად დახატა და სხვ.

ეს ზმნიზედები ქართულში, ჩვეულებრივ, უწყვეტლის მწკრივის ფორმებთან იხმარება: ყოველთვის ხატავდა, ყოველდღე ხატავდა, ხანდახან ხატავდა, ხშირად ხატავდა (და არა – წყვეტილის მწკრივთან). ასეთი ზმნიზედებია აგრეთვე: არასოდეს, ჩვეულებრივ, იმ დროს, კვლავ და კვლავ, რეგულარულად და სხვ.

აღნიშნული შეცდომის მიზეზი უწყვეტლისა და მისი შესაბამისი ინგლისურის ეკვივალენტის არცოდნა არაა, რადგან უცხოელი სტუდენტები იცნობენ უწყვეტლის მწკრივის ფორმებს და მათ იყენებენ კიდეც სათანადო შემთხვევებში, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია, თარგმნიან მას ინგლისური ზმნის ნამყო განგრძობითის ფორმით.

როგორც ცნობილია, ინგლისური ნამყო განგრძობითი (Past Continuous ანუ Past Progressive) დროის ფორმა გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც გრძელდებოდა ნამყო დროის განსაზღვრულ მომენტში ან მონაკვეთში (Michael Swan, 2001, 427; ა. გახოკიძე, 1969, 72; ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, 1992, 128-130).

ნამყოს განსაზღვრული მომენტი შეიძლება გადმოიცეს: ა) დროის გარემოებით, რომელსაც, ჩვეულებრივ, განკერძოებული დროის გარემოებაც ახლავს, მაგ., გუშინ 5 საათზე: “I was reading at 5 o’clock yesterday” – მე ვკითხულობდი გუშინ, 5 საათზე; ბ) დროის გარემოებით, რომელიც წარსულის ერთ მთლიან პერიოდს გულისხმობს: “I was painting all day yesterday” – მე გუშინ მთელი დღე ვხატავდი; გ) ნამყო განგრძობითი დროის ფორმა სხვა მოქმედებასთან ერთად ნამყოში: “I was writing when he came” – მე ვწერდი, როცა ის მოვიდა.

ქართულში უწყვეტლის მწკრივის ფორმები, როგორც ამას მწკრივის სახელიც გვიჩვენებს, მოქმედების პროცესს უწყვეტად წარმოგვიდგენს (ა. შანიძე, 1980, 218-219; ლ. კვაჭაძე, 1969, 246). ამიტომ ყველა ზემოთ აღნიშნული ინგლისური მაგალითი შესაძლებელია ქართულად უწყვეტლის მწკრივის ფორმით გადმოიცეს. მაგრამ ქართულში უწყვეტელი განმეორებად, ჩვეულ მოქმედებასაც გადმოგვცემს. სწორედ ამიტომ დაკვიდრებული ნორმაა ზემოაღნიშნული ზმნიზედების ხმარება უწყვეტლის მწკრივის ფორმებთან: ყოველთვის ხატავდა, ყოველდღე ხატავდა და სხვ.

\* „ენათმეცნიერების საკითხები“, 2, თბ., 2003.

ეს ფუნქცია განასხვავებს ქართულ უწყვეტლის მწკრივს ინგლისური ნამყო განგრძობითისაგან. ინგლისურში განმეორებად მოქმედებას გვიჩვენებს არა ნამყო განგრძობითი, არამედ ნამყო განუსაზღვრელი (Past Indefinite ანუ Simple Past) დროის ფორმები (მ. სვანი, 2001, 416; ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, 1992, 125).

ამის დასადასტურებლად მოჰყავთ ასეთი მაგალითი: “When I was a child we made our own amusements (Not... we were making our own amusements)” (მ. სვანი, 2001, 418).

ეს ქართულად ასე ითარგმნება: „როცა ბავშვი ვიყავი, ჩვენს საკუთარ გასართობებს ჩვენვე ვიგონებდით“ (რადგან amusement გართობას, შექცევას; გასართობს, სეირს ნიშნავს, ქართულ თარგმანში make (ნამყოში made) – „კეთება“ ზმნის ნაცვლად „ვიგონებდით“ ზმნა ვარჩიეთ). შევნიშნავთ, რომ ზემოაღნიშნული წინადადების ქართულად თარგმნისას ჩვენ კვლავ უწყვეტელი გამოვიყენეთ – „ვიგონებდით“, მაგრამ ინგლისურში ნამყო განუსაზღვრელი დროა, რაც ქართულად ითარგმნება, როგორც „მოვიგონეთ“.

მაშასადამე, ინგლისურში განმეორებად მოქმედებას გვიჩვენებს არა ნამყო განგრძობითი, რაც ქართულ უწყვეტელს შეესაბამება, არამედ ნამყო განუსაზღვრელი, რაც ქართულ წყვეტილს შეესაბამება.

თავის მხრივ, ინგლისური ნამყო განუსაზღვრელი (Past Indefinite ანუ Simple Past) ქართულად ორგვარად ითარგმნება: ა) ძირითადად წყვეტილის ფორმით (დასატა) და ბ) გარკვეულ შემთხვევაში – უწყვეტლის ფორმით (ხატავდა).

განმეორებადი მოქმედების აღსანიშნავად ზემოხსენებული ზმნიზედები ქართულში უწყვეტლის მწკრივს დაერთვის (რაც ინგლისურად, ჩვეულებრივ, ნამყო განგრძობითით ითარგმნება), ხოლო შესაბამისი ზმნიზედები ინგლისურში ნამყო განუსაზღვრელ დროს ითხოვს (რაც ქართულად წყვეტილით ითარგმნება).

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნულ უზუსტობათა მიზეზია ინგლისურნოვან სტუდენტთა მიერ ინგლისური ენის ყალიბის გადმოტანა ქართულში. უცხო ენის შესწავლის დროს მშობლიური ენა რომ ერთგვარი მიზეზი შეიძლება გახდეს შეცდომებისა, ეს ცნობილი ფაქტია. ინგლისური და ქართული ენების მიხედვით ამგვარი შეცდომების ანალიზს ეძღვნება პროფ. ლილი გოქსაძის ნაშრომები: „ქართველ სტუდენტთა ტიპიური შეცდომების შესახებ“, Error or Blunder (აღნიშნულ სტატიებს ჩვენ ხელნაწერის სახით ვიცნობთ). ლ. გოქსაძის ნაშრომები ქართველ სტუდენტთა შეცდომებს წარმოგვიდგენენ, რაც გამოწვეულია იმით, რომ ინგლისურად ლაპარაკისას ქართველი სტუდენტები მშობლიური ენის ყალიბს იყენებენ.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისური ნამყო განგრძობითი და ქართული უწყვეტელი ერთმანეთს ემთხვევა ნარსულში მომხდარი მოქმედების გადმოსაცემად, რომელიც ნარსულის რაღაც მომენტში გრძელდებოდა. ქართული უწყვეტელი გამოიყენება განმეორებადი მოქმედების აღსანიშნავადაც, ინგლისური ნამყო განგრძობითი კი – არა, ასეთ შემთხვევაში ინგლისური, ჩვეულებრივ, ნამყო განუსაზღვრელი დროის ფორმებს იყენებს.

ამიტომაა, რომ თვით ინგლისურში ზმები, რომლებიც გამოხატავენ გრძნობებს (სიყვარულს, სიძულვილს და სხვ.), ფიზიკურ შეგრძნებებს (გაგონებას, დანახვას და სხვ.), გონებრივ აღქმას (ცოდნას, დამახსოვრებას და სხვ.) განგრძობითი დროის – Continuous-ის ანუ Progressive-ს (და კერძოდ, Past Continuous-ის ანუ Past Progressive-ს) ფორმებში არ იხმარება.

ეს იმით აიხსნება, რომ თვით ამ ზმნათა მნიშვნელობანი, ჩვეულებრივ, გამოხატავენ პროცესს ან მდგომარეობას, რომელიც საერთოდ, ზოგადად მიმდინარეობს და მისი შემოფარგვლა რაიმე ერთი მომენტით შეუძლებელია.

ამრიგად, ინგლისურში უყვარს, სძულს, ახსოვს და სხვა ამგვარ გრძნობათა გამომხატველ ზმებს წარსულში ნამყო განუსაზღვრელი დროის ფორმები აქვთ და არ გააჩნიათ ნამყო განგრძობითის ფორმები. ქართულში კი – პირიქით, მათ ინგლისური ნამყო განგრძობითი დროის შესატყვისი უწყვეტლის ფორმები აქვთ (უყვარდა, სძულდა, ახსოვდა და სხვ.) და არ გააჩნიათ ინგლისური ნამყო განუსაზღვრელი დროის შესატყვისი წყვეტილის ფორმები.

მაშასადამე, ერთგვარი ტიპოლოგიური მსგავსება აქაც შეინიშნება – ფაქტობრივად, ეს ზმები (მედიოპასივები) მწკრივნაკლი (ანდა დრონაკლი) გამოდის ორივე ენაში: ინგლისურში მათ არა აქვთ ნამყო განგრძობითი და გვხვდებიან ნამყო განუსაზღვრელში (რაც ინგლისურში სხვა ფუნქციებთან ერთად განმეორებად მოქმედებასაც გვიჩვენებს), ხოლო ქართულში მათ არა აქვთ წყვეტილი და გვხვდებიან უწყვეტლის მწკრივში (რაც ასევე სხვა ფუნქციებთან ერთად განმეორებად მოქმედებასაც გვიჩვენებს).

სწორედ ასეთი შეპირისპირებითი ანალიზის გზით ვცდილობთ დავძლიოთ ზემოთ ნახსენები სტილისტური შეუსაბამობანი ინგლისურენოვან სტუდენტებთან ქართულის სწავლების დროს.

### ლიტერატურა:

1. ა. გახოკიძე, 1969 – ა. გახოკიძე, ინგლისური ენის გრამატიკა, V – X კლასებისათვის, თბ., 1969.
2. ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, 1992 – ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის კურსი, წიგნი 1, თბ., 1992.
3. ლ. კვაჭაძე, 1969 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1969.
4. ა. შანიძე, 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები: თხზ., ტ. III, თბ., 1980.
5. მ. სვანი, 2001 – Michael Swan, Practical English Usage, Second Edition, Oxford University Press, 2001.

## მოჩვენებითობის სემანტიკის გამომხატველი საშუალებების ანალიზი ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისას\*

მოჩვენებითობის სემანტიკის გამომხატველ საშუალებებით აღნერა მეორე ენის შესწავლის დროს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ეს საშუალებები ხშირად გამოიყენება ყოფითი სიტუაციების განხილვისას.

ამ მხრივ საინტერესოა მოჩვენებითობის სემანტიკის გამომხატველი საშუალებების გაანალიზება ქართულში მათი რუსული და ინგლისური ანალოგების მოშველიებით, რადგანაც ჩვენი უცხოელი სტუდენტები ძირითადად რუსულ- და ინგლისურენოვნები არიან.

აღსანიშნავია, რომ მოჩვენებითობის სემანტიკის გამოსახატავად ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს მოეპოვებათ ორიგინალური ენობრივი საშუალებები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ. მაგრამ პირველ რიგში აქ უნდა დავასახელოთ ხსენებულ სამივე ენაში დადასტურებული ლათინური წარმომავლობის სიტყვა **simulatio**, რომლის მნიშვნელობა სამივე ენაში ერთი და იგივეა. მაგალითისათვის მხოლოდ ქართულის ნიმუშებს წარმოვადგენთ: **სიმულაცია** და **სიმულირება** – რისიმე (მაგ., ავადმყოფობის) მოგონება ვისიმე მოტყუების, შეცდომაში შეყვანის მიზნით. აქედან **სიმულანტი** – პირი, რომელიც სიმულაციას მიმართავს (მ. ჭაბაშვილი, 1989, 351).

ბუნებრივია, მოჩვენებითობის სემანტიკის გამომხატველი ორიგინალური საშუალებების მიხედვით ქართული, რუსული და ინგლისური სხვადასხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებენ. საყურადღებოა, რომ რუსულსა და ინგლისურში მოჩვენებითობის სემანტიკის გამომხატველი საშუალებები ერთგვარად ჰგვანან ერთმანეთს, ქართულისა კი მათგან განსხვავებულია. ამის გამო უცხოელი სტუდენტებისათვის გარკვეული ახსა-განმარტებაა საჭირო. ასეთივე განმარტებანი თვით ქართველი სტუდენტებისათვისაც გამოსადეგია, რადგან ამით სრულად წარმოჩნდება მოჩვენებითობის სემანტიკის გამომხატველი საშუალებები ქართულში.

წინამდებარე წერილი ქართულის, როგორც მეორე (ან უცხო) ენის, შემსწავლელთათვის დაინერა, ამიტომ საკითხის განხილვას რუსულისა და ინგლისურის ნიმუშებით დავიწყებთ.

რუსულში მოჩვენებითობის სემანტიკას ძირითადად ზმნები გამოხატავენ, თუმცა იდიომური წარმოებაც გვხვდება. კერძოდ:

1. მოჩვენებითობა პრიტვორით ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობაა და ნიშნავს თავის მოჩვენებას, თავის მოკატუნებას, თვალთმაქცობას ვიღაცის შეცდომაში შეყვანის მიზნით (რუსულის მაგალითები მოგვყავს შემდეგი ლექსიკონების მიხედვით: Словарь русского языка, 1961; რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983).

\* თსუ ფილოლოგის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, წიგნი მეცხრე, თბ., 2005.

ჩვეულებრივ, ეს ზმნა იმ სახელთან იხმარება, რომლადაც მოაჩვენებენ თავს და რომელიც რუსულში მოქმედებით (творительный) ბრუნვაშია წარმოდგენილი: **Притвориться** больным. ქართულში კი მას ვითარებითი ბრუნვა შეეფერება: ავად-მყოფად მოაჩვენო თავი, **притвориться** равнодушным – გულგრილად მოაჩვენო თავი და სხვ.

შეიძლება მხოლოდ ზმნა იყოს ნახმარი სახელის გარეშე, მაგ., «Он не был больным, он просто **притворялся**»; ასევეა უკუთქმითი ბრძანების დროსაც «Не притворяйся (больным)!» ან «Не притворяйся (ровнодушным)!»

ამავე ფუძიდანაა ნაწარმოები: Притворный – მოსაჩვენებელი, მოჩვენებითი, თვალთმაქცური, ფარისევლური, მოგონილი; Притворство – თვალთმაქცობა, ფარისევლობა, თავის მოკატუნება; Притворщик – თვალთმაქცი, ფარისეველი.

2. მოჩვენებითობის სემანტიკას გამოხატავს აგრეთვე Прикинуться ზმნა, რომლის უსრული სახეა Прикидываться. ამ ზმნასთანაც გვხვდება სახელი მოქმედებით ბრუნვაში: прикинуться больным.

3. რუსულში მოჩვენებითობის სემანტიკის გამოსახატავად видимость (ხილვადობა) სახელიც გამოიყენება შემდეგ იდიომში: для видимости – სხვის დასახად, მოსაჩვენებლად.

ინგლისურში მოჩვენებითობა to pretend ზმნით გამოიხატება, რაც ქართულად ითარგმნება, როგორც თავის მოკატუნება, თავის მოჩვენება; პრეტენზიის ქონა, პრეტენზიის განცხადება. ამ ზმნას ასეც განმარტავენ: რაიმე, რასაც თამაშად (ხშირად ბავშვები) წარმოადგენენ. მაგ., „მოდით, ვითომ მთვარეზე ვართ / წარმოვიდგინოთ, რომ მთვარეზე ვართ (Let's pretend we're on the moon / pretend to be on the moon). ინგლისური ნიმუშები შემდეგი ლექსიკონებიდან მოგვყავს: Oxford English Reference Dictionary, 2003; Longman Dictionary.., 1992; Webster's II New Riverside Dictionary, 1996; ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, 1975.

ისევე, როგორც რუსულში, ინგლისურში ეს ზმნა ხშირად ცალკე არ იხმარება. მასთან წარმოდგენილია ინფინიტივი: to + infin. მაგ., „pretended to know the answer” (თავი მოაჩვენა, ვითომ იცოდა პასუხი); ანდა იხმარება კავშირი that, რომელიც დამოკიდებული წინადადების შემოყვანას ემსახურება. მაგ., „pretended that they were foreigners” (თავი მოაჩვენეს, რომ ვითომ უცხოელები იყვნენ). ორივე შემთხვევაში როგორც ინფინიტივით, ისე that კავშირით შემოყვანილი დამოკიდებული წინადადებით გადმოიცემა ის, რადაც თავს მოაჩვენებენ, რადაც თავი მოაქვთ.

ზოგ შემთხვევაში ინგლისურშიც შეიძლება მხოლოდ ზმნა იყოს წარმოდგენილი: „She wasn't really crying, she was only pretending” (სინამდვილეში ის არ ტიროდა, ის მხოლოდ თვალთმაქცობდა).

ამავე ფუძიდანაა ნაწარმოები: **pretence** – თვალთმაქცობა, ფარისევლობა; თავის მოკატუნება, მოტყუება; მომიზეზება; მოთხოვნა, პრეტენზია; **pretender** –

თვალთმაქცი, ფარისეველი; პრეტენდენტი, მაძიებელი; **pretended** – მოსაჩვენებელი, თვალთმაქცური, ფარისევლური.

როგორც ვხედავთ, რუსულსა და ინგლისურში მოჩვენებითობის სემანტიკა ერთგვარად აღწერითად ინარმოება, თუმცა ორივე ენისათვის გარკვეული ზმნაა ძირითადი: რუსულისათვის – პრიტვორით, პრიკინუტით; ინგლისურისათვის – pretend.

ქართულში კი საქმის ვითარება შედარებით რთულადაა.

სირთულე თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ზემოაღნიშნული ზმნებისა და მათგან ნაწარმოები ფორმების ქართულად თარგმნისას საკმაო სიჭრელეა. ქართულში არ არსებობს ერთი ძირითადი ზმნა, რომელიც მოჩვენებითობის სემანტიკას გამოხატავს. მასალის განხილვისას ვლინდება, რომ მოჩვენებითობის სემანტიკა სხვადასხვაგვარად გადმოიცემა ქართულში. ქართულის ნიმუშებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით წარმოვადგენთ, რომელთაც შემდეგნაირად ვაჯგუფებთ:

ა. მოჩვენებითობის სემანტიკა იდიომებით:

1. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ი- თავსართიანი მოქმედებითი გვარის ფორმები გამოხატავენ მოჩვენებითობას (ბ. ჯორბ., მ. კობ., მ. ბერ., 1988). სწორედ ასეთი ზმნების შემცველ იდიომებს „თავი“ უკუქცევით ნაცვალსახელთან ერთად გამოვყოფთ პირველ რიგში. ამ შემთხვევაში დაკონკრეტებულია ის მოქმედებანი, რომელთა მოჩვენებითობაც უნდა გვიჩვენონ. მაგალითებში ზმნებს, ჩვეულებრივ, ამწყოს ფუძით წარმოვადგენთ, თუმცა ზოგიერთისათვის მყოფადის ფუძე უფრო მისაღები ჩანს, მაგ.: **თავს მოიავადებს, თავს იავადმყოფებს, თავს იბავშვებს, თავს იბერებს, თავს იბეჩავებს, თავს იგიუიანებს, თავს იგლახავებს, თავს იდარბაისლებს, თავს მოიმკვდარუნებს, თავს იმძინარებს, თავს ისაწყლებს, თავს ისულელებს.**

2. მოჩვენებითობის სემანტიკას გამოხატავენ იდიომებიც, მათშიც შეიძლება შევხვდეთ „თავი“ უკუქცევით ნაცვალსახელს, ან იმავე ი- თავსართს, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. თუმცა აქ უკვე აღარა დაკონკრეტებული რაიმე მოსაჩვენებელი მოქმედება. აქ ზოგადად მოჩვენებითობაა გამოხატული: **თვალის ახვევა** (თვალს უხვევს), **თვალის დაბრმავება** (თვალს იბრმავებს), **თავი მოაქვს** (რამედ) და, რა თქმა უნდა, მოჩვენებითობა, ჩვეულებრივ, **მოაჩვენებს** ზმნის საშუალებით გადმოიცემა: თავს მოაჩვენებს რამედ.

ბ. მოჩვენებითობის სემანტიკა ზოგადად, რაიმე კონკრეტული მოქმედების მითითების გარეშე, გამოიხატება ნასახელარი ზმნებითაც. მაგალითად, **თვალთმაქცობს** (←თვალთმაქცი), **პირფერობს** (←პირფერი), **ფარისევლობს** (←ფარისეველი).

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით ცხადია, რომ მოჩვენებითობის სემანტიკის შესწავლა ქართულში ორი ასპექტის გათვალისწინებით ხდება. პირველია ენის ლექსიკური დონე (იდიომები), მეორეა ენის მორფოლოგიური დონე (სათავისო, სასუბიექტო ქცევის ი- თავსართის ფაკულტატიური ფუნქცია და ზოგიერთი ნასახელარი ზმნა). ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ი- პრეფიქსიანი

ფორმები: „თავი მოიავადმყოფა“ ტიპისა. ამ წარმოების შესწავლა უცხოელებისათვის ორმაგად რთულია, რადგანაც მათ მშობლიურ ენებში ქცევის გრამატიკული კატეგორიის არარსებობის გამო მათვის უცხოა როგორც ამ ი- პრეფიქსის ძირითადი, სავალდებულო სასუბიექტო ქცევის ფუნქცია, ისე მისი ერთ-ერთ არაძირითადი, არასავალდებულო, ფაკულტატიური დანიშნულება – მოჩვენებითობის სემანტიკის გამოხატვა.

უცხო, არაქართულენოვან სტუდენტებთან მუშაობისას ამ სირთულის დასაძლევად მივმართავთ ი- პრეფიქსიანი სათავისო ქცევის ფორმებისა და ი- პრეფიქსიანი მოჩვენებითობის სემანტიკის მქონე ფორმების შეპირისპირებით ანალიზს.

#### **ლიტერატურა:**

1. მ. ჭაბაშვილი, 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
2. Словарь русского языка, 1961 – С. И. Ожегов, Словарь русского языка, М., 1961.
3. რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1983.
4. Oxford English Reference Dictionary, 2003; Judy Pearsall and Bill Trumble, Oxford English Reference Dictionary, Oxford University Press, 2003;
5. Longman Dictionary., 1992 – Longman Dictionary of English language and Culture, first published 1992.
6. Webster's II New Riverside Dictionary, 1996 – Webster's II New Riverside Dictionary, Boston. New York, 1996.
7. ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, 1975 – თამარ და ისიდორე გვარჯალაძეები, ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, თბ., 1975.
8. ბ. ჯორბ., მ. კობ., მ. ბერ., 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

## **ორთოგრაფიის ზოგიერთი საკითხი ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების დროს\***

უცხოელებს, რომლებიც ქართულ ენას სწავლობენ, მრავალი სირთულის დაძლევა უხდებათ. სირთულე ყველა ენობრივ დონეზე იჩენს თავს, მათ შორის ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის დონეზეც. ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ განვიხილავთ იმ ვითარებას, რაც დეფისისა და ტირეს ხმარებას ახლავს უცხოელების მიერ ქართულის შესწავლის დროს.

უცხოელ, ინგლისურენოვან სტუდენტებთან მუშაობისას გამოირკვა, რომ დეფისით ნახმარ ზოგ ქართულ ფორმას ისინი არასწორად, მცდარად იგებდნენ, რაც შეიძლებოდა შეუმჩნეველიც კი დარჩენილიყო, ქართული ტექსტის ინგლისურად გადათარგმნა რომ არ მოგვეთხოვა. კერძოდ, ტექსტში ნახმარი იყო სიტყვა, კომპოზიტი ნელინად-ნახევარი, უფრო ზუსტად „ნელინად-ნახევრის განმავლობაში“, რაც სტუდენტმა თარგმნა, როგორც „ექსი თვის განმავლობაში“, ნაცვლად თვრამეტი თვისა. აშკარა იყო, რომ მას აღნიშნული კომპოზიტის პირველი ნაწილი – ნელინადი მსაზღვრელად გაეგო, ხოლო კომპოზიტის მეორე ნაწილი – საზღვრულად, რის შედეგადაც მთლიანად კომპოზიტმა მისთვის ნელინადის ნახევრის მნიშვნელობა შეიძინა.

ჩვენი დაკვირვების სისწორეში დასარწმუნებლად იგივე ქართული კომპოზიტი სხვა ინგლისურენოვან სტუდენტებთანაც გამოვიყენეთ. შედეგი იგივე იყო. შემდეგ შევადგინეთ სპეციალური სავარჯიშო მსგავსი კომპოზიტებით, რომლებიც შეიძლება ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებში შეგვხვედროდა. კერძოდ, საათ-ნახევარი, დღე-ნახევარი, კვირა-ნახევარი, თვე-ნახევარი, ლარ-ნახევარი, ერთ-ნახევარი, ორ-ნახევარი და სხვ.

შედეგი ყოველთვის იგივე იყო. ქვემოთ ცხრილის სახით წარმოვადგენთ ჩვენ მიერ შეთავაზებულ მაგალითებს და უცხოელ სტუდენტთა პასუხებს.

#	ქართული მაგალითები	ინგლისურენოვან სტუდენტთა განმარტება
1.	საათ-ნახევარი	საათის ნახევარი, 30 წუთი
2.	დღე-ნახევარი	ნახევარი დღე
3.	კვირა-ნახევარი	ნახევარი კვირა
4.	თვე-ნახევარი	ნახევარი თვე, 15 დღე
5.	ლარ-ნახევარი	ლარის ნახევარი, 50 თეთრი
6.	ერთ-ნახევარი	მთელის ნახევარი
7.	ორ-ნახევარი	ორის ნახევარი ანუ ერთი (რაღაც)

\* თსუ პუმანიტარული ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, 10, თბ., 2006.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ასეთი შეცდომების მიზეზი იყო დეფისის განსხვავებული ფუნქცია ქართულსა და ინგლისურ ენებში. ამაში განსაკუთრებით მაშინ დავრწმუნდით, როდესაც ინგლისურენოვანმა სტუდენტმა, რომელმაც ცალ-ცალკე იცოდა ცოლის, ქმრის და შვილის მნიშვნელობები, კომპოზიტები ცოლ-შვილი და ქმარ-შვილი გადათარგმნა როგორც **გერი:** ცოლ-შვილი – ცოლის შვილი, ხოლო ქმარ-შვილი ასევე **გერი** – ქმრის შვილი.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართულში დეფისი ანუ ერთი მარტივი ასოს სიგანის ჰორიზონტალური ხაზი (-) იხმარება:

ა) ნაირფუძიანი ან ფუძეგაორკებული ორ- ან მეტცნებიანი რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობისას; ნაპირ-ნაპირ, ორ-ორი, მთა-ბარი, მისვლა-მოსვლა, ქართლ-კახეთ-იმერეთი, მთა-მინდორ-ველი...

ბ) შესატყვისების ფორმის მქონე ზოგი უცხოური გეოგრაფიული სახელის გადმოცემისას: ნიუ-იორკი, სან-მარინო, სან-ფრანცისკო...

გ) მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის ორნევრიან ნომენკლატურულ სახელებში: წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერ-მუშაკი, გენერალ-მაიორი, სახლ-მუზეუმი...

დ) სხვათა სიტყვის -მეთქი და -თქი ნაწილაკების დართვისას: ხომ გითხარი, არ გამოვა-მეთქი; წავიდეთ-თქი, -უთხარი!

ე) რიცხვით სახელებზე თავსართ-ბოლოსართების დართვისას, მე-2 რიგი, გიორგი I-მა, 120-ში.

ვ) სიტყვის გადატანისას: ბირთ-ვი და სხვ. (ა. არაბული, 2004, 284).

როგორც წარმოდგენილი ნიმუშები გვიჩვენებენ, ორ- და მეტმარცვლიან კომპოზიტებში დეფისი „და“ კავშირის ფუნქციით გამოიყენება.

ფაქტობრივად სრულიად განსხვავებული ვითარება გვაქვს დეფისის ხმარებასთან დაკავშირებით ინგლისურში, კერძოდ:

ა) დეფისი ხშირად გამოყენებულია ე. წ. ორნაწილიან ზედსართავ სახელებში, რომელთა მეორე ნაწილი ბოლოვდება -ed ან -ing სუფიქსებით:

blue-eyed – (blue – ლურჯი, ცისფერი, eye – თვალი) ლურჯთვალა, ცისფერთვალა;

broken-hearted – (broken – გატეხილი, heart – გული) დამნუხრებული;

nice-looking – (nice – კარგი, სასიამოვნო, look – შეხედვა, გამოხედვა) სანდომიანი, მიმზიდველი, ექნიანი.

ასევე ხშირად გამოიყენება დეფისი ე. წ. ორნაწილიან ზედსართავ სახელებსა და მსაზღვრელ სახელებში, რომლებიც „შუა“, „შორის“ გაგებას შეიცავენ:

grey-green (=between grey and green) – ნაცრისფერსა და მწვანეს შუა // შორის;

the London-Paris flight – ლონდონ-პარიზის რეისი (ფრენა);

the Scotland-France match – შოტლანდია-საფრანგეთის მატჩი;

an Anglo-American agreement – ინგლის-ამერიკის შეთანხმება.

ბ) დეფისით იწერება ზედსართავსახელიანი, უფრო სწორად, მსაზღვრელ-სიტყვიანი შესიტყვება:

an out-of-work miner – (out-of-work – უმუშევარი) უმუშევარი მეშახტე და სხვ.

გ) ბრიტანულ ინგლისურში დეფისი საერთოა ორსიტყვიან არსებით სახე-ლებში, როდესაც პირველ სიტყვას აქვს მთავარი მახვილი:

a paper-shop – ქაღალდის მაღაზია, მაღაზია, სადაც ქაღალდი (ქაღალდები) იყიდება, შდრ., a paper bag – ქაღალდის ჩანთა;

some make-up – გრიმი, კოსმეტიკა; სტრუქტურა, აგებულება, შდრ., to make up – შევსება, რაიმეს ანაზღაურება და სხვ.

დ) ზოგჯერ პრეფიქსები: co-, non- და ex- მომდევნო სიტყვისაგან დეფისითაა გამოყოფილი:

It's British and American co-production – ეს ბრიტანულ-ამერიკული ნაწარმია;

He is one of her ex-lovers – ის ერთ-ერთი მისი ყოფილი საყვარელთაგანია, თაყვანის მცემელთაგანია.

სხვა პრეფიქსებიც შეიძლება გამოყოფილი იყოს მიმყოლი სიტყვებისაგან დეფისით, ასოთა უჩვეულო და დამაბნეველი კომბინაციების თავიდან აცილების მიზნით:

un-American – ამერიკული ტრადიციებისათვის უცხო და გაუგებარი, ანტია-მერიკული;

pre-empt – სხვაზე ადრე იყიდო ან მოიპოვო რაიმე;

counter-revolution – რევოლუციის საწინააღმდეგო.

საერთოდ, ინგლისურში დეფისის გამოყენების წესები რთულია და ყოველ-თვის არაა ნათელი. ალბათ ამის გამოა, რომ ხალხი მათ ნაკლებად იყენებს. ბევრი კომპოზიტი დღეისათვის განუყოფლად, ერთად იწერება (მაგ., weekend – კვირის ბოლო, დასვენების დღეები შაბათიდან ორშაბათამდე, wideawake – ფართოფარ-ფლებიანი შლაპა, takeover – მიიღო სხვისაგან რაიმე; მიიღო თანამდებობა; მეორე ნაპირზე გადაყვანა ვინმესი. ზოგ კომპოზიტს კი ცალკე წერენ: train driver – მატარებლის მემანქანე, living room – სასტუმრო ოთახი. ზოგ შემთხვევაში შერეული ვითარებაც დასტურდება, კერძოდ, კომპოზიტი იწერება უდეფისოდ, დეფისითაც და ცალ-ცალკე შემადგენელ ნაწილებადაც (მაგ.: bookshop, book-shop, book shop – წიგნის მაღაზია). ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს ურჩევენ ან ლექსიკონით ისარგებლონ, ან სიტყვები დეფისის გარეშე დაწერონ (მ. სვანი, 1990, 555-556).

რა თქმა უნდა, ინგლისურში დეფისი გამოიყენება სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანისას და გვერდების მითითების დროსაც, მაგალითად, მეშვი-დე გვერდიდან მეჩვიდმეტემდე – pp. 7-17.

დეფისის გამოყენებასთან დაკავშირებით მთავარი განსხვავება ქართულსა და ინგლისურს შორის ისაა, რომ ინგლისურში დეფისი გვხვდება მსაზღვრელად გამოყენებული სიტყვის შემდეგაც. იგი კომპოზიტად წარმოდგენილ მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ჩაისმის, ქართულ კომპოზიტებში კი დეფისი, ჩვეულებრივ, და კავშირის ნაცვლადაა ნახმარი.

ზემოთ წარმოდგენილი შეცდომების მიზეზი სწორედ ესაა: ინგლისურენოვანი სტუდენტები ქართულ კომპოზიტებს ინგლისური ენის ორთოგრაფიული წესების

მიხედვით კითხულობენ. აღნიშნული შეცდომების გასწორებისათვის საჭირო გახდა დეფისის ხმარების წესების შეპირისპირება ქართულსა და ინგლისურ ენებში.

ამასთან დაკავშირებით შევეცადეთ ინგლისურშიც მოგვენახა ისეთი შემთხვევები, როცა დეფისი და კავშირის ფარდად იქნებოდა ნახმარი. ასეთი აღმოჩნდა ინგლისური რიცხვითი სახელები. მაგალითად, twenty-five – (twenty – ოცი, five – ხუთი), ოცდახუთი, forty-nine (forty – ორმოცი, nine – ცხრა) და სხვ. ამ მაგალითებში ქართულში ოცეულებსა და ერთეულებს შორის და კავშირია ნახმარი, ინგლისურში კი – დეფისი. ასეთი შეპირისპირებით მსმენელთათვის უფრო ცხადი გახდა დეფისის ფუნქცია (და კავშირის ნაცვლად გამოყენება) ქართულ კომპოზიტებში.

ინგლისურენოვან სტუდენტებს ქართულის შესწავლის დროს დეფისის გარდა სიძნელეებს უქმნის ტირეც.

ქართულში ტირე, რომელიც წინადადების შიგნით დაისმის, ფუნქციით მრავალფეროვანია. „ეს ნიშანი ზოგჯერ იქაც გვხვდება, სადაც ორწერტილი, მძიმე და ფრჩხილები იხმარება, ტირე წყვილადაც გამოიყენება – გასაყოფი ენობრივი ერთეულების წინ და შემდეგ. ტირესთან ერთად შეიძლება ნახმარ იქნეს სხვა სასვენი ნიშანიც (მაგ., მძიმე)“ (ლ. კვაჭაძე, 1988, 476).

ტირე ქართულში იხმარება აგრეთვე წინადადების რომელიმე გამოტოვებული წევრის ნაცვლად, მაგ.:

ა) გამოტოვებულია ქვემდებარე: რაც გინახავს – სიზმარია, დაივიწყე ისევ მალე (აკაკი);

ბ) გამოტოვებულია შემასმენელი: ელფერობით ვარდი არის, სინაზით კი – მორცხვი ია (აკაკი);

გ) გამოტოვებულია დამატება: სანამ სიცოცხლე შეგწევს, გონება გზას გაგინათლებს, გული – გაგითბობს (ილია);

დ) წინადადებაში გამოტოვებულია კავშირი: თვალი მქონია – მინახავს, ყური მქონია – მსმენია, გულისყური მქონია – მივხვედრილვარ, ხსოვნა მქონია – გონებაში ჩამრჩენია (ილია) (გ. შალამბერიძე, 1961, 155-156).

ინგლისურშიც ტირეს იმავე დანიშნულებით იყენებენ, როგორც ორწერტილს, წერტილ-მძიმეს და ფრჩხილებს, მაგ.:

There are three things I can never remember – names, faces and I've forgotten the other (სამი რამეა, რასაც ვერასოდეს ვიხსენებ – სახელები, სახეები და მესამე კი აღარ მახსოვეს);

We had a great time in Greece – the kids really loved it (კარგი დრო გავატარეთ საბერძნეთში – ბავშვებს ნამდვილად მოეწონათ ის);

My Mother – who rarely gets angry – really lost her temper (დედაჩემი – რომელიც იშვიათად ბრაზდება – ნამდვილად გაჯავრდა).

ტირეს შეიძლება მოსდევდეს რაიმე ნაგვიანევი, მოულოდნელი ან საკვირველი აზრი:

We'll be arriving on Monday morning – at least, I think so (ჩვენ ორშაბათ დილას ჩამოვალთ – უკიდურეს შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ);

And then we met Bob – with Lisa, believe it or not! (შემდეგ ჩვენ შევხვდით ბობს – ლიზასთან ერთად, გინდ დაიჯერე და გინდ არა!) (მ. სვანი, 1990, 470).

როგორც ვხედავთ, ტირეს გამოყენებასთან დაკავშირებით მთავარი განსხვავება ქართულსა და ინგლისურ ენებს შორის ისაა, რომ ქართულში ტირე რთული შედგენილობის მქონე წინადადებების მეორე (ან მესამე, მეოთხე) ნაწილში გამოტოვებული წევრების აღსანიშნავად გამოიყენება. ტირეს ხმარების ეს წესი ფაქტობრივად სრულიად უცხოა ინგლისურისათვის. ამიტომაც ინგლისურენოვან სტუდენტებს ესაჭიროებათ ქართულში ტირეს ხმარების წესების ზედმიზევნითი ცოდნა, თორემ უამისოდ მათთვის სრულიად გაუგებარია ისეთი ქართული წინადადებები, სადაც ტირე გამოტოვებული წევრების ნაცვლადაა ნახმარი.

თეორიულ ახსნა-განმარტებასთან ერთად საჭიროა უცხოელ სტუდენტებს პრაქტიკულად მივაწოდოთ ისეთი ქართული წინადადებები შესაბამისი ინგლისური თარგმანით, სადაც ტირე გამოტოვებული წევრების ნაცვლადაა ნახმარი. ამჯერად სირთულე ინგლისურ თარგმანში იჩენს თავს, კერძოდ, რა ნიშანი უნდა დაისვას იმ ტირეს ნაცვლად, რომელიც ქართულ წინადადებაში გვაქვს, თანაც აღსანიშნავია, რომ ქართულში ზემოხსენებულ შემთხვევებში ტირე ხან გამოტოვებული სახელის ნაცვლადაა ნახმარი, ხანაც – გამოტოვებული ზმნის ან კავშირის ნაცვლად.

ასეთ შემთხვევაში ქართული წინადადების ინგლისურად თარგმნის დროს უმეტესად გვიხდება ქართულში გამოტოვებული წევრის (თუ წევრების) აღდგენა:

„მე ვცხოვრობ თბილისში, გიორგი კი – ბათუმში“

“I live in Tbilisi, but Giorgi lives in Batumi”.

ზოგჯერ კი, მაგალითად, ქართულში გამოტოვებული შემასმენლის ნაცვლად ინგლისურ თარგმანში ვუმატებთ სიტყვას however, რომელსაც ორი ფუნქცია აქვს: 1) ზმნიზედის, რაც ნიშნავს რამენაირად, როგორც არ უნდა იყოს, მაინც; რამდენიც არ; 2) კავშირის, რაც ნიშნავს მიუხედავად. ჩვენს შემთხვევაში მას კი ნაწილაკის ფარდად ვიყენებთ, რომელიც გვხვდება რთული შედგენილობის მქონე ქართულ წინადადებაში ტირეს წინ.

ამგვარად ნათარგმნი წინადადებები ამერიკელი პროფესორის, ჰოვარდ არონსონის, სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სავარჯიშოებშიც შეგვხდა, მაგ.: ეს წიგნები პროფესორისათვისაა, ისინი კი – სტუდენტებისათვის, ინგლ. თარგმანი: These books are for the professor, those, however for the students; როცა საქართველოში თამარი მეფობდა, ინგლისის მეფები იყვნენ რიჩარდ პირველი და ჯონი, საფრანგეთისა კი – ფილიპე მეორე, ინგლ. თარგმანი: When Tamar was reigning in Georgia England's kings were Richard [the] first and John; France's, however – Philip [the] second (ჰ. არონსონი, 1990, 126, 131, 218, 228).

ზოგჯერ ჰ. არონსონი სიტყვა however-თან ერთად გამოტოვებულ ზმნასაც აღადგენს (ფრჩხილებში), მაგ.: რუსული გრამატიკის მეორე თავის წერა ძნელი იქნება, მესამე თავის წერა კი – ადვილი, ინგლ. თარგმანი: The writing of the second chapter of the Russian grammar will be difficult, the writing of the third chapter, however, [will be] easy (ჰ. არონსონი, 1990, 76, 83).

ამრიგად, განხილული შემთხვევები ნათლად წარმოგვიდგენენ, თუ რამდენად აუცილებელია ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური წესების გათვალისწინება უცხო ენის შესწავლის დროს, რადგანაც, როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, დეფისისა და ტირეს მართებულად გამოყენებას უცხოელი სტუდენტების მიერ ქართულის შესწავლის დროს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

#### **ლიტერატურა:**

1. ა. არაბული, 2004 – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. მ. სვანი, 1990 – Michael Swan, PRACTICAL ENGLISH USAGE, *Second Edition*, Oxford University Press, 1990.
3. ლ. კვაჭაძე, 1988 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.
4. გ. შალამბერიძე, 1961 – გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1961.
5. ჰ. არონსონი, 1990 – Howard I. Aronson, GEORGIAN A READING GRAMMAR, Corrected Edition, Slavica Publishers, Inc., 1990.

## პრაქტიკუმი „ქართული, როგორც უცხო ენა“ (მეთოდოლოგიის საკითხები)\*

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის არსებობს ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ შედგენილი ქართული გრამატიკის რამდენიმე სახელმძღვანელო უცხოელი სტუდენტებისათვის (ჰ. არონსონი, 1990; რ. ასათიანი, 1996; მ. ნიკოლაიშვილი, 1999; ჰ. არონსონი და დ. კიზირია, 1999; ლ. გეგუჩიაძე, 2004...), ქართული ენის ათვისებისათვის აუცილებელია ზოგადად ენათმეცნიერებისა და კონკრეტულად მეორე ენის დაუფლების თეორიის აპრობირებული მეთოდების მიხედვით შეიქმნას (დამუშავდეს) პრაქტიკუმი „ქართული, როგორც უცხო ენა“.

ინგლისურენოვანი სტუდენტების ქართულ მეტყველებაში დადასტურებული გადაცდომების (ტერმინისათვის გადაცდომა იხილეთ ზემოთ, გვ. 82) გამოსწორების გზების ძიება ცხადყოფს, რომ ქართულის, როგორც უცხო ენის, შესწავლისათვის პრაქტიკული სავარჯიშოები ძალზე მნიშვნელოვანია.

### • გადაცდომები

გადაცდომა № 1

ინგლისურენოვანი სტუდენტის გადაცდომები:	სწორი ფორმები:
ხშირად დავხატე	ხშირად ვხატავდი
ყოველთვის წავიკითხე	ყოველთვის ვკითხულობდი
ყოველდღე ვისწავლე	ყოველდღე ვსწავლობდი

### ანალიზი:

ქართულში იტერატივი, განმეორებადი მოქმედება წარსულში ცალკე ან დროისა და მოქმედების სიხშირის გამომხატველ ზმნიზედებთან ერთად გადმოიცემა უწყვეტილის და არა წყვეტილის ფორმით: (ხშირად) ვხატავდი – I painted; გასულ ზაფხულს (ხშირად) ვხატავდი – I used to paint frequently last summer; (ყოველთვის) ვკითხულობდი – I read; გასულ ზაფხულს საღამოობით (ყოველთვის) ვკითხულობდი – I always used to read in the evenings last summer; (ყოველდღე) ვსწავლობდი – I studied; გასულ წელს დილაობით (ყოველდღე) ინგლისურს ვსწავლობდი – I studied English every day in the morning last year.

ზემოთ, ტაბულაში წარმოდგენილ გადაცდომათა მიზეზი მშობლიური, ინგლისური ენის სტრუქტურაა, რომლის მიხედვითაც ინგლისურენოვანი სტუდენ-

\* წაკითხულია მოხსენებად კოლუმბის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის ქართველოლოგიის ცენტრისა (აშშ) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობით მოწყობილ სიმპოზიუმზე „საქართველოს ინტელექტუალური მემკვიდრეობა: ქართული ენა და ლიტერატურა საუკუნეთა განმავლობაში“, 28 აპრილი, ნიუ იორკი, 2008.

ტები აგებენ ქართულ ფრაზებს. კერძოდ, ნამყო განუსაზღვრელი დროის მნიშვნელობის გარდა ფორმები: *I painted, I read, I studied* გამოხატავენ განმეორებად მოქმედებასაც. როგორც ცნობილია, ინგლისურში ნამყო განუსაზღვრელი შეიძლება იყოს გამოყენებული იტერატივის მნიშვნელობით: *We always went to a pantomime at Christmas* (ჩვენ შობას ყოველთვის პანტომიმაზე მივდივართ). *Whenever he went abroad, he took his son with him* (როდესაც ის მიდიოდა საზღვარგარეთ, ყოველთვის თავისი ვაჟი მიჰყავდა თან) (რ. ვ. ზანდვორთი, 1960, 60).

### პრობლემის გადაწყვეტა:

ასეთ გადაცდომათა დაძლევისათვის აუცილებელია ქართული და ინგლისური ზმნური ფორმების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული სავარჯიშოების მიწოდება სტუდენტებისათვის (რ. ქურდაძე, 2003, 41-44).

გადაცდომა № 2

ინგლისურენოვანი სტუდენტის გადაცდომები:	სწორი ფორმები:
წელიწად-ნახევარი – წელიწადის ნახევარი, 6 თვე	წელიწად-ნახევარი – წელიწადი და წელიწადის ნახევარი ანუ 18 თვე
ლარ-ნახევარი – ლარის ნახევარი, 50 თეთრი	ლარ-ნახევარი – ლარი და ლარის ნახევარი ანუ ლარი და 50 თეთრი
ცოლ-შვილი – ცოლის შვილი (გერი)	ცოლ-შვილი – ცოლი და შვილი, ოჯახი კაცისთვის
ქმარ-შვილი – ქმრის შვილი (გერი)	ქმარ-შვილი – ქმარი და შვილი, ოჯახი ქალისთვის

### ანალიზი:

ასეთ გადაცდომათა მიზეზი დეფისის განსხვავებული ფუნქციაა ქართულ და ინგლისურ რთულ სახელებში (კომპოზიტებში). აქაც მშობლიური, ინგლისური, ენა განაპირობებს გადაცდომებს არამშობლიური (ქართული) ენის კომპოზიტთა გაგების მხრივ. ერთი ფუნქციის მიხედვით, დეფისი ინგლისურში აერთებს ზოგი კომპოზიტის ნაწილებს:

great-grandfather – დიდი პაპა

cure-all – უსაქმური, ზარმაცი

ne'er-do-well – პანაცეა, ყველაფრის წამალი (წერის ძირითადი ცნობარი, 1997, 47).

ქართულში რთულ სახელებში გამოყენებული დეფისი უდრის და კავშირს და ორ სახელს აერთებს.

## **პრობლემის გადაწყვეტა:**

ასეთ გადაცდომათა დაძლევისათვის აუცილებელია ქართული და ინგლისური ლექსიკის (კონკრეტულად რთული სახელების) და ორთოგრაფიის წესების შედარებითი ანალიზი (რ. ქურდაძე, 2006, 166-173).

### **• თეორიული საფუძვლები სავარჯიშოებისათვის**

ზემოთ მოყვანილი გადაცდომების გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ პრაქტიკული „ქართული, როგორც უცხო ენა“ შედგენილ უნდა იქნეს მეორე ენის დაუფლების როგორც კონტრასტული ანალიზის, ისე გადაცდომათა ანალიზის ჰიპოთეზების გამოყენებით.

### **კონტრასტული ანალიზი**

კონტრასტული ანალიზი ენათა შედარების ერთგვარი ხერხია, რომლითაც განისაზღვრება პოტენციურად მოსალოდნელი გადაცდომები, რათა მეორე ენის შესწავლის დროს გამოიკვეთოს, რისი შესწავლაა აუცილებელი და რისი შესწავლა – არა.

1. კონტრასტული ანალიზი ემყარება ენის თეორიას, რომლის მიხედვითაც, ენა არის ჩვევა და რომ ენის შესწავლა გულისხმობს ახალი ჩვევების შეთვისებას.
2. მეორე ენის ათვისების დროს გადაცდომათა მთავარ წყაროს მშობლიური ენა წარმოადგენს.
3. პირველ და მეორე ენებს შორის არსებული განსხვავებებით განისაზღვრება გადაცდომები.
4. მესამე პუნქტიდან გამომდინარე, რაც მეტია ენათა შორის განსხვავება, მით მეტია მოსალოდნელ გადაცდომათა რაოდენობა.
5. მეორე ენის შემსწავლელისათვის მთავარია განსხვავებათა შესწავლა.
6. სირთულე და სიადვილე ენათა შესწავლის დროს განისაზღვრება ორი ენის შეპირისპირებით გამოვლენილ მსგავსება-განსხვავებათა მიხედვით (სუზან მ. გასი, ლარი სილინკერი, 2001, 72-73).

### **გადაცდომათა ანალიზი**

რა არის გადაცდომათა ანალიზი? როგორც სათაური გვეუბნება, ეს ლინგვისტური ანალიზის სახეა, რომელიც იხილავს ენის შემსწავლელთა მიერ დაშვებულ გადაცდომებს. კონტრასტული ანალიზისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მეორე ენის ჩვევათა გამომუშავებისას დაშვებული გადაცდომების შედარება ხდება თვით მეორე ენასთან. კონტრასტული ანალიზის დროს კი – მშობლიურ ენასთან.

გადაცდომათა ანალიზის რამდენიმე საფეხურს განარჩევენ:

1. მასალის შეგროვება (სტუდენტთა მიერ დაშვებული გადაცდომები). მართალია, ამ შემთხვევაში წერილობითი მასალა გროვდება, ზეპირი მასალაც შეიძლება იქნეს გამოყენებული.

2. გადაცდომათა იდენტიფიკაცია. რა არის გადაცდომა (ზმნის დროთა ფორმების ართანმიმდევრულობა, ზმნის არასწორი ფორმა, მრავლობითის სუბიექტთან მხოლობით რიცხვში მდგარი ზმნა)?
3. გადაცდომათა კლასიფიკაცია. როდისაა დაშვებული გადაცდომა? დაშვებულია გადაცდომა შეთანხმებისას? დაშვებულია გადაცდომა არაწესიერი ზმნის ხმარებისას?
4. გადაცდომათა რაოდენობა. რამდენი გადაცდომაა დაშვებული შეთანხმებისას? რამდენი არაწესიერი ზმნაა შეცდომით ნახმარი?
5. გადაცდომათა წყაროს ანალიზი.
6. გასწორება. გადაცდომათა გასწორება ტიპობრივ გადაცდომათა სიხშირეს ემყარება, რაც გარკვეული პედაგოგიკურ-მეთოდიკური ხერხებით ხორციელდება (სუზან მ. გასი, ლარი სილინკერი, 2001, 79).

ამ ჰიპოთეზათა გათვალისწინებით ფრიად მნიშვნელოვანია პრობლემური სავარჯიშოების გამოყენება ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების ელემენტური ფაზიდან სისტემურ ფაზაზე გადასვლის დროს.

აღნიშნული ჰიპოთეზები სასარგებლოა არა მხოლოდ გადაცდომათა გასასწორებლად, არამედ მათივე გათვალისწინებით შესაძლებელია მარჯვე სავარჯიშოების შექმნა ქართული ენის ბევრ პრობლემურ საკითხზე.

ქვემოთ წარმოვადგენთ მონაკვეთებს პრაქტიკულისათვის „ქართული, როგორც უცხო ენა“. ეს მონაკვეთები პრობლემური სავარჯიშოების მეთოდის მიხედვით არის შექმნილი და ქართული ენის ყველა (ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სიტყვანარმოების) დონეს მოიცავს.

თითოეული მონაკვეთი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

1. გრამატიკული მიმოხილვა
2. მითითებანი მასალის გასაანალიზებლად
3. საანალიზო მასალა
4. პასუხები

საანალიზო მასალა ინგლისურ თარგმანთან ერთადაა წარმოდგენილი.

ამგვარი მონაკვეთების დახმარებით ქართულის სწავლა ორი გზით წარიმართება: პირველი გზა გულისხმობს ენის სისტემური დონის სწავლებას, რაც ენის სტრუქტურის ათვისებაში ვლინდება და მეორე კი – ქართული ენის პრაქტიკული ლექსიკური მასალის გამდიდრებას, რაც ინგლისური თარგმანის პირობებში მიიღწევა.

### • სავარჯიშოები

პირველ გადაცდომასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ გადაცდომა 1)

#### 1. ზმნის უწყვეტლის თუ წყვეტილის მნიშვნის ფორმა დროისა და მოქმედების სიხშირის გამომხატველ ზმნიზედებთან?

ქართულში იტერატივი, განმეორებადი მოქმედება გამოხატულია უწყვეტლის ფორმით (ვხატავდი) მაშინ, როცა წყვეტილის ზმნისწინიანი ფორმა (დავხატე) სრულ ასპექტს გამოხატავს და არა იტერატივს.

დროის და მოქმედების სიხშირის ზმნიზედები გვეხმარება გამოვარკვიოთ, ზმნა გამოხატავს თუ არა იტერატივს, განმეორებად მოქმედებას. თუ გვაქვს ისე-

თი ზმნიზედები, როგორებიცაა: ხშირად, მთელი დღე, მუდამ, არასოდეს, რეგულარულად, ხანდახან, იშვიათად... ნათელია, რომ უწყვეტელი უნდა გამოვიყენოთ და არა წყვეტილი.

მითითებანი:

ქვემოთ მოცემულ წინადადებებში წაშალეთ არასწორი ფორმა

1. ზამთარში ხშირად **დავხატე / ვხატავდი** (I frequently painted in the winter // I used to paint frequently in the winter).
2. გუშინ მთელი დღე **ვხნავლობდი / ვიხნავლე** (I studied all day long yesterday).
3. ზაფხულობით მუდამ საინტერესო ადამიანებს **ვხვდებოდი / შევხვდი** (I always met interesting people in the summer // I always used to meet interesting people in summer).
4. ლექციებზე არასოდეს **ვქსოვდი / მოვქსოვე** (I never knitted during lectures // I never used to knit during lectures).
5. ამ საკითხზე იშვიათად **ვიფიქრე / ვფიქრობდი** (I rarely thought about this issue // I rarely used to think about this issue).

პასუხები:

1. ზამთარში ხშირად **ვხატავდი.**
2. გუშინ მთელი დღე **ვსწავლობდი.**
3. ზავხულობით მუდამ საინტერესო ადამიანებს **ვხვდებოდი.**
4. ლექციებზე არასოდეს **ვქსოვდი.**
5. ამ საკითხზე იშვიათად **ვფიქრობდი.**

მეორე გადაცდომასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ გადაცდომა 2)

## 2. დეფისის ხმარებისათვის რთულ სახელებში

ქართულ რთულ სახელებში დეფისი **და** კავშირის ფუნქციით იხმარება. მაგალითად: და-ძმა ნიშნავს დას და ძმას, დედმამიშვილებს.

მითითებანი:

გამოარკვიეთ რთულ სახელთა მნიშვნელობანი პირველი ჯგუფის მაგალითებში. რთულ სახელთა შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელობისათვის გამოიყენეთ ლექსიკონი (იხ. ჯგუფი მეორე)

პირველი ჯგუფი:

და-ძმა  
დედ-მამა  
დღე-ნახევარი

დღე-ლამე  
 თვე-ნახევარი  
 ლარ-ნახევარი  
 საათ-ნახევარი  
 ქმარ-შვილი  
 ცოლ-შვილი  
 ცოლ-ქმარი  
 წელიწად-ნახევარი  
 ჭიქა-ნახევარი

**მეორე ჯგუფი:**

და	sister
დედა	mother
დღე	day
თვე	month
ლარი	lari (Georgian money)
მამა	father
ნახევარი	half
საათი	hour
ქმარი	husband
ღამე	night
შვილი	child
ცოლი	wife
ძმა	brother
წელიწადი	year
ჭიქა	glass

**პასუხები:**

და-ძმა	brother and sister, siblings
დედ-მამა	mother and father, parents
დღე-ნახევარი	a day and a half
დღე-ლამე	day and night
თვე-ნახევარი	a month and a half
ლარ-ნახევარი	a lari and a half
საათ-ნახევარი	a hour and a half
ქმარ-შვილი	husband and child, family (for woman)
ცოლ-შვილი	wife and child, family (for man)
ცოლ-ქმარი	husband and wife, spouses
წელიწად-ნახევარი	a year and a half
ჭიქა-ნახევარი	a glass and half of (something)

- სავარჯიშოები ქართული ენის ზოგიერთ პრობლემატურ საკითხთან  
დაკავშირებით

### 3. ფონეტიკური მონაცვლეობის ილუსტრაციები

ქვემოთ წარმოდგენილია განსხვავება ქართულ ყრუ ფშვინვიერ ფ, თ, ც, ჩ,  
ქ და ყრუ მკვეთრ პ, ტ, ნ, ჭ, პ ბგერებს შორის

<b>ფ</b>	<b>პ</b>
ფაფა	პაპა
(porridge)	(grandfather)
ფირი	პირი
(film)	(1. mouth, 2. person)
ფური	პური
(cow)	(bread)

<b>თ</b>	<b>ტ</b>
თარი	ტარი
(musical instrument)	(handle)
თარო	ტარო
(shelf)	(cob)
ჩითი	ჩიტი
(chintz)	(bird)

<b>ც</b>	<b>ნ</b>
ცელი	ნელი
(scythe)	(year)
ცული	ნული
(axe)	(child, boy child)
ცილი	ნილი
(slander)	(part, share)

<b>ჩ</b>	<b>ჭ</b>
ჩია	ჭია
(puny)	(worm)
ჩირი	ჭირი
(dried fruit)	(plague)
ჩანგი	ჭანგი
(musical instrument)	(claw)

ქ	კ
ქარი	კარი
(wind)	(door)
ქუდი	კუდი
(hat)	(tail)
ქულა	კულა
(point, pass mark)	(vessel for drinking wine)

#### 4. სინკოპე / რედუქცია

ქართულში გვაქვს სიტყვები, რომლებიც ბრუნების დროს კარგავენ ფუძისე-ულ ხმოვნებს. ამ ფონეტიკურ პროცესს სინკოპეს ან რედუქციას უწოდებენ. სინ-კოპეს იწვევს ხმოვნით დაწყებული ანუ -VC სტრუქტურის სუფიქსის დართვა ფუ-ძეზე, როგორებიცაა: ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნე-ბი -ის, -ით, -ად და მრავლობითობის სუფიქსი -ებ. სინკოპეს განიცდის სამი და მე-ტი მარცვლის მქონე სიტყვები.

ქვემოთ ტაბულაზე მოცემულია მარცვლები, რომლებიც კარგავენ ა, ე, ო ხმოვნებს.

ალ	ამ	ან	არ
ელ	ემ	ენ	ერ
ოლ	ომ	ონ	ორ

#### მხოლობითი რიცხვი:

სახელობითი	მამალ-ი ‘rooster’	კედელ-ი ‘wall’	ობოლ-ი ‘orphan’
მოთხრობითი	მამალ-მა	კედელ-მა	ობოლ-მა
მიცემითი	მამალ-ს	კედელ-ს	ობოლ-ს
ნათესაობითი	მამ(ა)ლ-ის	კედ(ე)ლ-ის	ობ(ო)ლ-ის
მოქმედებითი	მამ(ა)ლ-ით	კედ(ე)ლ-ით	ობ(ო)ლ-ით
ვითარებითი	მამ(ა)ლ-ად	კედ(ე)ლ-ად	ობ(ო)ლ-ად
წოდებითი	მამალ-ო	კედელ-ო	ობოლ-ო

#### მრავლობითი რიცხვი:

სახელობითი	მამ(ა)ლებ-ი ‘roosters’	კედ(ე)ლებ-ი ‘walls’	ობ(ო)ლ-ებ-ი ‘orphans’
მოთხრობითი	მამ(ა)ლებ-მა	კედ(ე)ლებ-მა	ობ(ო)ლ-ებ-მა
მიცემითი	მამ(ა)ლებ-ს	კედ(ე)ლებ-ს	ობ(ო)ლ-ებ-ს
ნათესაობითი	მამ(ა)ლებ-ის	კედ(ე)ლებ-ის	ობ(ო)ლ-ებ-ის
მოქმედებითი	მამ(ა)ლებ-ით	კედ(ე)ლებ-ით	ობ(ო)ლ-ებ-ით
ვითარებითი	მამ(ა)ლებ-ად	კედ(ე)ლებ-ად	ობ(ო)ლ-ებ-ად
წოდებითი	მამ(ა)ლებ-ო	კედ(ე)ლებ-ო	ობ(ო)ლ-ებ-ო

მითითებანი: 1. ქვემოთ მაგალითებში გამოარკვიეთ და წაშალეთ ხმოვნები, რომლებიც განიცდიან სინკოპეს:

მხოლობითი რიცხვი:

სახელობითი	მხატვარ-ი 'artist'	ურემ-ი 'ox-cart'	ფოთოლ-ი 'leaf'
მოთხრობითი	მხატვარ-მა	ურემ-მა	ფოთოლ-მა
მიცემითი	მხატვარ-ს	ურემ-ს	ფოთოლ-ს
ნათესაობითი	მხატვარ-ის	ურემ-ის	ფოთოლ-ის
მოქმედებითი	მხატვარ-ით	ურემ-ით	ფოთოლ-ით
ვითარებითი	მხატვარ-ად	ურემ-ად	ფოთოლ-ად
წოდებითი	მხატვარ-ო	ურემ-ო	ფოთოლ-ო

მრავლობითი რიცხვი:

სახელობითი	მხატვარ-ებ-ი 'painters'	ურემ-ებ-ი 'ox-carts'	ფოთოლ-ებ-ი 'leaves'
მოთხრობითი	მხატვარ-ებ-მა	ურემ-ებ-მა	ფოთოლ-ებ-მა
მიცემითი	მხატვარ-ებ-ს	ურემ-ებ-ს	ფოთოლ-ებ-ს
ნათესაობითი	მხატვარ-ებ-ის	ურემ-ებ-ის	ფოთოლ-ებ-ის
მოქმედებითი	მხატვარ-ებ-ით	ურემ-ებ-ით	ფოთოლ-ებ-ით
ვითარებითი	მხატვარ-ებ-ად	ურემ-ებ-ად	ფოთოლ-ებ-ად
წოდებითი	მხატვარ-ებ-ო	ურემ-ებ-ო	ფოთოლ-ებ-ო

2. ქვემოთ მოყვანილ ნიმუშებში მონიშნულია ხმოვნები, რომლებიც განიცდიან სინკოპეს. აბრუნეთ ეს სახელები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში:

ატამი, მსუქანი, ფანქარი, კარავი, ბერძენი, მტერი, ხოხობი

**პასუხები:**

1.

მხოლობითი რიცხვი:

სახელობითი	მხატვარ-ი 'artist'	ურემ-ი 'ox-cart'	ფოთოლ-ი 'leaf'
მოთხრობითი	მხატვარ-მა	ურემ-მა	ფოთოლ-მა
მიცემითი	მხატვარ-ს	ურემ-ს	ფოთოლ-ს
ნათესაობითი	მხატვარ-ის	ურემ-ის	ფოთოლ-ის
მოქმედებითი	მხატვარ-ით	ურემ-ით	ფოთოლ-ით
ვითარებითი	მხატვარ-ად	ურემ-ად	ფოთოლ-ად
წოდებითი	მხატვარ-ო	ურემ-ო	ფოთოლ-ო

**მრავლობითი რიცხვი:**

სახელობითი	მხატვრ-ებ-ი 'painters'	ურმ-ებ-ი 'ox-carts'	ფოთლ-ებ-ი 'leaves'
მოთხრობითი	მხატვრ-ებ-მა	ურმ-ებ-მა	ფოთლ-ებ-მა
მიცემითი	მხატვრ-ებ-ს	ურმ-ებ-ს	ფოთლ-ებ-ს
ნათესაობითი	მხატვრ-ებ-ის	ურმ-ებ-ის	ფოთლ-ებ-ის
მოქმედებითი	მხატვრ-ებ-ით	ურმ-ებ-ით	ფოთლ-ებ-ით
ვითარებითი	მხატვრ-ებ-ად	ურმ-ებ-ად	ფოთლ-ებ-ად
წოდებითი	მხატვრ-ებ-ო	ურმ-ებ-ო	ფოთლ-ებ-ო

**2.**

**მხოლობითი რიცხვი:**

სახელობითი	ატამ-ი 'peach'	მსუქან-ი 'fat'	ფანქარ-ი 'pencil'	კარავ-ი 'tent'
მოთხრობითი	ატამ-მა	მსუქან-მა	ფანქარ-მა	კარავ-მა
მიცემითი	ატამ-ს	მსუქან-ს	ფანქარ-ს	კარავ-ს
ნათესაობითი	ატმ-ის	მსუქნ-ის	ფანქრ-ის	კარვ-ის
მოქმედებითი	ატმ-ით	მსუქნ-ით	ფანქრ-ით	კარვ-ით
ვითარებითი	ატმ-ად	მსუქნ-ად	ფანქრ-ად	კარვ-ად
წოდებითი	ატამ-ო	მსუქან-ო	ფანქარ-ო	კარავ-ო

სახელობითი	ბერძენ-ი 'Greek'	მტერ-ი 'enemy'	ხოხობ-ი 'pheasant'
მოთხრობითი	ბერძენ-მა	მტერ-მა	ხოხობ-მა
მიცემითი	ბერძენ-ს	მტერ-ს	ხოხობ-ს
ნათესაობითი	ბერძნ-ის	მტრ-ის	ხოხბ-ის
მოქმედებითი	ბერძნ-ით	მტრ-ით	ხოხბ-ით
ვითარებითი	ბერძნ-ად	მტრ-ად	ხოხბ-ად
წოდებითი	ბერძენ-ო	მტერ-ო	ხოხობ-ო

**მრავლობითი რიცხვი:**

სახელობითი	ატმ-ებ-ი 'peaches'	მსუქნ-ებ-ი 'fats'	ფანქრ-ებ-ი 'pencils'	კარვ-ებ-ი 'tents'
მოთხრობითი	ატმ-ებ-მა	მსუქნ-ებ-მა	ფანქრ-ებ-მა	კარვ-ებ-მა
მიცემითი	ატმ-ებ-ს	მსუქნ-ებ-ს	ფანქრ-ებ-ს	კარვ-ებ-ს
ნათესაობითი	ატმ-ებ-ის	მსუქნ-ებ-ის	ფანქრ-ებ-ის	კარვ-ებ-ის
მოქმედებითი	ატმ-ებ-ით	მსუქნ-ებ-ით	ფანქრ-ებ-ით	კარვ-ებ-ით
ვითარებითი	ატმ-ებ-ად	მსუქნ-ებ-ად	ფანქრ-ებ-ად	კარვ-ებ-ად
წოდებითი	ატმ-ებ-ო	მსუქნ-ებ-ო	ფანქრ-ებ-ო	კარვ-ებ-ო

სახელობითი	ბერძნ-ებ-ი ‘Greeks’	მტრ-ებ-ი ‘enemies’	ხოხბ-ებ-ი ‘pheasants’
მოთხრობითი	ბერძნ-ებ-მა	მტრ-ებ-მა	ხოხბ-ებ-მა
მიცემითი	ბერძნ-ებ-ს	მტრ-ებ-ს	ხოხბ-ებ-ს
ნათესაობითი	ბერძნ-ებ-ის	მტრ-ებ-ის	ხოხბ-ებ-ის
მოქმედებითი	ბერძნ-ებ-ით	მტრ-ებ-ით	ხოხბ-ებ-ით
ვითარებითი	ბერძნ-ებ-ად	მტრ-ებ-ად	ხოხბ-ებ-ად
წოდებითი	ბერძნ-ებ-ო	მტრ-ებ-ო	ხოხბ-ებ-ო

## 5. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას გვაქვს შეთანხმება ბრუნვაში, თუმცა მსაზღვრელს ყოველთვის არ ახლავს შესაბამისი ბრუნვის ნიშანი. ქვემოთ პირველი ჯგუფის მაგალითებში მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნების გარეშე მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებში (დიდ), ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშანი ნაწილობრივ მხოლოდ -ი ხმოვნის სახით გვაქვს (დიდ-ი).

პირველი ჯგუფი:

სახელობითი	დიდ-ი სახლ-ი “big house”
მოთხრობითი	დიდ-მა სახლ-მა
მიცემითი	დიდ სახლ-ს
ნათესაობითი	დიდ-ი სახლ-ის
მოქმედებითი	დიდ-ი სახლ-ით
ვითარებითი	დიდ სახლ-ად
წოდებითი	დიდ-ო სახლ-ო

ქვემოთ მეორე ჯგუფის მაგალითებში მუქად არის მონიშნული ის ბრუნვის ნიშნები თუ ბრუნვის ნიშანთა ნაწილები, რომლებიც იკვეცებიან მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნებისას.

მეორე ჯგუფი:

დიდ-ი სახლ-ი “big house”
დიდ-მა სახლ-მა
დიდ-ს სახლ-ს
დიდ-ის სახლ-ის
დიდ-ით სახლ-ით
დიდ-ად სახლ-ად
დიდ-ო სახლ-ო

მითითებანი:

ჩამოაცილეთ ის ბრუნვის ნიშნები თუ ბრუნვის ნიშანთა ნაწილები, რომლებიც ზედმეტია ქვემოთ მესამე ჯგუფის მაგალითებში:

მესამე ჯგუფი:

ლამაზ-ი ბავშვ-ი	მაღალ-ი კაც-ი	წითელ-ი ვაშლ-ი	ახალ-ი წიგნ-ი
“pretty child”	“tall man”	“red apple”	“new book”
ლამაზ-მა ბავშვ-მა	მაღალ-მა კაც-მა	წითელ-მა ვაშლ-მა	ახალ-მა წიგნ-მა
ლამაზ-ს ბავშვ-ს	მაღალ-ს კაც-ს	წითელ-ს ვაშლ-ს	ახალ-ს წიგნ-ს
ლამაზ-ის ბავშვ-ის	მაღალ-ის კაც-ის	წითელ-ის ვაშლ-ის	ახალ-ის წიგნ-ის
ლამაზ-ით ბავშვ-ით	მაღალ-ით კაც-ით	წითელ-ით ვაშლ-ით	ახალ-ით წიგნ-ით
ლამაზ-ად ბავშვ-ად	მაღალ-ად კაც-ად	წითელ-ად ვაშლ-ად	ახალ-ად წიგნ-ად
ლამაზ-ო ბავშვ-ო	მაღალ-ო კაც-ო	წითელ-ო ვაშლ-ო	ახალ-ო წიგნ-ო

აბრუნეთ მეოთხე ჯგუფში მოცემული მსაზღვრელ-საზღვრული:

მეოთხე ჯგუფი:

ორ-ი ბიჭ-ი	განიერ-ი შესასვლელ-ი	ძველ-ი სკამ-ი	დაბალ-ი კაც-ი

პასუხები:

მესამე ჯგუფი:

ლამაზ-ი ბავშვ-ი	მაღალ-ი კაც-ი	წითელ-ი ვაშლ-ი	ახალ-ი წიგნ-ი
“pretty child”	“tall man”	“red apple”	“new book”
ლამაზ-მა ბავშვ-მა	მაღალ-მა კაც-მა	წითელ-მა ვაშლ-მა	ახალ-მა წიგნ-მა
ლამაზ ბავშვ-ს	მაღალ კაც-ს	წითელ ვაშლ-ს	ახალ წიგნ-ს
ლამაზ-ი ბავშვ-ის	მაღალ-ი კაც-ის	წითელ-ი ვაშლ-ის	ახალ-ი წიგნ-ის
ლამაზ-ი ბავშვ-ით	მაღალ-ი კაც-ით	წითელ-ი ვაშლ-ით	ახალ-ი წიგნ-ით
ლამაზ ბავშვ-ად	მაღალ კაც-ად	წითელ ვაშლ-ად	ახალ წიგნ-ად
ლამაზ-ო ბავშვ-ო	მაღალ-ო კაც-ო	წითელ-ო ვაშლ-ო	ახალ-ო წიგნ-ო

### მეოთხე ჯგუფი:

ორ-ი ბიჭ-ი	განიერ-ი შესასვლელ-ი	ძველ-ი სკამ-ი	დაბალ-ი კაც-ი
“two boys”	“wide entrance”	“old chair”	“short man”
ორ-მა ბიჭ-მა	განიერ-მა შესასვლელ-მა	ძველ-მა სკამ-მა	დაბალ-მა კაც-მა
ორ ბიჭ-ს	განიერ შესასვლელ-ს	ძველ სკამ-ს	დაბალ კაც-ს
ორ-ი ბიჭ-ის	განიერ-ი შესასვლელ-ის	ძველ-ი სკამ-ის	დაბალ-ი კაც-ის
ორ-ი ბიჭ-ით	განიერ-ი შესასვლელ-ით	ძველ-ი სკამ-ით	დაბალ-ი კაც-ით
ორ ბიჭ-ად	განიერ შესასვლელ-ად	ძველ სკამ-ად	დაბალ კაც-ად
ორ-ო ბიჭ-ო	განიერ-ო შესასვლელ-ო	ძველ-ო სკამ-ო	დაბალ-ო კაც-ო

### 6. კაუზატივი

შეადარეთ ერთმანეთს: კაცი ხატავს სურათს და კაცი ახატვინებს მხატვარს სურათს. პირველ წინადადებაში კაცი არის სუბიექტი და ის რეალურად მოქმედი პირია, მისი მოქმედება გადადის პირდაპირ ობიექტზე (სურათზე). მეორე წინადადებაში კაცი ხელმძღვანელობს მოქმედებას, ხოლო რეალურად მოქმედი პირი (ირიბი ობიექტი) მხატვარია, რომელიც მოქმედებს პირდაპირ ობიექტურ პირზე (სურათზე).

ეს არის ქართული ზმნის სპეციფიკური გრამატიკული კატეგორია – კაუზატივი (იგივე კონტაქტი).

კაუზატივის (კონტაქტის) ორი სახე გვაქვს ქართულში: უშუალო და შუალობითი.

უშუალო კონტაქტის ზმნებს არანაირი ნიშანი არა აქვთ მაშინ, როდესაც შუალობითი კონტაქტის ზმნებს შემდეგი ნიშნები აქვთ -ინ-, -ევ-, -ევინ-. ამ ნიშანთა გარდა შუალობითი კონტაქტის ზმნებს დაერთვის ა- ხმოვანი; -ინ- და -ევინ- სუფიქსიან შუალობითი კონატაქტის ზმნებს დაერთვის -ებ თემის ნიშანიც. მაგ.:

**ა-ხატვ-ინ-ებ-ს შდრ.: ხატავს;**

**ა-სმ-ევ-ს შდრ.: სვამს;**

**ა-ბმ-ევინ-ებ-ს შდრ.: აბამს.**

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებენ, შუალობითი კონტაქტის ნიშანი -ინ- გვხვდება მარცვლოვანი ძირის მქონე ზმნებთან ა-ხატვ-ინ-ებ-ს, ხოლო -ევ- და -ევინ- კი – უმარცვლო ძირის მქონე ზმნებთან: ა-სმ-ევ-ს; აბმ-ევინ-ებ-ს.

შუალობითი კონტაქტის ფორმა ემყარება ზმნის ანმყო-მყოფადის ფუძეს. ამას თემატურ სუფიქსთა არსებობა ადასტურებს, რაც, ჩვეულებრივ, ანმყოსა და მყოფადის ფუძეებში გვხვდება. ზემოთ მოყვანილ მაგალითთაგან ორს აქვს სრული თემის ნიშნები უშუალო კონტაქტის ფორმებში, თუმცა ეს თემის ნიშნები ნაწილობრივი სახით გვხვდება შუალობითი კონტაქტის ფორმებში. ესენია -ავ- და -ამ-: უშუალო კონტაქტის ფორმები: ხატ-ავ-ს, აბ-ამ-ს – შდრ.: შუალობითი კონტაქტის ფორმები: ახატ-ვ-ინებს, აბ-ევინებს.

მითითებანი:

1. შეუდარეთ B ჯგუფის ზმნები A ჯგუფის ზმნებს და გამოყავით შუალობითი კონტაქტის ნიშნები.
2. გამოყავით მარცვლოვანი ძირის მქონე ზმნები შუალობითი კონტაქტის – **ინ-** ნიშნით.
3. გამოყავით უმარცვლო ძირის მქონე ზმნები შუალობითი კონტაქტის -**ევინ-** და -**ევინ-** ნიშნებით.
4. შეუდარეთ B ჯგუფის ზმნები A ჯგუფის ზმნებს და გამოყავით ზმნები, რომელთაც აქვთ თემის ნიშნები ნაწილობრივი სახით (რომლებიც, თავის მხრივ, ანმყოსა და მყოფადის ფუძიდან მომდინარეობენ).

	A		B
აპამს	he/she is tying it	აპმევინებს	he/she is making him/her to tie it
გრებს	he/she is bending it	აგრეხინებს	he/she is making him/her to bend it
თლის	he/she is pealing it	ათლევინებს	he/she is making him/her to peal it
თხრის	he/she is digging it	ათხრევინებს	he/she is making him/her to dig it
აკეთებს	he/she is doing it	აკეთებინებს	he/she is making him/her to do it
კერავს	he/she is sewing it	აკერვინებს	he/she is making him/her to sew it
კეტავს	he/she is locking it	აკეტვინებს	he/she is making him/her to lock it
კრეფს	he/she is collecting it	აკრეფინებს	he/she is making him/her to collect it
სვამს	he/she is drinking it	ასმევს	he/she is making him/her to drink it
ყრის	he/she throw out it	აყრევინებს	he/she is making him/her to throw out it
აშენებს	he/she is building it	აშენებინებს	he/she is making him/her to build it
შლის	he/she is erasing it	აშლევინებს	he/she is making him/her to erase it
წერს	he/she is wrting it	აწერინებს	he/she is making him/her to write it
ჭამს	he/she is eating it	აჭმევს	he/she is making him/her to eat it
ჭრის	he/she is cutting it	აჭრევინებს	he/she is making him/her to cut it
ხატავს	he/she is drawing it	ახატვინებს	he/she is making him/her to draw it

პასუხები:

1. აბმ-ევინ-ებს, აგრეხ-ინ-ებს, ათლ-ევინ-ებს, ათხრ-ევინ-ებს, აკეთებ-ინ-ებს, აკერვ-ინ-ებს, აკეტვ-ინ-ებს, აკრეფ-ინ-ებს, ასმ-ევ-ს, აყრ-ევინ-ებს, აშენებ-ინ-ებს, აშლ-ევინ-ებს, აწერ-ინ-ებს, აჭმ-ევ-ს, აჭრ-ევინ-ებს, ახატ-ვ-ინ-ებს.
2. ა-გრეხ-ინ-ებს, ა-კეთებ-ინ-ებს, ა-კერვ-ინ-ებს, ა-კეტვ-ინ-ებს, ა-კრეფ-ინ-ებს, ა-შენებ-ინ-ებს, ა-წერ-ინ-ებს, ა-ხატვ-ინ-ებს.
3. ა-ბმ-ევინ-ებს, ა-თლ-ევინ-ებს, ა-თხრ-ევინ-ებს, ა-სმ-ევ-ს, ა-ყრ-ევინ-ებს, ა-შლ-ევინ-ებს, ა-ჭმ-ევ-ს, ა-ჭრ-ევინ-ებს.
4. აბ-მ-ევინებს, აკერ-ვ-ინებს, აკეტ-ვ-ინებს, ას-მ-ევს, ახატ-ვ-ინებს.

**7. სამპირიანი გარდამავალი ზმნის სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი**

I და II სერიაში ქართული გარდამავალი ზმნის სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი სხვადასხვა ბრუნვაში დგანან მაშინ, როდესაც ირიბი ობიექტი ყოველთვის ერთსა და იმავე ბრუნვაშია. ეს წარმოდგენილია ქვემოთ ტაბულაზე.

	I სერია		II სერია			
	ბრუნვათა სახელები	ბრუნვის ნიშნები	ბრუნვათა სახელები	ბრუნვის ნიშნები		
	ხმოვ- ნიანი ფუძე	თანხმოვ- ნიანი ფუძე		ხმოვნიანი ფუძე	თანხმოვ- ნიანი ფუძე	
სუბ.	სახ.	-Ø	-ი	მოთხ.	-ბ	-ბა
პირდ. ობ.	მიც.	-ს	-ს	სახ.	-Ø	-ი
ირ. ობ.	მიც.	-ს	-ს	მიც.	-ს	-ს

მითითებანი:

1. გამოარკვიეთ სუბიექტი და სუბიექტის ბრუნვა პირველი ჯგუფის წინა-დადებებში.
2. გამოარკვიეთ სუბიექტი და სუბიექტის ბრუნვა მეორე ჯგუფის წინადადებებში.
3. გამოარკვიეთ პირდაპირი ობიექტი და პირდაპირი ობიექტის ბრუნვა პირველი ჯგუფის წინადადებებში.
4. გამოარკვიეთ პირდაპირი ობიექტი და პირდაპირი ობიექტის ბრუნვა მეორე ჯგუფის წინადადებებში.
5. გამოარკვიეთ ირიბი ობიექტი და ირიბი ობიექტის ბრუნვა პირველი ჯგუფის წინადადებებში.
6. გამოარკვიეთ ირიბი ობიექტი და ირიბი ობიექტის ბრუნვა მეორე ჯგუფის წინადადებებში.

პირველი ჯგუფი:

A	B	C	D
მკერავი (tailor)	უკერავს (is sewing)	პაპას (for grandfather)	პიჯაკს (a coat)
ნინო (Nino)	უსხამს (is pouring)	ყვავილებს (for flower)	წყალს (water)
ნანა (Nana)	უქსოვს (is knitting)	შვილს (for child)	სვიტრს (a sweater)
ბებია (grandmother)	უღებს (it opening)	შვილიშვილს (for grandchild)	კარს (the door)

მამა	უშენებს	დავითს	სახლს
(father)	(is building)	(for David)	(a house)
მძღოლი	უჩერებს	კაცს	ავტობუსს
(the driver)	(is stopping)	(for man)	(a bus)
მხატვარი	უხატავს	გიორგის	სურათს
(an artist)	(is drawing)	(for Giorgi)	(a picture)

### მეორე ჯგუფი

A <sup>1</sup>	B <sup>1</sup>	C <sup>1</sup>	D <sup>1</sup>
მკერავმა	შეუკერა	პაპას	პიჯაკი
(tailor)	(sewed)	(for grandfather)	(coat)
ნინომ	დაუსხა	ყვავილებს	წყალი
(Nino)	(poured)	(for flower)	(a water)
ნანამ	მოუქსოვა	შვილს	სვიტრი
(Nana)	(knitted)	(for child)	(sweater)
ბებიამ	გაუღო	შვილიშვილს	კარი
(grandmother)	(opened)	(for grandchild)	(the door)
მამამ	აუშენა	დავითს	სახლი
(father)	(built)	(for David)	(a house)
მძღოლმა	გაუჩერა	კაცს	ავტობუსი
(the driver)	(stopped)	(for man)	(bus)
მხატვარი	უხატავს	გიორგის	სურათს
(an artist)	(is drawing)	(for Giorgi)	(a picture)

### პასუხები:

- დედა, მკერავ-ი, ნინო, ლიზა, ბებია, მამა, მძღოლ-ი, მხატვარ-ი.
- დედა-მ, მკერავ-მა, ნინო-მ, ნანა-მ, ბებია-მ, მამა-მ, მძღოლ-მა, მხატვარ-მა.
- ნაწიავ-ს, პიჯაკ-ს, წყალ-ს, სვიტრ-ს, კარ-ს, სახლ-ს, სურათ-ს.
- ნაწიავ-ი, პიჯაკ-ი, წყალ-ი, სვიტრ-ი, კარ-ი, სახლ-ი, ავტობუს-ი, სურათ-ი.
- გოგონა-ს, პაპა-ს, ყვავილებ-ს, შვილ-ს, შვილიშვილ-ს, დავით-ს, კაც-ს, გიორგი-ს.
- გოგონა-ს, პაპა-ს, ყვავილებ-ს, შვილ-ს, შვილიშვილ-ს, დავით-ს, კაც-ს, გიორგი-ს.

### • დასკვნა

სავარჯიშოთა კრებულის – ქართული, როგორც უცხო ენა – შედგენა ივარაუდება ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის, რომლებსაც უკვე აქვთ ქართულის საბაზისო ცოდნა (ეს შეიძლება იყოს საწყისი დონე). მათი ცოდნა უნდა უტოლდებოდეს ენის შესწავლის ელემენტარულ ფაზას.

პრაქტიკუმის გამოყენება რეკომენდებულია ქართულის თეორიულ კურსთან ერთად.

## **ლიტერატურა:**

1. მ. ნიკოლაიშვილი, 1999 – მ. ნიკოლაიშვილი, ქართული ენა (ინტენსიური კურსი), თბ., 1999.
2. ლ. გეგუჩაძე, 1996 – ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა უცხოელთათვის, I, მოკლე გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით, პირველი გამოცემა 1996; მეორე გამოცემა, თბ., 2004.
3. რ. ასათიანი, 1996 – რ. ასათიანი, ქართული ენის სახელმძღვანელო უცხოელებისათვის, თბ., 1996.
4. ჰ. არონსონი, 1990 – Howard I. Aronson, GEORGIAN, READING GRAMMAR, Slavica Publishers, Inc. The original book was published in July, 1982; the correction edition was published in January 1990.
5. ჰ. არონსონი და დ. კიზირია, 1999 – HOWARD I. ARONSON AND DODONA KIZIRIA, GEORGIAN LANGUAGE AND CULTURE, A CONTINUING COURSE, SLAVICA, Bloomington, Indiana, 1999.
6. რ. ვ. ზანდვორთი, 1966 – R.W. Zandvoort, A Handbook of English Grammar, 1966.
7. წერის ძირითადი ცნობარი, 1997 – The Essential WRITER'S Companion, A Concise Guide to Writing Effectively for School, Home, or Office, Houghton Mifflin Company, Boston • New York, 1997.
8. სუზან მ. გასი, ლარი სილინკერი, 2001 – Susan M. Gass, Larry Selinker, Second Language Acquisition, *An Introductory Course*, Second Edition, 2001.
9. რ. ქურდაძე, 2003 – რ. ქურდაძე, დროისა და მოქმედების სიხშირის აღმნიშვნელი ზმნიზედები წარსული დროის ზმნებთან ქართულსა და ინგლისურ ენებში: „ენათმეცნიერების საკითხები“, 2, თბ., 2003 (ქართულ ენაზე, ინგლისური რეზიუმეთი).
10. რ. ქურდაძე, 2006 – რ. ქურდაძე, ორთოგრაფიის ზოგი საკითხის შესახებ ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების დროს: თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, 10, თბ., 2006 (ქართულ ენაზე, ინგლისური რეზიუმეთი).

## „რა არის თქვენი სახელი?“

### უცხოეთში გამოცემული „სასაუბრო ქართულის“ შესახებ – Colloquial Georgian, A PHRASE BOOK \*

რამდენიმე წლის წინ საზღვარგარეთ გამოიცა „სასაუბრო ქართული, ფრაზების წიგნი“ (ინგლისურ ენაზე). ასეთი ნაშრომის დაბეჭდვა ძალიან სასიხარულო და მისასალმებელია, მით უმეტეს, როცა ინიციატივა უცხოელებს ეკუთვნით, მაგრამ სასაუბროს გაცნობამ ეს სიხარული გაგვინდება.

აღნიშნული გამოცემა ორმოცდაექვსგვერდიანია. თავდაპირველად ძალზე მოკლე (ერთ გვერდზე) ცნობებია საქართველოს დღევანდელი ვითარების, მისი გეოგრაფიული მდებარეობის, მოსახლეობის, ენის, რელიგიის და ქართული ხასიათის შესახებ. შემდეგ მითითებულია, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სასაუბრო. აქვეა მოკლე ცნობები ქართული ანბანის შესახებ ანბანთან ერთად.

ძირითადი ტექსტი თხუთმეტ თავადაა წარმოდგენილი. პირველ თავში მოცემულია ქართული ასოების ტრანსლიტერაცია ლათინური ასოებით. შემდეგ თემატურად თავმოყრილია მოკლე ფრაზები და სიტყვები ინგლისურ ენაზე ქართული შესატყვისებითურთ, როგორც ეს მიღებულია ამ ტიპის ნაშრომებში.

წიგნში არსად არის აღნიშნული ის წყარო, რომელსაც ამ სასაუბროში მოცემული მასალა ემყარება. უფრო მეტიც: არაა მითითებული სასაუბროს შემდგენელი, გამომცემელი ან სადაც როდის გამოიცა იგი.

როგორც სასაუბროს ტექსტიდან ჩანს, იგი 1991 წლის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი.

ერთადერთი დაწესებულება (სამეცნიერო ცენტრი), რომელიც ამ სასაუბროშია ნახსენები, არის Multi-media laboratory (Room F 2418), რომელსაც შეიძლება მიმართონ დახმარებისათვის ქართული ანბანის შემსწავლელებმა.

როგორც ჩანს, დღეისათვის საზღვარგარეთ მოთხოვნილება ქართულ სასაუბროზე ძალიან გაზრდილია. ეს აღნიშნულია სარეცენზიონ ნაშრომშიც. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ „ამ ფრაზების წიგნის საჭიროება აშკარა გახდა მაშინ, როდესაც შეერთებული შტატების სახელმწიფო თანამდებობის პირს, რომელიც ცდილობდა რუსულად გასაუბრებოდა ქართველ დიპლომატს, საკმაოდ უხეშად უთხრეს: „შეინახე შენი რუსული რუსებისათვის“ (გვ. 3).

ბუნებრივია, ქართული ენის სასაუბრო ბევრი უცხოელისათვის იქნება საჭირო. ასეთად შეიძლებოდა ეს წიგნიც გამომდგარიყო, რომ არა შეცდომები, რომლებსაც ნაშრომში ვხვდებით. შემდგენელს ქართული ენის სპეციალისტთა კონსულტაციით რომ ესარგებლა, ალბათ ბევრ შეცდომას აიცილებდა. ღვთის წყალობით, ასეთი სპეციალისტი დღეისათვის უცხოეთში ცოტა არაა.

\* გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“, თბ., 5 (10), 1996.

სასაუბროში მოცემული ტრანსლიტერაციის მიხედვით, ქართული ანბანის ზოგიერთი ასო არაზუსტადაა ინგლისურად გამოსახული, მაგალითად, ქართული თ და ტ გამოხატულია t ასოთი, ქ და ხ – kh – ასოებით. არ ჩანს განსხვავება ც-სა და წ ასო-ბერებს შორის.

ჩვენი აზრით, საეჭვოა აგრეთვე აქ მოცემული ტრანსლიტერაციის ამგვარი შეთხვევებიც: ქართული ლ და ლათინური hh, ქართული ყ და ლათინური qh, ქართული ჭ და ლათინური tch.

წიგნის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ამ სასაუბროში საკმაოდ ხშირად გვხვდება გაუმართავი, გრამატიკულად არასწორი ქართული ფრაზები.

სასაუბროში ზოგჯერ ესა თუ ის ინგლისური სიტყვა ქართულად ზუსტად არ არის თარგმნილი. მაგალითად, Excellent განმარტებულია როგორც არაჩვეულებრივი (გვ. 6), ჩინებულის, საუცხოოს, შესანიშნავის ნაცვლად.

arm ქართულად განმარტებულია როგორც ხელი. ასევეა ნათარგმნი hand-იც (გვ. 27). რა თქმა უნდა, arm-სათვის მართებული თარგმანი იქნებოდა მკლავი.

ხშირ შემთხვევაში ქართულად თარგმნისას არაა საკმარისი მხოლოდ ის განმარტება, რომელსაც სასაუბროში გვთავაზობენ. დავასახელებთ ორ მათვანს: „Shop – ჯიხური“ (გვ. 42), საჭიროა დაემატოს სიტყვა **სავაჭრო**; „stormy – აღელვებული“ (გვ. 45). აქ საჭიროა მითითება, რის შესახებაა ლაპარაკი.

საერთოდ, ბევრი ქართული წინადადება ძალზე უხერხულად გამოიყურება. მაგ.: „I am dizzy – მე გაბრუებული ვარ“ (გვ. 28), უნდა იყოს: **თავბრუ მესხმის**. „I'm constipated – მე შეკრული ვარ“ (გვ. 28), აქ კუჭის შეკრულობა იგულისხმება; „I have diarrhea – მე მუცელი მაქვს მოშლილი“ (გვ. 29), აქ კი კუჭის აშლაზეა ლაპარაკი; „I have vomited once – მე ერთხელ წავალებინე“ (გვ. 29), აქ ქართული ზმნის მიხედვით შეიძლება რაღაცის წალებაც ვიგულისხმოთ, სინამდვილეში კი პირის დებინება, გულისრევა იგულისხმება.

ალბათ კორექტურული შეცდომის შედეგია, როცა ინგლისური pill – აბი ქართულად აბრად არის გადმოტანილი და ექიმის რჩევა თარგმანში კურიოზულ შინაარსს იღებს: „One pill once a day – ერთი აბრა ერთხელ დღეში“ (გვ. 29).

გამართული ქართულისათვის ყოვლად მიუღებელია ისეთი წინადადებები, რომლებიც იმეორებენ შესაბამის ინგლისურ ვარიანტებს, საიდანაც ისინი უთარგმნათ. ასეთი წინადადებები „სასაუბრო ქართულში“ უხვადაა: „რა არის თქვენი სახელი?“ (გვ. 8); „რა არის თქვენი გვარი?“, „რა არის თქვენი ცოლის სახელი?“ (გვ. 17); „რა არის თქვენი ეროვნება?“ (გვ. 18); „როდის არის რეისი ფრანკფურტში?“ (გვ. 26); „დაიჭირეთ სუნთქვა“ (გვ. 28); „ამინდის პატაკი“ (გვ. 45) და სხვა.

გრამატიკულად ასევე გაუმართავია შემდეგი წინადადებებიც: „უკაცრავად, სად არიან სალაროები?“ (გვ. 25), „მე მაინტერესებენ ქართველი კლასიკოსები“ (გვ. 43).

ქართულისათვის არაა მიღებული პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენება ქვემოთ მოტანილ წინადადებებში: „მე ვერ გავიგე“ (გვ. 6), „მე ყური მტკივა“ (გვ. 27), „მე ვეძებ კარგ სასტუმროს“ (გვ. 35). ასე აგებული წინადადება ინგლისურისათვის ჩვეულებრივია, ქართულისათვის კი – უცხო.

ნაშრომში დაშვებულია ორთოგრაფიული შეცდომებიც. მაგ.: „დრო გააქვთ?“ (გვ. 15); „უფრო იაფი ოთახი გააქვთ?“ (გვ. 36). როგორც ცნობილია, ზეპირი მეტყველების დროს ერთმარცვლიან სიტყვებში, კითხვით წინადადებაში ხმოვანი გრძელდება, რაც წერილობით არ აღინიშნება. ქართული ზმნა „გააქვთ“ რაღაცის გატანას გულისხმობს, მაშინ როდესაც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში დროის ან ოთახის ქონა იგულისხმება.

„სასაუბრო ქართულში“ გვხვდება სხვა სახის გრამატიკული, ორთოგრაფიული, სტილისტური და კორექტურული შეცდომებიც. ჩვენ მხოლოდ შენიშვნების ნაწილი წარმოვადგინეთ. სხვებს აღარ ჩამოვთვლით. ერთ საგაზეთო წერილში ეს შეუძლებელიცაა.

„სასაუბრო ქართული“ ამ სახით, ვფიქრობთ, ნაკლებად გამოადგებათ იმათ, ვისთვისაც განკუთვნილია. სასურველია მისი დახვენა-შესწორება და ხელახლა გამოცემა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ სასაუბროს ავტორი და გამომცემლობა უცნობია. ჩვენი სურვილია, მოვიძიოთ და ხმა მივაწვდინოთ მათ. თუ ისინი მოისურვებენ სასაუბროს გაუმჯობესება-დახვენას, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება მზად არის დასახმარებლად.

## **ქართული ენის ახალი თვითმასწავლებელი დასანანი ხარვეზებით\***

გასულ წელს გამოიცა ქართული ენის თვითმასწავლებელი ორი კასეტით (Georgian, A Self-Study and reference Phrase-book". შევნიშნავთ, რომ Self-Study, ჩვეულებრივ, დამოუკიდებლად შესწავლას ნიშნავს, ჩვენ თარგმანში თვითმასწავლებელი ვარჩიეთ), რომლის ავტორია ხათუნა გელაშვილი (გამომცემლობა „საარი“, თბ., 2002). შესანიშნავად გაფორმებულ ყდა-შალითაში დევს ინგლისურენოვან უცხოელთათვის განკუთვნილი ორი კასეტა და მცირე ფორმატის 103-გვერდიანი წიგნი.

ეს პატარა წიგნი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: ქართული ასო-ბგერები (გვ. 5-11), 33 სასაუბრო თემა (გვ. 12-81) და დამატება, რომელიც 3 თემას წარმოგვიდგენს (გვ. 82-88), ბოლოს კი დართულია სალექსიკონი ინდექსი (გვ. 89-103).

დღეს, როდესაც ასე გაზრდილია ინგლისურენოვან უცხოელთა ინტერესი ქართული ენის მიმართ, ასეთი წიგნის გამოცემა მისასალმებელია, რომ არა სერიოზული ხარვეზები, რაც თვითმასწავლებლის ღირსებას საკმაოდ ვნებს.

ამთავითვე ვიტყვით, რომ სარეცენზიონ წიგნით ქართული ენის დამოუკიდებლად შესწავლა უცხოელებს ძალიან გაუჭირდებათ. რა თქმა უნდა, თვითმასწავლებლის სპეციფიკა არ ითვალისწინებს ენის გრამატიკული სტრუქტურის ღრმა ანალიზს, მაგრამ წიგნის ავტორს მოეთხოვება ამ სტრუქტურის კარგი ცოდნა და გადმოცემის უნარი. სამწუხაროდ, თვითმასწავლებლის გაცნობისას ამგვარი შთაბეჭდილება არ გვრჩება. სასაუბრო თემებში მასალა განაწილებულია არასწორად და მოწოდებულია ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ყოვლად დაუშვებელია განმარტების გარეშე იყოს წარმოდგენილი „არის“ მეშვეოლი ზმნის შეკვეცილი ფორმები შედგენილ შემასმენებელში: როგორია? როგორი რესტორანია? ლამაზია? გემრიელია, შესანიშნავია, საინტერესოა, საკმარისია, ადრეა, გვიანია, დღეს რა რიცხვია? დღეს ოცდაორი ოქტომბერია. ეს რა ქუჩა? რომელ სართულზეა ჩემი ნომერი? რომელ საათზეა საუზმე? გიორგი სახლშია? (გვ. 16-17, 23, 44, 44-45, 51, 52, 65 და სხვ.).

ბუნებრივია, ყველა უცხოელ შემსავლელს გაუჩნდება კითხვები: რა არის ეს ბოლოკიდური – ა? სად არის ქართულ მაგალითებში ზმნა-შემასმენებელი, მაშინ, როცა მათ შესაბამის თარგმანებში ზმნა-შემასმენებელი is წარმოდგენილია. მაგალითად, „What is like?“ – როგორია? What kind of a restaurant is it? – როგორი რესტორანია? It's beautiful – ლამაზია“ (გვ. 16 და სხვ.).

სერიოზული დაბრკოლება იქმნება ნაცვალსახელების შესწავლისას. როგორც ცნობილია, ქართულში ნაცვალსახელთა გარკვეული ნაწილი ერთი და იმავე ფორმით იხმარება რამდენიმე ბრუნვაში და ამის გაუთვალისწინებლად ქართულ ნაცვალსახელთა მიწოდება უცხოელთათვის, პრაქტიკულად გამოუყენებელს ხდის მათ სასაუბრო სიტუაციებში. მაგალითად:

\* გაზეთი „ახალი 7 დღე“, 8 (259)., 2003 წ.

ა) თვითმასწავლებლის მე-3 სასაუბრო თემაში, რომელსაც „Some Handy Words“ (ზოგი მოსახერხებელი სიტყვა) ჰქვია, წარმოდგენილია „ეს“ და „ის“ ჩვენებითი ნაცვალსახელები და, შესაბამისად, მიწერილი აქვს ინგლისური განმარტებანიც: ეს – this, ის – that. ამ მხრივ ყველაფერი სწორია. იქვე მოცემული „ამ“ და „იმ“ ნაცვალსახელებიც თარგმანითურთ: ამ – this, იმ – that (გვ. 26). ამ მხრივაც ყველაფერი სწორია, მაგრამ, ბუნებრივია, ქართული გრამატიკის არმცოდნე ნებისმიერი უცხოელი დაინტერესდება, რატომაა ინგლისური this – ქართულში ორი ფორმით (ეს, ამ) და ინგლისური that – ასევე ორი (ის, იმ) ფორმით წარმოდგენილი? საქმე ისაა, რომ „ეს“ და „ის“ ამ ნაცვალსახელთა სახელობითი ბრუნვის ფორმებია, „ამ“ და „იმ“ კი – მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებისა. ამის შესახებ ნაშრომში არაფერია ნათქვამი. ასეთ შემთხვევაში, როგორ გამოიცნოს უცხოელმა this და that ნაცვალსახელთა რომელი ფორმები გამოიყენოს და როდის – „ეს“ და „ის“ თუ „ამ“ და „იმ“?

ბ) ასეთივე ვითარებაა კითხვითი ნაცვალსახელების სწავლების დროსაც. კერძოდ, მე-4 სასაუბრო თემაში, რომელსაც „Question Words“ (კითხვითი სიტყვები) ჰქვია, წარმოდგენილია ნაცვალსახელი ვინ? (ვის?) ინგლისური თარგმანით who? (გვ. 29), მაგრამ ამ ორიდან რომელ წინადადებაში რომელი უნდა იხმაროს უცხოელმა, ეს ალბათ თვითონ უნდა გამოიცნოს, რაც მისთვის ადვილი არ იქნება, რადგან ეს ორი ფორმა ორ-ორ სხვადასხვა ბრუნვას გამოხატავს: „ვინ“ – სახელობითსა და მოთხრობითს, „ვის“ – მიცემითსა და ნათესაობითს.

აქვე წარმოდგენილია რა? – what? ნაცვალსახელი ორი ფორმით – რა? (რას?). ამ ნაცვალსახელს ქართულში ექვსი ბრუნვა აქვს (რა, რამ, რას, რის, რით, რად). ეს, რა თქმა უნდა, არაა განმარტებული სარეცენზიონ წიგნში, ისევე, როგორც არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ აქ მოცემული ორი ფორმიდან (რა – სახელობითი ბრუნვა, რას – მიცემითი ბრუნვა) როდის რომელი იხმარება.

გ) უფრო რთულად და ბუნდოვნადაა საქმე პირის ნაცვალსახელების სწავლებისას. ამ შემთხვევაში ავტორი ნაშრომის 82-ე გვერდზე გვთავაზობს ასეთ დაყოფას:

პირის ნაცვალსახელები – 1

I – მე

You – შენ

He / She / it – ის

We – ჩვენ

You – თქვენ

They – ისინი

პირის ნაცვალსახელი - 2

Me - მე

You – შენ

Him / her / it – მას

Us – ჩვენ

You – თქვენ

Them – მათ

პირის ნაცვალსახელთა ამგვარი დაყოფა ავტორმა აღბათ ინგლისურის მიხედვით გადაწყვიტა, რათა კალ-კალკე ეჩვენებინა ინგლისური პირის ნაცვალსახელების სახელმძიმით და ობიექტური ბრუნვის ფორმები, თუმცა ავტორი ამის შესახებ არაფერს ამბობს. რომც ეთქვა, ეს მაინც არ იქნებოდა საკმარისი, რადგან ქართულში საქმე უფრო რთულადაა. ინგლისურში სახელმძიმით და ობიექტურ ბრუნვათა ნაცვალსახელები ფორმით უმეტესად განსხვავებულია (მხოლოდ you – შენ, თქვენ ემთხვევა ერთმანეთს). ქართულში კი I და II პირის ნაცვალსახელები სახელმძიმით, მოთხრობით და მიცემით ბრუნვებში ფორმით ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავება მხოლოდ მესამე პირში გვაქვს (ის – მას, ისინი – მათ) და, რაც მთავარია, თუ უცხოელს არ ეცოდინება, რომ სახელმძიმითი ბრუნვით გადმოცემული ქართული პირის ნაცვალსახელები სუბიექტის ეკვივალენტია, მიცემითი ბრუნვით გადმოცემული კი – ობიექტისა, მაშინ ამ სახით სწავლება დააბნევს მას, რადგან გამოდის, რომ ორ სხვადასხვა ინგლისურ სიტყვას (მაგალითად, I-ისა და Me-ს) შეესაბამება ერთი ქართული სიტყვა „მე“ და ეს „მე“ როდის რას ნიშნავს (სუბიექტს თუ ობიექტს), მისთვის გაუგებარი დარჩება.

ამრიგად, წარმოდგენილი მასალის განხილვა გვარწმუნებს, რომ ამ წიგნში იგნორირებულია ქართულის ენობრივი შესწავლა, ქართული ელემენტარული გრამატიკა, რისი შედეგიცაა გაურკვევლობა, სახელდღირ, სადაურობის მაჩვენებელ სიტყვებს: ქართველი, ამერიკელი, ინგლისელი, გერმანელი – ყველას ინგლისურ თარგმანში მიწერილი აქვს სიტყვა „პიროვნება“ (Georgian (person), American (person), English (person), German (person) (გვ. 26-27), მაგრამ, როგორ გაიგოს უცხოელმა, რა უჩვენებს ამ სიტყვებში პიროვნებას? თუკი არაფერია ნათქვამი მათში წარმოდგენილ -ელ სუფიქსზე. ან, ვთქვათ, ეს როგორდაც გაიგო, მაშინ, რა ივარაუდოს მან არაპიროვნების (მაგალითად, ქართული, ამერიკული, ინგლისური, გერმანული) სახელთა წარმომავლობის მანარმოებლად, თუკი არც ჩვენ მიერ ფრჩხილებში მოყვანილი მაგალითებია დასახელებული და არც არაფერია ნათქვამი -ურ / -ულ სუფიქსებზე?

ქართული ენის გრამატიკა რომ არაფრად ჩაუგდია ავტორს, ეს სასაუბრო თემებში მასალის განაწილებიდანაც ჩანს. კერძოდ, ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმები (უკეთესი, უარესი) ავტორს შეუტანია მე-3 თავში – „Some Handy Words“ („ზოგი მოსახერხებელი სიტყვა“, გვ. 27, ხოლო მათი დადებითი ფორმები, კარგი, ცუდი – მე-5 თავში „Some Adjectives“ (ზოგი ზედსართავი სახელი), გვ. 30).

გაცილებით უფრო მართებული და მეთოდურად გამართლებული იქნებოდა, რომ ეს ფორმები (რამდენიმე სხვა მაგალითთან ერთად) ყოფილიყო იმავე მე-5 თავში ქვესათაურით – „ზოგიერთ ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმები“.

სამწუხაროდ, ქართული ენის თვითმასწავლებელი მეთოდურად სხვა მხრივაც გაუმართავია: მაგალითად, ავტორი ძირითადად სალექსიკონო მასალას წარ-

მოადგენს სხვადასხვა სასაუბრო თემის მიხედვით, რომლებშიც ქართულ სიტყვებ-თან ერთად მოცემულია მათი ტრანსკრიფცია ლათინური ასოებით და შემდეგ არის ინგლისური თარგმანი. ნაშრომს მხოლოდ ბოლოში ერთვის ლექსიკურ ერთეულთა ინდექსი. რა თქმა უნდა, სალექსიკონო მასალის ამგვარი ჩვენება მართებული და მისასალმებელია, მაგრამ მეთოდურად ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია ქართული სიტყვების, იმავე სალექსიკონო მასალის, უთარგმნელად წარმოდგენა ქართული ანბანის დახასიათების დროს. ამ შემთხვევაში ავტორს მოცემული აქვს ქართული ასო-ბერა, ინგლისური ეკვივალენტი, ასოთა ლათინური ვარიანტები, ქართული მაგალითები, ე. ი. ის ქართული სიტყვები, რომლებშიც ესა თუ ის ბერა გვხვდება და შემდეგ ამავე ქართულ სიტყვათა ლათინური დაწერილობა, რათა უცხოელებს გაუადვილდეთ ქართულ სიტყვები არ არის თარგმნილი ინგლისურად. ამ სიტყვათა ნაწილი ძირითად ტექსტშიც გვხვდება და იქ ჩვეულებრივ ნათარგმნია ინგლისურ ენაზე, მაგრამ ნაწილი, რომლებიც მხოლოდ აქაა და არა ძირითად ტექსტში, ფაქტობრივად, საერთოდ თარგმანის გარეშეა დარჩენილი. ასეთებია, მაგალითად: „უნდა, ბინა, თითი, ლიმონი, ჟირაფი, კატა ფაფა, ყური, ცივი, ძილი, ჭორი, ჯვარი, ჰა-რი. მათ შორისაა აგრეთვე ადამიანთა საკუთარი სახელებიც“: ნანა, ზაზა, სოსო (გვ. 6-8). ბუნებრივია, მათი მნიშვნელობები ქართული ენის არამცოდნე უცხოელმა სხვაგან უნდა ეძებოს.

საქმაოდ სერიოზული ორთოგრაფიული შეცდომები გვხვდება ქართული სიტყვების ლათინური ასოებით გადმოცემისას. ეს შეცდომები ანბანის გაცნობის-თანავე იწყება, კერძოდ, „ი“ ხმოვნის შესახებ ავტორი წერს: „ი“ as i in ship” (ი, როგორც ინგლისური i სიტყვაში ship – გემი). შემდეგ წარმოგვიდგენს იმ სიმბოლოს, რითაც აპირებს, ქართული „ი“ გადმოსცეს ლათინურად. მისი აზრით, ესაა ხმოვან-თკომპლექსი ee და მოჰყავს მაგალითი: „ვინ – veen“ (გვ. 6).

როგორც ცნობილია, ხმოვანთკომპლექსი ee – ეს არის გრძელი დაჭიმული „ი“, ამიტომ იგი არ შეესაბამება არც ქართულ „ი“ ხმოვანს და არც ინგლისურ i-ს ტრანსკრიფციას სიტყვაში „ship“.

არაზუსტია „უ“ ხმოვნის სიმბოლოც. კერძოდ, მის შესახებ ავტორი წერს: „უ“ as u in „put“ (უ, როგორც ინგლისური u სიტყვაში put – დადება), ხოლო ლათინურად მას ასე გამოხატავს „oo“ და მოჰყავს მაგალითი: „უნდა – oon-dah“ (გვ. 6). რატომაა ტრანსკრიფციისას oon-dah“ დეფისით გაყოფილი, ეს ჩვენთვის გაუგებარია, ალბათ კორექტურული შეცდომაა). რა თქმა უნდა, „oo“ მისაღებია „უ“-ს გადმოსაცემად, რადგან, ჩვეულებრივ, ინგლისურისავე ორმაგი „oo“ ტრანსკრიფციისას იძლევა „უ“-ს, მაგალითად „a book“ (ნიგნი); მაგრამ ერთგვარი კომენტარი მაინც საჭიროა, რადგან ორმაგი „oo“ ინგლისური ტრანსკრიფციითვე გრძელ დაჭიმულ „უ“-საც იძლევა. მაგალითად: a stool (ტაბურეტი, პატარა სკამი).

ასეთი მსჯელობა იმიტომ წარმოვადგინეთ, რომ ქართულ ენას გრძელი ხმოვნები არ ახასიათებს, ამიტომ აჯობებდა, რომ „ი“ გადმოგვეცა „i“-თი, ხოლო „უ“ – „u“-თი, როგორც ამას სხვა ავტორები აკეთებენ.

გაუგებარია სხვა ქართული ხმოვნების ლათინურ ვარიანტებში „h“-ის არ-სებობა: „ა“ – „ah“, „ე“ – „eh“, „ო“ – „oh“ (გვ. 6), მაშინ, როდესაც ესენიც შეიძლებოდა მარტივად „ა“, „ე“, „ო“ გრაფემებით გამოხატულიყო. გაუგებარია აგრეთვე ზოგიერთი თანხმოვნის ლათინური ვარიანტებიც: „ზ“ – „zh“, „ღ“ – „gh“, „ჭ“ – „ch“.

დღეისათვის საკმაო ლიტერატურა არსებობს უცხოელი ინგლისურენოვანი სტუდენტებისა და დაინტერესებულ პირთათვის ქართული ენის შესასწავლად. ბუნებრივია, მათში სხვა საკითხებთან ერთად ქართული ასოების ლათინურად გადმოცემის სისტემაცაა მოცემული. ამ სახელმძღვანელოთა ავტორები ცნობილი ქართველი, ინგლისელი და ამერიკელი ენათმეცნიერ-სპეციალისტები არიან, მაგრამ აშკარაა, რომ ამ ლიტერატურას სარეცენზიონი ნაშრომის ავტორი არ იცნობს.

კიდევ შეიძლებოდა დაგვესახელებინა ზოგიერთი უზუსტობა, რომელიც ამ ნაშრომშია, მაგრამ, ვფიქრობთ, ის, რაც უკვე წარმოვადგინეთ, საკმაოდ სერიოზული ნაკლია თვითმასწავლებლისათვის. ეს კი საეჭვოს ხდის იმ ერთ-ერთ სარეკლამო განცხადებას, რომელიც განთავსებულია თვითმასწავლებლის კომპლექტის ყდაზე და რომელიც უშუალოდ ავტორს ეხება:

„ფრაზების წიგნი დაწერილია ქართველის მიერ, რომელსაც აქვს საენათმეცნიერო განათლება და პრაქტიკული გამოცდილება ქართულის, როგორც უცხოენის, სწავლებისა ინგლისურენოვანთათვის“.

## აი, როგორ ქართულს გვასწავლის ჯორჯ ჰიუიტი\*

1996 წელს Rutledge Grammars-ის გრიფით გამოვიდა ჯორჯ ჰიუიტის წიგნი „ქართული, სასწავლო გრამატიკა“. გამოცემის ადგილად მითითებულია ლონდონი და ნიუ-იორკი. ავტორი ამ წიგნს უძღვნის აკაკი შანიძის ნათელ ხსოვნას.

სარეცენზიონ ნაშრომის ავტორი, ინგლისელი ენათმეცნიერი ჯორჯ ჰიუიტი ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი პირია. იგი საქართველოში არაერთხელ ყოფილა ქართველური და კავკასიური ენების შესწავლის მიზნით. კავკასიის გაცნობამ ჯორჯ ჰიუიტის პირად ცხოვრებაზეც იქონია გავლენა, იგი აფხაზების სიძე გახდა.

ჯორჯ ჰიუიტის წიგნი 483-გვერდიანია. მას წინ უძღვის შესავალი (გვ. 1-11); შემდეგ წარმოდგენილია ძირითადი ტექსტი, რომელიც ოცი გაკვეთილისაგან შედგება (გვ. 12 – 361), ამას მოსდევს ქართული ენის გრამატიკის რეზიუმე (გვ. 362-368), გრამატიკულ ტერმინთა ლექსიკონი (გვ. 369-378), სავარჯიშოთა პასუხები (გვ. 379-416), ქართულ-ინგლისური ლექსიკონი (გვ. 417-471), ინგლისურ-ქართული ფრაზები (გვ. 472-481), სამეცნიერო ტერმინთა ინდექსი (გვ. 482-483).

ბუნებრივია, ასეთ ნაშრომში მთავარია გაკვეთილები. თითოეული გაკვეთილი შედგება დიალოგებისაგან, გრამატიკული წანილისა და სავარჯიშოებისაგან. ყოველი გაკვეთილის გრამატიკული მასალა სიზუსტით და საკითხის ჯეროვანი ცოდნითაა წარმოდგენილი. გაკვეთილებს ახლავს თარგმნითი სავარჯიშოები – ქართულიდან ინგლისურად და პირუკუ – ინგლისურიდან ქართულად. აქვეა სხვა სახის სავარჯიშოებიც, რომლებიც აგრეთვე ქართულის პრაქტიკულად დაუფლების მიზნითაა მოწოდებული.

ამათგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს დიალოგები და სავარჯიშოების ქართული წინადადებები. ეს ფაქტობრივად ის მასალაა, რითიც უნდა ამეტყველდნენ ამ კურსის მომხმარებლები. ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ, სამწუხაროდ, ეს მასალა არ ვარგა.

ჯორჯ ჰიუიტი საქართველოში კარგა ხანს იყო, ბევრი საუკეთესო მასწავლებელი ჰყავდა, საკმაო ენობრივი პრაქტიკაც ჰქონდა. ამიტომ სალაპარაკო ენაც თითქოს კარგად იცოდა. ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება დატოვა მისმა გამოსვლამ ქართველი საზოგადოების წინაშე 1987 წლის 26 თებერვალს აკაკი შანიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე. მაგრამ ამ წიგნში წარმოდგენილ ქართული მეტყველების ნიმუშები სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს.

ცნობილია, რომ ენის გრამატიკის ცოდნა ჯერ კიდევ არ წიშნავს ამ ენის სრულყოფილად ფლობას. ამის ნიმუშები სარეცენზიონ ნაშრომში უხვადაა. ქვემოთ გთავაზობთ მაგალითებს უკომენტაროდ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ზოგჯერ ავ-

\* გაზეთი „განათლება“. 16 (4436), 1996, თანაავტორი პროფ. მზექალა შანიძე.

ტორს დახრილი ხაზით პარალელური ფორმები აქვს გამოყოფილი, ზოგჯერ კი ფრჩხილებით ზოგი სიტყვის შემოკლებული სასაუბრო ფორმაა წარმოდგენილი:

„ინგა: ... ფქვილს საცრით გავცრი და სასწორზე ავწონი, მერე ჯამში მას ჩავყრი მარგარინს, საფუარს, ცოტა მარილსა და შაქართან ერთად, და ზედ წყალს და-ვასხამ. ცომს დიდხანს მოვზელ, მერე ჯამს დავფარავ და დავტოვებ.“

ანი: საფუვრის როლი რა არი(ს)“ (გვ. 68).

„გელა: ... დედა სად არის?

დემნა: საძილეში აზის საყვარელ სკამს და თავს ილამაზებს სარეის წინ“ (გვ. 70);

„ხომ ხედავ (იმ) ლოგინებს, რომლებზე(დაც) ავადმყოფები წვანან/ რომლებ-საც ავადმყოფები აწვანან?“ (გვ. 388).

„... იმის გამო, რო(მ) პირველი თვის განმავლობაში არ მოსვლია ფული, ვინმე ამერიკელს გაუწევია მისთვის მოხმარება“ (გვ. 300).

„... ბავშვს გავაღვიძებ და ნითელ კაბას ჩავაცვამ“ (გვ. 79);

„პური რო(მ) მით დავჭერი, ის დანა ჩლუნგია“ (გვ. 114);

„დედა-შენს რო(მ) მასში ოპერაცია გაუკეთეს, ის საავადმყოფო სადაა/სად არი(ს)?“ (გვ. 123);

„ნალექი რო(მ) ძირს ჩაჯდება, ეს ქინძმარაული უფრო დაილევა ალბათ“ (გვ. 127).

„ისტორიკოსი: ჩვენი კვლევა-ძიების დროს გამოირკვა, რო(მ) საქართველოს დაუკარგავს (მეორე მსოფლიო ომში – ავტორები) თავისი მოსახლეობის ერთი მეა-თედი (მათ რიცხვში ქართველები, მეგრელები, სვანები, აფხაზები, სომხები, ოსები და ა. შ.), ე. ი. რა ბევრი განუცდია...“ (გვ. 245).

„ასეთი დისკრიმინაციაო რატომ არი(ს) განხორციელებული (/ ხორცმესხმუ-ლი) ქართულ ენაში? განა არ არსებობს სიტყვა იმ ქალების გამოსახატავადო, რომლებსაც დედაკაცები მამაკაცებს ურჩევნიათო? განცვიფრებულმა ლექტორმა უპასუხა: შესაბამისი სიტყვაო არა გვაქვსო (და ალბათ არც გვჭირდებაო), მაშო, დასძინა ფრანგმა, რომელიც არ მოშვებია საწყალ ლექტორს, მოდი შევუქმნათო ქართულს ახალი სიტყვაო და ამით მას გავუმდიდროთო სიტყვების მარაგიო! ქარ-თველებსო ვაჩუქოთო სიტყვა „დედათმავალიო“ (გვ. 316).“

„შე ოხერო შენა“ (იქვე).

„ჯარისკაცებმა ქალი უკანასკნელად მი-ა-სალმ-ეს საყვარელ ქმარს“ (გვ. 350).

„... ეკას რატომ აცვია იგივე კაბა, რომელიც გუშინ ეცვა? არ შეუძლია ახალი რამ/რა(ი)მე ჩაიცვას? მისი ახალი კაბა უნდა ეცვას ჩვენი სტუმრების(ა)თვის“ (გვ. 401).

„პრეზიდენტის ვაჟიშვილს... ქუჩაზე გადაურბენია, ჯიბიდან გამოუტანია თოფი, თვალის დახამხამებაში დაუმიზნებია თავისი მტრისათვის და უსროლ(ნ)ია მისთვის კიდეც!...“ (გვ. 232);

„... ისტორიის შემთხვევაა რომელ ენას აქ(ვს) დამწერლობა, რომელს კი არა...“ (გვ. 266);

„... როდესაც მივედი მასთან გვითხრა, რომ მისი ფეხი მოტეხილი იყო... ექიმ-მა ჯერ გაუსინჯა იმ კაცს მოტეხილი ფეხი და ნემსი გაუკეთა ტკივილისათვის“ (გვ. 93).

„... საბურავი რო(მ) გასკდა, ცოლს სული წაუვიდა...“ (გვ. 168);

“თქვენი თხოვნა რა არ(ს), ბატონო შალვა?“ (გვ. 88);

„რა არი(ს) შენი დაბადების თარიღი?“ (გვ. 481).

ეს რომ არაბუნებრივი ქართულია, იმდენად ნათელია, რომ ამგვარ უზუსტობათა განხილვა ცალ-ცალკე ზედმეტად მიგვაჩინია. ასეთი მაგალითები წიგნში მრავალია. ბუნებრივია, ყველას ერთ საგაზეთო წერილში ვერც ჩამოვთვლით.

სახელმძღვანელოში დიალოგების თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი არ მიჰყვება რაიმე მეთოდიკურ ხაზს, რის გამოც ხშირად მეტად ხელოვნურ სიტუაციებს ვაწყდებით. კარგი იქნებოდა ავტორს ესარგებლა ინგლისური ენის მრავალრიცხოვანი სახელმძღვანელოების მეთოდიკური გამოცდილებით.

სარეცენზიონ ნაშრომის ზოგიერთი მაგალითი, ჩვენი აზრით, მიუღებელია მაგრამ არა გრამატიკული უზუსტობის გამო, არამედ აზრობრივად არის უხერხული. კერძოდ, მესამე სერიის ფორმების სასწავლებლად (უდარებს რა მათ პირველი სერიის ფორმებს) ავტორს ასეთი ნიმუშები მოჰყავს:

„ბიჭი ცუდ სიტყვებს და-ა-წერ-ს საპირფარეშოს კედელს The lad will write naughty words on the toilet (საპირფარეშო) door – ბიჭს ცუდი სიტყვები და-უ-წერ-ი-ა საპირფარეშოს კედელზე. The lad apparently wrote naughty words on the toilet door“ (გვ. 234-235), თარგმანში უზუსტობაა: ქართულში გვაქვს კედელი, ინგლისურში door, რაც კარებს ნიშნავს და არა კედელს, მაგრამ მთავარი მაინც სხვაა: ჩვენთვის გაუგებარია, რა აუცილებლობა მოითხოვდა ამნაირი შინაარსის მაგალითების მოყვანას. წიგნში უფრო უხერხული და უხამსი მაგალითებიც გვხვდება, რასაც ჩვენ არ გავიმეორებთ. დარბაისელი ავტორი ასეთი ნიმუშების წარმოდგენას უთუოდ მოერიდებოდა.

საერთოდ, სასწავლო ტექსტებისა თუ სავარჯიშოების შედგენისას მეტი და-ფიქრებაა საჭირო. აბა, რისი მთქმელია ისეთი შინაარსის წინადადებანი, როგორებიც ამ წიგნშია? მაგალითად, ერთგან ლაპარაკია ინგლისური წინადადების ქართულად თარგმნაზე: „Mothers give birth to sons and daughters (გვ. 56), პასუხი: „დედები ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს ბადებენ“ (გვ. 383). ქვემოთ მოყვანილი წინადადებების მიხედვით შეიძლება კაცმა იფიქროს, თითქოს მაგიდა ღუმელის ნაცვლად იხმარებოდეს: „I personally usually bake bread on the table in the kitchen“ (გვ. 56), პასუხი: „მე პურს ვაცხობ ხოლმე მაგიდაზე სამზარეულოში“ (გვ. 393).

ეს კიდევ არაფერია, მაგრამ რას აძლევს მკითხველს დიალოგი, რომელიც იმართება უცხოელსა და მის მასწავლებელს შორის კინო-სტუდიაში (ტექსტშია „კინო-სტუდიო“) დაგვიანების შემდეგ:

„მასწავლებელი: ნუ გეშინიათ! ეს საქართველოა სადაც არავინ არაფერს არ ასწრებს დროზე.

უცხოელი: ინგლისელებს, რო(მ) საქართველო დაეპყროთ უფრო ადრინდელ საუკუნეებში ეგ ნაკლი (და არა მხოლოდ ეგ) დღეს არ დაგახასიათებდათ!“ (გვ. 251).

ამგვარი „ჭკუის დამრიგებლური“ წინადადებანი აღნიშნული ნაშრომისათვის უცხო არ არის.

ტექსტების თემატიკიდან ჩანს წიგნის ავტორის, რბილად რომ ვთქვათ, არა-სასიამოვნო და არასასურველი დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველებისადმი. წიგნის შესავალში ავტორი წერს: „საქართველოს ქართველი მოსახლეობა, 1989 წლის ბოლო საბჭოთა აღნერით, სახელდობრ 3,787,393 კაცი (საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 70,1 პროცენტის ეკვივალენტი) ჩქმალავს თითქმის ერთ მილიონ მეგრელს და დაახლოებით 50,000 სვანს (პლუს 3,000 მოლაპარაკე ჩრდილო ცენტრალურ კავკასიურ ენაზე, რომელსაც ბაცბი ჰქვია)“ (გვ. 1).

სამწუხაროდ, ქართველების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება სახელმძღვანელოს დიალოგებშიც გვხვდება:

„რა ეშმაკი ბრძანდებით! ქართველებს უკვე მიგვიხდით ტრაბახობას. თქვენ(ა)! უცხოელებმა მართლა არ უნდა დაიჯეროთ ყველაფერი, რასაც ჩვენ ქართველები გეუბნებით!“ (გვ. 172).

„ქართველი: კაი ხანი ფეხებზე გვკიდებოდა ჩვენი უმცირესობების ბედი – ფეხებზე არ უნდა გვკიდებოდა, არც უნდა გვეკიდოს – პირიქით, უფრო დიდი გასაჟანი უნდა მისცემოდათ მათ თავ-თავიანთი კულტურის განსავითარებლად. საქართველოს რო(მ) ვყოლოდით მხოლოდ ჩვენ ქართველები მოქალაქებად, შეიძლება წარმატებები მოპყოლოდა ნაციონალისტურ პოლიტიკას, მაგრამ თუ ხუთი მილიონი კაცი ცხოვრობს საქართველოში, ჩვენ ქართველები (ამ სიტყვის სწორი გაგებით) ძლივს ალვემატებით სამ მილიონს. სანამ ჩვენი არა-ოფიციალური მეთაურები მომაკვდინებელ შეცდომას დაუშვებდნენ და შეუდგებოდნენ ჩვენს, მეგრელებისა და სვანების გაღვივებას სხვა უმცირესობების წინააღმდეგ – ამით, რა თქმა უნდა, მდგომარეობა ძალიან დაიძაბა – უნდა მისულიყვნენ უმცირესობების წარმომადგენლებთან, რათა ადრე გაეგოთ მათი მისწრაფებები. ჩვენები უნდა ცდილიყვნენ დაერწმუნებინათ ისინი იმაში, რო(მ) თავისუფალ საქართველოში უმცირესობები ისარგებლებდნენ იმავე უფლებებით, რა უფლებებითაც ჩვენ ქართველები ვსარგებლობდით“ (გვ. 334-335).

„ფილოლოგი: ქართველებს როგორ არ გვრცხვენია მაგნაირი ულოგიკობისა?! პატივი უნდა ვცეთ ყოველგვარ ერს, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს ტერიტორიაზე. რათა იმათ შეიყვარონ და მერე სულ უყვარდეთ საქართველო. თუ ბრძენი ვართ, ჩვენ ქართველებმა უნდა გავუწიოთ დახმარება იმ მეგრელებს, რომლებსაც სურთ შეიქმნას მეგრული ლიტერატურული ენა, რათა მეგრელები გვიმადლოდნენ მაგ პატივს და მიატოვონ უკმაყოფილების ყოველი გრძნობა ჩვენს მიმართ. სამაგალითო ხელგაშლილობით უფრო უზრუნველვყოფთ საქართველოს მთლიანობას ვიდრე თუ გადავემტერებით ჩვენი მოსახლეობის ნაწილს და გავლანდავთ, ანუ მასხარად ავიგდებთ მათ კულტურას. მერწმუნე!“ (გვ. 226).

მოკლედ რომ ვთქვათ, ჯორჯ ჰიუიტი აშკარად ცდილობს გამოიყენოს ქართული ენის სახელმძღვანელო თავისი პოლიტიკური შეხედულებების პროპაგანდისათვის. იგი ცდილობს დაუმტკიცოს უცხოელ მკითხველს, რომ ქართველები, მეგრელები და სვანები სხვადასხვა ერია და რომ ქართველები სხვა ერების მჩაგვრელები არიან. ნუთუ აგტორი ერთგვარ უხერხულობას მაინც არ გრძნობს იმ ადამიანის ხსოვნის წინაშე, რომელსაც ეძღვნება ეს წიგნი?

ქართული ენა იყო ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორი ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისა. ეს ერთიანობა ადრევე კარგად ჰქონდათ შეგნებული თვით ქართველურ ტომთა ყველა წარმომადგენელს. ჯ. ჰიუიტის ცდა ქართველების, მეგრელების და სვანების გათიშვისა არა მარტო სიყალბეა, არამედ შეურაცხყოფაც არის აკაკი შანიძის ხსოვნისა. სწორედ აკაკი შანიძემ ჩაუყარა საფუძველი თბილისის ახალდაარსებულ უნივერსიტეტში სვანურისა და მეგრულის შესწავლას და ამ ენებს არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი უძღვნა. ასევე შეურაცხმყოფელია ჯორჯ ჰიუიტის მიერ ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის ტოგო გუდავას მეგრელ ლინგვისტად გამოცხადება ერთ-ერთ კრებულში, რომელიც ინგლისში გამოვიდა და მის ხსოვნას მიეძღვნა.

ისევ ენობრივი ხასიათის შეცდომებს დავუბრუნდეთ. რიგ შემთხვევაში არასწორი ფორმები გრამატიკულ მასალაში საანალიზოდ მოხმობილ წინადაღებებშიც გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ავტორი ურჩევს შემსწავლელებს, რომ შესაძლოა არასწორი გამოთქმა გაიგონონ, მაგრამ თვითონ არ უნდა გაიმეორონ... ასეთებად დასახელებულია შემდეგი:

„უცხოელმა ვაი-მეცნიერებს მი-უ-ხვდ-ა(-თ) სისულელე

პავლემ ზაზას ბევრი ფული შე/და-ჰ-პირ-და

დედამ ბავშვს საინტერესო ზღაპარი მო-უ-ყვ-ა“ (გვ. 159).

მაშასადამე, ავტორი გარკვეულ შემთხვევაში განარჩევს მიუღებელ, არასწორ ფორმებს. მაგრამ, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ეს ხაზი ბოლომდე არ არის გატარებული, რის გამოც სახელმძღვანელოს ქართულ დიალოგებში სავალალო მდგომარეობაა.

შუქია აფრიდონიძე ჰორვარდ ი. არონსონის ქართული ენის პრაქტიკული სახელმძღვანელოს (Howard I. Aronson, Georgian A Reading Grammar. University of Chicago, Slavica, 1982) რეცენზიაში მიუთითებდა, რომ ჰორვარდ არინსონს წიგნის პირველი ვარიანტი მზად ჰქონია 1976 წელს. ქართველი და უცხოელი კოლეგების შენიშვნებისა და სურვილების გათვალისწინების შემდეგ, რასაც ავტორი მადლიერების გრძნობით აღნიშნავს შესავალში, წიგნი გადამუშავდა და გაუმჯობესდა (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდებული, ტ. XI, ობ., 1984).

ჯორჯ ჰიუიტიც რომ ასევე მოქცეულიყო და ქართველ სპეციალისტთა კონსულტაციით ესარგებლა, ეს სახელმძღვანელო უთუოდ სხვაგვარი იქნებოდა. ჩვენვერ დავაძალებთ ჯორჯ ჰიუიტს, რომ მაინცდამაინც უყვარდეს ქართველები – ბოლოს და ბოლოს ეს მისი პირადი საქმეა, მაგრამ მან სახელმძღვანელოდ შემოგვთავაზა წიგნი, რომლის ქართული ნაწილი უკვდავი ხანუმას სტილით არის გამართული: „მე რომ მამამ პარიზში წაგილო, მაშინ კარტული სულ დაგავიცყდა“. ახირებული:

ლი, სინტაქსურად გაუმართავი წინადადებები, მეთოდიკურად გაუაზრებელი ტექსტები ქართულის სახელმძღვანელოდ შესთავაზა ჯორჯ ჰიუიტმა ორ კონტინენტს. დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ ჰიუიტის ქართულით ქართველები არ ლაპარაკობენ და მისი წიგნით ნასწავლი ენით საქართველოში ჩამოსული უცხოელი შეიძლება კომიკურ ან ზოგჯერ უფრო უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდეს (თუ მის მიერ მოწოდებულ ზოგ სიტყვას იხმარს). ამიტომ თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, ჩვენი მოსაზრება გამოგვეთქვა ამ წიგნის მეცნიერული და პედაგოგიური ღირებულებების შესახებ.

გამომცემლობის რედაქტორი – **მარინე ვარამაშვილი**  
დაკაბადონება – **ნათია დვალი**  
გარეკანი – **ნინო ებრალიძე**

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179  
Tel 995 (32) 25 14 32  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)